თამაზ ალავიძე

საბჭოთა მზვერავის ვაჟი

რომანი

თბილისი
2020

Soviet Bolshevik Communism, the Black Plague of the mankind that poisoned generations by the psychosis of false expectations, disclaimed personality and civic rights, preceptor and messiah. . .

Communists deemed a human being as a part of community but never as a personality.

Thus they cultivated so called Homo Soveticus engrafted upon the roots of Pavlik Morozov, (known as a little boy, who at the age of 13 reported on his father to the political police).

Anyone who could not adapt the life of the Soviet collectivism and/or carried some individual characters faced troubles: KGB machine was immediately involved and such person was supposed to be directed to Gulag. It was so easy, and cheap . . . Writing off each person coasted only 7 ruble and 35 kopek to KGB after all. Given Novel tells us many of such type grave stories in details . . .

სსრკ ბოლშევიკური კომუნიზმი – კაცობრიობის შავი ჭირი, რომელმაც ცრუ მოლოდინის ფსიქოზით მოწამლა თაობები, უარყოფდა პიროვნებას, მოქალაქეს, მოძღვარს და მესიას, ხოლო ადამიანს, კოლექტიური სოციუმის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა.

აღმოცენდა და დღესაც ყვავის მოროზოვის ფესვებზე დამყნობილი „მცენარე“ ჰომოსოვეტიკუსი.

ვაი მას, ვისაც კოლექტივთან არ შეეძლო ადაპტაცია და ინდივიდუმისათვის დამახასიათებელი ნიშნები აღმოაჩნდებოდა; იმავე წუთს ჩაირთვებოდა საბჭოთა უშიშროების მანქანა და საჭირო ადგილს მიუჩენდნენ მას. ბოლოს და ბოლოს, მისი ჩამოწერის ფასი ხომ სულრაღაც 7 მანეთიდა 35 კაპიკი იყო.

წინამდებარე რომანი დაწვრილებით მოგვითხრობს ასეთ ამბებს.

რედაქტორი
ირაკლი ზაკალაშვილი

© თამაზ ალავიძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2020

ISBN 978-9941-25-055-3

Tamaz Alavidze

SON OF THE SOVIET SPY

Novel

TBILISI 2020

წინასიტყვაობა

ამ რომანში მოთხრობილი ამბავი, ერთი საინტერესო ოჯახის რეალური ისტორიაა, რომელიც ჩემთვის ძალიან დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი. წლების განმავლობაში, ჩემს გონებაში წარმოდგენილი ეს სიუჟეტი მოსვენებას არ მაძლევდა, მაგრამ ამის პარალელურად მქონდა განცდა, რომ მე მას ვერ მოვერეოდი. ყველაფერი გადაწყვიტა ერთმა მომენტმა, როდესაც სრულიად შემთხვევით შევხვდი ყავარჯნებზე შემდგარ კაცს, რომელსაც მანქანებით გადატვირთული ქუჩის გადაკვეთაში მივეხმარე. ეს ფიზიკურად განადგურებული ადამიანი, საბჭოთა უშიშროების ორგანოების მიერ იმ სპეცპოლკში გაწრთვნილი აღმოჩნდა, სადაც ერთ დროს ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი ანტონ სავიჩევი მსახურობდა. თუ რას ასწავლიდნენ იქ, როგორ მოქმედებებში იღებდნენ მონაწილეობას იმ პოლკში გამოზრდილი ე.წ. იმპერიის ჯარისკაცები და როგორ გამოიყურებოდა სულიერი თვალსაზრისით ჩამოწერილი ეს სპეცაგენტი, ამაზე ბოლოს გვექნება საუბარი. მანამდე კი, კვალში მივყვეთ რომანის გმირის ცხოვრებას, რომელიც გვამცნობს, ვისი ეშინოდა ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირს და რა მეთოდებით უსწორდებოდა ურჩ ინტელექტუალებსა და თავისუფალი ბუნების ადამიანებს.

ავტორი

მოსკოვი. 1959 წელი. სპეცდანიშნულების პოლკის[1] დისლოკაციის ადგილი. გაშლილ, მოასფალტებულ მოედანზე დგას საჯარისო ფორმაში გამოწყობილი ათასამდე ახალგაზრდა, რომლებიც რამდენიმე წუთში იმპერიას გულმხურვალედ შეჰფიცებენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ მის დასაცავად. ისინი ახალწვეულები არიან, რომელთა დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხიდან ორი კვირის წინ ჩამოიყვანეს და დღევანდელი ფიცის მისაღებად მოამზადეს. მათ უმრავლესობას ქვეყნისთვის თავდადებული და სანდო

1 განმარტება: ეს ის პოლკია, რომელმაც 1979 წელს ავღანეთის დედაქალაქი ქაბული აიღო და იქ მანამდე არგაგონილი სისასტიკე დაატრიალა. სხვათაშორის იგივე პოლკი, ავღანეთში ომის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, 1989 წლის 9 აპრილს ერთერთ სადესანტო დივიზიას ამოფარებული, თბილისში, თავისუფლების მოთხოვნის მიზნით შეკრებილ მშვიდობიან მანიფესტაციას დაარბევს, 16 ადამიანს ნიჩბებით დაჩეხავს და ასე მოუსწრაფებს სიცოცხლეს, ხოლო 5 000 მდე ადამიანს, დღემდე გაურკვეველი ქიმიური იარაღით მოწამლავს, რომელთა უმრავლესობა, წლების განმავლობაში, წამებით დაასრულებს ამქვეყნიურ ცხოვრებას.

ოჯახების შვილები წარმოადგენენ. არიან ისეთებიც, რომლებიც უპატრონო ბავშვთა სახლებში გაიზარდნენ. კომუნისტური წესის თანახმად, მზურნველობას მოკლებული ბავშვი იშვიათად ხდება მოსიყვარულე სხვათა მიმართ. აქედან გამომდინარე, მისი სულის ფორმირება, თანაც ჩამოუყალიბებელ ასაკში, სავსებით შესაძლებელია. ჩემოყალიბებას კი აქ ახდენენ შემდეგი მიმართულებით: სიყვარული, როგორც აუცილებელი ატრიბუტი ადამიანისა, რისთვისაც ღირს სიცოცხლის გაწირვა, უნდა არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სამშობლოს მიმართ.

გაისმის მუსიკის ხმა – სასულე ორკესტრი კომუნისტური აღტაცებით ასრულებს საბჭოთა სამხედრო მარშს, რომლის ფონზე, იქვე ახლოს მდგარი შენობიდან გამოდის პოლკის ხელმძღვანელობა. მათ გვერდს უმშვენებს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბიდან მოვლენილი ორი გენერალი. ისინი დგებიან ახალწვეულების წინ და იწყება ფიცის მიღების ცერემონიალი. თითოეული ჯარისკაცი ცდილობს, ხმით, თუ ტანის მკვეთრი მოძრაობით, საკუთარი თავის წარმოჩენას, რაც, თავისთავად, შეუმჩნეველი არ რჩება გულქვა ადამიანთა სამჭედლოს ოსტატებისთვის.

ცერემონია დამთავრდა. ჯარისკაცები ღიმილიანი სახით ულოცავენ ერთმანეთს იმპერიის დაცვის სამსახურში ჩადგომას და ჯერ არცერთმა მათგანმა არ იცის, რომ მათი მომავალი კარიერა თავიანთ სისასტიკეზე იქნება დამოკიდებული.

უფროსების წასვლიდან ნახევარი საათის შემდეგ, სანამ საყვირი სადილზე წასვლას აუწყებდა ჯარისკაცებს, მიკროფონთან მიდის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური და მათ მიმართავს:

– რიგითი ანტონ სავიჩევი გამოცხადდეს ჩემთან!

ანტონი მაღალი, გამხდარი და მოხდენილი ახალგაზრდაა. მის ლამაზ სახეს ჭკვიანი თვალები ამშვენებს, რომლის წიაღიდანაც ძნელად შესამჩნევი სევდა მაინც გამოსჭვივის. ის ობლად გაზრდილია და მამა არ ახსოვს, მაგრამ იცის, რომ მისმა უცნობმა მშობელმა თავი სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა. რამდენადაც საამაყოა მისთვის გმირი მამის შვილობა, იმდენად მტკივნეულია მის გარეშე აღზრდა და ცხოვრება. ეს ტკივილი

ანტონს აშკარად ეტყობა, რაც გამორჩეულ ხიბლსაც კი ანიჭებს თანატოლთა შორის.

– რიგითო სავიჩევ, გამომყევით! – უთხრა კაპიტანმა, როდესაც ანტონი მასთან გამოცხადდა.

ისინი ხელმძღვანელი პირების სამუშაო შენობაში შევიდნენ. მოგრძო დერეფანში ერთ-ერთი კაბინეტის კარზე კაპიტანმა მოკრძალებით დააკაკუნა, რომელზე გაკრული ტრაფარეტი მის პატრონს გვამცნობდა: „პოლკის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანეს – ძე ვოლკოვი“.

– მობრძანდით! – გაისმა კარის იქიდან მამაკაცის ბოხი ხმა.

კაპიტანი ხელის აწევითა და ფეხის ფეხზე შემოკვრით წარსდგა პოლკოვნიკის წინაშე და ამცნო, რომ მისი მოთხოვნის თანახმად მასთან მიიყვანა რიგითი ანტონ სავიჩევი.

პოლკოვნიკმა თავისუფლად ყოფნა ბრძანა, სკამიდან წამოდგა და გრძელი მაგიდის ნაპირს მათკენ ღიმილით გამოუყვა.

– გამარჯობა, შვილო. – უთხრა მამაშვილური ხმით და ანტონს ხელი გაუწოდა.

ანტონი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ არ შეიმჩნია და თავისი ხელი შეაგება.

– თავისუფალი ბრძანდებით, კაპიტანო! – მიმართა ჯმუხმა და ბეჭებგანიერმა პოლკის უფროსის მოადგილემ მის წინ მდგომ ოფიცერს, რის შემდეგ ანტონს მხარზე ხელი ფრთხილად დაადო და სკამისკენ მიუთითა. – დაჯექი, შვილო. – პოლკოვნიკიც ჩამოჯდა, რომლის სახეზეც ღიმილი ოდნავადაც კი არ შენელებულა. – აბა, როგორია შენი შთაბეჭდილებები? – ჰკითხა და ინტერესით მიაჩერდა ანტონს.

– კმაყოფილი ვარ, ამხანაგო პოლკოვნიკო. ამ ორი კვირის მანძილე ბევრი მეგობარი შევიძინე. კარგი გარემოა, მომწონს აქ ყოფნა და მზად ვარ პირნათლად შევასრულო ყოველი ბრძანება და ვემსახურო სამშობლოს.

– ჰოოო.... კარგია, კარგია, მომწონს შენი შემართება და მიხარია შენისთანა ახალგაზრდების არსებობა. ხვალ და ზეგ, შენნაირებმა უნდა ჩაიბარონ ჩვენი ქვეყნის ბედი და ყოველთვის მივესალმები ასეთი მიზანდასახული ადამიანების მოსვლას არმიაში.

მან ბევრი ილაპარაკა საბჭოთა არმიის უძლეველობასა და სიძლიერეზე. ამ საუბრის დროს ის წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში. ხოლო როცა დაასრულა მისი ქება-დიდება, კვლავ ანტონის მოპირდაპირედ ჩამოჯდა. პატარა პაუზა გააკეთა ისე, რომ ჯარისკაცისთვის თვალი არ მოუცილებია და დაბალი ტონით მიმართა: – შვილო, ახლა კარგად მომისმინე! – უთხრა და ერთხელ კიდევ დააკვირდა მის სახეს. – ერთ საათში უნდა მოემზადო და ამ შენობის შემოსასვლელთან მოხვიდე. იქ ორი ოფიცერი დაგხვდება. ისინი მანქანით წაგიყვანენ აეროპორტში. იქიდან გაფრინდები ქალაქ კუიბიშევში. ჩასვლისას, თვითმფრინავის კიბესთან მანქანა დაგხვდება და დანარჩენს ადგილზე შეიტყობ. კარგია, რომ აქ მეგობრები შეგიძენია, მაგრამ არავის უთხრა, რომ მიდიხარ. არავითარი გამომშვიდობება, არცერთი სიტყვა. წყნარად და მშვიდად მიდი დანიშნულ დროს იმ ოფიცრებთან, რომლებიც ზუსტად ერთ საათში გელიან. – ბოლო სიტყვები მკაცრი იერით დაასრულა პოლკოვნიკმა და ანტონს დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა. დამშვიდობებისას კვლავ ღიმილიანი სახით უსურვა წარმატებები ცხოვრებაში, შემდეგ მიბრუნდა და ფეხაწყობილი გაემართა თავისი სავარძლისაკენ.

ანტონმა ბრძანება ზუსტად შეასრულა, – მან შეუმჩნევლად ჩაალაგა ჩანთაში საკუთარი ნივთები და დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა.

საბჭოთა სამხედრო „ვილისი“ ბღუილით დაადგა აეროპორტისკენ მიმავალ გზას. წინ ორი ოფიცერი იჯდა, რომლებსაც ნაწილიდან წამოსვლის შემდეგ ხმა აღარ ამოუღიათ. ისხდნენ გამტკნარებულები და მოჯიყჯიყე მანქანის გამო ხმელ სკამებზე დროდადრო აქეთ-იქით ირწეოდნენ. უკანა სავარძელზე მჯდარი ანტონი კი იდაყვით თავის ზურგჩანთას დაყრდნობოდა და ნახევრად გვერდით გადახრილი ფიქრებში წასულიყო. მან არ იცოდა სად მიდიოდა და ძალიან აფორიაქებდა ეს ფაქტორი. ფიქრობდა, რომ ეს იყო დავალება, მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ის, ან რა ფორმის, ამას ვერ ხსნიდა. ანერვიულებდა ისიც, რომ, თუ ვერ გაართმევდა თავს მის წინაშე მოცემული ამოცანის ამოხსნას, მაშინ იქვე უნდა დაემთავრებინა თავის

კარიერაზე ოცნებაც კი. „არა, არა, რაც არ უნდა იყოს, უცბად გავერკვევი ყველაფერში და ზედმიწევნით შევასრულებ ყველანაირ დავალებას. მე საბჭოთა ჯარისკაცი ვარ!“ – შემოუძახა საკუთარ თავს და მანქანის გვერდითა შუშიდან მექანიკურად დაათვალიერა იქიდან დანახული სივრცე. მანქანა კი მიჰქროდა არც თუ ისე ცუდ გზაზე, რომლის ძრავის გრიალი უკან მჯდომ ახალგაზრდას აზროვნებაში ხელს უშლიდა.

„ვილისი“ აეროპორტის შესასვლელ ჭიშკართან შეჩერდა. საბუთების შემოწმების შემდეგ, დაცვამ შლაგბაუმი გახსნა. ორიოდე წუთი და ის უკვე ასაფრენად მომზადებულ თვითმფრინავის კიბესთან იდგა. იქ მათ შავ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი ელოდათ. მისალმების შემდეგ, ანტონს კიბეზე აუძღვა და მისთვის განკუთვნილ ადგილამდე მიაცილა. თვითმფრინავი მალევე მოსწყდა მიწას და ჰაერში აიჭრა. რაღაც სიახლის, თითქოს რაიმე განსაკუთრებულის მოლოდინით იმუხტებოდა ანტონის მთელი სხეული. ასეთ ფონზე ძნელი იყო თუნდაც ფიქრი, რადგან ის პირველად მოხვდა მსგავს მდგომარეობაში და უცნობი სიტუაციის განსჯა მის გონებას წარმოუდგენლად მოეჩვენა. ამის გამო მას მოუსვენრობა დაეტყო და უკვე სკამზეც აწრიალდა. ებრძოდა და ამშვიდებდა საკუთარ თავს, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა. და აი, გაახსენდა მამა, რომელსაც არ იცნობდა, მაგრამ დედისგან იცოდა, რომ ის გმირი იყო. გმირი, რომელმაც თავი იმპერიისთვის გაწირა. „თუ მამაჩემმა ქვეყნისთვის სიცოცხლეც არ დაიშურა, მე რა მაფორიაქებს? – ჰკითხა საკუთარ გონებას და წელში გაიმართა. – ჩემს სამშობლოს, თუ ჩემი სიცოცხლეც სჭირდება, მზად ვარ! მე მამაჩემის შვილი ვარ!“ – გაიფიქრა და საბოლოოდ მოერია გულში უეცრად შემოჭრილ შიშს. ანტონმა სავარძელი ოდნავ უკან გადასწია, ზედ ფრთხილად გადაწვა და თვალები მოხუჭა. თვითმფრინავი კი ქალაქ კუიბიშევის მიმართულებით უკვე მაქსიმალურ სიჩქარეს ანვითარებდა.

კუიბიშევის აეროპორტი მას გაჩახჩახებული დახვდა, ხოლო ცა – ჩაბნელებული. ტრაპთან შავი ავტომანქანა „ვოლგა“ იდგა. მის გვერდით კლასიკურ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცი და უმშვენიერესი ქერა ლამაზმანი იმყოფებოდნენ,

რომლებიც კიბეზე ჩამოსულ მგზავრებს გულდასმით ათვალიერებდნენ. როცა ანტონმა მიწას ფეხი შეახო, მისი მასპინძელი იმ წამსვზე მის გვერდით გაჩნდა.

– სავიჩევი? – ჰკითხა ისე, რომ პასუხს არც კი დალოდებია და ავტომანქანისკენ მიუთითა. – გთხოვთ! – უთხრა ღიმილიანი სახით და ორიოდე ნაბიჯში მდგომი მანქანისკენ გაუძღვა.

„ვოლგა“ „ვილისისგან“ განსხვავებით შედარებით უხმაუროდ დაიძრა და ქალაქისაკენ მიმავალ გზატკეცილს დიდი სისწრაფით გაუყვა. უკანა სავარძელზე მჯომმა ანტონმა, აეროპორტიდან დაწყებული, უკვე რამდენჯერმე შეავლო თვალი თავის წინ მჯდარ ქალს, რომლის ქერა და გრძელი თმა სავარძლის კიდეს დაჰფენოდა და მისი უცხო, სასიამოვნო სურნელება უცნობ მამაკაცს ანდამატივით იზიდავდა. ჯარისკაცს კიდევ დასჭირდა ძალისხმევა, მორეოდა საკუთარ გრძნობას და ეფიქრა მოსალოდნელ სიტუაციებზე. ის უკან გადაწვა და გულში აბობოქრებული ვნება დროებით დაიმორჩილა. ეს არ გამოჰპარვია მძღოლს, რომელიც მის ყოველ მოქმედებას სარკიდან აკონტროლებდა.

– ანტონ, მე ნიკალაი ვარ, ის კი კატია. – უთხრა მძღოლმა და მანქანას სიჩქარე შეუცვალა.

ქალი ნახევრად შემობრუნდა და ანტონს შესცინა. მის ლამაზ ბაგეს მძივებივით ჩაწიკწიკებული თეთრად მოელვარე კბილები ამშვენებდა. ის ქალღმერთს ჰგავდა, დიახ, ქალღმერთს, რომლის მსგავსი ბიჭს არასოდეს ენახა. ამიტომ, სრულებითაც არ იყო გასაკვირი, თუ ანტონი ასეთი სილამაზის უნებლიე ტყვე აღმოჩნდა, მითუმეტეს მაშინ, როცა მისი ასაკიც მის წინააღმდეგ მოქმედებდა. ქალი ნახევრად მოხუჭული და მიბნედილი თვალებით დააკვირდა ჯარისკაცის სახეს. შემდეგ ნაზი მოძრაობით ღაწვზე დაფენილი თმა შეისწორა, მისკენ უფრო მეტად მიბრუნდა და ოდნავ წინ წაწეული თავით ანტონს საკმაოდ დაბალ ხმაზე მიმართა:

– ცეკვა თუ იცი?

ბიჭს ასეთი განსაკუთრებული ვნების შემოტევისთვის ვეღარ გაეძლო და თავი დაბლა დაეხარა. ამ კითხვამ და ქალის ხმამ კი აიძულა ის, რომ კვლავ მისი მომნუსხველისთვის მიეპყრო მზერა.

– კი. ბავშვობაში რამდენიმე წელი დავდიოდი ცეკვაზე.

– რომელ ცეკვას ანიჭებ უპირატესობას? – უთხრა უკვე აღფრთოვანებულმა ქალმა.

– ალბათ, სამეჯლისოს... ვფიქრობ ჩემი ხასიათისთვის უფრო მისაღებია. – ძლივს აღმოხდა ანტონს და წამის წინ დაბლა მიმართული თვალები, ნელი მოძრაობით ისევ ქალისკენ გააპარა.

– დიდებულია... – ჩაილაპარაკა ქერა ლამაზმანმა და გამომწვევი სახით კიდევ ერთხელ აათვალ–ჩაათვალიერა ანტონ სავიჩევი. უეცრად ჯარისკაცისა და ქალის თვალები ერთმანეთს შეეჩეხნენ. მათი დაპირისპირება სულ ორ წამს გაგრძელდა, რის შემდეგ ქალმა ვნებიანი გამომეტყველებით გაუღიმა და სკამზე შესწორდა. – ცეკვა სიცოცხლეა... – განაგრძო კატიამ. – ცეკვა ცხოვრებაა... პირველყოფილმა ადამიანმა პირველად ალბათ ცეკვა ისწავლა. ცეკვა ვნებაა, ცეკვა სიყვარულია. თუ არ იცეკვე, ვერავითარ ცხოვრებისეულ სიტკბოს ვერ შეიგრძნობ.

ნიკალაიმ ჩუმი ხმით ჩაიცინა, კატიას გადმოხედა, მაგრამ არაფერი უთხრა, სიტყვა არ გააწყვეტინა.

კატია კი ისეთი პათოსით განაგრძობდა საუბარს, თითქოს დიდი აუდიტორიის წინაშე იდგა და ადამიანებს უმტკიცებდა ცეკვის ცოდნის აუცილებლობას.

– მე მხოლოდ ჰაეროვანი მოძრაობა მანიჭებს ძალას და მმატებს საკუთარი თავის მიმართ რწმენას. ის მიტაცებს და მივყავარ იმ წყაროსთან, რომელიც სიყვარულის წყურვილს მიკლავს. იქ ვტოვებ დარდს, სევდას და ნაღველს. იქვე ვაბამ მელანქოლიური ბუნებიდან ამოვარდნილ ჯინს, რომლის უძლიერეს სხეულსაც ახალ-ახალი ჯაჭვებით ვაკავებ, რადგან ის რომ გაეშვას, თავსაც დავკარგავ და სიცოცხლესაც.

ანტონი ყურადღებით ისმენდა კატიას მონოლოგს, ხოლო ნიკალაიმ უკვე თანაგრძნობით რამდენჯერმე გადახედა მეგობარს.

ქალი კი სხვებისთვის შეუმჩნევლად, თვალში ოდნავ მომდგარი ცრემლით და ყელში ამოჩრილი ბურთის თანხლებით, ჩუმი ხმით განაგრძობდა:

– არადა, რა მშვენიერია სიცოცხლე. მშვენიერია-მეთქი, ვამბობ, მაგრამ იქნებ ჩვენ ვერც აღვიქვამთ მას მთელი მისი მშვენიერებით?! იქნებ ჩვენ იმ კუთხიდანაც ვუყურებთ, საიდანაც სრულად არ ჩანს?!

– კატია, გეთაყვა, – მიმართა ღიმილით მძღოლმა. – ჩვენ ვუახლოვდებით დანიშნულ ადგილს. მიაბი ახალი ჯაჭვით შენი ჯინი, თორემ იქ, ვისთანაც მივდივართ, შენ ჯინს არ იცნობენ და უცბად, ალადინის ჯინი არ ეგონოთ.

კოლიამ ხმამაღლა გაიცინა და კატიას მხარზე ხელი ორჯერ ფრთხილად დაადო. რამდენიმე წამში ქალსაც გაეცინა, როცა ის მთლიანად გამოერკვა. შემდეგ შუა თითები წარბებზე ნელა გადაისვა და საკუთარი სხეულიდან ძალდატანების გარეშე განდევნა ქალური სინაზე.

მანქანამ თითქმის მთელი ქალაქი გადასერა და მის გარეუბანში დიდი მესერით გარშემორტყმული დაცული ტერიტორიის უზარმაზარ რკინის ჭიშკარს მიადგა, რომლის გორგოლაჭები მაშინვე ახმაურდა, როცა მას შავი „ვოლგა“ მიუახლოვდა. მანქანის შესვლისთანავე კარი სწრაფადვე ჩაიკეტა. ჩვენი მგზავრები კი, არაფრით განსხვავებული, მრავალი კოტეჯის ტიპის სახლებიდან, ერთ-ერთის წინ გაჩერდნენ.

ღამის თერთმეტი საათი სრულდებოდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. ისეთი სიჩუმე, რომ თითქმის საშიშიც კი იყო მისი აღქმა. ყოველი კოტეჯის წინ, დაახლოებით ერთი მეტრის რკინის ბოძებზე მკრთალი სანათურები იდგა, რომლის მეშვეობითაც ძლივს მოჩანდა შენობასთან მისასვლელი ბილიკიც კი. არცერთი სახლიდან შუქი არ გამოდიოდა, რადგან ფანჯრები შენიღბული იყო. ამ მყუდროებას ერთ-ერთ ხეზე შემომჯდარი ღამის მონადირე ბუ არღვევდა მხოლოდ, რომელიც დრო და დრო, ავად დაჰკიოდა შენობებში შეყუჟულ და გალურსულ იმპერიის ემისრებს.

ანტონმა მანქანიდან ჩანთა გადმოიღო, მხარზე გადაიკიდა და შენობისკენ მიმავალ კატიას მიჰყვა უკან. კოლიამ მანქანას შუშები აუწია, რათა უეცრად მოსულ წვიმას შიგნით სავარძლები არ დაესველებინა და ისიც შენობისკენ დაიძრა. კარის გახსნისთანავე, ანტონმა ხელით მოიჩრდილა, რადგან შიგნიდან გამოსულმა მკვეთრმა სინათლემ მას თვალი მოსჭრა. ჯარისკაცმა ზღურბლს მოკრძალებით გადააბიჯა. ასეთ უჩვეულო გარემოში მოხვედრილს, ცოტა დაბნეულობა შეეტყო, მაგრამ მისმა სულიერმა სიძლიერემ ეს დაბნეულობა უმალ გაანეიტრალა.

დერეფანში შუა ხნის ქალი წარუდგა ანტონს, მიესალმა და ჩანთის ჩამოხსნაში მიეხმარა.

– ამ ჩანთას თქვენს საძინებელში დავდებ, გეთაყვა. მანამდე კი, – იქვე, კედლის თაროზე საგანგებოდ დადებული ქათქათა თეთრი პირსახოცი გადმოიღო და მას გაუწოდა. – იქ აბაზანა და ტუალეტია, – ერთ-ერთი კარისკენ მიუთითა. – შეგიძლიათ მოწესრიგდეთ და შხაპიც მიიღოთ, თუ, რა თქმა უნდა, სურვილი გექნებათ.

– დიდი მადლობა. – უთხრა სავიჩევმა და აბაზანაში შევიდა. როგორც კი კარი ჩაკეტა, იმ კარზევე იდაყვით მიეყრდნო, რომელსაც შემდეგ შუბლით მიებჯინა. მის გონებაში უსწრაფესად გადაირბინა ყოველმა წვრილმანმა, დაწყებულმა, პოლკის უფროსის მოადგილის კაბინეტიდან, აბაზანის ოთახამდე, რის შემდეგაც ანტონი მანამდე განუცდელი, უცხო, სხვაგვარი შიშის გრძნობამ შეიპყრო. ეს ისეთი შიშის განცდა იყო, რომლის საპირისპირო ძალასაც საკუთარ გონებაში ვერ პოულობდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იდგებოდა ასე გაუნძრევლად, მისი წყვდიადში მოქცეული აზროვნება კატიას ულამაზეს სახეს რომ არ გაეციკროვნებინა.

– კატია... – თავისთვის ჩაილაპარაკა სავიჩევმა და მოღუშულ სახეზე ღიმილმა გადაურბინა. ის კარს მოსცილდა და აბაზანისკენ შებრუნდა. გაახსენდა, მანქანაში ქალის ინტიმური მოქმედებები და თავის წინ მდგომარე წარმოიდგინა. მის სულში შემოჭრილ ვნებას, წამიც კი არ დასჭირვებია არსებული რეალობიდან აღმოცენებული აზრების ჩასახშობად, რაც პირდაპირ დამამშვიდებელი წამალი აღმოჩნდა აჩქროლებული გონებისათვის. ჯარისკაცმა შხაპი მიიღო და სტრესებისაგან დაცლილი გამოვიდა სააბაზანოდან, რომელსაც მისაღებ ოთახში, გაწყობილი სუფრის გვერდით, ელეგანტურ ფორმაში ჩაცმული თორმეტი შუა ხნის მამაკაცი ელოდა კატიასთან და ნიკალაისთან ერთად.

სავიჩევმა თვალი მოავლო სხვადასხვა ადგილზე მჯდომ ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებული მზერით მისჩერებოდნენ მას. ეს, ერთი შეხედვით, დაძაბული მომენტი, სულ სამ-ოთხ წამს გაგრძელდა, რის შემდეგ ყველა ერთიანად წამოდგა და ჯარისკაცის გასაცნობად დაუწყობელი რიგი დაიკავა.

– ივან ანდრეევიჩი! – ხელი გაუწოდა მას პირველმა მიმსვლელმა.

ჯარისკაცმა ღიმილიანი სახით თავი დაუკრა.

– პაველ ვლადიმიროვიჩი! – ხელი შეაგება მეორემ.

– პიოტრ სერგეევიჩი!

– ვიქტორ ალექსანდროვიჩი!

ასე გაეცნო ანტონს თერთმეტი კაცი, ხოლო როცა მასთან ბოლო, მეთორმეტე ადამიანი მივიდა, ჩამორთმეული ხელი მანამ არ გაუშვა, სანამ ბოლომდე არ მორჩა სათქმელს.

– ვადიმ გიორგევიჩი! – უთხრა მან მშვიდად და ჯარისკაცს სახეზე მიმოატარა მზერა. – ჰგავხარ მამას... – ჩაილაპარაკა თითქმის თავისთვის და ყელში მოწოლილი ბოღმა შეუმჩნევლად გადაყლაპა. – მე მამაშენის უახლოესი მეგობარი ვარ, შვილო, და დედასაც ვიცნობ. – განაგრძო საუბარი ვადიმმა. – აი, შენ კი არ გიცნობდი, მაგრამ არ წარმომედგინე სხვანაირი. შენ ძალიან ჰგავხარ მამას, რომელსაც ძალიან უყვარდი. ის სულ შენზე ლაპარაკობდა და ოცნებობდა შენს მომავალზე. მას სურდა, რომ შენ ბედნიერი ყოფილიყავი.

ვადიმი მიხვდა, რომ დაძაბულობის გამო საუბარს ვეღარ გააგრძელებდა და ეს რომ დაფარულად დარჩენილიყო, სუფრასთან მიიხმო.

– დანარჩენი იქ ვილაპარაკოთ. – უთხრა ანტონს, მხარზე ხელი გადახვია და ასე მიიყვანა მაგიდასთან.

ყველამ თავისი ადგილი დაიკავა, მათ შორის ნიკალაიმ და კატიამ, რომლებიც ანტონს აქეთ-იქიდან შემოუსხდნენ, როგორც "ძველი ნაცნობები".

სავიჩევი, სანამ ამ სიტუაციის ანალიზს შეუდგებოდა და ხელმეორედ გაუყვებოდა ფიქრებისაგან გამოწვეული შფოთის გზას, მას უკვე კატია ელაპარაკებოდა, რომელსაც ანტონის თეფშზე შემწვარი ხორცის მოზრდილი ნაჭერის დადება უკვე

მოესწრო და ახლა კონიაკის ჭიქას უვსებდა.

– ანტონ, იმედია ჩემი შერჩეული თავდაპირველი ულუფა მოგეწონება. – უთხრა ღიმილით და როდესაც კონიაკის ბოთლი მაგიდაზე დადგა, ჯარისკაცს მხარზე ხელი ფრთხილად გადაუსვა.

სავიჩევს ჟრუანტელმა დაუარა, რომლის გონებიდან კიდევ ერთხელ განიდევნა ყველანაირი დაძაბულობა.

სუფრის თითოეული წევრი დელიკატურად შეუდგა სადილის მირთმევას, რომლებიც ათიოდე წუთის შემდეგ, ივან ანდრეევიჩის ხმამ დროებით შეაჩერათ.

– ამ ჭიქით, – ფეხზე წამოდგა ის. – ანტონის ჩამოსვლას და მის გაცნობას გაუმარჯოს! ის, ჩვენი მეგობრის და თანამებრძოლის, ალექსის შვილია. იმ ალექსის, რომელიც თითოეული ჩვენგანის, რა თქმა უნდა, კოლიას და კატიას გამოკლებით, ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის მეგობარია. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ისე ვიზრუნოთ მასზე, როგორც საკუთარ შვილზე, რადგან მას მამა აღარ ჰყავს.

სუფრის ყველა წევრი ფეხზე წამოდგა. სოლიდარობის ნიშნად ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს. ანტონის სადღეგრძელო მოკლე სიტყვით და ღიმილიანი სახით გამოხატეს, რის შემდეგაც უჩუმრად დასხდნენ და ჭამა განაგრძეს.

ვადიმ გიორგევიჩი ანტონის მოპირდაპირედ იჯდა და ცდილობდა, ისე დაკვირვებოდა მას, რომ მისი ყურადღება არ მიეპყრო. ის თითქმის თვალს არ აცილებდა ჯარისკაცს, რომლის ყველა მიხრა-მოხრას ზედმიწევნით აკონტროლებდა. გიორგევიჩი დრო და დრო თვალებს დახრიდა და თითქოს ფიქრებში გადავარდებოდა ხოლმე, მაგრამ სწრაფადვე მოდიოდა გონს და კვლავ ანტონს უყურებდა.

ივან ანდრეევიჩმა ჭიქა ხელში აიღო და სუფრისთვის დამახასიათებელი, ადგილ-ადგილ წარმოქმნილი მუსაიფებიც უმალვე შეწყდა.

– მეგობრებო, – მიმართა მან თანამესუფრეებს. – ჩვენ უნდა ვადღეგრძელოთ ალექსი პავლოვიჩი, ჩვენი მეგობარი, მაგრამ ვადღეგრძელოთ არა როგორც მიცვალებული, არამედ, როგორც ცოცხალი, ჩვენს გვერდით მყოფი, რადგან ჩვენ სიცოცხ-

ლეშიც და სიკვდილშიც ხომ ერთად ვართ! სანამ ჩვენ აქ ვართ, აქ იქნება ალექსიც და, როცა ჩვენც აღარ ვიქნებით, აღარც ის იქნება. მაშინ ჩვენს სახელებს სხვები გაიხსენებენ, მოგვიგონებენ და იტყვიან, რომ ჩვენც შევძელით რაღაც მოკრძალებული ამ იმპერიისთვის.

ივან ანდრეევიჩმა ჭიქა მოსვა და სკამზე მძიმედ დაეშვა. სუფრის წევრებმაც ორ-ორი სიტყვით გამოხატეს მეგობრის მოსაგონარი. ყველაზე ბოლოს ანტონის ხმამ დაარღვია სიჩუმე:

– მამას გაუმარჯოს! – თქვა სერიოზული გამომეტყველებით, კონიაკის ჭიქა პირთან მიიტანა და მხოლოდ ტუჩები შეისველა, რადგან ფიქრობდა, რომ ოდნავი შეზარხოშებაც კი გონებას გაუფანტავდა და გაუძნელებდა დღევანდელი შეხვედრის ჭეშმარიტი დანიშნულების ამოცნობას.

ამის დამნახავ ივან ანდრეევიჩს სახეზე ძნელად შესამჩნევმა ღიმილმა გადაუარა, რომელიც ჯარისკაცის მიმართ ნდობის გამოცხადებაზე მიგვანიშნებდა. მან ნასიამოვნებმა მოატარა თვალი თავის თანამესუფრეებს, რომელთაგან არცერთს არ გამორჩენია ანტონის ეს მოქმედება და, რომლებიც უკვე სულგანაბულნი უცდიდნენ უფროსი მეგობრის სიტყვას. მხოლოდ ვადიმი იყო ღრმად ჩაფიქრებული და ერთ წერტილს მიშტერებული. ივანი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და თავდაღუნულ ანტონს კიდევ ერთხელ დააკვირდა. უეცრად მათი თვალები ერთმანეთს შეეჩეხნენ; ანტონის მზერა ჩვეულებრივი ინტერესის გამოხატულება იყო, ხოლო ადრეევიჩის გამოხედვა, ჯარისკაცის გონებაში ჩახედვას უფრო ჰგავდა, ვიდრე თვალებში. უხერხულობა ერთი წამითაც კი არ უნდა შექმნილიყო, რათა თავისუფლად თქმულიყო სათქმელი და ასევე, თავისუფლად გაგებულიყო ყველაფერი. ამიტომ, სუფრის წინამძღოლი ფეხზე წამოდგა და ოთახის ერთ კუთხეში მდგარ დაბალ მაგიდასთან მივიდა. იქიდან სიგარეტი აიღო და სანამ მას მოფშვნეტდა, მოუკიდებდა და კვლავ სუფრისკენ შემობრუნდებოდა, მანამდე დაიწყო საუბარი:

– სიცოცხლე კარგია მაშინ, როცა ფეხს აუწყობ მას. მომხიბვლელი კი მაშინ ხდება, როცა მისგან გამოწვევას იღებ და შენც სათანადოდ პასუხობ. ბედნიერი კი მაშინ ხარ, როცა

მთელ შენს ძალას და ენერგიას საკუთარ ქვეყანას მოახმარ.

ივან ანდრეევიჩი შემობრუნდა და მოკიდებული სიგარეტით და საფერფლით ხელში სუფრისკენ გამოემართა. შემდეგ სკამზე თავისუფლად გადაწვა და ანტონს მიაჩერდა. წამიერად კიდევ შეჩერდა. კიდევ ერთხელ აწონა გონებაში თავმოყრილი სათქმელი და მშვიდად გააგრძელა საუბარი:

– ყველა ადამიანმა იცის, რომ არსებობს ოჯახური საიდუმლო. ასევე, არსებობს მეგობრული საიდუმლო. წარმოიდგინე, რომ მეზობლური საიდუმლოც კი არსებობს. ასეთი რამეების გამჟღავნებისას, არის შანსი, გადარჩეს ის, ვისგანაც ეს ამბავი გაჟონავს. მაგრამ სახელმწიფო საიდუმლოს გაცემისას, პირველ რიგში თავს იღუპავს გამცემი, რომელსაც თან მიჰყვებიან თავისივე უახლოესი ადამიანები. ასე რომ, დაფარული სახელმწიფო საქმეების გვერდით, ყოველთვის ასოცირდება სიკვდილი. – ივანმა ბოლო სიტყვა ცოტა მკაცრი ტონით წარმოთქვა. თითქოს ამით სურდა, რომ ჯარისკაცს სრულად აღექვა იმ საიდუმლოს სუსხი, რაც მისთვის უნდა გაემხილა. – შენ ალექსი პავლოვიჩის შვილი ხარ. – დინჯად განაგრძო მან. – მამაშენი ერთ ადამიანს ყოველთვის აღემატებოდა თავისი შესაძლებლობებით. ასეთებს იმპერია იმ სფეროებს ანდობს, რაზედაც თავად დგას. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ალექს სავიჩევი საბჭოთა კავშირის მიერ ევროპის ერთერთ ქვეყანაში მივლინებული. ეს შენს დაბადებამდე მოხდა, შვილო. – მამაშვილური ტონით მიმართა ანტონს. – შენ უმამოდ იზრდებოდი და ვერავინ აგიხსნიდა იმას, რომ მამა გყავდა ცოცხალი, მაგრამ არ შეგეძლო მისი ნახვა. ამ შემთხვევაში ყველაზე იოლი, მისი მკვდრად გამოცხადება იყო, რადგან არ დაგბადებოდა კითხვები, რაზედაც სათანადო, შენთვის მისაღებ პასუხს ვერ მიიღებდი; ეს კი, სრულიად შესაძლებელია, რომ შენი გონებრივი ჩამოყალიბების პროცესში უარყოფითი ფაქტორი გამხდარიყო და დღეს ასეთი დაღვინებული და დავაჟკაცებული კაცის ნაცვლად, ერთი სულელი ადამიანი ყოფილიყო შენი სახით ჩვენს წინაშე. აქედან გამომდინარე, თანაც შენი ინტელექტის მქონე პიროვნება, არ მგონია, გაგებით არ მოეკიდო ამ ყველაფერს, მით უმეტეს, რომ ქვეყნის ინტერესებიც მოითხოვდა ამის ასეთი ფორმით გასაიდუმლოებას. –

ივან ანდრეევიჩს საუბრის დროს წამითაც კი არ მოუცილებია თვალი ანტონისთვის, რომელიც, თავის მხრივ, დრო და დრო დახრიდა ხოლმე თავს. – მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. – ამოოხვრით განაგრძო ივანმა. – შენ გაიზარდე და ჩამოყალიბდი ალექსის გონებაში წარმოდგენილ კაცად. მას სურდა ისეთი ყოფილიყავი, როგორიც ხარ. – ალექსის მხცოვანმა მეგობარმა პატარა პაუზის შემდეგ კვლავ განაგრძო: – მამაშენმა საზღვარგარეთ თავისი მისია დაასრულა და ერთი თვის წინ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ჩამოსვლისთანავე შეუდგა სამზადისს, რათა ღირსეულად მომხდარიყო მამა-შვილის შეხვედრა და ეს არ ყოფილიყო მძიმე და დაძაბული. მახსოვს, მისი დაბრუნებიდან ათიოდე დღის შემდეგ, აი, იმ დივანზე ვისხედით, როცა მითხრა: – სახის მოძრაობით მიანიშნა იმ ადგილისაკენ. – საზღვარგარეთ ჩემი მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგად იმდენი ენერგია არ დამიხარჯავს, რაც აქ, რამდენიმე დღეში დავხარჯეო. ადამიანებს განსაზღვრული ენერგია გვაქვს და როდისღაც იწურება მისი მარაგი. სიკვდილიც ამის შედეგია და საცოდავ ალექსსაც გამოელია ალბათ ძალები. სამწუხაროდ, ის ორი კვირის წინ გარდაიცვალა, მაგრამ სანამ ამქვეყნიდან წავიდოდა, დაგვიბარა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით შენთან მიმართებაში. ჩვენ მისი მეგობრები ვართ და მისი თხოვნის აღსრულება ჩვენი ვალია. მამას სურდა, რომ შენ ჯარიდან გათავისუფლებულიყავი და სავალდებულო სამხედრო სამსახური განვლილად ჩაგთვლოდა, რათა მომავალ კარიერაში ხელი არ შეგშლოდა. ამისათვის ის შენი ფიცის მიღებას უცდიდა. მან იცოდა, რომ შენ სკოლაში უპირატესობას ჰუმანიტარულ საგნებს ანიჭებდი და სურვილი ჰქონდა, შედარებით სახელმწიფოებრივი მიმართულებით გეცხოვრა. შენი ჯარიდან გათავისუფლება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან უკვე შეთანხმებულია და, როცა შენს ქალაქში ჩახვალ, კომისარიატი გამზადებულ სამხედრო ბილეთს გადმოგცემს. სახლში აქედან გაემგზავრები. ჩვენ თვალ-ყურს მოგადევნებთ და, თუ რაიმე შენგან დამოუკიდებელი პრობლემა გაგიჩნდება, ჩვენ გადავჭრით მას. რაც შეეხება შენს სწორ მოქმედებას, ამის იმედი ყველა ჩვენგანს გვაქვს, რომ შენ მამაზე უფრო მეტს გააკეთებ

შენი ქვეყნისთვის. ეს თავად ალექსსაც გაუხარდებოდა. მანამდე, რამდენიმე დღით აქ დარჩები, დაისვენებ კიდეც და თან ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა და როგორ უნდა გააკეთო, რომ წინ წახვიდე. იმის თქმა აღარ გვინდა, რომ დედამიწის ზურგზე, რა თქმა უნდა, ნინა მაქსიმოვნას გარდა, ჩვენი შეხვედრის და, განსაკუთრებით, შენი ჯარიდან ამ ფორმით გათავისუფლების თაობაზე, არავინ და არასოდეს არაფერი არ უნდა იცოდეს. დაე, ყველას სჯეროდეს ისე, როგორც აქამდე, რომ მამაშენი შენს დაბადებამდე გარდაიცვალა, თორემ ამის შესახებ შენგან გასული ერთი სიტყვაც კი, თავდაყირა დააყენებს შენს ცხოვრებას. მე მგონი, ყველაფერი გასაგებია! – თქვა ივან ანდრეევიჩმა და მაგიდაზე გაშლილი ხელების დადებას შეუხამა ეს ნათქვამი.

– გასაგებია. – წყნარად წარმოთქვა ანტონმა და სევდანარევი ჭკვიანი თვალებით შეხედა მამის მეგობარს.

– კარგია. – კმაყოფილი სახით მიუგო ანდრეევიჩმა და შემდეგ ყველას ერთად მიმართა: – მეგობრებო, ახლა კი წავიდეთ და ანტონს მამის საფლავი ვაჩვენოთ!

სუფრის წევრები ერთიანად წამოიშალნენ და გარეთ გასვლა დაიწყეს. კატიამ კორიდორიდან ჯარისკაცის ქურთუკი შემოიტანა ოთახში და ანტონს მის ჩაცმაში მიეხმარა. შემდეგ მკლავში ხელი გამოსდო და უთხრა:

– ჩვენ კოლიას მანქანით წავალთ!

ღამის ორ საათს ახალი გადაცილებული იყო დრო, როცა უზარმაზარი გალავნებით გარშემორტყმული ტერიტორიიდან გასასვლელ რკინის ჭიშკარს ოთხი შავი ვოლგა მიადგა, რომლის გაღებისთანავე, თითოეული მათგანი უხმაუროდ გასრიალდა გარეთ. ისინი ერთმანეთთან პატარა მანძილების დაშორებით, საკმაოდ დიდი სისწრაფით მოძრაობდნენ. კოლიას მანქაქნაში, უკანა სავარძელზე, კატია ანტონის გვერით იჯდა და ცდილობდა მასთან დაკონტაქტებას. ჯარისკაცს, სუფრასთან საუბრის ბოლოს, აშკარად შეეტყო ნერვიულობა. ამის გამო, ხმა აღარავის გაუცია მისთვის, რათა უფრო არ გადაეტვირთათ მისი გონება და ეს საქმე, ანუ მასზე ზრუნვა, ულამაზეს კატერინას მიანდეს.

– ანტონ, – უეცრად მიუბრუნდა კატია თავის გვერდით

მჯდარ თავჩაქინდრულ და ფიქრებში წასულ ახალგაზრდა მამაკაცს. – შენ დედამ გაგზარდა. თვრამეტი წლის ისე გახდი, რომ სადღაც შორს, შენზე ფიქრობდა შენი მეორე მშობელიც. ისეა თუ ასე, ახლა მისი საფლავის ნახვასაც შეძლებ და ის მაინც გეცოდინება, სად არის მამაშენი დაკრძალული. მე არც დედას ვიცნობდი ჩემსას და არც მამას. ისიც არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ მკვდრები. გესმის?! საიდან მოვდივარ და სად არის ჩემი ფესვები, ამის შესახებ დღემდე არაფერი ვიცი, მაგრამ ვუძლებ, ანტონ, ამას. შენზე, ახლა, ამ წუთას დედა მაინც ფიქრობს. იცი, ეგ რას ნიშნავს? მაგაზე დიდი ბედნიერება, არ მგონია, თუ არსებობს ამ ქვეყანაზე. ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ვინმეს ეფიქრა ჩემზე. ვინმეს გულში მეც ვყოფილიყავი და მეც, ასევე, სიყვარულით მეპასუხა მისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, მე ეს ხვედრი მერგო. – კატიამ ანტონის ხელს ორივე ხელი მოკიდა და ფრთხილად მიიზიდა თავისკენ. – შენ ბედნიერი ხარ, ჩემო კარგო.

სავიჩევი შეკრთა და ღრმა ფიქრებიდან ძლივს გამოერკვა, რადგან მამის მეგობრების გადაწყვეტილებას–ენახათ მისი ახალგარდაცვლილი მამის საფლავი, ბრმად დაემორჩილა და სუფრიდან მოყოლებული, ამ წუთამდე, მექანიკურად შეასრულა ყველა მოქმედება. მის გონებაში ბომბის აფეთქებას ჰგავდა ჯერ მკვდრად გამოცხადებული მამის სიცოცხლე, შემდეგ კი მისი ასეთი უეცარი სიკვდილი. ასე რომ, თუკი ცოტა ხნის წინ, კატიას მიმართ დაწყებულმა ვნებების აშლილობამ მსუბუქად გადაატანინა ისეთი მომენტები, რომლებიც მისგან დაძაბულობას მოითხოვდა, ახლა, იგივე ვნება, მის დახშულ აზროვნებას მხოლოდ გარედან შეეხო. მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო ჯარისკაცის შორს გატყორცნილი ფიქრებისთვის ლაგამის ამოდება, მაგრამ არა, ისევ და ისევ, გრძნობის ხარჯზე, არამედ გვერდით მდგომი ადამიანის პოზიციიდან. ეს კი რეალურად იმას ნიშნავდა, რომ თვრამეტი წლის ჭკვიანი, მაგრამ გამოუცდელი ახალგაზრდა, აქ, მისთვის უცხო და ამოუხსნელ სიტუაციაში, ნელ-ნელა, თავისდაუნებურად კატიაზე დამოკიდებული და მისაგან კონტროლირებული უნდა გამხდარიყო. აკი დაზვერვის ამოცანაც სწორედ ეს იყო.

ქალაქის განაპირას, დაუსახლებელ ადგილას, ხეებში ჩაფლულ და ჩაბნელებულ სასაფლაოს ოთხი შავი ვოლგა მიადგა. იქიდან გადმოსული ადამიანებიდან რამდენიმე კაცმა ფარანი მოიმარჯვა და ასე შეუძღვა მოძმეებს დაბურული ტერიტორიის სიღრმისაკენ. ათიოდე წუთში ისინი ერთ პატარა მიწაყრილთან იდგნენ, რომელზედაც სახელდახელოდ ჩარჭმული ტრაფარეტი გვამცნობდა, რომ აქ დაკრძალული იყო ალექსი პავლეს-ძე სავიჩევი.

–აი, შვილო, ეს არის მამაშენის საფლავი. – უთხრა ივან ანდრეევიჩმა ანტონს. – ვერ მოვასწარით მისი სათანადოდ შეკეთება და იმედია, მომავალში, როცა მას მოინახულებ, ასე აღარ დაგხვდება.

ჯარისკაცი ჩაიმუხლა და საფლავზე აქუჩებული მიწა ხელით მოფშვნიტა. მის ამ მოქმედებას განსაკუთრებულად აკვირდებოდა მისგან მოპირდაპირედ მდგარი ვადიმ გიორგევიჩი, რომელმაც ღვინის ბოთლს თავი მოხსნა და მეგობრის მიერ მიწვდილ ორ ჭიქაში ღვინო ჩამოასხა, რომელთაგან ერთი ანტონს გაუწოდა.

– კიდევ ერთხელ შევსვათ მამაშენის და ჩემი უახლოესი ადამიანის შესანდობარი. – თქვა ვადიმმა და გასალკლდეებული სახე რაღაც გრძნობამ უეცრად მოულბო.

ანტონი წამოდგა და მას ჭიქა გამოართვა. შემდეგ ცოტაოდენი ღვინო საფლავს დააპკურა და კვლავ გიორგევიჩს მიაპყრო მზერა.

– მამაჩემი, – დაბალ ხმაზე დაიწყო ლაპარაკი მან. – ჩემთვის იმ დღიდან იყო ცოცხალი, როცა გავიგე, რომ თავი სამშობლოს შესწირა. იქიდან დავიწყე იმაზე ფიქრი, რომ ჩემი ცხოვრება მისი ხსოვნისთვის მიმეძღვნა. ვყოფილიყავი მისთვის სასახელო ადამიანი და ასე დამეფასებინა იგი. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა და, ამავე დროს, შოკისმომგვრელი, რომ მე, როცა ამას ვფიქრობდი, ის თურმე ცოცხალი ყოფილა. იმის გადატანა უფრო გამიჭირდებოდა, თქვენს გვერდით რომ მეხილა ახლა, რადგან ასეთი რამის ახსნას ვერ შევძლებდი. მიუხედავად ამისა, გული ძალიან მწყდება, რომ მე ის ვერ ვნახე.

ანტონმა ცრემლები ვეღარ შეიკავა და მდგომარეობიდან

გამოსავალს სავსე ჭიქის დალევაში მიაგნო.

ყველამ შეუმჩნევლად გადახედეს ერთმანეთს. კატიამ მხარზე ხელი გადახვია ანტონს. რაც შეეხება ვადიმს, ჯარისკაცის მცირე, მაგრამ მრავლისმომცველი სიტყვების მოსმენისას, თითქოს სახე დაეჭიმა, თუმცა მანაც ღვინის დალევაში, უსიტყვოდ ღვინის დალევაში ჰპოვა დაძაბულობიდან გასაქცევი გზა.

ალექსის შესანდობარი ყველამ შესვა. მათ შორის კატიამაც, რომელსაც იქ ყოფნის დროს, თავის გვერდით მდგომი ახალგაზრდა კაცის მხარზე დადებული ხელი წამითაც არ ჩამოუღია.

სასაფლაოს ტერიტორიიდან გამოსული თორმეტი მამაკაცი ანტონს მეორე დღის საღამომდე დაემშვიდობა. ასე რომ, მიტოვებული და გაწყობილი სუფრის მიმართულებით მხოლოდ ერთი მანქანა გაემართა, რომელშიც სამი ადამიანი იჯდა–ნიკალაი, კატია და სავიჩევი.

ანტონის ცხოვრებაში ყველაზე დაძაბული და უცნაური დღე, როგორც იქნა, დასრულდა. დაქანცულმა ჯარისკაცმა კოტეჯის კარის ზღურბლს მძიმედ გადააბიჯა და ოთახში შესვლისთანავე სავარძელში ჩაეშვა. აშკარა იყო, რომ მისი გონებრივი შესაძლებლობები ვერ დაძლევდა მის წინაშე უეცრად წამოჭრილ ჩახლართულ ცხოვრებისეულ ლაბირინთს და ამ საკითხების ზედმეტი განსჯა უფრო მეტ საბურველში გაახვევდა ახალგაზრდა კაცის აზროვნებას. და აი, მის ამ ფიქრებს კვლავ კატია გადაეღობა, როცა მან გადახალისებულ და უკვე ორ ადამიანზე გაწყობილ მაგიდასთან მიიწვია.

– ძვირფასო, ახლა ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია დავლიოთ, ვიცეკვოთ და ვისაუბროთ! ამიტომ გთხოვ, აქეთ გადმოინაცვლო!

სავიჩევმა შეხედა გაღიმებული ქალის სახეს, რის შემდეგ, წამიც კი არ დასჭირვებია, ამ საოცარი სილამაზის ტყვედ ეღიარებინა საკუთარი თავი. ის უნებლიედ დაჰყვა მის მოთხოვნას, ფეხზე წამოდგა და გონება თვითონვე გაითავისუფლა ყველა ზედმეტი ტვირთისაგან.

კატიამ ორი მოზრდილი ჭიქა კონიაკით შეავსო და ერთ-ერთი ანტონს გაუწოდა.

– თვითმფრინავით მგზავრობა ძალიან მომქანცველია. ვიცი, რომ დაღლილი ხარ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენ მარტო რომ დარჩენილიყავი, თვალს ვერ მოხუჭავდი, ბევრს იფიქრებდი და უფრო გადაიღლიდი გონებას. კოლია ცოტა მძინარაა და ამიტომ წავიდა. მე კი შენთან დავრჩი. ვიფიქრე, ერთ-ორ საათს გავართობ და მერე მეც წავალ დასაძინებლად-მეთქი. თუ შენც თანახმა იქნები, ცოტა ხანს ერთად გავატაროთ. კონიაკი სტრესებს მოგვიხსნის. – შესცინა ქალმა და ჭიქა-ჭიქაზე მიუჭახუნა.

– მართალი ხარ, მარტო ყოფნა გამიჭირდებოდა. – უთხრა ჯარისკაცმა, რომელსაც ჯერ კიდევ აკლდა სითამამე.

– რადგან ასეა და ორივე ერთ აზრზე ვართ, ჩვენი მეგობრობის დასაწყისი ვადღეგრძელოთ! – კატიამ სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა.

– ასე იყოს! – ამ სიტყვებით გამოეხმაურა ქალის სადღეგრძელოს ანტონი და მანაც იგივე მოიმოქმედა.

ოთახში საპირისპირო სქესის ორი ადამიანი ერთმანეთის მოპირდაპირედ იჯდა. მათ სასმელს დელიკატურად მიაყოლეს შოკოლადის თითო ფილა და ახლა, თავისუფლად მსხდომნი, მშვიდად უსმენდნენ დაბალ ხმაზე ჩართულ ჩაიკოვსკის მუსიკას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს კომპოზიტორს თავისი „წელიწადის დრონი-ოქტომბერი", აი, ამ მომენტისთვის და ამ წყვილისთვის ჰქონდა შექმნილი.

კატია უყურებდა ჯარისკაცს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა სახეზე გამოსახული სიმორცხვე, რის გამოც, მეორე ჭიქის შევსება მოუხდა.

– ანტონ, ამ ჭიქით მშვიდობას და მომავალს გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს! – წარმოთქვა ცოტა გამოცოცხლებულმა ანტონმა.

– ახლა კი დროა, საბჭოთა ჯარისკაცო, რომ ვიცეკვოთ! – კატიამ თხელი მოსაცმელი გაიხადა და უსახლებო შავი მაისურის ამარა ხელებგაშლილი დაელოდა სასურველ მეწყვილეს. – აბა, ჩემო ძვირფასო, თუ გამოიცნობ – რომელი ცეკვა მოუხდება ამ შესანიშნავ მუსიკას?

– რა თქმა უნდა, ვალსი! – წამოიძახა აღტაცებულმა ანტონმა, ჯენტლმენურად მიეახლა უმშვენიერეს ქალბატონს და წვრილ

წელზე ენერგიულად შემოხვია მკლავი. შემდეგ ნელა მიიზიდა თავისკენ, მკერდით ფრთხილად მიიკრა და პროფესიონალურ დონეზე დაიწყო მოძრაობა. მან უკვე სრულად შეიგრძნო იმ უმშვენიერესი არსების სურნელი, რომელმაც რამდენიმე საათის წინ, მანქანაში კინაღამ დააკარგინა რეალობის აღქმა. ახლა კი რა ხდება? იმავე ქალის თავი მის მხარზეა დადებული და მისი ხშირი სუნთქვა ყურთან ესმის. მისი ვნებიანი ტუჩები მოძრაობისას დრო და დრო ყელზე ეხება. ამას ემატება, ქალის მკვრივი მკერდის ნაზი ხახუნი ჯარისკაცის მკერდზე და მისი ელასტიური სხეული, რომელსაც ანტონი წელზე მოდებული ხელით აკონტროლებს. მამაკაცი ვნების მწვერვალზეა და აღარ იცის, იქიდან როგორ დაეშვას. მას ქალთა საზოგადოებასთან დიდი გამოცდილება არ აქვს და ამის გამო, ცოტა დაბნეულობაც შეეტყო. მართალია, ზღვარს ოდნავადაც კი არ გადასულა, მაგრამ ექსტაზი რაღაც დოზით მაინც მოსჩანს მასში. ამიტომ, აქაც კატიამ უნდა წარმართოს შემდგომი მოქმედება, რათა უფრო ბუნებრივი და ლამაზი გამოვიდეს მათი ურთიერთობის დასაწყისი.

– ყოჩაღ, ნამდვილად შეუდარებელი იყავი! – მხრებზე ხელი წაავლო ქალმა და მადლობის ნიშნად ლოყაზე აკოცა. – ახლა კი დავუბრუნდეთ სუფრას, ცოტაოდენი სასმელი კიდევ შევსვათ და ვისაუბროთ.

ანტონი უეცრად გამოერკვა, მაგრამ იმ ვნების მორევში, სადაც ის აღმოჩნდა, ფიქრობდა, რომ ამ ქალის გარეშე ვეღარ ამოვიდოდა. ამიტომ მან კიდევ უნდა დალიოს სასმელი. დალიოს იმიტომ, რომ გაბედოს. გაბედოს და უთხრას, რომ ის ქალღმერთია, ზებუნებრივი ბრწყინვალებით წარმოდგელი; რომ მისი სიკაშკაშე თვალებს უბნელებს და მისი გამოხედვა გონებას უბინდავს. დიახ, მას სჭირდება დალევა და უნდა დალიოს.

ახლა სიამოვნებით მოვისმენ შენგან სადღეგრძელოს. იმას მაინც გავიგებ, რა გიყვარს და რას აფასებ. – ღიმილით უთხრა ქალმა და ჭიქა კონიაკით შეუვსო.

ანტონმა სასმისი აიღო და საკუთარი თავი საბოლოოდ გადაამოწმა–შესწევდა თუ არა იმის თქმის უნარი, რასაც გულში ფიქრობდა. ამისათვის მან გონებაში თავისი სათქმელის თანმიმდევრულად დალაგება დაიწყო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ალკოჰოლის მცირე დოზა კიდევ სჭირდებოდა. არ იცოდა, რა ეთქვა. მას კატიას მეტი აღარავინ და არაფერი ახსოვდა. ქალი კი მოლოდინით შეჰყურებდა, თუ რა სადღეგრძელოს შესთავაზებდა მას. და აი, ჯარისკაცი უეცრად გონს მოეგო. თავის წინ მჯდომარეს და მასზე მიჩერებულ ულამაზეს არსებას შეხედა და უთხრა:

– ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს! – კონიაკი სულმოუთქმელად დალია და მას არაფერი მიაყოლა. შემდეგ თავი დაღუნა და დაელოდა ბახუსის მოკიდებას.

კატიას მოულოდნელობისაგან და სიამოვნებისაგან სახე გაებადრა.

– დიდი მადლობა, ანტონ! მე ასეთი გულით ცხოვრებაში არავის ვუდღეგრძელებივარ. მადლობა, ჩემო კარგო და იცოდე, რომ აი, ამ წუთის იქით, შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი ხარ.

ქალი წამოდგა და ანტონს მიუახლოვდა, რომელიც მაგიდას მუშტებით დაყრდნობოდა და თავი დაბლა დაეხარა. ის საკუთარ გონებაში ალკოჰოლის გაბატონებას უცდიდა და, როდესაც კატიამ თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა, მაშინვე ფეხზე წამოიმართა. ისინი სულ ათიოდე წამის განმავლობაში შეჰყურებდნენ ერთმანეთს. სწორედ ამ დროს მიიღო ანტონმა გონებიდან სიგნალი, რომ მას უკვე თამამად შეეძლო ეთქვა სათქმელი:

– შენ ზეციდან მოვლენილი ქალღმერთი ხარ, რომლის მსგავსი დედამიწას არ გასჩენია!

ამ სიტყვებმა ზუსტად ის ათი წამი მოიცვა, რომლის გასვლის შემდეგ ისინი ერთმანეთის ტუჩებს დასწვდნენ. ვერავინ იტყოდა, რომელი იყო კოცნის ინიციატორი, რადგან მათ ერთდროულად დაიწყეს მოქმედება. ვნებაც ერთნაირი იყო და ის არ ჰგავდა ჩვეულებრივ სექსუალურ აღტკინებას; აქ აშკარად შეიმჩნეოდა დიდი სიყვარულის დასაწყისი, რომელსაც ორივე მხარე ტოლად პასუხობდა. ისინი ერთმანეთს ფრთხილად ხდიდნენ ტანსაცმელს და მკრთალი აბაჟურის შუქზე და წყნარი მუსიკის ფონზე სიყვარულის მწვერვალის დასაპყრობად მიიჩქაროდნენ.

რამდენიმე საათის განმავლობაში ქარიშხალი მძვინვარებდა. ისეთი, რომელმაც გაანადგურა ყველა და ყველაფერი. მოსპო ყოველგვარი გასახსენებელი და ამოშანთა ყველანაირი ისტორია. ეს გრიგალი იმ ორი ადამიანის გონებაში დატრიალდა, რომლებსაც საგანგებოდ გაშლილ ფართო საწოლზე ნახევრად შიშვლებს ერთმანეთზე ჩახუტებულებს ჩასძინებოდათ. ქალს მამაკაცის მკერდზე დაედო თავი და ერთი ხელი მისი იღლიის ქვემოდან ამოედო. ხოლო მამაკაცი ლოყით მიბჯენოდა მას თავზე და ორივე ხელი ისე შემოეჭდო მისთვის, თითქოს ცდილობდა, რომ ძილში არავის წაერთმია. დიახ, იმ ხსენებულმა გრიგალმა, რომელიც მათ გონებაში წარმოიშვა, წაშალა მთელი მათი წარსული და გააუფერულა მათში ყოველი გრძნობა. ეს გონებრივი კატაკლიზმი გამოიწვია კაცობრიობის გაჩენიდან განგების მიერ ადამიანთათვის ბოძებულმა იმ უპირველესმა ნიჭმა, რომელიც ღმერთმა ადამიანს საუკუნო სიცოცხლის მოსაპოვებლად მისცა. ამ ნიჭს ჩვენ სიყვარულს ვუწოდებთ, რომელსაც ყოველთვის შეუძლია, რომ ჩვენში შვას ბედნიერება. ის ბედნიერება, რომელიც მძინარე წყვილს სახეზე მკვეთრად აღბეჭდვიათ.

მეორე დღის სამი საათია. კატიას და ანტონს ყავის დალევა უკვე მოესწროთ და დივანზე მიმსხდარნი და ერთმანეთზე მიხუტებულნი წყნარად საუბრობდნენ, რომ ამ დროს, კარზე კაკუნი გაისმა.

– მობრძანდი! – გასძახა კატიამ და ფეხზე წამოდგა.

ოთახში ნიკალაი შემოვიდა. მას ერთი წამიც კი არ დასჭირვებია ორივეს შესათვალიერებლად.

– ნაბახუსევი ჩანხართ, კატერინა იანკოვსკაია. – აწეული წარბებით წახუმრების კილოთი მიმართა კოლიამ და ბოლო წინადადებას ირონიული ღიმილიც მიაყოლა. – გასეირნების გუნებაზე, რა თქმა უნდა, არ იქნებით, თავი გეტკიებათ.

– არც ნაბახუსევი ვარ და არც თავი მტკივა. ასეც რომ იყოს, შენზე მეტად მაინც ვიაზროვნებ. – უთხრა ქალმა და კონიაკით ჭიქა შეუვსო. – აჰა, დალიე! იქნებ მოხვიდე ხასიათზე და უკეთესი აზრებით დააკავო გონება.

– აპ, აპ, აპ, საჭესთან ვარ! – ხელის აწევით თქვა ნიკალაიმ.

– საჭესთან თორემ, შენც გული გისკდება ავტოინსპექტორების დანახვაზე. დალიე, დალიე და გაგვიყვანე სადმე! – ხელში მიაჩეჩა კონიაკით სავსე ჭიქა კატიამ.

კარგი, კარგი. მოკლედ, შენ რომ კაცს გადაეკიდები... მომეცი, მომეცი! – გამოართვა სასმისი კოლიამ და ისეთი სახით ჩახედა შიგ ჩასხმულ სითხეს, რომ თითქოს ძალიან მწყრალად იყო მასთან. ჭიქა რომ გამოცალა, ანტონს მიუბრუნდა: – ჩემო მეგობარო და ძმაო,– ჯიბეში ჩაიყო ხელი და ფული ამოიღო. – ჩვენ ახლა ერთად უნდა გავიდეთ და წავიდეთ იქ, სადაც გაგვიხარდება. მე და კატერინა შენ ფულს არსად დაგახარჯინებთ, რადგან ჩვენი სტუმარი ხარ, მაგრამ მომენტში შეიძლება შენც რაღაც მოგეწონოს და ჩვენ ვერ მივხვდეთ. ამისათვის, უფროსმა მეგობრებმა შენთან ასი მანეთი გამომატანეს და თან დაგიბარეს, რომ ამ რაოდენობის თანხა გექნება ყოველდღე, სანამ ჩვენთან იქნები. ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, ვისეირნოთ და ვიაროთ. აქ იმდენი გასართობია, რომ არ მოგაწყენთ. საღამოს მეგობრები შემოგვივლიან და გუშინდელივით ცოტას დავლევთ. აი, ასეთი იქნება ჩვენი რეჟიმი. თავისუფლად იგრძენი თავი და იფიქრე, რომ უახლოეს ადამიანებთან იმყოფები. აბა, ახლა მოემზადეთ და საითაც მიბრძანებთ, იქით წავალ! მანამდე კი, სანამ თქვენ გაემზადებით, ერთი ჭიქის დალევას კიდევ მოვასწრებ. – თქვა უკვე შებუჟბუჟებულმა კოლიამ და მეორე ჭიქა შეივსო.

– თუ სწრაფად იმოქმედებ, მეოთხესაც მოასწრებ. – ხმამაღლა ჩაილაპარაკა მოსამზადებლად გასულმა კატიამ.

– უკომენტაროდ არ დატოვო ჩემი არცერთი სიტყვა. – ჩაიბუხუნა ნიკალაიმ და პირველ ჭიქას მეორეც მიაყოლა.

გავიდა თორმეტი დღე. ამ ხნის განმავლობაში, ამ სამეულმა მთელი ურალის მხარე დალაშქრა. მოინახულეს ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი. დაათვალიერეს მუზეუმები. თეატრში დაესწრნენ რამდენიმე სპექტაკლს. ერთობოდნენ ბარებში და რესტორნებში. ტყეში შეწვეს მწვადი და შემოდგომის ერთი სუსხიანი დღე ცეცხლთან გაატარეს. საღამოს კი კვლავ იკრიბებოდნენ და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მუსაიფობდნენ. შიგადაშიგ, უფროსები არიგებდნენ ანტონს, თუ

როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ მათი იმედი გაემართლებინა. აღუთქვამდნენ, რომ ისინი მუდამ მის გვერდით იქნებოდნენ და მას არაფერს გაუჭირვებდნენ. ღამით კი მასთან რჩებოდა კატია და იმ სიყვარულით ტკბებოდნენ, რომელმაც თავის პიკს მათი ურთიერთობის პირველივე ღამეს მიაღწია. და აი, დადგა მეთორმეტე ღამე. დილით ანტონი სახლში უნდა გაემგზავროს. მისი თვითმფრინავი რვა საათზე მიფრინავს. ერთმანეთზე შეყვარებული წყვილისათვის განშორება ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა,– უკვე ნახევარი საათია, ისინი უხმოდ სხედან და ხმის ამოღებას ვერ ახერხებენ. დრო და დრო მიუალერსებენ ერთმანეთს და ისევ ფიქრს ეძლევიან.

– ანტონ, – სიჩუმე დაარღვია კატიამ. – იმისათვის, რომ ჩვენ მომავალში ერთად ყოფნა შევძლოთ, შენ ჩასვლისთანავე უნდა დაიწყო მზადება უნივერსიტეტისთვის. მართალია, მამის მეგობრების მხრიდან იქ მოხვედრა გარანტირებული გაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ მოეშვა და არაფერი მოიმოქმედო. შენგან მათი და, ამავე დროს, მამის დაფასება იქნება, ცოდნით რომ მიადგები უმაღლეს სასწავლებელს და პროტექციაზე არ ააგებ შენს წინსვლას, რომელიც, მასეთ შემთხვევაში, აუცილებლად შენელდება. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ, როდესაც ერთ კურსს დახურავ, უკვე შეგვეძლება საბუთების გადმოტანა რუსეთის ნებისმიერ ქალაქში. აი, ამ გზით შეიძლება ჩვენი შემდგომი ურთიერთობა.

– ჩემო ძვირფასო კატერინა, – უეცრად თავი ასწია და შემობრუნდა წინა წუთში ჩაფიქრებული ანტონი. – მე შენ იმდენად მიყვარხარ, რომ სიცოცხლესაც არ დავიშურებ შენთვის. ამიტომ მაგის შესრულებისთვის სტიმული არ მჭირდება, რადგან შენ ხარ ჩემი სტიმულიც და ცხოვრებაც. ის რომ მეცოდინება, რომ ეს გზა შენთან მომიყვანს, რა სიძნელესაც არ უნდა შევეყარო, მაინც დავლაშქრავ. ეს რომ შევძლო, დარწმუნება მჭირდება იმაში, რომ შენც ისევე გიყვარვარ, როგორც მე. გადაწყვეტილება რომ მივიღო, ერთ კითხვაზე უნდა მიპასუხო. – ანტონმა კატიას უფრო ღრმად ჩახედა თვალებში და ასეთი კითხვა დაუსვა: – ვინ იყო მამაჩემი და ვინ არიან მისი მეგობრები? – აქ მან პატარა პაუზა გააკეთა ისე, რომ თვალი

არ მოუცილებია ქალისთვის, რის შემდეგ, სიტყვა ასე დაასრულა: – და, რაც ყველაზე მთავარია, ვინ ხარ შენ?

კატიას გაეღიმა. ეს ღიმილი სახის იმ გამომეტყველების შენიღბვას ემსახურებოდა, რომელშიც, მის გარეშე, ჭკვიანი თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ის ამ კითხვას ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ამას ელოდა, გარკვეულწილად მაინც დაბნეულობა გამოიწვია მასში, რადგან ანტონი, სამსახურებრივი თვალსაზრისით, ჩვეულებრივი, უბრალო ობიექტი აღარ იყო მისთვის. აქ დროის გაყვანა ორივე მხარისთვის უარყოფით შედეგს გამოიღებდა. ამიტომ კატიას უნდა ეჩქარა და ეპასუხა ის, რაც მას ამ მომენტისთვის დაავალეს.

– ჩემო საყვარელო, ამ შეკითხვაზე შეიძლება ამომწურავი პასუხი ვერ გაგცე, მაგრამ რა ინფორმაციაც მე გამაჩნია ამის შესახებ, ნამდვილად არ დაგიმალავ. ამიტომ, რასაც გეტყვი, გთხოვ, რომ მერწმუნო, რადგან გეტყვი იმას, რაც ვიცი. – კატია წამით შეჩერდა და ანტონს დააკვირდა, რომელსაც სახეზე ეტყობოდა, რომ კითხვის სავარაუდო პასუხი წინასწარვე არ სჯეროდა. ამის მიუხედავად, მან მაინც დამაჯერებლად დაიწყო: – მამაშენი, კომუნისტური პარტიის მიერ მისიით იყო წარგზავნილი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში და საბჭოთა კავშირის საელჩოში მუშაობდა. ნებისმიერმა საბჭოთა მოქალაქემ იცის, რომ ასეთი სამსახური გასაიდუმლოებას ექვემდებარება, რომ პარტიის მისია ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას, მათ შორის, ოჯახზე და შვილებზე. საქმე იმაშია, რომ უცხო ქვეყნებთან მუშაობა ურთულესი მიმართულებაა და, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ უბანზე ვინმეს აგზავნის, ეს იმას ნიშნავს, რომ ნდობას უცხადებს მას. სწორედ ეს ნდობაა საამაყო, რადგან ადამიანი, რომელიც ამას იმსახურებს, თავისთავად გამორჩეულია სხვათაგან. რაც შეეხება სამშობლოს წინაშე დამსახურებას, ამაში წვლილი არა მარტო მისიის აღმსრულებელს მიუძღვის, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, რადგან ორივე მხარე ერთმანეთთან დაშორების ხარჯზე იღწვის ქვეყნის საკეთილდღეოდ. აი, ამაში მდგომარეობს, ჩემო კარგო, ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, რომ თითოეული საბჭოთა მოქალაქე მზად არის, საკუთარი კეთილდღეობა ანაცვალოს ქვეყნის სამსახურს

და მის გასაძლიერებლად უარი თქვას ყოველგვარ ბედნიერებაზე. ამიტომ არის, რომ ამერიკა და იმპერიალისტური ქვეყნები ანგარიშს უწევენ საბჭოთა კავშირს, რაც ერთვგვარი აღიარებაა იმისა, რომ სოციალისტური წყობა ყველაზე მისაღებია ადამიანებისთვის. – კატია წამით შეჩერდა, მისკენ ინტერესით მომზირალ ანტონს სახეზე მიმოატარა თვალი და შედარებით დაბალ ხმაზე განაგრძო: – მამაშენმა ქვეყნის ხელმძღვანელობას სთხოვა, რომ სამსახურიდან დროებით გაეთავისუფლებინათ და სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცათ, რათა ერთხელ მაინც ენახა საკუთარი ვაჟი და ცხოვრების მიმართულების არჩევაში დახმარებოდა მას. მისი მდგომარეობიდან და სამსახურიდან გამომდინარე, თქვენი შეხვედრა დაიგეგმა არა მოსკოვში, არამედ ურალს გადმოღმა, აქ, კუიბიშევში, რათა ამ ყველაფერს ჩაევლო ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე. სამწუხაროდ, ალექსი პავლოვიჩმა ეს ვეღარ შეძლო. – კატია აქ კიდევ ერთხელ შეჩერდა და თავი დაბლა დახარა. ცოტა ხანში მან შუბლი შეჭმუხნა, წარბები ოდნავ მაღლა ასწია და კვლავ ანტონს შეხედა. – მის მეგობრებზე კი გეტყვი, რომ მათ აქამდე არ ვიცნობდი. მე მხოლოდ ის ვიცი მათზე, რომ ისინი პარტიის მაღალი რანგის წარმომადგენლები არიან და თუ არ ვცდები, დიპლომატიური ხაზით მუშაობენ. აქვე ორიოდ სიტყვით ჩემზე და კოლიაზეც ვიტყვი: ჩვენ ერთად ვმუშაობთ კომკავშირის ცეკაში. რამდენიმე დღის წინ დაგვიძახეს და ზედაპირულად გაგვაცნეს სიტუაცია. ამ ადამიანებს, მამის მეგობრებს ვგულისხმობ, სურდათ, რომ შენთვის გარკვეული ხნით ემასპინძლათ. იმისათვის, რომ შენზე ასაკით უფროსებთან უხერხულად არ გეგრძნო თავი, მეგზურებად, ჩვენი სახით, ახალგაზრდები მოგივლინეს. აი, სულ ეს არის, ჩემო ძვირფასო ანტონ! – ქალმა მიამიტური გამომეტყველებით დაადასტურა ეს ყოველივე. – ახლა კი, სანამ შენ ამ სიახლეს გაიაზრებ, მე სამზარეულოში გავალ და ყავას მოვამზადებ.

კატია სანამ ოთახიდან გავიდოდა, ბოლომდე მიადევნა მას ანტონმა თვალი, რის შემდეგ თავი დაღუნა და მოსმენილის განსჯას შეუდგა.

გავიდა დაახლოებით ოცი წუთი. დროის ამ შუალედში მხოლოდ ერთხელ გაიფანტა ჯარისკაცის აზროვნება, როცა მას სამზარეულოდან მოესმა ხმა – ბუტერბროდებსაც ვამზადებ და მალე მოვალო. ის თითქმის უძრავად იჯდა. აშკარად ჩანდა, რომ პასუხით კმაყოფილი არ იყო. მთელი მისი აქ ყოფნის პერიოდში, მას არ ჰქონდა დრო და მოცლა იმისათვის, რომ ეფიქრა თუნდაც ამ უცნაურ სტუმარ-მასპინძლობაზე; დაკვირვება ეწარმოებინა მამის მეგობრების მოქმედებაზე, თუ რატომ დადიოდა ყოველ საღამოს მის მოსანახულებლად უკლებლივ ის თორმეტი მამაკაცი; რა დატვირთვა ენიჭებოდა ყოველ უფერულ დღეს, რომლებიც არაფრით განსხვავდებოდნენ პირველისაგან. ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც მოცემულ მომენტებში მისგან ყურადღებას მოითხოვდა, მაგრამ ასეთი რამ არ მოხდა იმიტომ, რომ გონების ის ნაწილი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება რთული ცხოვრებისეული ამოცანების წინაშე, სიყვარულის გრძნობას ჰქონდა განეიტრალებული. ახლა კი რა, მისი მდგომარეობა მხოლოდ ცაიტნოტია. ის ახლა კი არა, ვერასოდეს ამოხსნის გარდასული დღეების საიდუმლოს, რადგან დეტალურად აღარ ემახსოვრება ისინი. ვნახოთ, დაეხმარება თუ არა მომავალში ვინმე, ამ კუიბიშევური იდუმალებით მოცული შეხვედრების ამოხსნაში და ითამაშებს თუ არა რაიმე როლს მისი ეს ვიზიტი მისივე ცხოვრებაში.

ოთახში კატია შემოვიდა, რომელმაც ყავით სავსე ორი ფინჯანი შემოიტანა და დივანის წინ მდგარ დაბალ მაგიდაზე დააღაგა. მას არ გამოჰპარვია ანტონის უკმაყოფილო სახე, რომელიც მისკენ იყო მიპყრობილი.

– ახლავე ბუტერბროდებსაც მოვიტან! – თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა და ოთახიდან გავიდა. როცა ის დაბრუნდა, ცალ ხელში მართლაც ეჭირა თეფში ბუტერბროდებით, რომელიც ასევე მაგიდაზე დადო, ხოლო მეორე ხელში, თითებშუა, განცალკევებით ეკავა ორი ფურცელი. მან უხმაუროდ დააცალკევა ეს ფურცლები და ერთ-ერთი ანტონს სახესთან ახლოს მიუტანა. როდესაც ჯარისკაცმა მას გაკვირვებით შეხედა, კატიამ ტუჩების მოძრაობით უხმაუროდ დაუმარცვლა სიტყვა – წაიკითხე! ანტონმაც უხმოდ დაიწყო კითხვა და აი, რა ეწერა იქ:

„სრულიად შესაძლებელია, ეს სახლი ისმინებოდეს. ამიტომ, როდესაც მე მეორე ფურცელს მოგაწვდი, ყოველგვარი შრაშუნის გარეშე გამომართვი და ჩუმად წაიკითხე. შემდეგ ისევ უხმაუროდ მომეცი. ამ ხნის განმავლობაში, მე, შიგადაშიგ რაღაცებს ვიტყვი, მაგრამ ჩემს სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, გულდასმით წაიკითხე, გაიაზრე და ყველაფერი გულის სიღრმეში გადამალე.“

ანტონს, როდესაც სახეზე შეეტყო, რომ კითხვა ჩაამთავრა, კატიამ მას მეორე ფურცელი მიაწოდა, რომელიც ჯარისკაცმა უხმაუროდ გამოართვა და დიდი ინტერესით შეუდგა თვალის მეშვეობით სტრიქონების გონებაში გადაქაჩვას.

„ყოველთვის მაინტერესებდა, რა აძლევდა იმ ადამიანებს ძალას, რომლებიც თავისუფლებისთვის იბრძოდნენ და ეს მაშინ, როცა ჩვენი სახელმწიფო მთლიანად აგებულია კოლექტიურ პრინციპზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ინდივიდუალიზმი წყობისთვის მიუღებელია. გამოდის, რომ ხსენებული ბრძოლა ჩანასახშივე მკვდარია და მისი წარმოება მთავრდება მებრძოლის ფიზიკური განადგურებით, ან ციხეში დიდი ხნით გამოკეტვით. მართალია, რომ ამ, ერთი შეხედვით, უტოპიური მიმართულებისა მე არაფერი მესმოდა, მაგრამ ასეთ ადამიანებს, როგორც რაღაცის მიმართ შეურიგებელ რაინდებს, მაინც ისე აღვიქვამდი. ყველაზე საინტერესო ის იყო რომ, როდესაც მათ ჩემს გონებაში რაინდებად ვნათლავდი, მაშინვე გამიჩნდა კითხვა: რას ხედავდნენ ისინი თავისუფლების მიღმა? ამ კითხვას, ალბათ, ვერასოდეს გავცემდი პასუხს, კუიბიშევში შემთხვევით რომ არ მოვხვედრილიყავი. ახლა უკვე გამართულად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის ნათელია არა მარტო ის, თუ საიდან მოდის თავისუფლებისთვის ბრძოლის ჟინი, არამედ, ამ თავისუფლების მიღმაც ვხედავ სამყაროს. შეიძლება ადამიანები განსხვავებული მეთოდებით იბრძვიან ამის მისაღწევად, მაგრამ იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თითოეულ ასეთ მიზანს სიყვარული უდევს საფუძვლად. ის სიყვარული, რომელმაც მე, ჩვენი შეხვედრის პირველივე წუთებიდან მიბიძგა ბრძოლისაკენ. ის სიყვარული, რომელიც ამ ბრძოლის ტრიუმფით დამთავრების შემთხვევაში ენით აღუწერელ ბედნიერებას

მპირდება. დიახ, ჩემი შენდამი უსაზღვრო სიყვარული მაიძულებს, შევება იმ უმძლავრეს მონსტრს, რომელმაც დიდი ხნის წინ გადამიკეტა საკუთარი ცხოვრების ერთი მშვენიერი გზა. მე უკვე მზად ვარ ამ ბრძოლისთვის, რადგან არ მინდა ისეთი სიცოცხლე, რაც დამამსგავსებს იმ ბორკილდადებულ და გამძვინვარებულ მხეცს, რომელიც თავის სიშლეგეს მხოლოდ ღრიალშიღა გამოხატავს. ეს რომ ასე არ მოხდეს და ჩვენ, პირიქით, გამარჯვებას ვეზიაროთ, კარგად მომისმინე და ყველაფერი ზედმიწევნით გაიაზრე: მამაშენი, ალექსი პავლოვიჩი, საბჭოთა კავშირის მზვერავი იყო ევროპის ქვეყნებში. მისი მეგობრები დაზვერვის სამმართველოს მაღალჩინოსნები არიან. ხოლო მე გახლავარ სადაზვერვო სკოლის აღზრდილი და ამჟამად კონტრდაზვერვის ოფიცერი, 22 წლის ეკატერინე ბუკოვსკაია და არა იანკოვსკაია, როგორც ეს კოლიამ თქვა.''

ანტონმა წერილის კითხვა შეაჩერა და თვალები მოხუჭა. მისი გონება ისეთ ბურანში გაეხვია, სადაც ერთი პატარა აზრის გამოელვებაც კი არ არსებობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ თითქოს მაღალი კლდიდან დააგორეს და კისრისტეხით მიექანებოდა უფსკრულისაკენ. და აი, რაღაც შუქმა ინათა მის დაბინდულ აზროვნებაში, რომელმაც კატიასთან შეხვედრის პირველი ღამე გაახსენა, როდესაც ვნებით აღგზნებულმა ქალმა შიშველ ტანზე მკლავები შემოაჭდო. მაშინ ანტონს, თვითონაც იმავე ვნებით მთვრალს, ყურადღება არ მიუქცევია ფოლადის მარწუხებივით შემოჭერილი მკლავებისთვის, რადგან მის გონებაში კატიას უნაზესი და ულამაზესი სხეული ფარავდა მას. „ღმერთო ჩემო! – გაიფიქრა მან, – მართალია ეს ყველაფერი.“

კატია, რომელიც მანამდე წყნარი მუსიკის ფონზე გემრიელი ყავით და ლამაზად გაწყობილი ბუტერბროდებით იწონებდა თავს და ისეთ იმიტაციას ქმნიდა, ვითომ ანტონს ელაპარაკებოდა, ახლა თვალებგაფართოებული შეჰყურებდა ნახევრად თავდახრილ მამაკაცს. მას ყურადღებიდან არ გამოჰპარვია წერილის ის ადგილი, რომელმაც ასე ჩააფიქრა ჯარისკაცი. მოუსვენრობა არ შესტყობია, მაგრამ დაძაბული კი უცდიდა მის შემდგომ მოქმედებას.

ანტონმა თვალი გაახილა და წერილის ის მონაკვეთი,

რომელიც ამცნობდა მამისა და ახალგაცნობილი ადამიანების ვინაობას, მეორედ წაიკითხა. შემდეგ ოდნავ გვერდით მიმართა მზერა, თითქოს კიდევ გაიაზრა რაღაც და კითხვა განაგრძო:

„მე ვდგამ პირველ ნაბიჯს ჩვენი სიყვარულისთვის და გიმხელ ისეთ რამეს, რომლის შესახებ, შენი პირიდან თუ ერთი სიტყვაც კი ამოვა როდისმე (მნიშვნელობა არ აქვს, ვის გაუმხელ, სისხლისმიერ ნათესავს თუ მეგობარს), ჩათვალე, რომ შენ მომკალი, რადგან ამის გამო გაუსამართლებლად დამხვრეტენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი შენც ფიქრობ, რომ ამ სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო, ამისათვის ბევრი არაფერია გასაკეთებელი–შენ მხოლოდ მამის მეგობრების მითითებები გექნება შესასრულებელი. უნივერსიტეტის პირველ კურსს საქართველოში დახურავ, რის შემდეგ, შეგვეძლება, საბუთები მოსკოვში გადმოვიტანოთ, სადაც სწავლას გააგრძელებ. ჩვენ იმ დღიდან გვექნება ურთიერთობა, როცა შენ მოსკოვში ჩამოხვალ და შენი ჩამოსვლის შემდეგ ვიზრუნებ იმაზე, რომ თავისუფალი ვიყო. ამას მე მოვაწყობ ისე, ვერასოდეს გაიგებს ვინმე, მით უმეტეს, ვერ ირწმუნებს, რომ ეს ჩემი მოწყობილი შეიძლება იყოს. რამეს გავითამაშებ ისეთს, რომ მსუბუქად დავინვალიდდე. შენ მაგაზე ნუ ინერვიულებ, ჩვენთან პატარა იარაც კი მიზეზია აგენტის ჩამოსაწერად. ამის შემდეგ მე გავხდები ეგრეთ წოდებული გაშიფრული თანამშრომელი და ასე მოვიპოვებ დაზვერვის სამსახურში ჩვეულებრივი მუშაობის უფლებას, რაც ხელ-ფეხს გამიხსნის ოჯახის შექმნისთვის. მე ძალიან გულით მინდა და ველი იმ დღეს, როცა ჩვენ გვექნება ოჯახი და გვეყოლება ჭკვიანი და ლამაზი შვილები. ეს ბედნიერება შორს არ არის და თუ შენც მზად ხარ ამისათვის, წერილის წაკითხვის შემდეგ უხმოდ თავი დაიქნიე. ჩემო ყველაზე ძვირფასო და უსაყვარლესო ოცნების მამაკაცო, ჩემი შენდამი სიყვარული განუზომელია. მე შენ ისე ძლიერ მიყვარხარ, რომ სანამ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, არ იქნება წამი, წუთი და დრო, რომ შენზე არ ვიფიქრო და გონებაში არ გეფერო. შენთვის და შენით ვიცხოვრებ ჩემს დარჩენილ წლებს და სიამოვნებით მოგიძღვნი სიცოცხლეს. მიყვარხარ, მიყვარხარ და მიყვარხარ!“

ანტონმა წერილის კითხვა დაამთავრა. ამ ხნის განმავლობაში, ნერვებისაგან დაჭიმული სხეული, წერილის ბოლოში დაწერილმა სიტყვებმა ერთიანად დაუბურძგლა. მან კიდევ მოხუჭა წამიერად თვალი, ყველაფერი უსწრაფესად გაიაზრა და ქალს სერიოზული სახით მიაჩერდა. კატიას მოლოდინის რეჟიმში მყოფმა წამონთებულმა თვალებმა და მისმა ალალად ამეტყველებულმა სახემ, საშუალება მისცა ანტონს, რომ ქალის მხრიდან წამოსული სიყვარულისთვის ყველა კითხვა მოეხსნა და საბოლოო წერტილი დაესვა, რაც თვითონაც ძალიან სჭირდებოდა. რამდენიმე წამის განმავლობაში ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ, რის შემდეგ ანტონმა გაუღიმა, ტუჩების ჩუმი მოძრაობით კოცნა გაუგზავნა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ორ გვერდზე წვრილად დაწერილი ფორმატის ფურცელი უხმაუროდ მიაწოდა.

ქალი გაცისკროვნებული სახით წამოდგა ფეხზე. ერთ ხელში ფურცლები დაიჭირა, ხოლო მეორეთი ბუტერბროდის თეფში აიღო და სამზარეულოსკენ გაემართა. თან თავისთვის ცოტა მაღალი ხმით ჩაილაპარაკა:

– ბოლოს მაინც ვერ გავიგე, ჩემი გაკეთებული ბუტერბროდი მოგეწონა თუ არა.

მან სამზარეულოში წერილები გაანადგურა და ოთახში რომ დაბრუნდა, დივანზე ანტონს მიუჯდა გვერდით.

– ჩემო საყვარელო, მეც შენნაირად განვიცდი ერთმანეთთან დაშორებას, მაგრამ ეს დროებითია. კიდევ შევხვდებით და კიდევ გვექნება იმის საშუალება, სიყვარულით დავტკბეთ. – სიტყვა არ ჰქონდა კატიას დამთავრებული, რომ ორივემ ერთდროულად წაიწიეს ერთმანეთის ტუჩებისაკენ.

იმ ღამეს თვალი არცერთს არ მოუხუჭავს. სასიყვარულო სიტყვები ისმოდა მათი ბაგეებიდან. განშორების მოლოდინით გამოწვეული ცრემლიც გადმოიფრქვა მათი თვალებიდან. წინა დღეებისგან განსხვავებით, ვნებაც კი განსაკუთრებულად გამოხატეს ერთურთის მიმართ, რომელსაც სევდიანი ელფერი უფრო მეტ სილამაზეს სძენდა და უანგარო სიყვარულის ნიშნები მასში უფრო თვალსაჩინოდ მოსჩანდა. ასე ჩახუტებულებს მოადგათ აეროპორტში გამგზავრების დრო. ისინი უილაჯოდ ემზადებოდნენ წასასვლელად, რომ კოლიამაც მოაკაკუნა.

– აბა, მზად ხართ? – მოისმა კარის იქიდან მამაკაცის ხმა.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ნიკალაიმ მანქანა პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპთან მიაყენა, რომელთან ოდნავ მოშორებით, კიდევ იდგა რამდენიმე მანქანა. ანტონმა „ვოლგის“ კარი რომ გამოხსნა და გადმოვიდა, შენიშნა, რომ მისკენ მოემართებოდა ის თორმეტი მამის მეგობარი, ვისთან ერთადაც ვახშმობდა ყოველ საღამოს, კუიბიშევში სტუმრობის დროს. მათ სათითაოდ ჩამოართვეს ხელი და კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ ყოველთვის მის გვერდით იქნებოდნენ, თუკი რამე გაუჭირდებოდა მას. ბოლოს მასთან ვადიმ გიორგევიჩი მივიდა, მხარზე ხელი მოხვია და თვითმფრინავის კიბის ასასვლელთან მიიყვანა.

– ანტონ, შვილო, – მკლავში ხელი გამოსდო და ფრთხილად შემოაბრუნა ვადიმმა. – ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გითხარით. მამის სასახელოდ შენ ძალიან დიდი და კარგი კაცი უნდა იყო. მომავალი შენს ხელშია. ჭკვიანურად მიუდექი ყველა საქმეს, მათ შორის, სწავლას. შენი იმედი მექნება. – ვადიმი თვალმოუცილებლად უყურებდა ანტონს. ძალზე სერიოზული სახის მიუხედავად, ეტყობოდა, რომ რაღაცას ძალიან განიცდიდა და, როცა თვალში ოდნავ სისველე გამოუკრთა, ყურადღება თავის პიჯაკის შიგნითა ჯიბეზე გადაიტანა, საიდანაც დახურული კონვერტი ამოიღო. – შვილო, ეს დედაშენს, ნინა მაქსიმოვნას წაუღე და ჩვენი ღრმა მწუხარებაც გადაეცი ალექსის გამო. – გიორგევიჩმა კონვერტი გაუწოდა. შემდეგ გადაეხვია, ცოტა ხნით გულში ჩაიკრა და ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა: – მშვიდობით ანტონ! ყოველთვის გახსოვდეს მამა! მას შენ ძალიან უყვარდი!

ვადიმი შემობრუნდა და ნელი ნაბიჯით გაემართა თავისი მეგობრებისკენ.

ანტონი კი მანამ არ ავიდა თვითმფრინავში, სანამ ივან ანდრეებიჩმა კატიას არ ანიშნა, რომ მისულიყო მასთან.

თვითმფრინავის კიბესთან მდგარი ჯარისკაცი ქალს გადაეხვია და გულზე მიიხუტა.

– ჩემო უსაყვარლესო და დედამიწაზე ყველაზე ლამაზო არსებავ! ჩემო ქალ-ღმერთო და ზეციდან ჩემთვის მოვლენილო ანგელოზო, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენ ერთად ვიყოთ!

– ყველაფერი კარგად იქნება. – ყურში ჩასჩურჩულა კატიამ და კიდევ ერთხელ აკოცა საყვარელ მამაკაცს.

თვითმფრინავი დაიძრა. ჯარისკაცი ილუმინატორიდან უყურებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც დაუვიწყარი თორმეტი დღე უმასპინძლეს. კატია ერთი ნაბიჯით წინ გამოყოფოდა კაცებს და ლამაზი და გრძელი თითების ნაზი მოძრაობით ემშვიდობებოდა ანტონს.

საქართველო. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი. თხუთმეტი გრადუსით განსხვავებული ტემპერატურა კუიბიშევთან. მიუხედავად გვიანი შემოდგომისა, აქ ხალხი მაინც თხლად ჩაცმული დადის. ჯარისკაცსაც მოუხდა ქურთუკის ჩანთაში ჩადება. აეროპორტის შენობიდან რომ გამოვიდა, ღრუბლებისგან გადაწმენდილ ცას ახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: ჩემი მზიანი ქვეყანა... – მართალია, კუიბიშევში მას სიამოვნების მეტი არაფერი მიუღია, მაგრამ სულიერად მაინც გამოფიტული და დაღლილი ჩანდა, რადგან ამ თორმეტი დღის მანძილზე ძალიან ბევრი რამის გადამუშავება მოუხდა მის გონებას. ამას დაემატა მისი ემოციურად დატვირთული ყოველდღიური რეჟიმი, რომლისთვისაც თვრამეტი წლის ახალგაზრდამ ძალების სწორად გადანაწილება ვერ მოახერხა. არაუშავს, აწ გარდასული დღეები როდისმე თანმიმდევრულად დალაგდება მის თავში და მისი აზროვნება თითოეულ მათგანს ამოცანის რანგში აიყვანს. ჭეშმარიტად ამოხსნის თუ არა, ეს მეორე საკითხია, მაგრამ ის ახლა ამაზე ნამდვილად არ ფიქრობს. მას ერთი სული აქვს, სახლამდე, რაც შეიძლება, სწრაფად მიაღწიოს, რათა დედას მოუყვეს მამის შესახებ. აი, ამ ფიქრებში მოუწია ტაქსის რიგმაც და ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ მიადგა იმ ოთხსართულიან კორპუსს, სადაც თვითონ გაიზარდა. მეოთხე სართულის კიბეებიც აათავა და თავისი სახლის ზარის ღილაკს დააწვა. კარი მკაცრი სახის მაღალმა და გამხდარმა ქალბატონმა გამოხსნა, რომელსაც ჯარისკაცის დანახვაზე სახე გაუნათდა და შესძახა:

– რა მოხდა, დედი, ასე ადრე რატომ დაბრუნდი? – კითხვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ შვილს მიეკრა და გულში

ჩაიკრა. შემდეგ ჩანთა გამოართვა, მკლავზე მსუბუქად გამოსდო ხელი და ოთახისკენ შეუძღვა.

– სახლამდეც მოვაღწიე. – თქვა ანტონმა და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

– დედა გენაცვალოს, რა ხდება, გამაგებინე?

– ცუდი არაფერი, დედა. ოღონდ ახლა ხელ-პირს დავიბან, ტანსაცმელს გამოვიცვლი და ყველაფერს მოგიყვები. – უთხრა დაქანცულმა ანტონმა.

– კი, შვილო, კი, დედა გენაცვალოს. ახლავე მოგიტან გამოსაცვლელ ტანსაცმელს და სანამ შენ დაიბან, სუფრასაც გავაწყობ. მოშიებული იქნები, ამხელა გზა გამოიარე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მაგიდა უკვე გაწყობილი იყო. ანტონი აბაზანიდან პირსახოცით ხელში გამოვიდა, რომლითაც სამზარეულოში გააგრძელა მკლავების კარგად შემშრალება.

– ჩემი ჩანთა სად დადე, ნინა მაქსიმოვნა? – უთხრა ანტონმა და პირსახოცი იქვე მდგარ საკამზე მსუბუქად მიაგდო.

– საძინებელში დაგიდე. ახლავე გამოგიტან!

– მე თვითონ გავალ, დედა! – უთხრა ანტონმა და საძინებელ ოთახში გავიდა. როდესაც სამზარეულოში დაბრუნდა, ხელში კონვერტი ეჭირა, რომლის დანახვაზე ნინა მაქსიმოვნას შუბლი შეეკრა და სერიოზული სახით შვილის სიტყვას დაელოდა. – ეს ვადიმ გიორგევიჩმა გამოგიგზავნა, მამაჩემის და შენმა მეგობარმა.

ნინა ბერდიევას სახე უფრო შეეჭმუხნა და თვალები მომენტალურად აატრიალა, რაც მისი აზრების შორ მანძილზე გადასროლას მოასწავებდა.

– ვინ? – მექანიკურად წარმოთქვა მან და შვილს მისკენ გაწვდილი კონვერტი გამოართვა.

– ვადიმ გიორგევიჩმა. – მშვიდად მიუგო ანტონმა, რომელსაც, ასევე, სერიოზულმა იერმა გადაჰკრა. – რა, არ იცნობ?

ნინამ კონვერტი გახსნა და იქიდან ასმანეთიანების შეკვრა ამოიღო, რომელსაც მანქანაზე ნაბეჭდი პატარა წერილი ამოჰყვა. ქალმა ფული მაგიდაზე დადო, რასაც ანტონმა გაოცებით შეხედა და წერილი წაიკითხა:

„გამარჯობა ნინა! გიგზავნი ათი ათას მანეთს. შენ ძალიან

კარგი ბიჭი გაგიზრდია. გმადლობ.

ვადიმ გიორგევიჩი“

ქალი მაგიდას ხელით დაეყრდნო და სკამზე ფრთხილად დაეშვა. წერილი მეორედ გადაიკითხა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. შემდეგ ფეხზე მდგარ, გახევებულ ანტონს ახედა და უთხრა:

– დაჯექი, საჭმელი შეჭამე და მომიყევი ყველაფერი!

– დედა, ვინ არის ვადიმ გიორგევიჩი? თვითონ მითხრა–დედას კარგად ვიცნობო. – ჰკითხა მისივე მოქმედებით გაოცებულმა ანტონმა.

– დაჯექი, დაჯექი! ისადილე და შემდეგ ვისაუბროთ.

– ნინა მაქსიმოვნა, სადმე გადამალული კონიაკი თუ გაქვს, იქნებ ერთი ჭიქა დამალევინო, დაღლილობას მაინც მომიხსნის.

ქალის გონება ელვისებურად მიჰქროდა წარსულისაკენ, სადაც მისი აზრით, იმ კვანძის გასაღები უნდა ყოფილიყო, რომელიც ანტონმა კონვერტის სახით წარმოადგინა. ის ფიქრობდა, რომ ანტონს ძალიან ბევრი ჰქოდა სათქმელი და კონვერტი იმ ჩახლართული გორგალის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. ნინა ბერდიევამ კარადიდან კონიაკი გადმოიღო. თვითონ სკამის საზურგეზე ფრთხილად მიესვენა და შვილის სახეს კარგად დააკვირდა, რომელმაც დედის გასაკვირად ჭიქაში ხარბად დაისხა კონიაკი. ნინა მაქსიმოვნას რამდენიმე წუთი დასჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ საქმე დაზვერვის სამსახურთან ჰქონდა.

„ჩემს შვილთან რა ხელი აქვთ? – გაიფიქრა და სიმწრისაგან კბილები ერთმანეთზე დააჭირა.

ანტონმა ერთი ჭიქა კონიაკი იკმარა. სადილიც მსუბუქად მიირთვა და ფეხზე წამოდგა.

– ოთახში გავიდეთ დედა! – უთხრა და სამზარეულოდან გავიდა.

სანამ ანტონი სადილობდა, ნინამ წერილი კიდევ ერთხელ წაიკითხა და თითქოს რაღაც კვალს დაადგა. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო ახალი ამბავის მოსმენამდე, მისი ამოხსნის გეზი უკვე აღებული ჰქონდა.

– აბა, გისმენ, შვილო! – უთხრა დედამ ანტონს, როცა მის მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა.

– წერილის გამოგზავნის უფლება არ მქონდა. ამიტომ ვერ შეგატყობინე, სად მოვხვდი ჯარში. – წყნარად დაიწყო საუბარი ანტონმა. – მოსკოვის გარეუბანში გამამწესეს, სპეცნაწილში. ორკვირიანი კარანტინის შემდეგ ფიცი მივიღეთ. ფიცის მიღებიდან სულ ცოტა ხანში, პოლიტიკურ დარგში პოლკის უფროსის მოადგილემ გამომიძახა და მითხრა, რომ კუიბიშევში უნდა გავფრენილიყავი იმავე დღეს. თან მკაცრად გამაფრთხილა, არავის გამოვმშვიდობებოდი და არავისთვის არაფერი მეთქვა ამის შესახებ. კუიბიშევში დაღამებულზე ჩავედი. ტრაპთან დამხვდა "ვოლგა" და ორი ადამიანი–ახალგაზრდა კაცი და ჩემზე ერთი-ორი წლით უფროსი ქალი. მათ წამიყვანეს სადღაც დაცულ ტერიტორიაზე, სადაც კოტეჯის ტიპის სახლები იყო განლაგებული. იქ დამხვდა თორმეტი შუახნის მამაკაცი და გამეცნენ მამის მეგობრებად. მითხრეს, რომ მამაჩემი, ალექსი პავლოვიჩი წლების განმავლობაში მუშაობდა საზღვარგარეთ. ერთი თვის წინ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში და ემზადებოდა შენთან შესახვედრადო. სამწუხაროდ, გულმა უმტყუნა და ორი კვირის წინ გარდაიცვალაო. მაჩვენეს მისი საფლავი და აღმითქვეს დახმარება უმაღლეს სასწავლებელში, თუ ცხოვრებისეულ კარიერაში. მთხოვეს, რომ მათთან გამეტარებინა გარკვეული დრო. ამ ხნის მანძილზე მე იმ კოტეჯში ვცხოვრობდი, სადაც პირველად მიმიყვანეს. დღისით მანქანა მემსახურებოდა და დავდიოდი იმ ორ ახალგაზრდასთან ერთად, რომლებიც თვითმფრინავთან დამხვდნენ. ხოლო საღამოს, ის ადამიანები (მამის მეგობრებს ვგულისხმობ) უკლებლივ მოდიოდნენ და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში რჩებოდნენ. ერთად ვვახშმობდით და ვსაუბრობდით. ასე გაგრძელდა თორმეტი დღე. წამოსვლისას, ერთმა მათგანმა, ვადიმ გიორგევიჩმა (ეს კაცი განსაკუთრებულად თბილად მექცეოდა სხვებთან შედარებით) ეგ კონვერტი გამომატანა შენთან–ნინა მაქსიმოვნას წაუღეო. მანამდე კი მითხრა, რომ შენ ძალიან ახლოს და შესანიშნავად გიცნობდა. აი, დედა, სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა. ჰო, კიდევ ერთი: რაც შეეხება სამხედრო ბილეთს, მითხრეს, რომ ჩემი რაიონის კომისარიატში მომცემენ, სადაც ეწერება, რომ სამხედრო სამსახური გავლილი მაქვს. ახლა კი ნამდვილად ყველაფერი გითხარი. – დაასრულა ანტონმა და დაელოდა დედის რეაქციას.

ნინა ბერდიევას გული ისეთი ძალით ეხეთქებოდა მკერდის ძვლებს, რომ თითქოს მისი გამონგრევა სურდა. მას რა არ ენახა და რა არ გადახდენოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, პირველად აიტანა კანკალმა. ეს იყო რაღაც ისეთი შიშის გრძნობა, რომელმაც მომენტალურად სძლია მის ძლიერ გულს; ალბათ, თავის ერთადერთ ვაჟს რომ ეხებოდა ეს ამბავი, თორემ ნინა მაქსიმოვნას ნერვები ასე ადვილად მოსარევი არ იყო. მას ახლა ცოტა დრო აქვს იმისათვის, რომ თავისი შინაგანი შეშფოთება გარეგნული სიმშვიდით შენიღბოს, რადგან ერთ პატარა ნიუანსსაც კი შეუძლია ანტონის სულში უარყოფითი მარცვალის ჩაგდება, რომლის გაღვივებაც ძალიან სახიფათო იქნება მისი შვილისთვის. და აი, რაღაც მომენტში დედის ინსტინქტმა გზა გადაუღობა მის მოზღვავებულ აზრებს და მთელი ყურადღება თავის წინ მჯდომარე ვაჟს დაუთმო, რის შემდეგაც უმალვე იშვა კითხვა მის თავში.

– შენ კოტეჯი ახსენე, შვილო, და, როგორც ვფიქრობ, იქ მარტო არ დაგტოვებდნენ. მაინტერესებს, ღამით ვინ რჩებოდა შენთან? – ჰკითხა და ინტერესით დაელოდა მის პასუხს.

ანტონს სახეზე ალმურმა გადაუარა და ცოტა დაიმორცხვა კიდეც, მაგრამ დედას ვერ დაუმალა.

– კატია რჩებოდა ჩემთან. – თქვა და აწრიალება რომ არ შემჩნეოდა, გვერდით, დაბალ მაგიდაზე მდგარი ვაზა მიასწორ-მოასწორა.

ნინა ბერდიევა ოდნავ უკან გაიწია, წამოწითლებულ ანტონს მიმოატარა მზერა და მის შეუმჩნევლად თავი მძიმედ დაიქნია. ასეთმა პასუხმა გონებაში შეუნელა ალღოს მოქმედება და უფრო გაუღვივა დედური ინსტინქტი, რომელმაც აიძულა, თავისი ვაჟის ცხოვრებაში ამ მიმართულებით აღმოეჩინა დაზვერვის მიერ ჩადებული ნაღმი, ანუ გაერკვია მიზანი სადაზვერვო სამსახურისა. ნინა მაქსიმოვნა გამოირჩეოდა პრაგმატული აზროვნებით. ის ყოველთვის ცივი გონებით სჯიდა თავის წინ წამოჭრილ პრობლემებს და სერიოზულად უდგებოდა ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებსაც კი. ახლა კი რამ დააბნია?

რატომ ღალატობს საკუთარ გამოცდილებაზე დაგროვილ სიბრძნეს და რატომ ხდება მისი მამოძრავებელი მხოლოდ მშობლის ინსტინქტი? იქნებ თავისი წარსულიდან მოსულ ძალებს დანებდა ტყვედ, რომელიც ალექსი სავიჩევის ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარულის სახით წამოტივტივდა მის გონებაში? იქნებ ეს სიყვარულია მიზეზი მისი დაბნეულობისა?

შვილისთვის რომ უხერხულობა მოეხსნა, ნინა ფეხზე წამოდგა.

– ანტონ, შვილო, შენ ნამგზავრი და დაღლილი ხარ. მოდი, ცოტა დაისვენე, თვალს მოატყუე და საუბარი მერე გავაგრძელოთ. რაც მთავარია, მშვიდობით დაბრუნდი და უკვე აქ ხარ.

– კარგი, დედა, ასე ჯობია. – უთხრა ანტონმა, რომელსაც ასეთი განმუხტვა ნამდვილად სჭირდებოდა.

ნინა თავის ოთახში გავიდა, კუიბიშევიდან გამოგზავნილი კონვერტი მაგიდიდან აიღო და სავარძელში მძიმედ დაეშვა. ცარიელ კონვერტს ფრთხილად გადაუსვა ხელი და ფიქრებში ჩაიძირა.

„სადაზვერვო სკოლის აღსაზრდელი ნინა მაქსიმეს ასული ბერდიევა, თექვსმეტი წლის. რუსულის გარდა შესანიშნავად ფლობს ორ უცხო ენას. მოსწავლეთა შორის მას ყველაზე კარგად აქვს ათვისებული აღმოსავლური ბრძოლის ხელოვნება. მას შეუძლია შეიარაღებით და საბრძოლო მასალით აღჭურვილმა მრავალი კილომეტრი სირბილით დაფაროს. ის ფლობს ყველანაირი კლიმატის შეგუების განსაკუთრებულ უნარს და განუზომლად შეუძლია ადამიანური ტანჯვის ატანა. არის ბრწყინვალე მოცურავე და საკმაოდ დიდხან ძლებს გაყინულ წყალში. მას ასევე შეუძლია რამდენიმე წამში ათეულობით ციფრის დამახსოვრება და ნებისმიერი ტექსტის უსწრაფესი წაკითხვა. არის მიზანსწრაფული და მამაცი.“

ეს არის დახასიათება, რომელიც მისმა მასწავლებელმა ოდესღაც მასზე დაწერა. აი, ასეთი მონაცემების ქალბატონი ზის ახლა უძრავად სავარძელში და წარსულის იმ ბილიკებს მიუყვება, რომლითაც დღემდე მოვიდა. წლების განმავლობაში მას ჰქონდა ერთფეროვანი და მონოტონური ცხოვრება. რა თქმა უნდა, ხშირად იხსენებდა წარსულს, რომლისგანაც სიამოვნებას

და მწუხარებას ერთი დოზით იღებდა, მაგრამ განსჯის სახით არასოდეს გადაუხედავს უკან დარჩენილი წლებისთვის. არც იმაზე უფიქრია, სიყმაწვილის ასაკში სიცოცხლისთვის სარისკო ნაბიჯი რატომ გადადგა, რადგან ამას ალექსისადმი სიყვარულით ამართლებდა. ახლა კი რა მოხდა? რატომ შემართულა მისი გონება და მსაჯულის უფლებებით აღჭურვილი, თავისი ცხოვრების ყველაზე მწარე მონაკვეთს რისთვის ჩასდგომია კვალში? პასუხი ერთგვაროვანია: მის, ისე თუ ასე, დალაგებულ ყოფაში ალექს სავიჩევის გამოჩენამ დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ეს დროებითი აღელვება მალევე დალაგდებოდა და ნინა მაინც სწორად განსაზღვრავდა ყველაფერს, მაგრამ მისი გათიშვა ამ აღელვების ფონზე, ანტონის პასუხის შემდეგ მოხდა, როცა მან კატიას შესახებ უთხრა. დედამ შენიშნა, რომ ვიღაც დაზვერვის თანამშრომელ ქალს, მისი შვილი უკვე გამოთიშული ჰყავდა. სწორედ აქ ამოქმედდა დედის ეგოისტური გრძნობა, რადგან ნინამ ამაში შვილის დაკარგვის საფრთხე იგრძნო. აი, ამიტომ მიუყვებოდა ახლა თავისი წარსულის იმ ლაბირინთს, რომლის გადახედვის შემდეგაც უნდა მიეღო გადაწვეტილება, თუ რა ფორმით ეპასუხა დაზვერვის მიერ მის მიმართ გამოცხადებული ბრძოლისთვის.

მაშ ასე, უკან მივყვეთ ნინა მაქსიმოვნას მეხსიერების ბუდედან ამოჭრილ ფიქრს, რომელიც აწ გარდასული წლების დასალაშქრად უკვე მერამდენედ მიემართება:

ერთ-ერთი საბავშვო სახლის აღსაზრდელებიდან, სახელმწიფო რანგის მოხელეებმა ცხრა წლის გოგონა შეარჩიეს და იქ მომსახურე პერსონალისთვის გაურკვეველ ადგილზე გადაიყვანეს. ის შეირჩა თავისი განსაკუთრებული ფიზიკური და გონებრივი მონაცემების გამო, რისთვისაც დასახლებული პუნქტიდან საკმაოდ მოცილებულ სადაზვერვო სკოლაში აღმოჩნდა, სადაც ძველი სკოლისგან განსხვავებით, ძალიან მძიმე რეჟიმი მოქმედებდა. ეს იყო დღეში რამდენიმესაათიანი ფიზიკური დატვირთვა (ვარჯიში), უცხო ენების გაძლიერებული სწავლება და ყველა სასწავლო საგანზე საფუძვლიანი მეცადინეობა. მართალია, პატარა ნინას თავიდან ცოტა გაუჭირდა აქ შეგუება, მაგრამ საკუთარი ნიჭისა და მონაცემების წყალობით, მაინც

იოლად დაძლია ეს ყოველივე.

ასე გავიდა რამდენიმე წელი. უკვე თხუთმეტი წლის ნინას თავისზე ორი წლით უფროსი ბიჭი შეუყვარდა. აღმოჩნდა, რომ ბიჭს ეს გრძნობა, ნინას მიმართ, უფრო უწინ გასჩენოდა. ისინი ფარულად ახერხებდნენ შეხვედრებს, რომელიც მაქსიმუმ ორი წუთით განისაზღვრებოდა, რადგან, ჯერ ერთი, რომ მათ თავისუფალი დრო პრაქტიკულად არ ჰქონდათ და მეორე – ასეთი რომანები და ინტიმური ურთიერთობები სასტიკად იკრძალებოდა. შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს აუკრძალოს სიყვარულის გამოვლინება, ანდა, ბოლოს და ბოლოს, წაართვას ეს უფლება, მაგრამ დედამიწაზე არ არსებობს ძალა, რომელსაც ძალუძს ღვთისგან ადამიანისთვის ბოძებული ეს საოცარი ნიჭი მთლიანად აღმოფხვრას. სწორედ ამ სიყვარულის შედეგი იყო ის, რომ ერთი წლის შემდეგ, თექვსმეტი წლის ნინამ და თვრამეტი წლის ალექსმა, ერთმანეთთან ინტიმური ურთიერთობის დამყარება მოახერხეს, რომელიც მხოლოდ ორჯერ განმეორდა. ბოლო ურთიერთობიდან თვენახევრის თავზე, ნინამ თავის ხასიათში უჩვეულო ცვლილებები იგრძნო და ალექსს შესჩივლა. კერძოდ, ეს იყო პირღებინების შეგრძნება და თავბრუსხვევა, რომელმაც ბოლო ვარჯიშის დროს ძალიან შეუშალა ხელი. ვინმეს რომ არ შეენიშნა ასეთ მდგომარეობაში, ნინამ ფეხის ღრძობის იმიტაცია გაითამაშა და გასახდელში გავიდა, სადაც მაშინვე გაიაზრა საბოლოო შედეგი და გადაწყვეტილება მიიღო. იმავე საღამოს, ძილის გამოცხადებამდე ორი საათით ადრე, სასადილოდან მოიპარა ერთი ცალი შავი პური და თავის ზურგჩანთაში გადამალა. შემდეგ ძალიან დიდი რისკის ფასად შეიპარა უცხო პირთათვის აკრძალულ ოთახში, სადაც ბავშვების კარტოთეკები ინახებოდა და ალექს სავიჩევის საქმიდან პატარა სურათი მოიპარა. საძინებელ ოთახებში ასვლამდე საათნახევარი იყო დარჩენილი, როცა ნინა მაღალ მესერს ადვილად გადაევლო და შემოდგომის სუსხიან ღამეს სკოლის ტერიტორია შეუმჩნევლად დატოვა. ბავშვების დაძინებამდე, სანამ სიას ამოიკითხავდნენ და გააკრვევდნენ ბერდიევას იქ არყოფნას, ეს დრო სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ნინა ძალიან დიდი მანძილით გაშორებოდა იქაურობას. ამას აკეთებდა ერთი

რამის გამო – გადაერჩინა ბავშვი და ალექსისთვის აეცილებინა გარდაუვალი დასჯა, რადგან მას უკვე, როგორც სრულწლოვანს, მკაცრად მოჰკითხავდნენ ამაზე პასუხს. მირბოდა ნინა და მხოლოდ ამას ფიქრობდა. მისი წამოსვლიდან ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა მან მატარებელი შენიშნა, რომელიც, დაახლოებით, მისი მიმართულებით მოდიოდა. ბნელოდა. შორი თვალთახედვა არ იყო და ამიტომ, ლიანდაგების სავარაუდო ადგილმდებარეობისკენ მთელი სისწრაფით გაიქცა. მისი ვარაუდი გამართლდა – მის წინ სატვირთო მატარებელი მიგრიხინებდა. ნინა იოლად შეახტა გაქანებული ვაგონების ეშელონს და ერთ-ერთ გადასაბმელამდეც უპრობლემოდ მიაღწია. აქ კი ისეთი ადგილი მოძებნა, სადაც პირდაპირი ქარისაგან დაცული იქნებოდა. სამსაათიანი მგზავრობის შემდეგ მატარებელმა სიჩქარეს საგრძნობლად უკლო. გოგონა გვერდით გადაიწია და წინა მხარეს გახედა, სადაც გაშუქებულ ადგილზე თავმოყრილი მატარებლები შენიშნა. ეჭვი არ იყო, რომ მისი მატარებელიც აქ ჩერდებოდა. ნინა ჩამოხტა და იმ განათებულ ტერიტორიამდე ფეხით მისვლა გადაწყვიტა, რადგან შუქზე, შეიძლება, მატარებლიდან გადმომხტარი ვინმეს შეენიშნა.

1940 წლის ოქტომბრის პირველი რიცხვებია. ევროპაში მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებს. საბჭოთა ხალხი საგანგებო რეჟიმში ცხოვრობს და ყველგან ყველაფერი კონტროლდება. განსაკუთრებით ვაგზლებში, რადგან არ მოხდეს რაიმე ასაფეთქებელი ნივთიერების გადაზიდვა დივერსიული აქტების განხორციელების მიზნით. ეს კონტროლი ღამით უფრო მძაფრდება და ნინამაც უკვე შენიშნა მატარებლებს შორის მოსიარულე სამხედროფორმიანი ადამიანები. ის მაშინვე მოშორდა იმ ადგილს და მეორე მხარეს რომ მოხვედრილიყო და ისევ იმავე მიმართულებით შეძლებოდა გზის გაგრძელება, ძალიან დიდი მანძილით მოუწია ვაგზლისთვის გარს შემოვლა. გარკვეული დროის შემდეგ, სადგურიდან ნელა დაძრულ, უკვე სხვა სატვირთო მატარებელს სანამ შეახტებოდა, მანამდე საფუძვლიანად დაათვალიერა მიმდებარე ტერიტორია. ასეთი პერიოდული გაჩერებებით იარა მან ოთხი დღე და ღამე. ამ ხნის განმავლობაში, მას სკოლის სასადილოდან მოპარული

პური გამოადგა, რომლის ნაწილი აბგაში კიდევ ეგულებოდა. რაც შეეხება ძილს, ბედზე ერთი ვაგონი შეხვდა, რომლის ბოლოში ასასვლელი კიბეები და რამდენიმე ადამიანის დასატევი წელის სიმაღლემდე შემოფარებული ადგილი იყო. ამხელა წამების შემდეგ, მისთვის ეს ნამდვილი სამოთხე აღმოჩნდა, თუმცა საერთო სიცივეს, რომელიც უფრო და უფრო მძაფრდებოდა, ვერაფერი აკავებდა. აი, სწორედ აქ გამოიძინა მან, რაც მხოლოდ ორი საათით შემოიფარგლებოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის გზას აგრძელებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება, შორს წასულიყო. ბოლო დღეს, მატარებლიდან ძალიან დიდი შუალედებით აღარ მოჩანდა დასახლებული პუნქტები. მან ნამდვილად არ იცოდა, რომ გეზი ციმბირისაკენ ჰქონდა აღებული. მისი საშემოდგომო თხელი ქურთუკი ასეთ სიტუაციაში და მითუმეტეს, ასეთ ცივ ამინდში გამოუსადეგარი იყო. კიდევ კარგი, რომ სკოლიდან სპორტული ტანსაცმელი წამოიღო ნაქსოვ ქუდთან ერთად, რომელმაც რაღაც შეღავათი მაინც მისცა. შეღავათს ნინასნაირ ადამიანზე თუ ვიტყვით, თორემ როგორი ტანსაცმელიც არ უნდა გეცვას, ოთხი დღე-ღამის განმავლობაში, გამუდმებით და დიდი სიჩქარით მონაბერ ცივ ქართან შეგუება, ჩვეულებრივი ადამიანისთვის წარმოუდგენელია. ამას ემატება ის, რომ ამ დროს ზიხარ რკინაზე და ერთდროულად ებრძვი, როგორც აქეთ-იქით მკვეთრად მოჯაყჯაყე ვაგონის გადასაბმელს, რომელსაც ეჭიდები, ასევე ქარს, რომელმაც შეიძლება დაბლა გადმოგანარცხოს. ამავე დროს, ხარ მშიერი და უძილო. ამ ყველაფერს უძლებს ფეხმძიმე გოგონა, რომლის შესაძლებლობებსაც მისი ასაკი და თუნდაც მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა საკმაოდ ამცირებს. იმის გამო, რომ ადამიანს ამოუწურავი რესურსი არ აქვს, ნინასაც გამოელია ძალა. ის ვეღარ უმკლავდება ქარს, რომელიც წვრილ და ხშირ გაყინულ ხორხოშელებს მთელი ძალით აფრქვევს ზედ. მას უკვე აღარ შეუძლია, რომ გამუდმებით მოქანავე ვაგონს შეუხამოს ტანის მოძრაობა. ხელის თითებიც თითქოს შეუსივდა, რომელიც მოჭიდების უნარს ნელნელა კარგავდა. აქამდე დრო და დრო ფეხზე დგებოდა, მოძრაობდა, რომ არ გაყინულიყო. ახლა კი თავის შემაგრებაც უჭირს და ცოტა ხანში, შეიძ-

ლება მატარებლის ბორბლებში ჩავარდეს. ნინამ თავი ასწია და მიმოიხედა. ირგვლივ უკაცრიელი სტეპები იყო, რომლის ზედაპირიც ციდან წამოსულ მშრალი თოვლის პატარა ფანტელებს უკვე თეთრად გადაეპენტათ. მან რამდენიმე წამში გაიაზრა, რომ თუკი რაიმეს არ მოიმოქმედებდა, გარდაუვალი სიკვდილი ელოდა. უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, გვერდით გამოშვერილ რკინას ჩაებღაუჭა და რის ვაი-ვაგლახით წამოდგა ფეხზე. ერთი ხელი მუცელზე მოისვა, თითქოს თავის ახლად ჩასახულ შვილს მოეფერა, რითაც ერთგვარი სტიმული მისცა საკუთარ თავს, რომ მას შესწევდა იმდენი ძალა, გადაერჩინა თავისი უმწიკვლო სიყვარულის ნაყოფი. ნინამ ღრმად ჩაისუნთქა, ხელი მომუჭა, სანახევროდ მაღლა აღმართა და რიხით ჩაილაპარაკა: მე შევძლებ ამას! – იმავე წამს იგრძნო, რომ მისი სხეული ახალი ძალებით შეივსო. მუხლი გამართა, წელში გასწორდა და არწივის მზერით დაიწყო მის წინაშე გადაშლილი პანორამის დათვალიერება. ის ეძებდა, რომ იქნებ სადმე მოეკრა თვალი დასახლებული პუნქტისთვის, რადგან დაახლოებით ორ საათში დაღამდებოდა და ასეთი ფორმით მგზავრობის გაგრძელებას, დარწმუნებული იყო, რომ ვეღარ შეძლებდა. ხეებით დაფარული ადგილებიც გამოჩნდა, რის გამოც მატარებლიდან გადახტომა დააპირა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ხეზე ვერ გაათენებდა და გაიყინებოდა. რჩებოდა ერთი, სადმე გამოჩენილიყო თუნდაც პატარა უკაცრიელი ქოხი, სადაც თავს შეაფარებდა, ძალებს აღიდგენდა და რამეს მოახერხებდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ასეთი საშველი ჩანდა. ნერვები ეძაბებოდა, რადგან უიმედობის გრძნობა ეხეთქებოდა მისი გონების კედლებს. მან კარგად იცოდა, რომ, როგორც კი გადარჩენის იმედს დაკარგავდა, ეს იქნებოდა ნებაყოფლობითი დანებება სიკვდილთან. ამაში ეხმარებოდა სადაზვერვო სკოლის აღმზრდელის სიტყვები: „თუ გინდათ, რომ გამარჯვებას ეზიაროთ, მარცხზე არასოდეს იფიქროთ!“ – ეს შეგონება გამუდმებით ისმოდა გოგონას ყურში, რასაც თან ერთვოდა მისთვის გაუაზრებელი დედის ინსტინქტი და ორივე ერთად მის გონებაში ქმნიდა სათადარიგო ძალების ბაზისს, რომელიც აიძულებდა, რომ ებრძოლა სიცოცხლისათვის.

მოქუფრულ ცაზე წარმოდგენილი დღის სინათლე, ჩანს, რომ მალე დაკარგავს ძალას. მატარებელი კი ისევ ისე მიჰქრის და თითქოს უსულო სამყაროში მიაქანებს თექვსმეტი წლის გოგონას, რომელსაც ამ რკინის ფარდით შემორაგვულ ორასმილიონიან ქვეყანაში, თავისი ასაკის ვერცერთი ადამიანი, ადამიანურ შესაძლებლობებში მეტოქეობასაც კი ვერ გაუწევს. დიახ, ამ რკინის ფარდის მიღმა თავისუფალი სამყარო იშლება, სადაც ამ წუთას, იქ მცხოვრები ხალხები, რომლებსაც დაბადებიდან ებოძათ თავისუფლება, ძნელად თუ წარმოიდგენენ, რომ ახლა, მათივე სახის ერთი პატარა გოგონა, თავისუფლების მოსაპოვებლად მატარებლიდან თოვლით დაფარულ უკაცრიელ და მტაცებელი ცხოველებით სავსე ტაიგაში გადახტომას აპირებს.

დაძაბულობა მატულობს, მაგრამ ნინას გონების მიერ მოხმობილი ძალები, ჯერ-ჯერობით მის სხეულში მოპოვებულ პოზიციებს არ თმობენ და საკუთარ პატრონს აძლევენ იმის საშუალებას, რომ უკვე გამეჩხერებულ ტყის მასივში თვალი ადევნოს ყოველ კუნჭულს. ჰოი, საოცრებავ! სადღაც შორს, ცეცხლის ალმა მკვეთრად გამოიციმციმა ხეთა შორის, რომელსაც რიგ-რიგობით ფარავდა უშნოდ წამოწოწილი ხეების მწკრივი. ნინა კიდევ უფრო დაიძაბა, თავი ოდნავ წინ წასწია, თვალები გააფართოვა და კარგად დააკვირდა მის გადასარჩენად ანთებულ კოცონს. რა დარწმუნდა, რომ ის ნამდვილად ცეცხლი იყო, აჩქარებული მოძრაობით დასწვდა ფეხებთან დადებულ ზურგჩანთას. სწრაფად გაუყარა ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე ხელი და ზურგზე შეისწორა. ახლა კი საჭირო იყო ზუსტი ნახტომი, რათა არაფერი ტკენოდა, თორემ მის საშველად აქ არავინ მოვიდოდა, რადგან ცეცხლი მისგან დაახლოებით კილომეტრ მანძილზე მოჩანდა, სადამდეც ვერანაირი ხმა ვერ გასწვდებოდა. დასაკარგი დრო არ იყო და ნინამაც ერთი პროფესიონალური ნახტომი კიდევ შეასრულა. ის უვნებლად შეეხო მიწას და მცირე გარბენის შემდეგ ჯიქური ნაბიჯებით გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც სავარაუდოდ ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ეს გზა იოლად დასაძლევი არ აღმოჩნდა მისთვის, რადგან მის წინ წარმოდგენილი მთელი ტერიტორია

დაფარული იყო რაღაც მცენარის გრძელი გაყინული და ერთმანეთში აბურდული ყლორტებით, რომლებიც დაბლა გაგებული მავთულხლართების იმიტაციას ქმნიდა. გოგონას მასში ფეხები ებლანდებოდა და ხშირად ძირს ეცემოდა. ამიტომ, ზოგჯერ ოთხზე დგომით და მუხლებზე ხოხვით უწევდა წინააღმდეგობის დაძლევა. ის დრო და დრო ჩერდებოდა და ფიქრობდა, რომ ეს ტანჯვა, მის ოთხდღიან წვალებას აღემატებოდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ შებინდებამდე უნდა დაეფარა ეს მანძილი.

ცას რუხი ფერი უკვე კარგად შეჰპარვოდა, როცა ნინამ ორმოცდაათიოდე მეტრში რამდენიმე პატარა ხის სახლი შენიშნა, ხოლო, სადაც ახლა იდგა, იქ ნამდვილად იყო ახალი ჩანავლებული ცეცხლი. ესეიგი, მის მატარებელს რომ ერთი საათით გვიან ჩამოევლო, ის ხეებს აქეთ ცეცხლის ალს ვერ შეამჩნევდა. გარეთ არავინ ჩანდა და ნინაც ლასლასით უახლოეს ბინას მიუახლოვდა, რომლის ფანჯარაში ანთებული ფარანი მოჩანდა. კარის ჩარჩოს ხელით მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო და უსიცოცხლოდ დააკაკუნა. კარი მოხუცმა, მაგრამ ჯან-ღონით სავსე ქალმა გამოხსნა, რომელმაც სველი და ტალახში ამოგანგლული ბავშვი რომ დაინახა, შესძახა:

– ღმერთო ჩემო!

ნინამ ძლივს ასწია თავი და, როდესაც ადამიანი დაინახა, მუხლები მოეკვეთა და კარის წინ ჩაიკეცა. მას გონება მომენტალურად დაებინდა და ცნობიერება სრულად მაშინვე დაუბრუნდა, როცა ქალმა წამოსაყენებლად მკლავში ხელი ამოსდო. ის მოხუცის დახმარებით ოთახში შევიდა და ნახშირით გახურებულ ბუხრამდე ფეხების თრევით მივიდა. ბებიამ სკამზე ფრთხილად დასვა და უსწრაფესად გააძრო სველი ტანსაცმელი. ქუდი მოაძრო და ყურები და სახე დაუსრისა. შემდეგ ხელის თითები გაუზილა და სანამ მის გასივებულ ფეხებს მიხედავდა, რომლიდანაც თხელი სპორტული ფეხსაცმელი ძლივს გააძრო, ტანზე თბილი მოსაცმელი შემოახვია. ნინას ფეხებში გრძნობა თითქმის აღარ ჰქონდა. ასეთ ვითარებაში, კიდურების მუშაობა რომ აღდგეს, საჭიროა სწრაფი მოქმედება და მისი სპეციფიკური დამუშავება. როგორც ჩანს, მასპინძელმა ეს შესანიშნა-

ვად იცოდა, რადგან გოგონას ფეხები ოთახის ტემპერატურის წყალში ჩაადგმევინა და ნაზი დაზელვის პარალელურად, წყალი ნელ-ნელა შეათბო. ამ პროცედურის შემდეგ, უკვე შემშრალებულ ფეხებზე ბამბის ქსოვილის ნაჭრები შემოახვია და გასუფთავებული სტუმარი საწოლამდე თავის ფეხით მიიყვანა. ნინა ამაღლებულ, ფუმფულა ბალიშებზე მოწყვეტით მიესვენა. მოხუცმა თბილი საბანი კარგად შემოუკეცა აქეთ-იქიდან და, როდესაც მასში სიცოცხლის ნიშანწყალი გამოკვეთილად დაინახა, მიბრუნდა, ოთახის ერთ კუთხეში განთავსებული ხატების წინ თავი დახარა და პირჯვარი გამოისახა.

– მადლობა ჩემო უფალო, რომ ამ ანგელოზივით არსებას აქამდე მოსაღწევი ძალა მიეცი! ვინ იცის, რა გზა გამოიარა?! – ჩაილაპარაკა ქალმა და იქიდან სამზარეულო მაგიდასთან მივიდა, სადაც თბილ რძეში თაფლი აურია და გოგონას მიუტანა. – ნელ-ნელა მოსვი. ჭიქას მე დაგიჭერ, შენ მშვიდად და თავისუფლად იყავი. – უთხრა კეთილმა მოხუცმა და თმაზე ხელი გადაუსვა.

– გმადლობთ, ბებია... – აღმოხდა ნინას და თვალში ცრემლი მოადგა.

რძე ინტერვალებით დაალევინა ქალმა, რის შემდეგ, ჭიქა გვერდით მდგარ პატარა სამფეხა სკამზე გადადგა და საწოლზე გოგონას მიუჯდა.

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.– უთხრა მან და საბნის ზემოდან კიდევ ერთხელ გადაუსვა ხელი, რის შემდეგ, მალევე წამოდგა და სადილის სამზადისს შეუდგა.

გავიდა ორი საათი. ამ ხნის მანძილზე, ნინა თხუთმეტ-ოცწუთიანი ინტელვალებით თვლემდა და შფოთით იღვიძებდა. ქალი ამ ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა და ყოველი ასეთი გამოღვიძებისას მასთან მიდიოდა, დედაშვილურად უყვავებდა და ამშვიდებდა. ამ დროის გასვლის შემდეგ, როცა გოგონა კიდევ ერთხელ გაფხიზლდა და საწოლზე ინსტინქტურად წამოჯდა, მასპინძელი ქალბატონი უკვე მორჩენილი იყო საქმეს და მისკენ მიეშურებოდა. საწოლთან ღიმილიანი სახით მიეახლა ნინას და მზრუნველი კილოთი მიმართა:

– აბა, კიდევ ერთხელ დავხედოთ შენს ლამაზ ფეხებს, რომ

არაფერი გაგვეპაროს. – უთხრა და ფეხის თითების და კუნთების მოსინჯვის შემდეგ საუბარი გააგრძელა. – ყველაფერი კარგად არის. პირდაპირ საოცარია! ცხოვრების მანძილზე ძალიან ბევრი მინახავს ასეთ მდგომარეობაში, მეც მქონდა რამოდენიმეჯერ მსგავსი შემთხვევა, მაგრამ ასე სწრაფად ფეხების ჩაცხრობა არ მინახავს. ისე გამოიყურება, რომ თითქოს, რაღაც ორი საათის წინ დაჯირჯვლებული არ ყოფილიყოს. დიდება უფალო შენს სახელს, ეს რა სასწაული ვიხილე! – კიდევ ერთხელ გამოისახა მოხუცმა პირჯვარი. – ახლა ნამდვილად აღარ მიკვირს და მგონია, რომ შენს აქამდე მოსვლაში განგების ხელი ურევია, მაგრამ მაინც მოწიწებით მინდა, გკითხო: აქ საიდან მოხვედი? ახლო-მახლო სოფელი და რამე დასახლება არ არის. ქალაქი 150 კილომეტრშია. ჭაობიანი და ცუდი ადგილების გამო, სექტემბრიდან გზები რომ იკეტება, მაისამდე აქ არც არავინ მოდის და არც აქედან გადის ვინმე. ყველაფერს ვიმარაგებთ ზაფხულის სამ თვეში და ვზივართ მთელი ცხრა თვე ასე. რკინიგზა გადის აგერ, ჩვენთან ახლოს. იქამდე კილომეტრნახევარი იქნება დაახლოებით, მაგრამ რად გინდა, ცხენი იქ ვერ გადის და კაცი, ისეთი უღრანი და გაუვალია. ხუთ კილომეტრშია მატარებლის გაჩერება და ზაფხულში დავდივართ ქალაქში. იმ გზას არაუშავს, ამ ჭაობებს და ჭყანტობებს გაცილებს, მაგრამ იქაც კი შეუძლებელია ამ დროს გავლა. ამიტომ ახლა იქაც აღარავინ დადის და შენ საიდან მოხვედი შვილო?

ნინა იძულებული გახდა, ამ ღვთისნიერი ქალბატონისთვის მოეტყუებინა და თავისი აქ მოხვედრის ნამდვილი მიზეზი მისთვის დაემალა.

– ჩემო კეთილო ბებია, მე არავინ მყავს. საბავშვო სახლში გავიზარდე. არ ვიცი, ვინ არიან ჩემი მშობლები. ჩვენთან სკოლაში ერთი ბიჭი მუშაობდა. ჩემზე რვა წლით უფროსი იყო. მოტყუებით გამაუპატიურა და, რომ გაიგო, ფეხმძიმედ დავრჩი, მეუბნებოდა, ექიმთან წაგიყვან და ბავშვს მოგაცილებო. ისე გავაკეთებ, ვერავინ გაიგებსო. მე უარი ვუთხარი. არადა, თავიდან მპირდებოდა, ცოლად მიგიყვანო. ახლაც, სკოლიდან ამ დაპირებით გამომიტყუა და გზაში მითხრა, ჩემს მშობლებთან წაგიყვან, იქ დაგტოვებ და მერე ჩამოგაკითხავო. რამდენიმე

დღეა, მოვდივართ. მე ძალიან შემეშინდა, რომ ბავშვს დავკარგავდი და აღარ ვიცოდი, რა მექნა. მარტო ტუალეტშიც კი არ მიშვებდა. ბოლოს პირღებინება მქონდა და მარტო გამოვედი. როცა დავინახე, რომ ჩემი ბავშვის მამა ვიღაცამ გააჩერა და რაღაც ჰკითხა, მე დრო ვიხელთე და მატარებლიდან გადმოვხტი.

– ვაიმე, შვილო!.. – პირზე აიფარა მოხუცმა ხელი. – როგორ გადარჩი ცოცხალი? ან ბავშვი როგორ გადარჩა? სასწაულია პირდაპირ, სასწაული! – მხრებს იჩეჩავდა ქალი.

ბუნებრივია, მასპინძელმა ქალბატონმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ნინა ბერდიევა მატარებლიდან კი არა, ორსართულიანი სახლის სახურავიდან იარაღით აღჭურვილი ხტებოდა, ჰაერში რამდენიმე ბრუნს აკეთებდა და დაცემისთანავე გარბოდა. მან ის ჩვეულებრივი უმანკო ბავშვის სახით მიიღო და ნამდვილი მშობელივით უპატრონა ზაფხულის თვის დასაწყისამდე, სანამ ქალაქამდე ამ ამბავმა არ ჩააღწია და უშიშროების სამსახურმა ერთი კვირის ბავშვით ხელში არ წაიყვანა აქედან. მართალია, ვერავინ გაიგო, რისთვის მიჰყავდათ ნინა და ყველას ეგონა, რომ სკოლა ეძებდა, მაგრამ მასთან განშორებას მთელი სოფელი ტირილით გამოხატავდა. განსაკუთრებით მისი მასპინძელი ქალბატონი განიცდიდა, რომელსაც ნინამ ისე მოუწესრიგა სახლი და ეზო-ყურე და ისე უვლიდა ძროხებს, ღორებს და ფრინველებს, რომ გაოცებული იყო ყველა – ათი კაცი ვერ აუვა ამდენ საქმეს, ეს გოგო რომ აკეთებსო.

– ძალიან ნუ ინერვიულებ ბებია! მე აუცილებლად დავბრუნდები და გინახულებ! – უთხრა დამშვიდობებისას ნინამ, ცალ ხელში ათი დღის ანტონი დაიჭირა და მეორე ხელით მოხუცს გადაეხვია. სოფელს დაემშვიდობა და ეგრეთ წოდებულ „ენკავედეს“ მანქანაში ჩაჯდა.

1941 წლის 19 ივნისია. ნინა ბერდიევა მოსკოვის უშიშროების დროებით დაკავების იზოლატორის ერთ პატარა კამერაშია გამოკეტილი, სადაც ერთი რკინის საწოლის მეტი არაფერი დგას, რომელზეც რამდენიმე ფიცარია გადებული. ბავშვი წაართვეს და ის ამის გამო გაუჩერებლად ტირის. არ ჭამს საჭმელს და იქ შესულს არავის ელაპარაკება. 20 ივნისს მასთან შევიდა დაახლოებით 35 წლის მამაკაცი, რომლის სამხრეებიც გვამცნობდა, რომ ის პოლკოვნიკი იყო. მისი შესვლისთანავე, ნინა მისკენ გამოიჭრა, მიუახლოვდა და მცირეწლოვანი დედის ხმით შეჰღაღადა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, მე არ ვიცი, რით შეიძლება გამოვისყიდო ჩემი დანაშაული, მაგრამ გთხოვთ, დამიბრუნოთ ჩემი შვილი და ამის შემდეგ, ჩემი ქვეყნისთვის ნებისმიერ დავალებაზე წავალ!

პოლკოვნიკს ხმა არ ამოუღია, რამდენიმე წამით ჩახედა მხოლოდ პატარა დედას თვალებში.

22 ივნისს, გამთენიისას ომი დაიწყო. იმავე ღამეს ნინა ბერდიევა აიყვანეს ციხის უფროსის კაბინეტში, სადაც ის ადამიანი დახვდა, რომელმაც ორი დღის წინ კამერაში მოინახულა.

– ბერდიევა, როგორ გრძნობ თავს? – გამოსცრა მკაცრი სახის პოლკოვნიკმა.

– თუ არ დამიბრუნებთ ჩემს შვილს, მე სიკვდილისთვის მზად ვარ! ხოლო თუ დამიბრუნებთ ანტონს, მე უკვე გითხარით, რომ ათი კაცის დავალებას შევასრულებ! – თქვა ნინამ და თვალში ცრემლი მოადგა.

ახალგაზრდა კაცი წამოდგა. მასთან ახლოს მივიდა და თვალებში ჩახედა.

– მაშ, მზად ხარ სიკვდილისთვის?

– როცა ვიწრთვნებოდი, იქიდან ვიყავი მზად სიკვდილისთვის, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი სამშობლოსთვის უნდა მებრძოლა, მაგრამ ასეთ უაზრო სიკვდილზე არასოდეს მიფიქრია, ამხანაგო პოლკოვნიკო!

მამაკაცის ღიმილი მხოლოდ მის თვალებში გამოკრთა, რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ბერდიევას პასუხი მისთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

ერთი საათის შემდეგ, ნინა, უშიშროების სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსის კაბინეტში დავალებებს იღებდა, სადაც მიუყვანეს მძინარე ანტონი. მას ომის დაწყებამ უშველა. სხვა შემთხვევაში, ის აუცილებლად დაისჯებოდა. საბჭოთა უშიშროების რიგმა ხელმძღვანელმა პირებმა, ვისაც

ამ კუთხით ევალებოდა მუშაობა, გადაწყვიტეს, რომ ბერდიევა გაენთავისუფლებინათ და გადაესროლათ ერთ-ერთ რთულ უბანზე, სადაც გადიოდა გზა, რომლითაც შესაძლებელი იყო აზიიდან შემოსული "ბოევიკები" შეერთებოდნენ ჩრდილოკავკასიელ ამბოხებულებს. ბერდიევას მსგავსი ფიზიკური და გონებრივი მონაცემების მებრძოლი კი საბჭოთა კავშირს სულ თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდა. ამიტომ ის გამოსადეგად ჩათვალეს და დაავალეს:

ნინა ბავშვთან ერთად უნდა ჩასულიყო საქართველოში და დასახლებულიყო ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე იმ რაიონში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ის მთები, სადაც არსებობდა ჩრდილოკავკასიაში გადასასვლელი ბილიკები. მას მისცემდნენ ბინას და სამსახურს – კომკავშირის რაიკომში. მისი ნამდვილი ვინაობა ეცოდინებოდა მხოლოდ რეგიონალური უშიშროების უფროსს და საჭიროების შემთხვევაში თავად დაუკავშირდებოდა და დავალებასაც თვითონ გააცნობდა. აუყვანდნენ ბავშვის აღმზრდელს და იცხოვრებდა თავისთვის მშვიდად. მას გადაეცემოდა ტაბელური იარაღი „მაუზერის" სახით, ხოლო ბრძოლაში ჩაბმის შემთხვევაში, სპეცრაზმელის მთელი აღჭურვილობა.

ასეთი პირობით ჩავიდა ნინა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ პატარა ისტორიულ ქალაქში, სადაც ორიოდე საუკუნის წინ აშენებული მეფის სასახლის გვერდით დაიდო ბინა. მეზობლებიც კარგად შეხვდნენ და თანამშრომლებიც, რადგან ომი იყო და არავის უკვირდა უქმროდ დარჩენილი ბავშვიანი ქალი. ამგვარ თბილ ურთიერთობებში გაიარა ომის წლებმა და პატარა ანტონიც მოიზარდა. ამ ხნის მანძილზე ნინას რამდენჯერმე მოუხდა "ბოევიკების" წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა და ზოგ შემთხვევაში გარდამტეხი როლიც კი ითამაშა. მთელი უშიშროების მებრძოლები მასზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მას სახეზე ოპერატიული ხელმძღვანელის მეტი არავინ იცნობდა. ამ ბრძოლების ანგარიში სტალინის მაგიდაზე მოხვდა და ნინა ბერდიევამ მთავარსარდლისგან მიიღო ვრცელი მადლობის წერილი მედალთან ერთად, რითაც იოსებ ბესარიონის-ძე სიმამაცისთვის აჯილდოვებდა.

ნინამ ღრმად ამოისუნთქა და კარადის იმ უჯრას გახედა, რომელშიც ხსენებული წერილი და ჯილდო ინახებოდა, რის შესახებ, უშიშროების რამდენიმე მაღალი რანგის მოხელემ თუ იცოდა.

„ასე განვლე ცხოვრება, ალექს! – გაიფიქრა ნინამ. – აქამდე ისე მოვედი, რომ შენი სიყვარული მინათებდა ამ გზის ყოველ კუნჭულს. არ ყოფილა წუთი და წამი, რომ შენს სახეზე არ ყოფილიყო მომართული ჩემი გონების თვალი. შენ მოგიძღვენი ჩემი სიცოცხლე და შენს სახელზე გავზარდე ანტონი. შენს გამო გამოვიპარე სადაზვერვო სკოლიდან, რისთვისაც ნამდვილი ჯოჯოხეთი გავიარე. მე ჩემი ბავშვური გონებით ვიფიქრე, რომ ასე აგაცილებდი დასჯას. ამრიგად, ჩვენი აკრძალული სიყვარულის ტვირთი მხოლოდ მე ავიკიდე და კარიერის დასაწყისში ყველა სიმძიმე მოგხსენი. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ერთადერთი მართებული ნაბიჯი იყო ჩემგან, რადგან ანტონიც გადავარჩინე და შენს წარმატებულ ცხოვრებასაც შინაგანად ვგრძნობდი. ერთი დიდი ოცნება მქონდა ჩემი მთელი სიცოცხლის განმავლობაში–ოდესმე, ერთხელ მაინც შეგხვედროდი. და აი, ამდენი ხნის შემდეგ შენ დაგეგმე ანტონთან შეხვედრა, მაგრამ სრულებით არ გაგხსენებია ნინა. ის ნინა, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ დროს შენთვის თავი გაეწირა. – ქალმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლიანი თვალები გამოიმშრალა და ცივი მზერა მოატარა თავის საძინებელ ოთახს, სადაც წლების განმავლობაში ალექსიზე ფიქრში უამრავი ცრემლი ჰქონდა დაღვრილი. – გამოდის, რომ შენ არასოდეს გყვარებივარ და ჩემი შენდამი მოძღვნილი ცხოვრება ამაო ყოფილა თურმე. ოდესღაც შენი ბაგედან გამოსული სიტყვებიც ცრუ ყოფილა, რომელზეც ჩემი კარიერა გავცვალე და დღეს, იმ შესაძლებლობების მქონე ქალი, იმპერიის რომელიღაც ქვეყნის გადაკარგულ ქალაქში გარობოტებული ადამიანის სახით-ღა ვარსებობ. აფერუმ, შენს ვაჟკაცობას, როგორ დააფასე ეს ყველაფერი! – ნინა მაქსიმოვნამ შუბლი შეკრა და თავი დაიქნია. – გასაგებია, რას ემსახურება შენი ეს ნაბიჯი. შენ იფიქრე, რომ ანტონს ჩემს გარეშე უფრო ადვილად დაარწმუნებდი სადაზვერვო სამსახურის უპირატესობაში. აქ საინტერესო მხოლოდ

ერთი რამეა – ამას შენ აკეთებ, თუ დაგავალეს? რატომღაც მგონია, რომ ამ მასკარადის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ხარ, თორემ დაზვერვის მეძავს არ მიუგზავნიდით ჩემს შვილს. ამაში არ უნდა ვცდებოდე. მადლობა ღმერთს, რომ ამის შემოწმება შემიძლია. მე ვიზამ იმას, რომ ჯერ ჩემს ცხოვრებას გადავაფასებ, ხოლო მერე, ანტონსაც დავავიწყებ შენს სახელს და არ მოგცემ უფლებას, შვილი წამართვა.

ნინა წამოდგა, ცარიელი კონვერტი სავარძელზე მოისროლა და კარადასთან მივიდა. იქ მალევე მოძებნა ერთი პატარა სურათი და ანტონის ოთახისაკენ გაემართა. კარი რომ გამოაღო, ანტონი უკვე თვალებს იფშვნეტდა.

– გაიღვიძე, შვილო?

– კი, დედა. – საწოლზე წამოჯდა ანტონი.

– აბა, კარგად გამოფხიზლდი და ამ სურათს შეხედე. მართალია, ახალგაზრდობის ფოტოა, მაგრამ სახის ნაკვთებს დააკვირდი. – უთხრა ნინამ და შვილს სურათი გაუწოდა.

– ეს ვინ არის? – იკითხა ანტონმა, სანამ ფოტოს დახედავდა.

– შენ ვის ამსგავსებ? – კითხვა შეუბრუნა დედამ შვილს, რომელიც სიძველისაგან გაცრეცილ სურათს დიდი ინტერესით ჩაშტერებოდა.

– ამ კაცის სურათს შენთან რა უნდა? ეს ვადიმ გიორგევიჩია! ხომ არ ვცდები? – წამოიძახა ანტონმა და დედას მიაჩერდა.

ნინა მაქსიმოვნას სიმწრით გაეღიმა. შემდეგ შვილს ფოტოსურათი გამოართვა და თავის წინ მდგარ დაბალ მაგიდაზე დადო.

– არ ცდები, შვილო. ეს ის ვადიმ გიორგევიჩია, რომელიც შენ ამ სახელით გაგეცნო, მაგრამ სინამდვილეში... – პატარა პაუზა გააკეთა ნინამ და ანტონის ინტერესით გადიდებულ თვალებს კიდევ ერთხელ დააკვირდა. რა ჟამს კვლავ დარწმუნდა, რომ მისი ეს ნაბიჯი გამართლებული იყო შვილის უსაფრთხოების მიზნით, საუბარი განაგრძო: – ვადიმ გიორგევიჩი, იგივე ალექს სავიჩევია, მამაშენი.

ბიჭს გაოცებისაგან რაღაცის სათქმელად ამოძრავებული ენა დაება და ისღა მოახერხა, რომ ფეხზე წამოიჭრა, მჯდომარე

დედას ოდნავ წინ გადახრილი თავს წამოადგა და საკმაოდ მაღალ ხმაზე ჰკითხა:

– ესეიგი, შენ გინდა თქვა, რომ ვადიმ გიორგევიჩი მამაჩემია?

– ვადიმ გიორგევიჩი არა, ალექს სავიჩევი.– მშვიდად მიუგო ნინამ.

– კი, ის კაცი, ვინც მე ფული გამომატანა, იმაზე გეუბნები! – ხმის ტონი არ შეუცვლია ანტონს.

– სამწუხაროდ, ის არის მამაშენი, რომელმაც ცუდ სპექტაკლში მთავარი როლი შეასრულა და ის მეძავი იმიტომ მოგიყვანა, რომ იმაზე გადართულიყავი და უცნაურად არ მოგჩვენებოდა მისი მოქმედებები. ამას მთლიანად ვერ ვირწმუნებდი, სურათის წამოსაღებად ციმბირის ერთ მიყრუებულ სოფელში მეორედ რომ არ ჩავსულიყავი. – თქვა გაშმაგებულმა ნინამ და ისიც წამოდგა.

კატიაზე თქმული სიტყვა – მეძავი, ანტონის უკვე მოშლილ გონებას ისეთი ძალით დაეჯახა, რომ ნამდვილი აფეთქება გამოიწვია მასში. მისმა აზროვნებამ აქ დაკარგა მიმართულება, მაგრამ სანამ ეს სიბრაზე ვულკანივით ამოიფრქვეოდა და მოქმედებაში ჰპოვებდა გზას, მანამდე ამუშავდა დედა-შვილურ გრძნობაზე მიბმული ინსტინქტი, რომელმაც უმტკივნეულოდ შეაცვლევინა გეზი ალექს სავიჩევისკენ. მან დედას ვერ შეჰკადრა და მისთვის უცხო ქალის გამო ვერ შეედავა. სამაგიეროდ, გამწარებული დააცხრა მამის მის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას.

– მთელი ბავშვობა ისე გავატარე, ვიცოდი, რომ მამა არ მყავდა. სამშობლოსთვის თავგანწირული მშობლის შვილობა გულში მეამაყებოდა და მისი სახელი ჩემთვის მისაბაძი იყო. სწორედ ამ ნიშნით ვხვდებოდი ხშირად ადამიანების ყურადღების ცენტრში, რაც გარკვეულ უხერხულობასაც მიქმნიდა ხოლმე ზოგჯერ. ახლა კი გამოდის, რომ ხელოვნურად შექმნილი იმიჯით ვიწონებდი თურმე თავს. – ოთახში მოსიარულე ანტონი შეჩერდა და მასზე მიჩერებულ დედას შეხედა. – შენ რას მეტყვი, ისევ ასე გავაგრძელო ცხოვრება? – ჰკითხა ნახევრად ირონიული ტონით მშობელს და მის პასუხს დაელოდა.

– ეს ამბავი არც არავინ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს ვინმე. – მშვიდად მიუგო ნინამ, რომელიც საკუთარი მეხსიერების საცავიდან რიგ-რიგობით ამოსული თავისი გარდასული ცხოვრების ეპიზოდების იგნორირებას ამაოდ ცდილობდა, რაც, თავისთავად, ხელს უშლიდა მის წინაშე წამოჭრილი საკითხების სწორად განსაზღვრაში.

– რას ჰქვია, არავინ იცის და ვერავინ გაიგებს?! მე ხომ ვიცი, დედა?! ეს არაფერს ნიშნავს?! – თითქმის შეჰყვირა ანტონმა, რის შემდეგ, წამში მიხვდა, რომ დედას ასე არ უნდა მოქცეოდა. მან თავი დაღუნა, ოთახში სიარული გააგრძელა და შედარებით დაბალ ხმაზე განაგრძო, ოღონდ ემოციის თანხლებით. – მამა, რომელიც სურათითაც კი არასოდეს მინახავს და როგორც მიცვალებულს ისე ვიხსენებდი, თვრამეტი წლის ასაკში შემხვდა, არ გამიმხილა, რომ მე მისი შვილი ვიყავი და მეტიც, სადღაც, აქუჩებულ მიწა-ყრილთან თავისი შესანდობარი დამალევინა. მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, ანდა ნორმალურია თუ არა მისი ქმედება. იქნებ ჩემი გონება ვერ სწვდება ცხოვრების ამ კანონზომიერებას და ეს ყველაფერი ასე უნდა იყოს?! – თითქოს თავის თავს შეეკითხა ანტონი და ფანჯრიდან მოწმენდილ ზეცას გახედა. – და, თუ ეს კანონზომიერია, რატომ ხდება ის მხოლოდ ჩემს თავს?

ალბათ, კიდევ გააგრძელებდა ასეთი კითხვების დასმას, რომ არა ნინა, რომელიც მას მიუახლოვდა და მხარზე ხელი მოხვია.

– შვილო, ანტონ! ძლიერთა ხვედრი მძიმეა, ხოლო ბედი – მწარე. ცხოვრება ასეთ ტვირთს მხოლოდ იმ ადამიანებს აკუთვნებს, ვისაც მისი აწევა ძალუძს.

– მესმის შენი პათოსი, დედა. – შემობრუნდა ანტონი. – ცდილობ დამარწმუნო, რომ ეს ყველაფერი ცოტა რბილ ფორმებში აღვიქვა, მაგრამ როგორ?! მე ხომ ისეთ შემთხვევასთან მაქვს საქმე, რომელიც დავიწყებას არასოდეს მიეცემა?! ისიც მესმის, რომ ჩვენ, აქ, ახლა მამაჩემის ნამოქმედარის ჭეშმარიტ მიზანს ვერ ამოვხსნით. ამიტომ აღარ მინდა ამაზე საუბარი. ვფიქრობ, რომ დრო გამცემს პასუხს. – თქვა საკუთარ ბედზე გამწყრალმა ანტონმა და კვლავ ფანჯრისკენ იბრუნა პირი.

ნინა მაქსიმოვნა აქ შეტორტმანდა. ის მიხვდა, რომ ანტონის აზროვნება ისეთი მიმართულებით არ წავიდა, როგორც მოელოდა. მას რატომღაც ეგონა, რომ შვილი მამის მოქმედების გაკიცხვას გააგრძელებდა და ამ კუთხით წარიმართებოდა მათი მსჯელობა, რის შემდგომ, ნელ-ნელა ჩაიჭრებოდა მამისა და შვილს შორის სახელდახელოდ გაბმული ძაფი. ანტონის ბოლო სიტყვებმა კი, გენეტიკური კოდის სახით წარმოჩენილ იმ უხილავ ბარიერზე მიანიშნა, რომლის დაძლევისთვისაც თვრამეტწლიანი დედა-შვილური ურთიერთობა ნამდვილად არ კმაროდა. ამიტომ მან თავის გონებაში უსწრაფესად აამოქმედა სათადარიგო გეგმა და ალექს სავიჩევზე ირიბი დარტყმის განხორციელებას შეუდგა.

– ანტონ, ერთი რამ მაინტერესებს. – მიმართა დედამ შვილს, რომლის გამჭოლ მზერაშიც ძალიან ძნელად შეიმჩნეოდა უმცირესი დოზით წარმოდგენილი ირონია.– ასეთი ღრმად მოაზროვნე გონებით და ასეთი ძვირფასი უნარებით შემკული, როგორ გაგაბრუა იმ ქალბატონმა, რომ შენთვის აბსოლუტურად უცხო გარემოში არ დაუკვირდი ვადიმ გიორგევიჩად წოდებულ მამაშენის მოქმედებებს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თვალშისაცემი იქნებოდა?

დროის იმ მონაკვეთში, სანამ ნინა სათადარიგო გეგმით მოქმედებას დაიწყებდა და ანტონის გონებაში იმ სადაზვერვო ჯგუფის განადგურების მიზნით პირველ კითხვას დასვამდა, მანამდე ანტონს კატიას გამართლება იმ ეპიზოდში უკვე მოესწრო, როცა მან მამის შესახებ დაუმალა, რადგან ეს რომ გაემხილა, შეუძლებელი იქნებოდა ამის დაფარვა მისი მხრიდან.

– ქალბატონი არ არის, დედა! – ნაძალადევი სიმშვიდით მიუგო ბიჭმა, დედისკენ შემობრუნდა და თვალებში შეხედა. – ის 22 წლის გოგონაა! ეს ერთი, და მეორე: საინტერესო ის კი არ არის, რომ მე თუნდაც მისი უცნაური მოქმედების შედეგად მშობელი ვერ ამოვიცანი, ვისი სახეც არასოდეს მინახავს, საინტერესო უფრო ის არის–რა იცი შენ მამაჩემის შესახებ? ვინ არის და რა პროფესიისაა იგი? ამის თაობაზე შენ ჩემთვის არასოდეს გითქვამს და ახლა მინდა გკითხო: რას წარმოადგენს ალექს სავიჩევი?

ნინა ბერდიევა საუბრის ასეთ გაგრძელებას ნამდვილად არ ელოდა, მით უმეტეს, ასეთ კითხვას, რომელმაც თითქოს წამიერად გამოთიშა, მაგრამ სწრაფად მოეგო გონს, შვილის სახეს კარგად დააკვირდა და უცბად გაიაზრა ის, რომ ანტონს არანაირი გზით არ შეიძლებოდა სცოდნოდა მამის პროფესიის შესახებ. ამიტომ, კითხვაზე საკმაოდ მშვიდად უპასუხა:

– როცა მე მასთან ურთიერთობა მქონდა, ის ჯერ სწავლობდა და საიდან უნდა ვიცოდე, რა გზა აირჩია?!

– კარგი, შესაძლებელია, ეს არ იცი, მაგრამ იმაში რა გიშლიდა ხელს, თვრამეტი წლის ასაკში, ჯარში წასვლამდე მაინც გეჩვენებინა მამაჩემის სურათი?! როგორ, თუ ახლა, ამდენი ალიაქოთის შემდეგ გამოიღე ეგ დამალული ფოტო, ამის ქმნა ორი თვის წინ არ შეგეძლო?! თუ, ეს ამბავი უნდა მომხდარიყო, რომ მშობელი მამის სახის ნახვა შემძლებოდა?!

ნინას მთლიანად გადაეკეტა აზროვნება, რის გამოც საშინელმა შინაგანმა კანკალმა აიტანა. მისი ასეთი უცნაური გამოთიშვით ისარგებლა ანტონმა და ორივე მშობლის მიმართ ულმობელი დასკვნა რიხიანი ხმით წარმოთქვა:

– ცხოვრებაში ალბათ ერთხელ შემხვდა მამაჩემი, კაცად არ მცნო და არ გამიმხილა, რომ მე მისი შვილი ვიყავი. შენ კი, თვრამეტი წელია მიყურებ და, არც შენ გიცვნივარ სრულყოფილ ადამიანად, რადგან ელემენტარული, ჩემთვის საინტერესო რამ დამიმალე. სამაგიეროდ, არსებობენ სხვები, რომლებსაც შეუძლიათ ჩემი სწორად შეფასება.

ანტონმა სკამზე მიფენილ თხელ ქურთუკს ხელი წამოავლო, ერთხელ კიდევ შეხედა ოთახში ძეგლივით გაშეშებულ დედას, რომელსაც ცრემლით ამოვსებული თვალები ერთ წერტილზე გაშტერებოდა და გარეთ გავარდა.

დარჩა ნინა ოთახში მარტო, რომელიც კარის გაჯახუნების ხმაზე-ღა გამოერკვა. ის ნელ-ნელა, ფეხისათრევით მივიდა სავარძლამდე, რომელზეც მოწყვეტით მიეგდო და ქვითინი აუვარდა. პირველად ტიროდა ნინა ასე მოთქმით და პირველად არ ჰქონდა სრულად გასიგრძეგანებული, თუ რა ხდებოდა მის თავს. ის ყოველთვის ზედმიწევნით აკონტროლებდა საკუთარი ცხოვრების გარშემო ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. მის

გონებაში ერთი მისხალითაც კი არასოდეს აწეულა ნერვული ტემპერატურა, რადგან მისი მუდმივი თანამგზავრის ფუნქცია მისსავე პრაგმატულ აზროვნებას ჰქონდა აღებული.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნინამ ქვითინი შეწყვიტა და ცრემლიანი თვალები საბოლოოდ შეიმშრალა. ოთახში სიჩუმე გამეფდა, რომელსაც უწინდელივით დამამშვიდებელი ეფექტი აღარ მოუტანია მისთვის. ოდესღაც სწორედ ასეთ სიმყუდროვეში ეძებდა ცხოვრებისეული ლაბირინთებიდან გამოსავალ გზებს და ასეთ განმარტოებას მოჰქონდა მისთვის შვება, რადგან რაიმე რთული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მისი ფიქრები, თავის ოცნებაში წარმოდგენილი ბედნიერების ბილიკებს უჩუმრად მიუყვებოდა ხოლმე. მსგავს სიტუაციაში, ოთახში, შუქჩამქრალში მჯდომს, მომღიმარ სახეზე, ხან ღამეც კი დასთენებია, მაგრამ მაინც კმაყოფილი წამომდგარა იმ მიზნით, რომ ეს ოცნება, რაიმე ფორმით, აუცილებლად აცხადებოდა ოდესმე. დიახ, მასაც ჰქონდა თავისი შეხედულება ბედნიერ ცხოვრებაზე, რაც თვისობრივად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა წესს და, რასაც ვერავის უმხელდა, რადგან საკუთარი მდგომარეობა ყოველ წამს მიანიშნებდა, რომ მის წინაშე ყველა ადამიანი პოტენციური გამცემი იყო. ასეთ ვითარებაში, როცა ყველაფერს გულში იმარხავ და ერთი მესაიდუმლეც კი არ გყავს – დრო და დრო მაინც რომ განიმუხტო გონება, ამხელა სიმძიმის ტარება აუცილებლად გადაგღლის და რაღაც მომენტში აზროვნება ჩვეული პრინციპით ვეღარ მოგემსახურება, რაც ნაადრევი სიბერის უტყუარი ნიშანია. ძალიან ძნელია, ეს ყველაფერი დაუკავშირო სავარძელში მჯდარ იმ ქალბატონს, რომელიც თუნდაც თავისი გარეგნული მონაცემებით კლდეში გამოკვეთილ საომრად შემართულ მებრძოლს მოგაგონებთ. მის გამჭოლ მზერას თუ შეხედავთ, რომლისთვისაც თითქმის შეუძლებელია თვალის გასწორება, მეტადრე რთული იქნება მასში ნაადრევი სიბერის ნიშნების პოვნა. არადა ფაქტია, რომ 35 წლის ნინა ბერდიევა დამარცხდა. მისი შეუპოვარი სახის გამომეტყველება ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იცვლება და მარცხის აღიარების იერის მისაღებად მიმიკების მტკივნეულ ცვლილებას იძულებით ეგუება. მან მთლიანად დაკარგა ფიქრის უნა-

რი. მის მეხსიერებაში უეცრად გაქრა წლებით ნაოცნებარი და გონებაში ლამაზად წარმოდგენილი მომავალი, რომელიც ისედაც ძალზე მოკრძალებულად გამოიყურებოდა: ის მთელი ცხოვრება ელოდა თავის პირველ და უკანასკნელ სიყვარულს – ალექს სავიჩევს და არ იყო დღე, რომ ნინას ცოტა ხნით მაინც არ ეპოვნა დრო, რომელსაც სიამოვნებით უძღვნიდა ამაზე ოცნებას; მეორე, ეს იყო ანტონი, რომლის ბედის განსაზღვრას თავად ცდილობდა და სურდა, რომ რასაც თვითონ ვერ ეზიარა – ნაკლებად დამოკიდებულ და მშვიდ ცხოვრებას, მისთვის შეექმნა, რამეთუ ის იყო ერთადერთი მოკიაფე ვარსკვლავი, რომელიც მის აზროვნებას გზას უნათებდა.

წარმოვიდგინოთ ამ ყველაფერზე ფიქრი, რომელსაც ემატებოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების დროულად გადაწყვეტა და პლუს ამას, მიგზავნილი და ჩასაფრებული ადამიანების გაშიფვრა, ერთი ადამიანისთვის, თანაც მარტოსულისთვის, ძალიან მძიმეა. ნინა ბერდიევა, თავისი მონაცემებით, მართალია, საგრძნობლად უსწრებდა იმ საზოგადოებას, რომელშიც ის ცხოვრობდა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ისიც ჩვეულებრივი მოკვდავია და არ არის მანქანა. მიუხედავად ყველაფერ ამისა, ის მაინც დიდ ხანს გაართმევდა თავს ასეთ რეჟიმს, რომ არა ალექსის ამ ფორმით გამოჩენა. ამან დააბნია ნინა და წლებით ნაშენები ოცნების კოშკი, ერთი ხელის მოსმით დაუნგრია გონებაში. ამ ურთულეს დარტყმას გადაიტანდა და კიდევ დაუბრუნდებოდა ჩვეულებრივ აზროვნებას, მეორე ოცნების ციტადელს რომ არ შეხებოდა დაზვერვის ეს უცნაურუ მოქმედება, რაშიც ერთადერთი გვერდით მყოფი საყვარელი ადამიანის, შვილის დაკარგვის საფრთხე იგრძნო. სწორედ აქ უმტყუნა ნინას დაქანცულმა გონებამ, რომელმაც, თავისდაუნებურად, საკუთარ წიაღში გაბატონებული დიადი აზროვნება, დედური ინსტინქტით ჩაანაცვლა. ამის შემდეგ, როცა ანტონმა კატიას მიმართ დამოკიდებულება გამოამჟღავნა, ნინას, თავისი სიყვარულიდან გამომდინარე რომ ეფიქრა და ამოეცნო შვილის გრძნობა, კიდევ რჩებოდა შანსი შეცდომის თავიდან აცილებისა, მაგრამ, როგორც ჩანს, დედურმა ინსტინქტმა ვერ იტვირთა აზროვნების ფუნქცია და ბერდიევას სულში

მანამდე განუცდელმა პროფესიული შურის გრძნობამ ადვილად შეაღწია, რამაც ნინას გონების საბოლოო პარალიზება გამოიწვია. დიახ, ეს იყო ბოლო წერტილი, რადგან მან იფიქრა, რომ დაზვერვამ სწორედ ამ ქალის საშუალებით იმოქმედა ანტონზე.

ვნახოთ, რამდენად იქონიებს გავლენას ეს შეცდომა დედა-შვილის მომავალ ცხოვრებაზე.

გავიდა სამი დღე. ამ ხნის განმავლობაში ანტონი არც გამოჩენილა და არც შეუტყობინებია დედისთვის, თუ სად იმყოფებოდა. იმ ზედაპირული ფიქრით, რომ მეგობრებში გაერთობოდა და დარდს გაიქარვებდა, არც ნინას მოუძებნია შვილი. ორი ღამე ისე გათენდა, რომ ბერდიევა დასაძინებლად არ დაწოლილა. მან თითქმის ფეხზე გაატარა ეს დრო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ, როცა ძილი ძალიან მოერეოდა, პატარ-პატარა ინტერვალებით თვლემდა სავარძელში. ის აღარაფერს ფიქრობდა, რადგან არაფრის განსჯის უნარი აღარ ჰქონდა. აღარც ანტონის სახლში დაბრუნების მოლოდინი აწუხებდა. უბრალოდ იჯდა და საკუთარ ბედს დასტიროდა.

ასეთ ვითარებაში დაღამდა მესამე დღე. გვიან საღამოს ანტონი დაბრუნდა. მას კარებში უილაჯოთ შეეგება დედა და უგონოთ მთვრალი საწოლამდე ძლივს მიიყვანა. მათ შორის არავითარი დიალოგი არ გამართულა. მხოლოდ ერთხელ, ნახევრად ირონიული ტონით ამოილუღლუღა ანტონმა – მაპატიე, ნინა მაქსიმოვნა, რომ ჩემი ადგილსამყოფელი ვერ შეგატყობინეო. შემდეგ საწოლში კედლისკენ იბრუნა პირი და მალევე ჩაეძინა.

იმ ღამემაც ისე ჩაიარა ნინასთვის, როგორც წინა ორმა დღემ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა მარტო მთვრალი ანტონი ჰყავდა გონებაში წარმოდგენილი. მას თავისი შვილი ასეთი არასოდეს უნახავს და ამაზე ფიქრმა ცოტა გამოაფხიზლა დედის გონება. თითქოს რაღაც შიშმაც აიტანა მისი გული, რადგან მას სიმთვრალე და სასმელი პრობლემების გადაჭრის გზად არასოდეს მიაჩნდა. ნინა უფრო პირიქით ფიქრობდა და სწორედ ეს იყო მისი შიშის საფუძველი.

დილის ხუთი საათი სრულდებოდა. სავარძელში ფეხმორთხმით მჯდარი ნინა ბერდიევა გონებაში უკანასკნელად სჯიდა იმ

მკაცრ ფორმას, რომლითაც ანტონი უნდა შეეჩვენებინა გაღვიძების და გამოფხიზლებისთანავე, რომ ამ დროს, სადარბაზოს პირველი სართულიდან მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა. ეჭვი არ იყო, რომ რამდენიმე ჩექმიანი ადამიანი სადარბაზოს კიბეს მაღლა მოუყვებოდა. ნინა ინსტინქტურად წამოხტა, ხალათი შეისწორა და მთელი ყურადღება ამ ხმისკენ გადაიტანა. მისი გული გამალებით ფეთქავდა და წამი-წამზე ელოდა კარზე ისეთ ბრახუნს, რომლის „უფლებაც“ მხოლოდ უშიშროების და პოლიციის ორგანოებს ჰქონდათ. ეს ვარაუდი გამართლდა, ფეხის ხმა მათ კართან შეწყდა, რასაც მოჰყვა ის ავისმომასწავებელი ბრახუნი.

– გამარჯობა, ნინა მაქსიმოვნა! – კარის გამოხსნისთანავე სერიოზული სახით თავი დაუკრა ოთხი მამაკაციდან ერთმა. – ანტონთან გვაქვს საქმე და თუ შეიძლება, შემოგვიშვით! – თქვა და ისე გადააბიჯა კარის ზღურბლს, რომ მასპინძლის მიპატიჟებას არ დალოდებია. – საით არის ბიჭი? – იკითხა ისევ მან.

ნინამ ანტონის ოთახის კარი თავად შეხსნა და პირველიც თვითონ შევიდა. ანტონი საწოლში იდაყვზე წამოწოლილიყო და მეორე ხელით თვალებს იფშვნეტდა.

– ანტონ სავიჩევ, ჩაიცვით და გამოგვყევით! – მიმართა მაიორის ფორმაში გამოწყობილმა „ჩეკისტმა“.

– რა მოხდა? – იკითხა ნინა ბერდიევამ, რომელმაც ჯერ მაიორს შეხედა და შემდეგ ანტონზე გადაიტანა მზერა.

– ნინა მაქსიმოვნა, ალბათ არის რაღაც გასარკვევი, მე არაფერი ვიცი. – მოკლედ მოუჭრა მაიორმა და კედელთან მდგარი, გაჭიმულ ფორმაში დაელოდა ანტონის ჩაცმას.

– შენც ვერაფერს მეტყვი, შვილო? – უთხრა ალერსიანი ხმით ნინამ.

საწოლზე ჩამომჯდარმა ანტონმა, რომელიც უკვე ფეხსაცმელებს იკრავდა, დედას ახედა. მის თვალებში ძალიან დიდი სევდა იყო. შემდეგ ნელი მოძრაობით თავი დახარა და თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ვერაფერს გეტყვი, არაფერი ვიცი.

ანტონი სახლიდან გაიყვანეს. ნინამ ლაბადა მოისხა და მათ უკან მიჰყვა. სანამ მის შვილს სამხედრო “ვილისში” ჩასვამდნენ, დედამ მიაძახა:

– ნუ გეშინია, ანტონ! ალბათ რაღაც გაუგებრობაა! ყველაფერს გავარკვევ! გამხნევდი!

ანტონს თითქოს არც გაუგია დედის ხმა, დასაკლავად გამზადებული ცხვარივით მიჰყვებოდა უშიშროების თანამშრომლებს, რომელთა მოთხოვნაც უსიტყვოდ შეასრულა და თავდაღუნული შევიდა მანქანაში.

ერთი საათის შემდეგ ნინა ბერდიევამ შეიტყო, რომ მისი შვილი დედაქალაქში გადაიყვანეს, რომლის კვალსაც მაშინვე დაადგა.

თბილისი. უშიშროების მთავარი სამმართველოს შენობა. მის უზარმაზარ ჭიშკართან მდგარი რამდენიმე უტყვადქცეული გუშაგი და შიგნით ძნელად შესაღწევი გზა. აი, რა დახვდა ნინას დედაქალაქში, სადაც რამდენიმედღიანი მისვლა-მოსვლების მერე, ძლივს გაარკვია, რომ ანტონი მოსკოვში გადაიყვანეს. ამ ინფორმაციამ, რომელიც მეხივით დაატყდა თავს, ყველაზე ძლიერ შეატორტმანა მისი ფოლადივით ნაწრთობი სხეული, მაგრამ უმალ მოეგო გონს და კბილებიდან გამოსცრა:

– მოსკოვი...

* * *

ორდღენახევრიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, მატარებელი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩავიდა. ანტონმა პატიმრებისთვის განკუთვნილი ვაგონით იმგზავრა, სადაც ერთ ძალიან პატარა ოთახში იყო ჩაკეტილი. როგორც პატიმარი, ისე გაჰყავდათ დანიშნულ დროს ტუალეტში და საჭმელსაც კარზე დატანებული სარკმელის მეშვეობით აწვდიდნენ. ის გამუდმებით ფიქრობდა, მაგრამ დასკვნებს ჯერ არ აკეთებდა, რადგან სურდა, ბოლომდე გაეგო, რა ხდებოდა საერთოდ მის გარშემო.

მატარებელი მანქანამ შეცვალა და ღამის პირველ საათზე ანტონი იმ სამხედრო ნაწილში მიიყვანეს, სადაც მან, დაახლოებით ერთი თვის წინ ფიცი მიიღო. ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, ორმა დაბალი ჩინის ოფიცერმა, ერთ-ერთ ოთახში მჯდომ ვიცე-პოლკოვნიკს, სამხედრო მისალმების შემდეგ ანტონ სავიჩევი წარუდგინა. მცირეოდენი საბუთების გაფორმების დამთავრებისთანავე, რომელიც ჯარისკაცის ნაწილში დაბრუნების ფაქტს ადასტურებდა, კომენდატურის

ოფიცრები წავიდნენ. ოთახში დარჩნენ მხრებშიაბუზული და თავჩაქინდრული ახალწვეული და პოლკის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, რომელმაც ფურცლები უჯრაში შეინახა და ფეხზე წამოიჭრა.

– ჯარისკაცო სწორდი! სმენა! – დაიღრიალა და თავისი მაგიდის გვერდით დადგა.

დაქანცული ანტონი ძლივს, მაგრამ სწრაფად გასწორდა წელში და თავი მაღლა ასწია.

– რიგითო სავიჩევ! მიმართა მკაცრი ტონით ვიცე-პოლკოვნიკმა. – აქედან რომ გახვალ, მოგცემენ სამხედრო ფორმას და მიგაცილებენ შენთვის განკუთვნილ საწოლამდე. შენ ორი კვირის განმავლობაში იყავი აქ და შესანიშნავად იცი დღის რეჟიმიც და წესებიც. მინდა შეგახსენო, რომ ბრძანებებს დაემორჩილები უსიტყვოდ და არ დასვამ კითხვებს. რაიმე წესის დარღვევის შემთხვევაში, დაისჯები შესაბამისი ფორმით. კარგად დაიმახსოვრე ჩემი ბოლო სიტყვა – კითხვებს არ დასვამ და დაემორჩილები ბრძანებებს. გასაგებია?

– გასაგებია, ამხანაგო ვიცე-პოლკოვნიკო! – მიუგო ძალამოკრებილმა ანტონმა.

– თავისუფალი ხარ! – ჩაილაპარაკა პოლკის უფროსის მოადგილემ, მაგიდაზე ღილაკს დააწვა და ჩასძახა: – გაიყვანეთ! – რის შემდეგაც ოთახის კარი ფართოდ შემოხსნა ერთმა კაპიტანმა და ხელის მოძრაობით ახალწვეულს ანიშნა, რომ მას გაჰყოლოდა. კორიდორში მიმავალ ჯარისკაცს ანაზდეულად გაექცა თვალი ერთ-ერთი კაბინეტის კარის გვერდით მიკრული ტრაფარეტისკენ, რომელზეც ეწერა: პოლკის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, პოლკოვნიკი ალექსადრე ივანეს ძე ვოლკოვი.

დასრულდა ტანჯვის სამდღიანი გზა და როცა სავიჩევი, ისე თუ ასე, ნორმალურ საწოლში ჩაწვა, შვება მაშინ-ღა იგრძნო. მიუხედავად ასეთი დაღლილობისა, გრძნობდა, რომ მალე ვერ შეძლებდა დაძინებას, რადგან საფიქრალი ჰქონდა დიდი და ის არ მისცემდა ამის საშუალებას. ყაზარმაში ჯარისკაცებს ეძინათ. შემოსასვლელ კუთხეში, მაგიდასთან მორიგე სერჟანტი იჯდა და მკრთალი აბაჟურის შუქზე რაღაცას კითხულობდა.

ანტონს კი თავქვეშ ხელები ამოედო, ჭერისთვის მიეპყრო მზერა და ფიქრს მისცემოდა. არავითარი აზრი, არავითარი მინიშნება მის თავში არ შემოდიოდა და პატარ-პატარა, უაზრო ვერსიებზე ჩაბღაუჭებული გამუდმებით ერთ წრეზე ტრიალებდა, რაც, საბოლოო ჯამში, ბურანში ახვევდა მის ისედაც გადაღლილ გონებას. ეს კი უკვე ის ლაბირინთი იყო, რომლისგან თავის დაღწევაც, გარეშე ფაქტორების დაუხმარებლად პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთად დაველოდოთ დილას და ხსენებულ გარეშე ფაქტორებს. ვნახოთ, უფრო გაართულებს ამ ცხოვრებისეულ ლაბირინთს თუ პირიქით?

მკვდარივით ჩაძინებულ ანტონს დილის 6 საათზე ყაზარმაში შემოსული ოფიცრის გამყივანი ხმა ჩაესმა:

– ადექით!

ამ შეძახილს ჯარისკაცების ხმაურიანი ფაცი-ფუცი მოჰყვა, რომელიც ორი წუთის შემდეგ ტანსზევით შიშველი ბიჭების ყაზარმიდან გარეთ გავარდნისთანავე მიწყნარდა. მათ შორის იყო ანტონიც, რომელსაც მათგან განსხვავებით, დილის ვარჯიშების შესრულებისას მონდომება არ ემჩნეოდა. ოფიცერმა მას ამისათვის შენიშნვა მისცა და ისიც იძულებული შეიქნა, დაშრეტილ სხეულში ძალები კიდევ მოეძებნა.

ერთი საათის შემდეგ ვარჯიში დამთავრდა და ოცდაათკაციანი ჯგუფი, სადაც სავიჩევი ირიცხებოდა, თავიანთი უშუალო უფროსის, ლეიტენანტ გაგარინის წინამძღოლობით პირსაბანისკენ დაიძრა. ანტონმა სცადა, გამოლაპარაკებოდა იმ ბიჭებს, რომლებიც აქ ჩამოსვლის პირველივე დღეს გაიცნო, მაგრამ არცერთმა მას ხმა არ გასცა. ანტონი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ ჩათვალა, რომ შეიძლება მისთვის უცნობ შინაგანაწესთან ჰქონდა საქმე, რომელსაც ჯერ თავად არ იცნობდა. როდესაც პირსაბანში შევიდნენ და ჯარისკაცებმა ერთმანეთთან ლაპარაკი გააბეს, მან კიდევ ერთხელ სცადა ძველ ნაცნობებთან გამომცნაურება, მაგრამ კვლავ არავინ გასცა ხმა. მეტიც, ისე იბრუნეს ჯარისკაცებმა მისგან პირი და ისე უჩვენეს მას ზურგი, რომ თითქოს ის იქ საერთოდ არ არსებობდა. ეს კი უკვე გაუგებარი აღმოჩნდა ანტონ სავიჩევისთვის და ცოტა ხნით სიჩუმისა და დაკვირვების რეჟიმზე გადაიყვანა საკუთარი

თავი. სპეცდანიშნულების პოლკის წევრები მოწესრიგდნენ და საუზმეზე წასასვლელად გაემზადნენ. სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი ჯგუფ-ჯგუფად დამდგარიყვნენ და მუსაიფობდნენ. ზოგი თავის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს იხსენებდა, ზოგი ანეგდოტს ყვებოდა და ასე ამხიარულებდა თავის თანაპოლკელებს, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ვერცერთი მათგანი „ვერ ამჩნევდა“ იმ უკანმიბრუნებულ ახალწვეულს, რომელთანაც ორი კვირის მანძილზე ისეთივე ურთიერთობა ჰქონდათ, როგორც ახლა ერთმანეთთან.

„ეს ყოველივე რას ნიშნავს?“ – ჰკითხა საკუთარ თავს, მაგრამ ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო. ცოტა ხანში მის გონებაში წარმოიშვა ასეთი კითხვა: „რა ხდება?“ – ეს ორი სიტყვა პერიოდულად, ძალიან პატარა ინტერვალებით, მუდმივად თავს შეახსენებს ანტონს და მალე ქრონიკული სენივით მოედება მის აზროვნებას. ამ გაურკვეველ მდგომარეობას და მისგან ნაშობ ამ უპასუხო კითხვას ჰქვია საბჭოთა უშიშროების ფსიქოლოგიური იარაღი, რომელსაც კომუნისტური სისტემა წარმატებით იყენებდა დაუმორჩილებელი ინტელექტუალების წინააღმდეგ. დასჯის ეს ფორმა, თითქმის ყველა შემთხვევაში იწვევდა ადამიანის გონებრივი დეგრადაციის პროცესის დაწყებას, რაც ეტაპობრივად აუარესებდა რეალობის ჭეშმარიტი აღქმის უნარს. საბოლოოდ, ეს მჟღავნდებოდა პიროვნების არაადეკვატურ ქმედებაში, რომელიც უკვე თავისთავად ახდენდა მის იზოლაციას საზოგადოებისაგან.

აი, ასე გამოიყურებოდა საბჭოთა ფსიქოლოგიური იარაღის ერთ-ერთი ტიპი, რომლის გამოცდაც სწორედ ახლა მიმდინარეობდა მოაზროვნე ახალგაზრდა ჯარისკაცზე. განაჩენი სასტიკი იყო: მის გვერდით ყოველდღიურად ტრიალებდა ათასამდე ადამიანი და არცერთი მათგანი მას არ ეკონტაქტებოდა, მათგან ის უბრალოდ იგნორირებული იყო.

შუადღემდე თეორიული და პრაქტიკული სამხედრო სწავლება და დღის მეორე ნახევარში სამსაათიანი ფიზიკური ვარჯიში. ეს არის ჯარისკაცის ყოველდღიური რეჟიმის ძირითადი ნაწილი. შუალედებში მათ აქვთ დრო, გაეცნონ პრესას, უყურონ ტელევიზორს, ან თუნდაც დაისვენონ. აქაც პატარ-პატარა ჯგუფებად გვევლინებიან ჯარისკაცები და დასვენების ამ ოქროს წუთებს ყველა თავისებურად იყენებს. მხოლოდ ანტონია მარტო მიმდგარი სადღაც კედელთან და ჩაფიქრებული აკვირდება მათ.

დაღამდა. ვარჯიშს იმდენად არ დაუღლია სავიჩევი, მას ფიქრზე დამყნობილმა ნერვიულობამ უფრო წაართვა ძალები. ამის გამო მან დიდხანს ვერ მოხუჭა თვალი და ადგომამდე ერთი საათით ადრე ჩათვლიმა. როგორ არ იმტვრია თავი, მაგრამ ვერანაირ ხელჩასაჭიდს ვერ მიაგნო თავისი მდგომარეობის ასახსნელად. ოფიცერმა გამთენიისას რომ დაიღრიალა ყაზარმაში და ჯარისკაცებს ადგომა უბრძანა, ანტონმა ძლივს ასწია დამძიმებული თავი.

მეორე დღეც ჩვეულებრივად ჩაივლიდა ანტონისთვის, რომ არა ერთი შემთხვევა, რომელიც თავად შექმნა: ის შორიახლოს დაჰყვებოდა იმ ჯარისკაცს, რომელთანაც სხვებზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა და, როდესაც ისინი ცოტა მოშორებით იყვნენ სხვებისაგან, ჩუმად ჰკითხა:

– რატომ არ მელაპარაკებით?

როცა იმ ნაცნობმაც უსიტყვოდ ზურგი შეაქცია, ანტონმა დაკარგა აზროვნების მიმართულება და მოშორებით მდგარ ოფიცერს მიეჭრა:

– იქნებ თქვენ ამიხსნათ ეს ყოველივე, ამხანაგო ლეიტენანტო! რას ნიშნავს ის, რომ მე ხმას არავინ მცემს?

ოფიცერმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა, შემდეგ შებრუნდა და ანტონს რამდენიმე ნაბიჯით გაეცალა.

სავიჩევის ნერვებს ცეცხლი მოედო და უკან მიჰყვა მას.

– თქვენ რაღა დაგემართათ?

ოფიცერმა კიდევ სცადა გადაადგილება, რომ ანტონმა მას მკლავში ხელი წაავლო და შემოაბრუნა.

ეს ქმედება ანტონს სველი სარდაფის ერთ პატარა ოთახში ერთდღიან გამოკეტვათ დაუჯდა, სადაც არ იყო არც სკამი და არც საწოლი. სამაგიეროდ, ფეხზე დგომისთვის განწირული კოჭებამდე წყალში იდგა. და აი, იქ, ასეთ სიტუაციაში, მისმა გონებამ გაათმაგებული ძალებით დაიწყო მუშაობა, მაგრამ საბოლოო შედეგი – ამოეხსნა საკუთარი მდგომარეობის მიზეზი,

მაინც ვერ მიიღო. თუმცა, ერთი, მეტად მნიშვნელოვანი დეტალი ამოუტივტივდა მას თავში–გაახსენდა, აქ ჩამოსვლის ღამე და ვიცე-პოლკოვნიკის უკანასკნელი სიტყვები: „კითხვებს არ დასვამ და დაემორჩილები ბრძანებებს!“ – ეს ერთი წინადადება, ანტონის დარი აზროვნების კაცისთვის გადამუშავებას აღარ ექვემდებარებოდა, რადგან მისთვის უკვე ნათელი იყო, რომ მასზე მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური წნეხი. ამასთან, ისიც გაიაზრა, რომ ამ სიტუაციაში, სანამ რაიმე ნიშანი თვითონ არ ამოტივტივდებოდა, მანამდე ვერაფრით დაადგენდა ამის მიზეზს. ამიტომ გადაწყვიტა, დამორჩილებოდა ბედს და ეზრუნა მასთან შეგუებაზე.

სავიჩევმა ფიქრი მიატოვა და რეალობის აღქმას შეუდგა. მართალია, მას ჩექმები ეცვა და წყალი შიგნით ვერ აღწევდა, მაგრამ ფეხების შეცივება ახლა-ღა იგრძნო. ჯარისკაცს შეაკანკალა და აქეთ-იქით მიმოიხედა. ოთახში ძალიან ბნელოდა, მაგრამ კარში დარჩენილი პატარა ღრიჭოდან, შორიდან მოსული, ძალადაკარგული ნათელი აღწევდა, რომელიც სიბნელეში უკვე თვალმიჩვეულ ადამიანს ორმეტრიან სივრცეში გადაადგილების საშუალებას აძლევდა. სამარისებური სიჩუმე ანტონს ერთგვარი ვაკუუმისკენ ექაჩებოდა, მაგრამ ჭერიდან პერიოდულად მოწყვეტილი წყლის წვეთი, რომელიც იატაკზე მდგარ აშმორებულ სითხეს ტკაპუნით ეცემოდა, რაღაცის მოძრაობაზე, ესეიგი, სიცოცხლის არსებობაზე მიანიშნებდა. სარდაფში აუტანელი სუნი იდგა. ჩანდა, რომ აქ გამომწყვდეული, დასჯილი ჯარისკაცებისთვის, ამ ოთახს ტუალეტის ფუნქციაც ჰქონდა. სავიჩევი ფეხისმონაცვლეობით, ამაოდ შეეცადა მშრალი ადგილის პოვნას, რომ ამ დროს, უეცრად, უსწორმასწორო აგურის ნატეხს დააბიჯა და წაბორძიკებული ინსტინქტურად, წინწაწეული ხელებით ისეთი ძალით მიენარცხა სველ კედელს, იქიდან ჩამოშლილი ნაწილები დგაფუნით ჩაცვივდა წყალში. მოძრაობას აზრი არ ჰქონდა, რადგან რაც უფრო ირეოდა იატაკზე მდგარი მასა, მით უფრო სიმყრალეს გამოსცემდა. ჭკვიანი კაცისთვის აქ მხოლოდ ერთი გამოსავალი იყო–მდგარიყო ადგილზე და დროდადრო ეცვალა მოსახერხებელი პოზა, რათა ნაკლებად დამღლელი ყოფილიყო მისი სხეულისთვის უძრავი

მდგომარეობა. და ბოლოს, ეფიქრა მარტო გამძლეობაზე. ასეც მოხდა, მაგრამ ანტონისთვის მაინც ძნელად გავიდა სამი საათი. ამ დროის გასვლის შემდეგ, მას მუხლებამდე გაბუჟებული ჰქონდა ორივე ფეხი და ისე შეიგრძნობდა იმ ადგილებს, რომ თითქოს ნემსებით ჩხვლეტდნენ. ბორძიკ-ბორძიკით, ძლივს მივიდა კედელთან, რომელსაც ორივე იდაყვით მიებჯინა. ასეთი ფორმით, თითქოს რაღაც დოზით შეამცირა ფეხებზე დაწოლა და ცოტა შვებით ამოისუნთქა. მოკლე ხანში, უკვე მხრით მიეყრდნო ჩამოსველებულ კედელს, რომელსაც, სულ რამდენიმე წუთში დამძიმებული თავიც მიაყოლა. ის არაფერზე აღარ ფიქრობდა. მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ, რაც შეიძლება, კიდევ დიდხანს შეენარჩუნებინა ძალები. დრო კი ნელა მიიზლაზნებოდა და თან მიჰქონდა ჯარისკაცის ენერგიის დარჩენილი რესურსი. და აი, ანტონმა კვლავ წაიბორძიკა და, რომ არ წაქცეულიყო, ხავსმოკიდებულ კედელს თითებით ჩაებღაუჭა, მაგრამ მისი თავიც, მხარიც და ხელებიც სველ კედელზე ნელ-ნელა მაინც დაღმა სვლით მიცურავდა. უეცრად მუხლები მოეკვეთა და წყალში ჩაიჩოქა. მართალია, წელი ძლივს შეიმაგრა, რომ მთლიანი ტანით არ დავარდნილიყო, მაგრამ ჩექმებიდან შევარდნილ, ცივ და ბლანტ სითხეს, რომელიც მის გაყინულ და დაჯირჯვლულ ფეხებს გარს შემოევლო, წინ ვერ აღუდგა. ამ დამატებითმა სატანჯველმა უფრო დააჩქარა სხეულის ძლევის პროცესი და მიწისკენ დაქაჩა მისი ჯერ კიდევ გაუსვრელი ნაწილები, რომლებიც მარცხისთვის განწირულნი, დროებით-ღა უწევდნენ წინააღმდეგობას. ძალზე ზანტად მიწიკწიკებდა ის საბედისწერო წუთები, როცა ადამიანს ბრძოლა უნდა შეეწყვიტა ტანჯვის წინააღმდეგ, რაც თავისთავად ამტკიცებდა იმას, რომ ნებისმიერი სულიერი სხეული მოკვდავია. ანტონმა ჯერ ერთი ხელი მიაშველა მუხლებს, შემდეგ მეორე. რამდენიმე ხანს, ხელებსაც ერთმანეთს უნაცვლებდა, რადგან თითები ეყინებოდა. ბოლოს ხელებშიც დაკარგა ძალა. ცხოველივით ოთხზე დამდგარმაც ვეღარ გაძლო და მძიმედ გადაწვა ერთ მხარეს. მან ისღა მოახერხა, რომ კედელს თავით მიბჯენოდა, მაგრამ კისრის ძარღვებიც აღარ ემორჩილებოდა მას.

– ვაიმე, დედა...– აღმოხდა ანტონს და თვალები ცრემ-

ლებით აევსო. – აქ სად ვკვდები და რისთვის... – ჩაილაპარაკა კვლავ თავისთვის.

გარეთ ბინდი მოსწოლოდა ქვეყანას და კარის ღრიჭოში ის პატარა ნათელი აღარ მოსჩანდა. სამაგიეროდ, ზემოდან ისევ მოწაკწაკებდა წყლის წვეთი და ანტონის ყურადღებას აბეზარივით აჰკვიატებოდა. სწორედ მისი ხმა არ აძლევდა წყალში უღონოდ დაცემულ ადამიანს ფარ-ხმალის დაყრის საშუალებას.

ჯარისკაცმა პირველად ამოიგმინა და გაყინულ სხეულს, რომელიც აცახცახებას ლამობდა, წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. მის კუნთებში არავითარი სათადარიგო ძალები აღარ არსებობდა. ერთადერთი, ნახევრად დაბინდული, მაგრამ მაინც საბრძოლოდ შემართული გონება გასცემდა ბრძანებებს და საკუთარი ორგანიზმისგან არსებული მდგომარეობის ამ ფორმით შენარჩუნებას ითხოვდა. იგივე გონება, ანტონის აზროვნებას გამუდმებით აწვდიდა სიგნალს და აწ გარდასული, კუიბიშევური მოვლენების ეპიზოდებს ნეგატივების სახით გადასცემდა. უეცრად, ერთმა კადრმა, სხვებთან შედარებით, მკვეთრად გაიელვა სავიჩევის თავში, რომელიც, მის საშველად გულიდან საგანგებოდ ამოჭრილმა სიყვარულის გრძნობამ შეაჩერა და უფრო ნათლად წარუდგინა თავის პატრონს.

– კატია, ჩემო ძვირფასო! – ამოიძახა ანტონმა და თვალები ფართოდ გაახილა. მართალია, მან სიბნელეში ვერაფერი დაინახა, მაგრამ მისმა გონების თვალმა ლამაზად ჩაანაცვლა მისივე წყვდიადში მოქცეული მხედველობა და აქ, ამ ჯურღმულში, ულამაზესი კატია მთელი თავისი მშვენიერებით წარმოუდგინა.

ადამიანი, რომელიც უძლურებაში ვარდება, კარგავს ძალებს და მისი აღდგენის პერსპექტივა არ ჩანს, გონება იძულებით ნებდება ამ პროცესს და აზროვნების ჰორიზონტის მასშტაბები უმცირდება. ასეთ შემთხვევაში, ინტელექტის დონე მოვლენების განვითარებას ვერ განსაზღვრავს და ის მაშინვე კარგავს უნარს, როცა სხეული უკანასკნელი სასიცოცხლო ენერგიის დაკარგვის წინაშე დგება. ერთადერთი, რომელიც ცდილობს ორგანიზმის მუშაობის გახანგრძლივებას და თუნდაც მის გადარჩენას, ეს არის გული. სწორედ გულია ის ორგანო, რომელსაც შეუძლია გონებას მიმართულება მისცეს

და თუ საჭიროა, მიუთითოს კიდეც. გულის ასეთი მოქმედება დამოკიდებულია მის წიაღში არსებულ სიყვარულზე, ანუ ასეთი რამ ძალუძს მხოლოდ კაცთმოყვარე გულს. აქედან გამომდინარე, ანტონის მკერდში აბობოქრებულმა, სიყვარულით გაჯერებულმა ორგანომ, პირდაპირ მიუთითა თითქმის დახშულ გონებას, რომ სულზე გავლით მოეძებნა გადარჩენის გზა. ამ შემთხვევაში, საქმეში დამატებით ერთვება საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტი და თვით ყველაზე ათეისტი ადამიანიც კი, რომელსაც საერთოდ არ სჯერა ღმერთის არსებობისა, გაუცნობიერებლად ეძებს საშველს. განგებაც არ აყოვნებს და მას უმალ უგზავნის რწმენას, რომელზედაც აღმოცენებას იწყებს მიზანი. ხოლო უკვე მიზანი ქმნის ახალი ძალები ბაზისს, რომელმაც ადამიანი უნდა იხსნას განსაცდელისაგან.

– მე შენ შეგპირდი, რომ შენთვის ვიცოცხლებდი. შეგპირდი, რომ შენამდე მოვიდოდი. – თქვა შედარებით გამართული ხმით ანტონ სავიჩევმა და იდაყვზე ნელ-ნელა წამოიწია. – შენი სიყვარულისთვის... – ჩაილაპარაკა კვლავ შემართებით. – შენი სიყვარულისთვის ვიბრძოლებ! – წამოიძახა უკვე ცოტა რიხით და მეორე ხელიც მიაშველა დაუძლურებულ სხეულს. რის ვაი-ვაგლახით შეძლო კედლის დახმარებით წყლიდან ამოფოფხება. ბლანტი წყლით სავსე ჩექმებში ჩადგმულ ფეხებს ძნელად იმორჩილებდა, მაგრამ მაინც ფეხზე ადგომას ცდილობდა. ნესტიან კედელს, მოჭიდებისას ფრჩხილებით ფხოჭნიდა, რომელიც ხელში ეფშვნებოდა, მაგრამ გარკვეულწილად ეხმარებოდა წამოდგომაში. როგორც იქნა, წელში გაიმართა, ხელები მომუჭა, ყველა კუნთი დაჭიმა და თითქმის ღმუილის ხმაზე გამოსცრა: – მე შენამდე მოვალ!

საბჭოთა უშიშროების ორგანოები, როდესაც ადამიანზე დოსიეს ადგენდნენ, ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობდნენ მის ამტანობას, რადგან თითოეული ასეთი ინდივიდი, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გამხდარიყო უმართავი. ამის ცოდნა კი იმისათვის იყო საჭირო, რომ მსგავს სიტუაციაში მისთვის წამების ფორმა განესაზღვრათ. ანტონის შემთხვევაში, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ ხანში მას წყალში დაცემულს ნახავდნენ. კარი რომ შეხსნეს და ჯარისკაცი ფეხზე შემართუ-

ლი დაინახეს, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს, რაც მასზე ხსენებული დოსიეს შემქმნელების შეცდომას აღნიშნავდა.

სავიჩევი ჯერ ფარნით შეათვალიერეს, ხოლო შემდეგ ოთახიდან გამოსვლა უბრძანეს. ჯარისკაცმა ლასლასით გადააბიჯა კარის ზღურბლს და მოცელილივით დაეცა ძირს. ის საკაცეზე დააწვინეს და მანქანით სანიტარულ ნაწილში გადაიყვანეს. ანტონი ბუნდოვნად ხედავდა თავის გარშემო მოფუსფუსე ადამიანებს. ეს გონებრივი აღქმა, ერთი საათის შემდეგ გაცილებით გაუუარესდა, როდესაც მისი სხეულის ტემპერატურამ ორმოცდაერთ ნიშნულს მიაღწია. ექთნებმა მას ტანსაცმელი გახადეს, სველი ტილოებით გაასუფთავეს და ლოგინში ჩააწვინეს. მთელი ღამით გვერდიდან არ მოსცილებია ორი ახალგაზრდა მედიცინის და, რომლებსაც თან ძალიან მოეწონათ ანტონი და თან შეეცოდათ.

დილის შვიდ საათზე სავიჩევის პალატაში მაიორის სამხრეებიანი მამაკაცი შევიდა. სკამებზე მჯდომი ექთნები, რომლებსაც მაგიდაზე დაეწყოთ ხელები და შიგ დაღლილი თავები ჩაერგოთ, კარის ხმაზე და ოფიცრის დანახვაზე ფეხზე წამოიჭრნენ.

– როგორ არის ჯარისკაცი? – იკითხა მან რიხიანი ხმით.

მთელი ღამე ბოდავდა და დედას უხმობდა მხოლოდ. ახლაღა ჩაეძინა, ამხანაგო მაიორო! – დაასწრო ერთმა ექთანმა, რომელიც შედარებით ცოცხლად გამოიყურებოდა.

– ფეხები ჰქონდა ძალიან დასიებული. – დანანებით თქვა მეორემ.

– ახლა სიბრალულისგან არ ატირდეთ! ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება! – მიაძახა მკაცრად მაიორმა და პალატიდან გავიდა.

მესამე დღეს, დილით, ანტონი თავისი საწოლის გასწვრივ მიმოდიოდა. წინა დღისგან განსხვავებით, თავს უკეთესად კი გრძნობდა, მაგრამ მუხლს დაბლა, ფეხებში საშინელი სიმძიმის შეგრძნება ჰქონდა. სულიერადაც დაისვენა, რადგან აქ, ნაწილისაგან განსხვავებით, ელაპარაკებოდნენ მაინც. ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, – მკურნალმა ექიმმა ამცნო, რომ ამ საღამოს ყაზარმაში უნდა წასულიყო და იქ გაეთია ღამე.

დილიდან კი ჩვეული რეჟიმით უნდა შესდგომოდა ცხოვრებას.

– რას ამბობთ, ექიმო, მე ვარჯიშს როგორ შევძლებ?!-გაოცებულმა იკითხა ანტონმა.

– შეძლებ, შეძლებ. შენზე უარესად ყოფილა ხალხი. მე მინახავს ადამიანები ომში, რომლებიც გაცილებით მძიმე ტრავმებით იბრძოდნენ.

– ომში ხომ არ ვართ?! – შეჰკადრა სავიჩევმა.

– ბრძანება ასეთია, რომელიც ადმინისტრაციიდან მივიღე.– მოკლედ მოუჭრა ცხვირის წვერზე სათვალედაკვესებულმა, ღაბაბიანმა და ღიპიანმა სამხედრო ექიმმა და კარი მიიხურა.

იქ მყოფმა შუახნის ექთანმა ქალბატონმა, ექიმის გასვლისთანავე ანტონს შეხედა და სინანულით თავი გააქნია.

საღამოს კვლავ სანიტარულ ნაწილში ივახშმა, რის შემდეგ, კიდევ ერთხელ შეამოწმეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ოდნავ შეშუპებული ფეხებიც დაუმუშავეს. ყაზარმაში რომ მივიდა, ჯარისკაცები უკვე იწვნენ. რამდენიმეს ჯერ არ ეძინა და ბუნებრივია, შეამჩნიეს ანტონი, მაგრამ ყველამ ერთნაირად იბრუნა მისგან პირი. დაიწყო კოშმარული და ამოუხსნელი მომენტები, რაზედაც სავიჩევმა მკაცრად გადაწყვიტა, რომ არც ყურადღება მიექცია მათი ასეთი ქმედებისთვის და არც ეფიქრა, რატომ ხდებოდა ეს მის თავს.

გამთენიისას, ოფიცრის ყვირილით გაცემული ბრძანების შემდეგ, ჯარისკაცები, ტანსაზემოთ გახდილნი, რიგ-რიგობით გარბოდნენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე. მათ შორის იყო ანტონიც, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, მას მოძრაობა ძალიან უჭირდა, რადგან ფეხების ტკივილს რომ თავი დავანებოთ, ის ჯერ კიდევ სუსტად იყო. საკუთარ სხეულს აძალებდა, რომ სხვებზე ნაკლებად არ შეესრულებინა ვარჯიშები, მაგრამ თავბრუ ესხმოდა და ამის გამო, ერთხელ კინაღამ დავარდა კიდეც.

როგორც იქნა, დამთავრდა, ეს მისთვის მეტად არასასიამოვნო პროცედურა და საუზმის შემდეგ, თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ შენობაში გადაინაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ იქ საკმაოდ დიდი გონებრივი დატვირთვა ჰქონდა, დასვენება მაინც შეძლო. სადილიდან ერთ საათში, დადგა გაძლიერე-

ბული ფიზიკური მომზადების დროც, რაც თითქმის არაადამიანურ ენერგიას მოითხოვდა. მათი ბოლომდე და ზედმიწევნით შესრულება, ჯანმრთელი კაცისთვისაც კი ურთულეს საქმეს წარმოადგენდა, არა თუ მისთვის. გამოსავალი არ არსებობდა და ანტონიც სხვებთან ერთად მწყობრში ჩამდგარი მიემართებოდა სპეციალური დარბაზებისკენ.

პირველი ათი წუთი: ფეხების საშინელი ტკივილი და თვალის დაბნელებაში გამოხატული სისუსტე. კონცენტრაციის დაკარგვა და თავზე წამომდგარი ოფიცრის ყვირილი. მოსულიერებული სავიჩევის მიერ ვარჯიშის გაგრძელება და კვლავ გონების დაბინდვა. ბოლოს, მან წამოდგომა ვეღარ შეძლო და, როცა ოფიცერმა მორიგი ღრიალი წამოიწყო, ანტონმა ჩექმები გაიძრო. მისი სისხლიანი ფეხები თითქმის მთელმა ნაწილმა დაინახა. სპორტული სექციის ხელმძღვანელი იძულებული გახდა, ჯარისკაცი ყაზარმაში დაებრუნებინა.

ანტონი ძლივს მილასლასდა თავის საწოლამდე. ჩექმების გახდას აზრი არ ჰქონდა, რადგან არც წამალი მოეძევებოდა სადმე და არც საფენი. ამიტომ, მკვდარივით მიესვენა. უეცრად თვალში ცრემლი გამოუკრთა, მაგრამ ეს არ იყო ტკივილისაგან გამოწვეული სისველე. ამის მიზეზი, მისი მდგომარეობიდან ამოდიოდა, რომელიც საბჭოთა უშიშროების ორგანომ ხელოვნურად შეუქმნა მას.

მორიგე სერჟანტმა ბატალიონის მეთაურს დაურეკა და აცნობა ჯარისკაცის ყაზარმაში დაბრუნების შესახებ. რამდენიმე წუთში მაიორის სამხრეებიანი კაცი წამოადგა სავიჩევს, რომელიც საწოლიდან ძლივს წამოდგა და მოახსენა თავისი მდგომარეობა. ბატალიონის მეთაურმა სანიტარულ ნაწილს აცნობა და ექიმიც მალე მოვიდა ყაზარმაში. ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელსაც ექიმის თეთრი ხალათი ემოსა, ანტონის ფეხების დათვალიერების შემდეგ, ოფიცერი გვერდით გაიხმო.

– ამხანაგო მაიორო, – ჩუმი ხმით მიმართა მას, – ჯარისკაცს ძალზე სერიოზული მდგომარეობა აქვს და სასწრაფოდ სტაციონარში გადაყვანას საჭიროებს.

ბატალიონის მეთაური ცოტა ხნით ჩაფიქრდა. შემდეგ ტელეფონისკენ წავიდა და ვიღაცას მოახსენა ამის შესახებ,

საიდანაც მალევე შემობრუნდა და ექიმს მიმართა:

– გადაიყვანეთ და მიხედეთ!

ოფიცერი ყაზარმიდან გავიდა. სავიჩევი კი ექიმის მითითებით, სამედიცინო სამსახურის „უაზის“ ტიპის მანქანაში მოთავსდა.

დაახლოებით ნახევარ საათში, უკვე პალატაში მყოფ ჯარისკაცს, სანიტარი ჩექმების გახდაში დაეხმარა. ხოლო, როდესაც ექთანი სამედიცინო ხსნარით მას ფეხებს უმუშავებდა, ოთახში ორი მამაკაცი შემოვიდა. მათგან ერთ-ერთი ის ექიმი იყო, რომელმაც ავადმყოფი ანტონი ყაზარმაში დააბრუნა. მეორე კი, შუა ხნის მოწესრიგებული კაცი, მთავარი ექიმი აღმოჩნდა. სწორედ მთავარი ექიმი დაიხარა ჯარისკაცის წინ და სათვალის მოშველიებით ფეხები საფუძვლიანად დაუთვალიერა. შემდეგ წელში გაიმართა და ანტონის მკურნალ ექიმს მიმართა:

– მაჩვენეთ ავადმყოფის ისტორია. – და ხელი გაუწოდა.

მკურნალმა ექიმმა უმალ მიაწოდა ერთმანეთზე მიბმული რამდენიმე ფურცელი.

კლინიკის უფროსს, კითხვის დროს შუბლი შეეჭმუხნა და სახეც ოდნავ შეეპრანჭა. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ტკივილისაგან და სისუსტისაგან გასავათებულ ჯარისკაცს, თავი ორჯერ გააქნია და პალატიდან გავიდა. მას უკან მიჰყვა მკურნალი ექიმიც, რომელთა შორის, კორიდორში ასეთი საუბარი გაიმართა:

– ივან გრიგორევიჩ, ამდენი ხნის ექიმი ბრძანდებით და როგორ დაუშვით, რომ ასეთი ავადმყოფი ნაწილში დაგებრუნებინათ?

– შტაბიდან დარეკეს და რომ გაიგეს, სიცხე აღარ ჰქონდა... – მოწიწებით შეაგება პასუხი ჩასუქებულმა ექიმმა და მოწყალე თვალებით მიაჩერდა უფროსს.

კორიდორში მიმავალი მთავარი ექიმი შეჩერდა და კოლეგას შეხედა.

– რას ჰქვია, სიცხე აღარ ჰქონდა? სიცხეა მხოლოდ ავადმყოფობა? და თქვენ, ამ ზარის შემდეგ დაწერეთ, რომ ჯარისკაცი სრულიად ჯანმრთელია და მას შეუძლია სამხედრო რეჟიმში ცხოვრების გაგრძელება?! ივან გრიგორევიჩ, თქვენ

პირველ რიგში ექიმი ხართ და ფიცი გაქვთ იმისათვის დადებული, რომ პირნათელი იქნებით ავადმყოფის წინაშე და უპირველეს ყოვლისა, არ ავნებთ მას. ფიქრობთ კი იმაზე, რომ თქვენი ასეთი გადაწყვეტილებით, ფაქტიურად, გაწირეთ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც, არავინ იცის, სად შეახსენებს თავს თავისი ფეხები?!

ცხვირზე სათვალედაკვესებულმა, ღაბაბიანმა მკურნალმა თითქოს დააპირა კიდევ თავის მართლება, მაგრამ უფროსმა შეაჩერა.

– თავის მართლება საჭირო აღარ არის! კარგად მოუარეთ, მიხედეთ და, როცა მკურნალობას დაამთავრებთ, სანამ გაწერთ, გამაგებინეთ!

– აუცილებლად! – აღმოხდა მსუქან მამაკაცს და უფროსს ნაძალადევად შეჰღიმა.

მთავარმა ექიმმა კორიდორში მიატოვა გამტკნარებული კოლეგა და გზა განაგრძო.

თორმეტი დღის შემდეგ, ექიმთა კონსილიუმმა დაადგინა, რომ ანტონ სავიჩევის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელი იყო და მისი სამხედრო ნაწილში დაბრუნება უკვე შეიძლებოდა.

და დაიწყო უტყვი ცხოვრების მარათონი, რომელიც ისე მიიზლაზნებოდა, რომ ყოველი წამი და წუთი და განსაკუთრებით, ყოველი დღე, ჯარისკაცისთვის წამებად ქცეულიყო. ყოველდღიურად ასეულობით ადამიანი ტრიალებდა მის გარშემო და არცერთი მათგანი ხმას არ სცემდა მას.

„ეს რა უბედურებაა? რა ხდება?“ – ფიქრობდა ანტონი და უნდოდა თუ არა, ეს კითხვები მაინც ებადებოდა თავში. რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ეძალებოდა ამის გარშემო ფიქრები, რომლისგანაც უკვე თავს ვეღარ აღწევდა. ადამიანი, რომელიც მსგავსი ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ იმყოფება და ვერ არკვევს თუ რატომ ხორციელდება მასზე ასეთი რამ, ეს არის ის პირველი უბედურება მისთვის, რომელიც ძალიან სწრაფად მოშლის მის გონებას. ამ შემთხვევაში, ანტონიც არ იყო გამონაკლისი და მასაც შეეპარა სიცოცხლის აბსურდულობაზე ფიქრი. უფრო და უფრო ხშირად აწუხებდა ის აზრი, რომ არარაობაა ეს ყოველივე, რამეთუ ცხოვრება თავისი შედეგით – სიკვდილით, სრული უაზრობაა და მეტი არაფერი.

გავიდა ტანჯვის ორი თვე. გადაიღალა და მოიშალა გონება. ანტონის აზროვნების კაცმა, ასეთ ვითარებაში, გაცილებით სწრაფად უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება და მანაც უკვე განუსაზღვრა საკუთარ თავს მომავალი.

შუაღამისას, როცა ჯარისკაცებს ეძინათ, სავიჩევი ფეხაკრებით წავიდა ტუალეტისკენ. ეს ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა და მორიგე ჯარისკაცსაც ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ტუალეტიდან ეზოში გავიდა და მისი საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ, ლამპიონების შუქისაგან შედარებით მოჩრდილებულ ადგილს გაუყვა. მალე ყაზარმის მოპირდაპირედ მდგარი სასადილოს უკანა მხარეს აღმოჩნდა, სადაც უკვე სწრაფად მოძებნა მავთულის ნაჭერი, რისგანაც ყულფი გააკეთა. მავთულის მეორე წვერი სასადილოს კარის მაღლა გადებულ ბოძზე ჩამოჰკიდა და, როდესაც ჩამოსახრჩობად გაკეთებულ ყულფში გაყო თავი, ფეხებზე ვიღაცის შემოხვეული მკლავები იგრძნო, რომელმაც მისი სხეული მაღლა აზიდა. ოფიცრებმა ის სწრაფად ჩამოხსნეს ყულფიდან და ადმინისტრაციული შენობისკენ წაიყვანეს. პირველ სართულზე, იმ პოლკოვნიკის კაბინეტის კართან მიიყვანეს, რომელმაც კუიბიშევში გაამგზავრა იგი. ერთმა ოფიცერმა კარზე დააკაკუნა და, როდესაც შიგნიდან მიპატიჟების დასტურის ხმა მოესმა, შევიდა და ისინიც თან შეიყოლა.

ღამის ორი საათი იყო. ფართო ოთახის ერთი კიდიდან მეორეზე, არწივის მზერით გამოსცქეროდა პოლკის უფროსის მოადგილე პოლიტ. დარგში ალექსანდრე ივანეს-ძე ვოლკოვი ანტონ სავიჩევს. ეს თვალი-თვალში გაყრა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა და ამასობაში, ერთ-ერთმა ოფიცერმაც მოახსენა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, რიგითი სავიჩევი სასადილოს უკან თავის ჩამოხრჩობას აპირებდა. რომ არა ჩვენ, ის ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა.

პოლკოვნიკი ნელა წამოიმართა ფეხზე და მათკენ წამოვიდა. ის ანტონის წინ შეჩერდა და ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუცილებია, ოფიცრებს მიმართა:

– თქვენ გარეთ დამელოდეთ!

როდესაც ისინი გავიდნენ და კარი მიიხურეს, პოლკოვნიკმა თითქმის შეჰყვირა:

– ვის შეხვდი კუიბიშევში?

სავიჩევმა დახრილი თავი მაღლა ასწია და პოლკის უფროსის მოადგილის განრისხებულ სახეს რომ შეხედა, მისი გონება მაშინვე დააცხრა მეხსიერების ბუდეს, საიდანაც უსწრაფესად ამოაგდო, სადღაც კუნჭულში ჩამალული ის მომენტი, სადაც უგონოდ მთვრალი ანტონი, ბავშვობის მეგობარს მამის შესახებ უყვებოდა. ამ ყველაფერს წამები დასჭირდა, რა დროსაც პოლკოვნიკმა მეორედ იღრიალა:

– ვის შეხვდი-მეთქი კუიბიშევში?

ანტონის გაშტერებულმა თვალმა ხილვადობა დაიბრუნა, ხოლო გონებამ–რეალობის აღქმა, რის შემდეგ, მან მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

– თქვენ არ გამაგზავნეთ იქ, ამხანაგო პოლკოვნიკო?!

– აქ მე ვსვამ კითხვებს! – უფრო გაცეცხლდა ვოლკოვი.

მართალია, ჯარისკაცმა ამ შეკითხვას მდუმარედ და თავის დაბლა დახრით უპასუხა, მაგრამ მისთვის მთავარი საკითხი–მისი ტანჯვის მიზეზი, უკვე ამოხსნილი იყო.

– ენის ტლიკინი, – მაღალი ხმით გააგრძელა ჯმუხმა სამხედრომ, რომელიც ოთახში ნერვიულ ბოლთის ცემას მოჰყვა. – ჭორიკანა ქალების საქმეა! კაცს არ შეშვენის ეგ! ამიტომ უნდა მიიღო ის, რაც დაიმსახურე! და ერთი კიდევ: თუ კვლავ ეცდები, თვითმკვლელობით შენი საქციელის ამ უბრალო საზღაურისგან გაქცევას, ის სარდაფი მოგენატრება, სადაც ერთი საღამო გაატარე! ნებაც შენია და არჩევანიც! ახლა კი დაბრუნდი ყაზარმაში და იმედი მაქვს, ისწავლი, როგორ აჭერენ კაცები ენას კბილს!

მიდიოდა ყაზარმისაკენ სავიჩევი და ფიქრობდა:

„ნუთუ ეს ამხელა ტანჯვა-წამება ჩემი ბავშვობის მეგობრის წყალობით მივიღე? და თუ ეს ასეა, უფრო მეტად არ ღირებულა არაფრად ქვეყნად სიცოცხლე. რისთვის და ვისთვისღა უნდა ვიბრძოლო? რას ნიშნავს სამშობლოს აღორძინება და გაძლიერება? ნუთუ ეს მცნება, ჩემი მტანჯველი ადამიანებისა და ჩემი მეგობრის მსგავსი კაცების გამრავლებას გულისხმობს?

ნუთუ ჩემი მეგობრის მიერ გაცემა კაცობაა და ჩემი მისდამი საიდუმლოს განდობა–არაკაცობა?! გამოდის, რომ ქვეყანაზე ადგილს ვერ დაიმკვიდრებ, თუ სხვის უბედურებად არ იქეცი. აი, თურმე რა ყოფილა ამ იმპერიის არსი. მე კი აქამდე რატომღაც მეგონა, რომ ვაჟკაცობა–მეგობრისადმი თავგანწირვა და მოსიყვარულე გულის ტარება იყო. ესეიგი, ჩემი ადგილი აქ არ ყოფილა და ტყუილად ვეძებ მე მას.“

ჩაბნელებული ზეციდან სავსე და გაბადრული მთვარე მდუმარედ დაჰყურებდა მოასფალტებულ ბილიკზე ყაზარმისაკენ მიმავალ ჯარისკაცს, რომელსაც აჩქროლებული ფიქრების გამო ამ ღამით დაძინება არ ეწერა.

* * *

დილის რვა საათია. მოსკოვის ერთ-ერთ პროსპექტზე ხალხის საქმიანი მიმოსვლა შეინიშნება. გარეთ საკმაოდ ცივი ქარი ქრის და თბილად ჩაცმული ადამიანები აბუზულები მიიჩქარიან სამსახურებში. მათ შორის აშკარად გამოირჩევა ერთი ხმელი ქალბატონი, რომელიც, შედარებით თხლად ჩაცმული, აწყობილი სამხედრო ნაბიჯით მხრებგაშლილი მიაბიჯებს ავტობუსის გაჩერებისკენ. ის ორი თვეა, შვილს დაეძებს და ვეღარ თვლის, უკვე მერამდენედ მიემართება უშიშროების მთავარი სამმართველოს შენობისკენ. არავითარი შედეგი ჯერ-ჯერობით არ ჩანს, მაგრამ ის მაინც დადის იქ იმ გაგებით, რომ იქნებ შეხვდეს ისეთ ადამიანს, ვინც თავისი შვილის კვალზე გაიყვანს. მას თვალებში ეტყობა, რომ მექანიკურად მოძრაობს და ფიქრებით სულ სხვაგან არის, მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს გადაადგილებაში. მორიგი დილა გათენდა და ის კვლავ მივიდა დახშულ და დაგმანულ შენობასთან, სადაც წერილობით, თუ შიდა ტელეფონების მეშვეობით, ვერავის ვერაფერი შეასმინა. ახლაც სამმართველოს შესასვლელის მოპირდაპირედ გაჩერდა და გაასმაგებული ყურადღებით მიაჩერდა ყოველი მანქანიდან გადმომსვლელს და შენობაში შემსვლელს. სანამ გუშაგებისთვის შესამჩნევი გახდება და კიდევ ერთხელ ეტყვიან, რომ სასწრაფოდ დატოვოს ტერიტორია, გამწარებული დედა ძეგლივით აღმართულა ერთ ადგილზე. მისგან ოციოდე მეტრში მორიგი სამსახურებრივი მანქანა გაჩერდა, საიდანაც პოლკოვნიკის

სამხრეებით დამშვენებული ახალგაზრდა ახოვანი კაცი გადმოვიდა და შენობის შესასვლელისკენ გაემართა.

„ღმერთო ჩემო, საიდან მეცნობა ეს კაცი?“– გაიფიქრა ნინამ და თავისდაუნებურად გადაირბინა ქუჩა. სანამ იგი მამაკაცს მიუახლოვდებოდა, თავში ამოუტივტივდა სადაზვერვო სკოლა და მისი აღსაზრდელი, თავისი მეგობარი პაველი. მამაკაცი შესასვლელ კარს უახლოვდებოდა, გუშაგები კი მისკენ მორბენალი ქალისთვის გზის გადასაჭრელად მოემართებოდნენ.

– პაველ! – შესძახა ქალმა და გუშაგებიც ეცნენ აქეთ-იქიდან მკლავებში.

მამაკაცი სწრაფად შემობრუნდა და ქალბატონს დააშტერდა, რომელსაც უშიშროების რიგითი თანამშრომლები ეძიძგილავებოდნენ და მისი ტერიტორიიდან გაყვანას ცდილობდნენ.

– მე ნინა ვარ, ბერდიევა! – შესძახა ქალმა.

პოლკოვნიკი მათკენ წავიდა და გუშაგებს უბრძანა, ხელი გაეშვათ. მათ ბრძანება უმალ შეასრულეს და სკოლის მეგობრები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

– ნინა... ნინა ბერდიევა... – ჩაილაპარაკა სამხედრო ოფიცერმა, წამით კიდევ დააკვირდა და ხელი გაუწოდა.– აქ საიდან გაჩნდი, ნინა? ანდა როგორ მომაგენი?

– პაველ, წარმოდგენა არ მაქვს შენზე, თუ სად მუშაობ. შვილი დავკარგე ორი თვის წინ. უშიშროებამ წამოიყვანა საქართველოდან და თბილისში მითხრეს, რომ მოსკოვშია. ამ ხნის განმავლობაში, დავდივარ და ვეძებ მშველელს, მაგრამ ჩემი გამკითხავი კაცი ვერ ვნახე. აქ მრავალჯერ ვარ მოსული და ახლაც ქუჩის გადაღმა ვიდექი. ინსტანცია არ დამიტოვებია არსად, მაგრამ შვილის შესახებ ვერაფერი შევიტყვე. შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევამ შემახვედრა შენთან. როგორც შემოგხედე, გიცანი. ვიმეორებ, მე არ ვიცი, შენ სად მსახურობ, მაგრამ უნდა დამეხმარო.

– დამშვიდდი, ნინა! ყველაფერი დალაგებულად მითხარი და შევეცდები რამეს.

– შენ თუ უშიშროებაში მუშაობ, ადვილად დაადგენ ყველაფერს. მინიშნებად კი ამას გეტყვი: ჩემი შვილი, ანტონ სავიჩევი, ჯარში მოსკოვში მსახურობდა, საიდანაც უშიშროებამ ორ

კვირაში გამოუშვა. სანამ სახლში წამოვიდოდა, ჯერ სხვაგან გააგზავნეს თორმეტი დღით და იქიდან დაბრუნდა საქართველოში. რამდენიმე დღეში, კვლავ მათ მოაკითხეს და წამოიყვანეს, რის შემდეგ შევიტყვე, რომ მოსკოვში გადმოუყვანიათ.

– ყველაფერი გასაგებია. – დინჯად ჩაილაპარაკა პაველმა და თან დაამატა: – ახლა ორშაბათია. ორი დღე მაცალე. ოთხშაბათს მოდი აქ და უთხარი, რომ უფროსის თანაშემწე პაველ ტიმჩუკთან ხარ. ყველა ღონეს ვიხმარ, გავარკვიო და გავიგო, სად არის ანტონი. შენთვის ყველაფერს გავაკეთებ! არ ინვერვიულო! მანამდე კი გკითხავ: სად ხარ გაჩერებული მოსკოვში? სხვა თუ რამე გიჭირს, მითხარი. მე მზად ვარ, ყველანაირი დახმარება აღმოგიჩინო.

– სასტუმრო „როსიაში“ ვარ. დიდი მადლობა, პაველ! შენ ოღონდ შვილი მაპოვნინე და მეტი არაფერი მინდა. ერთსაც გეტყვი: სხვანაირს ვერაფრით წარმოგიდგენდი. – უთხრა ნინამ და დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

ორი დღე, ორ საუკუნედ მოეჩვენა ნინას, რადგან ყოველ წუთს ითვლიდა დანიშნული დროის დადგომამდე. ოთხშაბათიც გათენდა. დილის ცხრა საათზე, ნინა უშიშროების სამმართველოს შენობაში თავის პასპორტით გუშაგს წარუდგა და მოახსენა, თუ ვისთან იყო დაბარებული. იმავე დღის პირველ საათზე, ბერდიევა ელმავალით უკვე ანტონის სამხედრო ნაწილისაკენ მიიჩქაროდა, სადაც ბრძანება, მისი შვილთან შეხვედრის ნებართვაზე, ორიოდე საათის წინ გაიცა.

პაველის ზეპირი მონახაზის მიხედვით, ნინა ბერდიევა მატარებლიდან მითითებულ სადგურზე ჩამოვიდა. ირგვლივ მხოლოდ ტყით დაფარული მასივი იყო და საჯარისო შენაერთისა კი არა, ადამიანის არსებობის ნიშანწყალი არ ჩანდა. ამიტომ, მატარებლიდან ჩამოსული ერთადერთი მგზავრი, გეგმის თანახმად, მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და მარჯვნივ მიმავალ გზას დაადგა. დაახლოებით ორი კილომეტრის გავლის შემდეგ, რკინიგზის ლიანდაგების გასწვრივ გამავალი გზა, ხელმარცხნივ, ოდნავ შეკბეჩილი ტყისკენ უხვევდა, რომელმაც ოციოდე წუთში ტყის სიღრმეში მდგომ სამხედრო საგუშაგოსთან მიიყვანა.

– შეჩერდით! – ხელის აწევით შესძახა ორიდან ერთმა ჯარისკაცმა, მხარზე ავტომატი შეისწორა და ნინასკენ გაემართა. – თქვენი საბუთები! – უთხრა მან, როდესაც ქალს მიუახლოვდა.

ნინამ ჩანთა გადახსნა, რომელსაც ჯარისკაცი გაფაციცებით ადევნებდა თვალს და იქიდან ამოღებული, თავის სახელზე გაცემული საშვი სამხედროს გაუწოდა. ახალგაზრდა მამაკაცმა საფუძვლიანად დაათვალიერა პატარა ფურცელი და სტუმარს საგუშაგოსკენ გაუძღვა. შემდეგ ნინას ანიშნა, რომ მეორე ჯარისკაცის გვერდით დალოდებოდა და თვითონ დაბალ და ვიწრო ჯიხურში შევიდა, საიდანაც ზემდგომს გადამცემით მოახსენა აქ მოსული ქალბატონის ვინაობა. იქიდან გამოსულმა გუშაგმა თან სკამი გამოიტანა და ნინა ბერდიევას გვერდით დადგა.

– დაბრძანდით ქალბატონო! ათ წუთში მანქანა მოვა და წაგიყვანთ.

მსუბუქად დაღლილი ნინა სკამზე ჩამოჯდა, ხოლო ჯარისკაცებმა ერთმანეთში მუსაიფი გააგრძელეს.

საბჭოთა სამხედრო „ვილისი“ ტყის ვიწრო და ოღრო-ჩოღრო გზაზე საშუალო სიჩქარით მიჯლიყინებდა. გზის აქეთ-იქით ჩამწკრივებული ხეები, მანქანაში მჯდომი ქალბატონის თვალთახედვაში რიგ-რიგობით რჩებოდნენ უკან, მაგრამ ამას ის მხოლოდ მექანიკურად აღიქვამდა, რადგან მისი მთავარი ფიქრი, თავის ერთადერთ ვაჟიშვილს დასტრიალებდა. ერთი სული ჰქონდა, საღ-სალამათი ენახა ანტონი და გაეგო, მისი ხელმეორედ აქ მოხვედრის მიზეზი. მასში აბობოქრებული დედური ინსტინქტი, გავარვარებულ ქურაზე შემოდგმულ და დახურულ ქვაბში მოთუხთუხე იმ წყალს წააგავს, რომლისგან გამოყოფილი ორთქლის ძალაც წუთი-წუთზე აიგლეჯს თავიდან სარქველს. დიახ, დედა-შვილს შორის გაბმული ტალღოვანი ძაფი მუდმივად აგრძნობინებს, რომ ანტონი განსაცდელშია. და მიიჩქარის საბჭოთა სისტემაზე განრისხებული დედა თავისი ვაჟისაკენ, რომლისთვისაც ყოველ წამს მზად არის, დათმოს სიცოცხლე.

მანქანა ტყიდან გავიდა და თავქვეზე დაეშვა, საიდანაც დაბლა, ვაკეზე გამოჩნდა სამ-ოთხ სართულიანი შენობებით

წარმოდგენილი პატარა ქალაქი, რომელიც გარშემორტყმული იყო მაღალი თეთრი გალავნით, მასში დატანებულ სათვალთვალო კოშკურებთან ერთად. ათი წუთის შემდეგ, ქალაქში შესული „ვილისი“ ერთ-ერთი შენობის წინ გაჩერდა. წინა სავარძელზე მჯდარი ოფიცერი მანქანიდან გადავიდა და ბერდიევას სთხოვა, რომ მას გაყოლოდა. შენობის პირველ სართულზე, იქ დამხვედრმა ორმა სამხედრომ, ერთი ოთახის ნახევრად ღია კარისკენ მიუთითეს და იქ მიიპატიჟეს სტუმარი ქალბატონი. თან უთხრეს, რომ სულ ცოტა ხანში მოიყვანდნენ ანტონს.

ნინას რაღაც ცუდის მოლოდინში გული აუჩქარდა, მაგრამ გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა და ჩვეულებრივი, სერიოზული სახით მიაჩერდა იმ კარს, საიდანაც ანტონი უნდა შემოსულიყო. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია ნინას, რომ კარი გაიღო და ორ მკერდამობურცულ და გაჯგიმულ ოფიცერს წელში საკმაოდ მოხრილი ანტონი უსიცოცხლო ფეხების ფლარტუნით მოჰყვათ უკან. დედის თვალებში ცეცხლი გამოკრთა და ის უმალ მიეჭრა შვილს. მხრებში ხელი სტაცა ანტონს, წელში გაასწორა, თვალებში ჩახედა და შესძახა:

– ეს ვინ დაგმართა, შვილო?

ანტონმა მიბნედილი თვალები დედას ძლივს გაუსწორა და თითქმის ამოილუღლუღა:

– ნეტავი შენთვის დამეჯერებინა, დედი...

– რა ხდება, გამაგებინე! – შეჰყვირა ნინამ.

– ჩემს მეგობარ გოგის ვუთხარი კუიბიშევის ამბავი და ამის გამო მოხდა ეს ყველაფერი. ჩემი აქ ჩამოსვლის დღიდან, ხმას არავინ მცემს, არც დიდი, არც პატარა. პროტესტი რომ გამოვთქვი, ერთი დღით წყალში ჩამაგდეს და აი, შედეგიც. – ანტონმა ფეხებისკენ მიმართა მზერა. – ფეხები აღარ მემორჩილება, დედი.

ნინა ბერდიევას ყელის ძარღვები სიმწრისაგან ისე დაებერა, თითქოს თითოეული მათგანი გახეთქვას ლამობსო. შვილს ხელი გაუშვა და მკვეთრი მოძრაობით და დაჭიმული თითის მიშვერით, ჯერ ერთის, ხოლო შემდეგ მეორე სამხედროს მიმართულებით შეძახილი მიაყოლა:

– ვინ ხარ შენ? ანდა შენ? როგორ ჩაიდინეთ ეს, თქვე

ლაჩრებო?!

– ჩვენ რიგითი ოფიცრები ვართ და არავითარ გადაწყვეტილებას არ ვიღებთ. – მოწიწებით წარმოთქვა უჩვეულოდ განრისხებული და უცნაური სტუმრის ხილვით ოდნავ შემკრთალმა ერთმა ოფიცერმა.

– მაშ, ვინ გადაწყვიტა ჩემი შვილის განადგურება? ის ადამიანი მაჩვენეთ! – დაიძახა ნინამ და კორიდორში გავარდა. მას უკან მიჰყვნენ ოფიცრებიც და ანტონიც.

კორიდორში თხუთმეტამდე სამხედრო ჩინის მამაკაცი შეკრებილიყო. ფაქტია, რომ ვიღაც ამ მომენტს ელოდა. ნინა ძალიან ახლოს მიეჭრა მათ და თითქმის შეჰყვირა:

– რომელი ხართ ამ პოლკის უფროსი?

ყველა ერთიანად გაისუსა და ხმა არავინ ამოიღო.

– ვინ ჩაიდინეთ-მეთქი ეს? – გაუმეორა მათ ბერდიევამ, ანტონს მხარზე ხელი ფრთხილად შემოაჭდო და მათ წინ დააყენა. – რომელმა დანერგეთ ადამიანზე, თანაც ჯერ ბავშვზე, ასეთი ზემოქმედების წესები? რომელი ხართ ის ლაჩარი, რომელსაც სხვაზე ასეთი მოპყრობა სიამოვნებას განიჭებთ? აქეთ გადმოდით და წინ დამიდექით, რომ მწერივით მიგასრისოთ კედელზე! ხმას არ იღებთ არა?! ვინ არის თქვენი უფროსი? ალბათ თქვენსავით ლაჩარია, რომ იმალება! წარმოდგენილი მაქვს, თითოეული თქვენგანი, როგორ იმალებოდით ჩირგვში მეორე მსოფლიო ომში! მაშინ, როდესაც მე, ძუძუმწოვარ ბავშვს სახლში ვტოვებდი და თქვენი ოჯახების გადასარჩენად მტერს ხევ-ხუვებში ვებრძოდი! ასე მიხდით არა?! აფერუმ თქვენს კაცობას!

არავინ იცის, რა მოხდებოდა მაშინ, რომელიმეს სიტყვა რომ შეებრუნებინა, ან წესრიგისაკენ მოეწოდებინა ნინასთვის, რადგან ქალი ისეთი გამხეცებული იყო, იმ თხუთმეტამდე ოფიცერს, თხუთმეტ წამში გამოიყვანდა მწყობრიდან. ალბათ ამას მოერიდა ყველა, ანდა ვინ იცის, რას?

უეცრად სიჩუმე ჩამოწვა. ზამბარასავით დაჭიმულმა და ტანშემართულმა ბერდიევამ, ზიზღნარევი გამომეტყველებით ერთხელ კიდევ მოავლო სათითაოდ თვალი, თავის წინ მდგომარე ოფიცრებს, რომელთა გამტკნარებული სახეები იმას მიგვანიშნებდა, რომ ისინი მზად იყვნენ ყველანაირი დამცირების ასატანად. მათთან პაექრობას აზრი არ ჰქონდა და ნინაც თავდახრილ ანტონს მიუბრუნდა:

– ანტონ! – მიმართა რიხით მან შვილს. – შენ ალექს სავიჩევისა და ნინა ბერდიევას შვილი ხარ! გახსოვდეს, რომ შენს მშობლებს ათასჯერ უფრო მეტი აქვთ ქვეყნისთვის გაკეთებული, ვიდრე აი ამათ, ერთად აღებულს! – თან თითით მიანიშნა კორიდორში თავმოყრილ სამხედრო ოფიცრებზე. – ამიტომ, – ცოტა ხმას დაუწია ნინამ. – მე რომ აქედან გავალ, არ მგონია, ესენი ისევ ძველებურად მოგექცნენ, რადგან თუ რომელიმე მათგანმა არ იცოდა შენი მშობლების შესახებ, ახლა ხედავს, რომ დედამიწას შევძრავ და აქ არ დაგტოვებ! ქვეყანას ავაწრიალებ და მათ თავგასულობას დაუსჯელს არ დავტოვებ! – ნინამ ანტონს მხარზე ხელი მოხვია და ეზოში გასასვლელი კარისაკენ წაიყვანა. – დაწყნარდი, შვილო და მელოდე! შენს წასაყვანად მე აუცილებლად დავბრუნდები! – უთხრა ბერდიევამ შვილს და როდესაც კარისაკენ მიმავალი, ოფიცრებს გაუსწორდა, მათ გასაგონად ჩაილაპარაკა: – ამათ წარმოდგენა არ აქვთ, რას ვიზამ ახლა მე.

ამ სიტყვების გაგონებაზე ისინი ერთიანად შეცბნენ და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს.

ვნახოთ, ჩაეთვლება თუ არა შეცდომად ნინა ბერდიევას მისი ეს ბოლო სიტყვები და ექცევა თუ არა ცხოვრების ბედისწერად საკუთარი ნერვული სისტემის უკვე ერთადერთი მამოძრავებელი ძალა – დედური ინსტინქტი!

სამხედროებმა მატარებლის გაჩერებამდე მანქანით მიიყვანეს ბერდიევა, რომელიც მათ ცალყბად დაემშვიდობა და ბაქანზე ასასვლელ კიბეებს აუყვა.

ქვეყანას ბინდი წამოსწოლოდა და ცას შავად აეკრა პირი. ჰაერში ჯგროდ მოფარფატე და ქარისგან მიმართულებადაკარგულ თოვლის წვრილ ხორხოშელებს, გაავებული ბუნება ბაქანზე ეულად მდგომ მგზავრს აქეთ-იქიდან აყრიდა. მის დარად ჩაცმულ ნებისმიერ ადამიანს ძვალ-რბილში გაატანდა სიცივე, მაგრამ ნინას გონებას, რომელიც მთლიანად ხვალინდელი დღის გეგმის შედგენით იყო დაკავებული, თავის სხეულში გარემოს აღქმაზე მომუშავე ყოველი გრძნობა ავტომატურად ჰქონდა გა-

დაკეტილი.

მანქანა ადგილიდან არ დაძრულა. ნინას მოყვანიდან ცოტა ხნის შემდეგ, იქიდან ერთი ოფიცერი გადმოვიდა, ბაქანზე ავიდა და ბერდიევასკენ გაეშურა.

– ქალბატონო ნინა, – მშვიდად მიმართა მან, როდესაც მას მიუახლოვდა. – მატარებელი თხუთმეტ წუთში მოვა და მანამდე, ნება მიბოძეთ, თქვენს გვერდით ვიყო.

ფიქრებიდან ძლივს გამორკვეულმა ნინამ გაკვირვებით შეხედა სამხედროს და მანაც მშვიდად მიუგო:

– კაპიტანო, ვგევარ ისეთ ადამიანს, რომელსაც აშინებს ღამე, ტყე, სიცივე და სიმარტოვე?!

– ბოდიშს გიხდით. – მოკრძალებით თავი დაუკრა ოფიცერმა. – უპრიანი იქნებოდა, საუბარი აქედან დამეწყო: მართალია, მე თქვენი შვილისთვის არაფერი დამიშავებია, მაგრამ მაინც ბოდიშს გიხდით ყველაფრისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მას მალე წაიყვანთ ჩვენი ნაწილიდან და სანამ ეს მოხდება, მინდა გჯეროდეთ, რომ მე ყურადღებით ვიქნები და საჭიროების შემთხვევაში ყველანაირ დახმარებას გავუწევ ანტონს, თუნდაც ეს სამსახურის დატოვების ფასად დამიჯდეს, რადგან ვფიქრობ, რომ მის მიმართ განხორციელებული სასჯელი არასამართლიანია.

კაპიტანმა გულიდან ამოსული სათქმელი დაასრულა და გაფაციცებით დაელოდა მისთვის უცნობი, მაგრამ მასში სიმპათიის გამომწვევი ქალბატონის რეაქციას.

ნინა ბერდიევამ ინტერესით დაათვალიერა ახოვანი და წარმოსადეგი ოფიცრის სახე, რომელსაც ქალისადმი მოწიწების ნიშნად თავი ნახევრად დაბლა დაეხარა. მას აშკარად შეეტყო, რომ ახალგაზრდა მამაკაცის ნათქვამმა გული შეუტოკა.

– რა გვარი ხარ, კაპიტანო? – უთხრა ნინამ უკვე შერბილებული ტონით.

– პეტრე მაქსიმეს-ძე ჩურინი. ერთ-ერთი ბატალიონის უფროსის მოადგილე. – მოახსენა დაბალი, მაგრამ გამართული ხმით ოფიცერმა.

– მადლობელი ვარ შენი, პეტრე. – ხელი გაუწოდა ნინამ, რომ ამ დროს პროჟექტორის შუქმაც ინათა, რომელსაც

მატარებლის შეკივლებაც მოჰყვა. – შენი თანადგომა, ჩემთვის ყველაზე დიდია ამ წუთებში. სიკვდილამდე არ დაგივიწყებ ამას და ყოველთვის ვიფიქრებ, რომ სისტემა ჯერ კიდევ ვერ მორევია ყველას.

ნინამ კიდევ ერთხელ გადაუხადა კაპიტანს მადლობა, მშვიდობა უსურვა და მატარებლის კიბეზე შედგა.

სასტუმროს შესასვლელს რომ მიადგა, უკვე კარგად დაღამებულიყო და თოვაც უფრო მოხშირებულიყო. სითბოში შესვლისთანავე იგრძნო დაღლა და წამით ფოიეში შეყოვნებულმა უცბად გადაწყვიტა, ცხელი ჩაი დაელია. სასადილო იქვე, პირველ სართულზე იყო და ნინამაც მისკენ აიღო გეზი. ერთი სუფთა და ცარიელი მაგიდა მონახა, ხელჩანთა სკამის საზურგეზე გადაჰკიდა და თვითონაც მოწყვეტით დაჯდა.

– ერთი ფინჯანი ცხელი ჩაი მომიტანეთ, თუ შეიძლება! – გასძახა ნინამ არც თუ ისე შორს მდგომ ოფიციანტს და შეციებული შუბლი ხელის თითებით მოისრისა.

სულ მცირე ხანში ახალგაზრდა ქალბატონმა მას ჩაი მიართვა.

– ეს თქვენ! – უთხრა მან და მაგიდაზე ფრთხილად დადგა ფინჯანი.

– დიდი მადლობა, გეთაყვა! – მიუგო ნინამ, ერთი პატარა შაქრის ნატეხი ჩააგდო ფინჯანში და კოვზით მოურია. ერთი ყლუპი რომ მოსვა, იმდენად ესიამოვნა ცხელი ჩაი, მეორეც უმალ მიაყოლა. ამ დროს, უეცრად შენიშნა, რომ ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდარი ორი მამაკაციდან ერთმა, სხვანაირი ყურადღებით გამოხედა. მას ეჭვი არც კი შეჰპარვია, რომ ეს დაზვერვის თვალი იყო, მაგრამ წამიერი ჩაფიქრებით ვერ ამოხსნა, თუ რისთვის უნდა დაეწესებინათ მასზე თვალთვალი. კიდევ ჩაფიქრდა ცოტა ხნით, მაგრამ რაღაც ცუდად იგრძნო თავი და თითქოს ჩაის დალევის სურვილიც გაუქრა.

„ემოციურად ალბათ ძალიან დავიტვირთე დღეს და როგორც ჩანს, გადავიღალე.“ – გაიფიქრა და გადაწყვიტა, ნომერში ასულიყო, დაესვენა და ხვალისთვის მომზადებულიყო. ფოიეში რომ გავიდა, ოდნავ თავბრუ დაეხვა და, რომ არ წაბორძიკებულიყო, მომენტალურად კედელს მიეყრდნო.

– ცუდად ხომ არ ხართ, ქალბატონო? – გამოეგება სასტუმროს ადმინისტრატორი, რომელმაც შეამჩნია მისი უხერხული მოძრაობა.

– არა, არა. დიდი მადლობა. დღეს მძიმე დღე მქონდა და, ალბათ, გადავიღალე. ავალ ნომერში, დავისვენებ და გამივლის ეს დაღლილობაც.

ბერდიევამ მეორე სართულის კიბეები გაჭირვებით, მაგრამ მაინც წელში გამართულმა აიარა და თავის ნომერში შევიდა. ჩანთა საწოლზე მიაგდო და ფანჯრები გამოხსნა, რათა უფრო მეტი ჟანგბადი ესუნთქა. ფანჯრის რაფას ხელებით დაეყრდნო და ღრმად დაიწყო სუნთქვა. გარეთ, ლამპიონების შუქზე კარგად მოსჩანდა ციდან სწრაფად მომდინარე თოვლის ხშირი ფანტელები, რომელსაც თეთრ სამოსელში გაეხვია უკვე გარე სამყარო. ნინამ საფეთქლები კიდევ ერთხელ მოისრისა და ამ ამინდის შემხედვარეს, რატომღაც ის დრო გაახსენდა, თექვსმეტი წლის ასაკში მატარებლის გადასაბმელზე მჯდარი, ციმბირისკენ რომ მიდიოდა. შემდეგ ის ქალბატონიც გაახსენდა, გაყინული ფეხები რომ მოურჩინა და დედასავით უპატრონა. უეცრად თვალებში აუფარფატდა ახალშობილი ანტონი, რომ მისმა გონებამ, ამ წარმოსახვას გვერდით მიუყენა დღეს ნანახი, გაუბედურებული და განადგურებული მისი შვილი. ნინას უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა თავიდან ფეხებამდე და თვალები დაებინდა. ის წელანდელივით ვეღარ ხედავდა თოვლით დაფარული შენობების სახურავებს და ქუჩებს. უკვე მუხლებშიც იგრძნო ძლიერი სისუსტე, რომ ამ დროს კარზე კაკუნი მოისმა. ნინა ფრთხილად შემობრუნდა და ძლივს გაარჩია ოთახში შემოსული ორი მამაკაცი.

– ცუდად ხართ, ქალბატონო? – მიმართა ბოხი ხმით ერთმა მათგანმა.

ბერდიევას უკვე სუნთქვა ეკვროდა და მისი გონება ბურანში მიდიოდა. ჩანდა, რომ წუთი-წუთზე დაკარგავდა ყველანაირ შეგრძნებას. სანამ ეს მოხდებოდა, მან კიდევ მოიკრიბა ძალა, წელში გასწორდა და ოთახში შემოსულებს მიმართა:

– მაინც მძლიეთ, მაგრამ ლაჩრულად! – ამოთქვა უკანასკნელი სიტყვები და ჩაიკეცა.

* * *

ორთვენახევარზე მეტი ელოდა ანტონი დედას. ამ ხნის განმავლობაში, მას ლოდინის ძაფი არ გასწყვეტია და არ იყო წუთიც კი, რომ ამაზე არ ეფიქრა. მისი ქვეცნობიერი მუდმივი ლოდინის რეჟიმზე იყო გადართული და სხვა ფიქრის ადგილი მის გონებაში აღარ მოიძებნებოდა. ამაში ეხმარებოდა მშვიდი მდგომარეობა, რომელიც პოლკის ხელმძღვანელობამ ნინა ბერდიევას ნაწილში სტუმრობის შემდეგ შეუქმნა, – მას მისცეს ცალკე ოთახი და საურთიერთობოდ კაპიტანი ჩურინი. ანტონს არ ეხებოდა ვარჯიში და სწავლება. რაც შეეხება სადილს, აქაც გამიჯნული იყო თავის ასეულთან და ოფიცრებთან ერთად სადილობდა. კაპიტანი ჩურინი ძალიან კარგი სამეგობრო ადამიანი აღმოჩნდა. ისინი თითქმის მთელს დღეს ერთად ატარებდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა კი ჭადრაკის თამაში იყო.

ასე გავიდა ეს დრო და, როცა ერთ-ერთი მორიგი დილა გათენდა, სავიჩევი, სამედიცინო შემოწმების მიზნით სანიტარულ ნაწილში გამოიძახეს. ექიმთა კონსილიუმის ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ დადგინდა, რომ რიგითი ანტონ სავიჩევი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, როგორც არმიისთვის გამოუსადეგარი და სამხედრო სამსახური მოხდილად ჩათვლოდა, რადგან ფეხების ტრავმა არმიაში ყოფნის დროს იყო მიღებული.

იმ დღემ ანტონისთვის უჩვეულოდ ჩაიარა, განსაკუთრებით, აწ გადავლილი რამდენიმეთვიანი წამების ფონზე. ის ფიქრობდა, რომ ნინა მაქსიმოვნამ თავისას მიაღწია და, როგორც დაპირდა, მაინც დაიხსნა ამ აუტანელი მდგომარეობიდან. იმასაც მოელოდა, რომ დედა ნაწილის გარეთ სადმე დახვდებოდა და ერთად გაუყვებოდნენ გზას საქართველოსკენ. იმ ქვეყნისაკენ, საიდანაც თავისი ერთი პატარა შეცდომის გამო, ცოტა ხნის წინ იძულებით წამოიყვანეს და ნამდვილ ჯოჯოხეთს შეჰყარეს. ამ მცირე დროში, მან გაიარა თვითმკვლელობის გზა და სრულად შეიგრძნო მისი სუსხიანი არსი. ნახა და საკმაოდ დიდხანს უყურა მისთვის მანამდე წარმოუდგენელ ადამიანთა გულქვაობას. აღმოაჩინა იანუსის მსგავსი ორსახოვანი არსება, პოლკოვნიკ

ვოლკოვის სახით და კიდევ მრავალი სხვა უარყოფითი თვისება ადამიანისა, რომელზეც ახლა უკვე ფიქრობს, რომ აქედან გასვლის შემდეგ, დაივიწყებს ყველაფერ ამას, როგორც კოშმარულ სიზმარს, რათა ცხოვრების ეს მონაკვეთი, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში განმსაზღვრელ კრიტერიუმად არ ექცეს. დიახ, ის ხვალ დილით მიდის აქედან და ფიქრობს, რომ აქეთ აღარასოდეს მოიხედავს.

დილის ათი საათია. ანტონი პეტრე ჩურინთან ერთად გამოდის ადმინისტრაციული შენობიდან. მას უკვე ხელთ უპყრია ყველა ის დოკუმენტი, რაც, შეიძლება, გზაში დასჭირდეს. მათ უკან კიდევ მოდის ორი ოფიცერი, რომელთაგან ერთ-ერთმა მათ გადაასწროთ და ანტონს მოკრძალებით უთხრა, რომ თავისი ასეულის ბიჭებს დამშვიდობებოდა, რომლებიც ეზოში ელოდნენ. სავიჩევს კი გაუკვირდა ასეთი თხოვნა-შეთავაზება, მაგრამ გეზი უსიტყვოდ აიღო ეზოს მიმართულებით. მას გულმხურვალედ დაემშვიდობა ყველა, მათ შორის, ოფიცრობაც. იმ ჯარისკაცებმა კი, რომლებიც პირველად, აქ ჩამოსვლის დღიდან გაიცნო და დაუახლოვდა, ბოდიში მოუხადეს და უთხრეს, რომ უბრალოდ ბრძანებას ასრულებდნენ, თორემ მის მიმართ ისევ ძველებურად, კარგად არიან განწყობილნი.

საბჭოთა უშიშროების სამსახური მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ სავიჩევი აქედან გაბოროტებული არ მიდიოდა და ამიტომ „იღვაწა“, ნაწილის საბოლოო კეთილგანწყობა მის მეხსიერებაში, რაც შეიძლება, მკვეთრად აღბეჭდილიყო, რათა მომავალში, როცა ის მსაჯულის თვალით გადახედავდა აქ გატარებულ დღეებს, ცოდვა-მადლის სასწორის ერთი პინა ცარიელი არ ყოფილიყო.

სამხედრო „ვილისმა“, სპეცდანიშნულების პოლკის ტერიტორიის უკანასკნელი საგუშაგო გაიარა და გეზი მოსკოვისაკენ მიმავალი მატარებლის გაჩერებისკენ აიღო. მანქანაში სამი მგზავრი ზის – მძღოლი, მის გვერდით კაპიტანი ჩურინი და უკანა სავარძელზე რიგითი სავიჩევი. ჯარისკაცს აშკარად ეტყობა მოუსვენრობა, რადგან რაც სამხედრო ქალაქის კედლებს გამოსცდნენ, მას შემდეგ აქეთ-იქით ატრიალებს თავს.

– ანტონ, – მიმართა მის წინ მჯდომმა კაპიტანმა ჩურინმა,

რომელმაც შეამჩნია მისი ასეთი მოქმედება. – ნინა მაქსიმოვნას თუ ეძებ, ის, ჩემი აზრით, მოსკოვში დაგელოდება, რადგან აქ რომ ყოფილიყო, მე აუცილებლად მეცოდინებოდა.

სავიჩევმა შეწყვიტა გარეთ ყურება, სკამის საზურგეს თავისუფლად მიაწვა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

– მე კი ვფიქრობდი, რომ აქ დამხვდებოდა. ეს ალბათ ჩემი სურვილი უფრო იყო.

ცოტა ხნით მანქანაში სიჩუმე ჩამოვარდა, რის შემდეგაც „ვილისი“ მატარებლის მოსაცდელ ბაქანთან შეჩერდა.

– აბა, გადავედით! მატარებელი ხუთ წუთში მოვა! – დაიძახა პეტრემ და მკვირცხლი მოძრაობით მანქანიდან პირველი თვითონ გადახტა.

ანტონმა ზურგჩანთა ცალ მხარზე მოიკიდა და ბაქანზე ასულ ჩურინს მიჰყვა უკან. მანამდე მძღოლს დაემშვიდობა და ბედნიერი მომავალი უსურვა.

– ჩემო უმცროსო მეგობარო, ანტონ! – უთხრა კაპიტანმა, როდესაც ჯარისკაცი მას მიუახლოვდა. – ორ თვეზე მეტი გავატარეთ ერთად და რა თემებზე აღარ ვისაუბრეთ. მინდა გულწრფელად გითხრა, რომ შენი ასაკის შენნაირად მოაზროვნეს არასოდეს შევხვედრივარ. ვფიქრობ, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთი მეტად დასამახსოვრებელი მონაკვეთი შექმენი და აქედან გამომდინარე, ყოველთვის სიამოვნებას მომგვრის შენთან ერთად გატარებული დღეების გახსენება. – პეტრე მაქსიმეს-ძემ უეცრად თვალები აატრიალა, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ გონება მომენტალურად შემოჭრილმა ფიქრმა გაუფანტა. მან დაბურული ტყის ზოლს მექანიკურად მიმოატარა მზერა და კვლავ ჯარისკაცს მიუბრუნდა, რომელიც ყურადღებით მისჩერებოდა მას. – არ ვიცი, ოდესმე კიდევ შევხვდებით თუ არა ერთმანეთს, – განაგრძო კაპიტანმა. – რადგან ჩვენ ვერ ვმართავთ ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ მეგობრულ რჩევას კი მოგცემ, რომელიც, შეიძლება, გამოგადგეს. – ახოვანი ოფიცერი მცირე ხნით ისევ შეჩერდა, თითქოს სათქმელი კონკრეტულ ფორმაში მოაქცია და თავისი ახალშეძენილი მეგობარი ასეთი სიტყვებით გამოაცილა: – სიცოცხლეში იბრძოლე სიცოცხლისთვის და არასოდეს აღიარო სიკვდილი, რადგან სიკვდილმა თავად უნდა

გაღიაროს შენ!

მიდიოდა ანტონი მატარებლით მოსკოვისაკენ და ფიქრობდა კაპიტნის ნათქვამ ბოლო სიტყვებზე, რომელიც ადამიანის მთელ ცხოვრებას მოიცავდა. იჯდა თავისთვის გარინდული მგზავრი-ჯარისკაცი და გონების მეშვეობით ხარბად იწოვდა ამ შესანიშნავ შეგონებას, რომელიც სხეულში მიმალული ძალების აღმოჩენაზე იყო ორიენტირებული.

მატარებელი მოსკოვის ცენტრალური რკინიგზის სადგურზე ნელი სვლით შევიდა. ანტონი ფანჯრიდან ათვალიერებდა ბაქანზე მომლოდინე ხალხს, რომელთა შორის დედას ეძებდა, მაგრამ ნინა მაქსიმოვნა არსად ჩანდა. უკვე ძირს ჩამოსული სავიჩევი, ნახევარი საათი მაინც იდგა ერთ ადგილზე და აქეთ-იქით უშედეგოდ იყურებოდა. ბოლოს იმედი გადაეწურა და იფიქრა, რომ დედა ალბათ საქართველოში ელოდა მას, თორემ მოსკოვში ყოფნის შემთხვევაში, აქ კი არა, სამხედრო ნაწილის გამოსასვლელში დახდვებოდა. სხვა გზა არ იყო, თბილისში მიმავალი მატარებლისთვის უნდა მიესწრო და ანტონიც ჩქარი ნაბიჯით, მაგრამ ცოტა გულნაკლული გაემართა მისკენ.

სავიჩევის ვაგონი შეღამებულზე დაიძრა და ნელი რწევით გასცდა მოსკოვის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიას, რის შემდეგაც, ღამის შუქზე, ორივე მხარეს გამოჩნდა თანმიმდევრულად ჩალაგებული კორპუსები. ჯარისკაცი, რომელიც თავის წინ, კედელზე მიმაგრებულ, გადმოსაშლელ პატარა მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა, ინტერესით გასცქეროდა ქალაქს. მას, თავისი ასაკიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა, სცოდნოდა, იმპერიის იმ სუსხიანი დედაქალაქის მთავარი დანიშნულება, რომელიც სისხლით დაჭაობებულ მიწაზე და ადამიანის ძვლებზე იყო აშენებული. ცხრამეტი წლის ყმაწვილი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ რუხ ფერზე შეღებილი ადმინისტრაციული შენობების გრძელ კორიდორებში, წამებაში გარდაცვლილი ადამიანების სულები დაფარფატებდნენ, ხოლო მისი სარდაფებიდან განწირულთა კივილი და გოდება ისმოდა. უბრალო მოკვდავთათვის მკაცრად იყო გასაიდუმლოებული ამ შენობების კაბინეტებში ღამ-ღამობით მომუშავე იმ რიგითი ჩინოვნიკების საქმიანობა, რომლებიც გამუდმებით წერდნენ

საკუთარ თავში წარმოდგენილ ადამიანთა წამების ახალ-ახალ ფორმებს, რათა დილით, თავიანთი უფროსების წინაშე თავი მოეწონებინათ ამით. ასეთი დაწესებულებების მთავარი შესასვლელი კარის მაღლა, გადმოკიდებული იყო ქუდის ფორმის თხელი მეტალის ფირფიტა, რომელიც წვიმისაგან იცავდა მის შუაგულში დაკიდებულ ნათურას, რაც, თავის მხრივ, ქარზე რეაგირებდა და ქანაობის დროს, ხან გამოაჩენდა, ხან კი ჩრდილში აქცევდა შენობის პერიმეტრზე ძეგლებივით გაშეშებულ თოფიან დარაჯებს, რომლებიც იმპერიის შემოქმედთა უსაფრთხოებას იცავდნენ. ქალაქი დაღამებისთანავე დუმდებოდა, რომლის მყუდროებასაც, კანტი-კუნტად გამოჩენილი უშიშროების თანამშრომლებით სავსე მანქანების ხმა თუ დაარღვევდა, რომლებიც ნახევრად ჩაბნელებულ ქუჩებში, სისხლზე დაგეშილი ძაღლებივით დაძრწოდნენ. დედაქალაქის მშრომელების აბსოლუტურ უმრავლესობას კი, ღამის ცვლაში მომუშავეების გარდა, მკვდრებივით ეძინათ, რადგან ფაბრიკებსა და ქარხნებში გაწერილი გეგმის უტოპიური ციფრების მისაღწევად ხარჯავდნენ ენერგიას და ქანცგამოლეულნი ბრუნდებოდნენ სახლებში. სამაგიეროდ, ისინი მშვიდად იძინებდნენ, რამეთუ თითოეულმა მათგანმა იცოდა, რომ მათი შრომა თავიანთი ქვეყნის გაძლიერებას ემსახურებოდა. ამ საცოდაობით აღსავსე მარათონში ჩაბმულ ხალხს, მუდმივი გონებრივი სტიმულატორი სჭირდებოდა, რომელიც მათში ენთუზიაზმს გააღვივებდა. კომუნისტებმა საბჭოთა კავშირის შექმნის პირველივე წლებიდან იზრუნეს ამაზე და ქალაქებში, თითქმის ყველა ქუჩაზე და სოფლის ყველა ცენტრალურ ადგილზე აღმართეს ხის ბოძები, სადაც მიამაგრეს რადიომიმღებები. ყოველ ცისმარე დღეს, დილის ექვს საათზე რადიო მუშაობას იწყებდა საბჭოთა ჰიმნით, რომელიც გამაყრუებელი ხმით უმღერდა და ამცნობდა ხალხს თავიანთი ბედნიერი მომავლის შესახებ. ამის შემდეგ, რადიოეთერს იკავებდა რომელიმე ცნობილი დიქტორ-ორატორი და თავისი ქვეყნის მოქალაქეებს დამუშავებული ხმით უყვებოდა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიღწევებზე, სოფლის მეურნეობისა თუ სამხედრო სფეროში; მეცნიერებასა თუ კულტურაში; წარმოება-მრეწველობაში და ასე შემდეგ.

ყოველ ასეთ საუბრებს თან სდევდა აზრი, რომ ამ ბუმბერაზ და მძლავრ ქვეყანას, რომელსაც დედამიწის ზურგზე არავისი ეშინია, მართავენ მშრომელთა მასები, რომ აქ არის პროლეტარიატის დიქტატურა და ყველაფერი ეკუთვნის ხალხს.

ასეთი გაგებით მიდიოდა თითოეული ადამიანი სამსახურში და სანამ იქამდე მიაღწევდა, ფიქრობდა, რომ ის იყო თავისი ქვეყნის გამგებელი. ეს კი მისთვის ისეთი ბიძგი იყო, რომელსაც ხელოვნურად მიჰყავდა საბჭოთა სისტემის მიერ დანერგილი ცხოვრებისეული წესის აღიარებისკენ, რაც უკვე თავისთავად მოითხოვდა მისგან, ათასობით თავისივე სახის, ანუ მისივე ქვეყნის „თანამფლობელთან“ ერთად მუხლჩაუხრელ შრომას. ასეთ მუშას, დიდხანს რომ შერჩენოდა შრომის უნარი, მასში სწორად უნდა გადანაწილებულიყო ენერგია, რისთვისაც კვირაში ერთი დღე მაინც ესაჭიროებოდა დასვენება. დასვენებისას, მის გონებაში შემთხვევით რომ არ აღმოცენებულიყო აზრი, რომელიც უკვე ფიქრის სახით დაადგებოდა ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულების შეცნობის გზას, მისი აზროვნების ის მცირე არეალი, სადაც შეიძლებოდა ასეთი აზრის აღმოცენება, დაკავებული უნდა ყოფილიყო რაიმე სახის შთაბეჭდილებით. ამ კუთხით, ხელოვნებისა და კულტურის ე.წ. მოღვაწეები ზრუნავდნენ, რომელთა შორის, ყველაზე მეტი დატვირთვა მსახიობებზე და მწერლებზე მოდიოდა. ფაკრიკა-ქარხნებში, თუ მეურნეობა-კოლმეურნეობებში, აუცილებლობას წარმოადგენდა დარბაზის ტიპის შენობა-ნაგებობა, რომელიც, დაახლოებით, თვეში ერთხელ იხსნებოდა, სპეციალურად მუშათა კლასისთვის დადგმული სპეკტაკლებისა თუ ლექცია-სემინარებისთვის, რაც დრო და დრო, დაბალ ფენას ახალ-ახალი ფორმით შეახსენებდა საკუთარ მნიშვნელობას სახელმწიფო მშენებლობის გზაზე. მსგავსი ტიპის წარმოდგენები ატარებდა სახოტბო ხასიათს კომუნისტური პარტიის მიმართ, რაც კიდევ ერთხელ აგრძნობინებდა მათ, რომ პარტია იყო ერთადერთი ძალა, რომელიც საბჭოთა ხალხებს გადაგვარებული იმპერიალიზმის აგრესიისგან იცავდა.

აი, ამ წესით ათაყვანებდა მასების გონებას მმართველი ელიტა, რათა მათ, ღირებულებათა ცვლილება, აზრადაც კი არ

გაევლოთ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების ამგვარი მოქმედება სრულიად საკმარისი იყო ადამიანის ზომბირებისთვის, ისინი ამას არ ჯერდებოდნენ და მშრომელებს ხელფასიდან პერიოდულად უკავებდნენ ახალი წიგნების საფასურს, რომელში ასახული მოთხრობა თუ რომანი, სპეკტაკლებისა და სემინარების ტიპიურ სახეს წარმოადგენდა. ასე რომ, საზოგადოების ერთი ფენა, მეორე ფენის გამოთაყვანებაზე მუშაობდა და ამაში იღებდა პრივილეგიებს, მაგრამ სრულებით ვერ ხვდებოდა, რომ ხელოვნება, რასაც ასეთი ენთუზიაზმით მსახურებდა, თავისუფლების გარეშე ჭეშმარიტი ვერასოდეს იქნებოდა. ეს, ასე ვთქვათ, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საკუთარი პრივილეგიებით გართულნი, ვერ ფიქრობდნენ, რომ ადამიანის კარნახით და არა განგების შთაგონებით მოქმედი ხელოვანიც, ჩვეულებრივი ზომბია. მასებზე ზემოქმედების ნიშნით მომუშავე საზოგადოების ამ ფრთას, კომუნისტები მაინც არ ენდობოდნენ ბოლომდე და მათ ყოველ „შემოქმედებით'' ნაბიჯს მკაცრი ცენზურით აკონტროლებდნენ. კულტურის სფეროს და წითელი ინტელიგენციის ამ ფენას, კიდევ ერთი შტო წარმოადგენდა–მეცნიერები, რომელთა ცხოვრებაც, ჩვეულებრივ, ტყვედ ყოფნას მოგაგონებდათ, რადგან მათი უმრავლესობა, კისერზე ლულამიბჯენილნი, დღე და ღამეს ასწორებდნენ, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული თუ სამხედრო კუთხით განვითარებისთვის. ასეულობით მილიონი ადამიანის ცხოვრების ასეთ ფორმას და წესს, ქმნიდა და ადგენდა ათეისტ-ფანატიკოსთა წრე, რომელთა წყვდიადში მოქცეული გონების ერთადერთი გზამკვლევი, მავზოლეუმში სანთლადქცეული, დაუმარხავი მკვდრის ავადმყოფური იდეები იყო. დიახ, თვით კომუნისტური ელიტაც კი, ამ გაურკვეველი იდეებით „იკვებებოდა“, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებდა საყოველთაოდ ცნობილი სიტყვების უტყუარობაზე: „რწმენა უსიყვარულოდ ფანატიზმია.“ ყველა ის ადამიანი კი, ვინც საკუთარ თავში გაუცნობიერებელი მიზნისაკენ ისწრაფვის, თავისთავად ზომბია და მისი ყოველი მოქმედება, რომელიც არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, საშიშროებას უქმნის ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებს. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი აღარ არის, ამ

უზარმაზარ ტერიტორიაზე რკინის ღობით გარსშემოვლებული იმპერია და მის გვერდით არსებული თავისუფალი სამყარო, რომელიც ვერანაირი ლოგიკური გათვლით ვერ დაადგენდა, როდის და რა ფორმით დასცემდა მსოფლიოს თავზარს ეს არამდგრადი ზომბების ქვეყანა. სწორედ ამის გამო არ ეძინა დასავლეთს და ცდილობდა, რომ ყოველთვის მზად ყოფილიყო მოსკოვის შესაძლო აგრესიის აღსაკვეთად. თავის მხრივ არც მოსკოვის მმართველ ელიტას ეძინა, მაგრამ დასავლეთისგან განსხვავებით, ის თავის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის შემოჭრას ნაკლებად ელოდა. იმპერიის დედაქალაქს, ყველაზე მეტად თავისი ხალხის, ანუ საბჭოთა მოქალაქეებისა ეშინოდა. უფრო ზუსტად, საკუთარ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ინტელექტი აშინებდა. ამ მიმართულებით, შეიარაღებაზე არანაკლები და, შეიძლება ითქვას, გაცილებით მეტი რესურსი იხარჯებოდა, რადგან ყოველი ასეთი გამოვლინება, რომელიც საბჭოთა უშიშროების მიერ არ იქნებოდა მართული, ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი იყო მოსკოვისათვის. ამიტომ, მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ქალაქში თუ რაიონში არსებული შინაგანი ორგანოების განყოფილებებში, ადგილზე მცხოვრები ხალხის რაოდენობის მიხედვით მუშაობდა სხვა და სხვა მასშტაბის კარგად შენიღბული ჯგუფები, რომლებსაც პირდაპირ ევალებოდათ – გონებრივად განვითარებული ადამიანების მოზარდობის ასაკიდანვე აღმოჩენა და მისი ეგრედ წოდებული დავერბოვკება, რათა ამგვარ ინდივიდს, სხვა, თავის გვერდით მდგომი არ გამოეფხიზლებინა. კომუნისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ასეთი ერთი ფაქტის გაპარვის შემთხვევაშც კი, ხსენებული გაფხიზლება, მასებში პანდემიურ ხასიათს მიიღებდა, რომლის აღკვეთასაც, საბჭოთა წყობილების იძულებით დამყარების დროს დაღვრილი სისხლის რაოდენობა დასჭირდებოდა. იმ შემთხვევაში კი, თუ ინტელექტუალს აღმოაჩნდებოდა დაუმორჩილებელი ხასიათი და მისი გადაბირების მცდელობა შედეგს არ გამოიღებდა, იგეგმებოდა მისი განეიტრალება დაპატიმრების სახით. მის დაპატიმრებამდე, ცრუ მოწმეებზე (ასეთები მრავლად ჰყავდა საბჭოდა უშიშროებას) დაყრდნობით იქმნებოდა საქმე, რომელსაც დაპატიმრებული ადამიანისთვის უნდა მიეკრა ორიდან ერთი იარლიყი – ხალხის მტერი, ან იმპერიალიზმის ჯაშუში. ეს იმდენად შემზარავი იყო პატიმრის ოჯახის წევრებისთვისაც კი, რომ საკუთარი სისხლისა და ხორცის დასაცავად, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი გამოჩნდებოდა ასეთი, ისიც მის ბედს გაიზიარებდა. განწირული იყო ისიც, ვინც მსჯავრდებულის გასამართლებლად ერთ სიტყვასაც კი იტყოდა, თუნდაც სამეგობრო წრეში, სადაც ერთი აგენტი მაინც ყოველთვის არსებობდა. ასეთ ვითარებაში, პატიმრის 25 წლიანი გადასახლება, ან მისი ფიზიკური ლიკვიდაცია, უკვე იოლი ხდებოდა. ფანატიკოსი და ათეისტი მმართველები მოაზროვნეთა სისხლით რწყავდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, რომლის შემდგომი წარმატებაც იმაში მდგომარეობდა, რომ ასეთი სისხლით გაპოხიერებული ადგილები, ათასობით ზომბის აღმოცენებას უზრუნველჰყობდა. რაც შეეხება გადასახლებულებს, ისინი ხის ვაგონების ეშელონებით მიემართებოდნენ ციმბირის გულაგებისკენ, სადაც შავი ფორმით შემოსილ ინტელექტუალების არმიას უერთდებოდნენ, რომელთა უდიდესი ნაწილი ოქროს მაღაროებში სიკვდილისთვის იყო განწირული. რჩებოდა ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელი საკითხის განხილვაც პოლიტიკური ელიტის ძალიან ვიწრო წრეში ხდებოდა, რამეთუ ეს საქმე, კომუნისტების თვალსაწიერში, გრიფით საიდუმლო სახელმწიფო საქმეებთან იყო გათანაბრებული.

მაშ, ასე: რისი ეშინოდათ ყველაზე მეტად იმპერიის მამებს და როგორი წესით ცდილობდნენ ამ მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილებას, ანუ მის განეიტრალებას? მივყვეთ და გავიცნოთ მათი ბრძოლის უმთავრესი მეთოდი, რომელიც მათ ბუნების კანონზომიერების წინააღმდეგ შეიმუშავეს:

ყველა ადამიანს, დაბადებისთანავე განგება ანიჭებს უნარს, რომელსაც ჩვენ ქვეცნობიერს ვუწოდებთ. ეს გრძნობა ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ჩამოყალიბებისთანავე იღებს სრულ ფორმას და მისი შემდგომი ცხოვრებისეული მღელვარეებების ჭეშმარიტი განმსაზღვრელი ხდება. მისი დანიშნულება მშვიდი გონებისთვის სწორი მიმართულების მინიშნებაა, ხოლო აღელვებულისთვის–სიმშვიდის დაუფლების გზასთან მიყვანა,

მაგრამ მას აქვს კიდევ ერთი და უმთავრესი მისია ცოცხალი და მოაზროვნე არსებისთვის, რომელიც გამუდმებით აიძულებს მას, რომ იფიქროს თავის დანიშნულებაზე და ეძებოს საკუთარი გამჩენი. დიახ, ნებისმიერი ნორმალური ადამიანი ქვეცნობიერად ეძებს ღმერთს. კომუნისტური პარტიის იდეოლოგები სამყაროს შემქმნელისა და მისი მბრძანებლის ჩანაცვლებას, თავიანთ წარმოჩენილ და აღზევებულ ხელოვნების სფეროს (მსახიობი, მუსიკოსი, მწერალი) წარმომადგენლით ცდილობდნენ, რომლის ზე ადამიანობა, საბჭოთა კავშირში ყველაზე განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭებაში გამოიხატებოდა მხოლოდ. ამ, ე. წ. გამორჩეულ ადამიანს, რომელიც რეკლამის მეშვეობით ასი თავით მაღლა ადიოდა თავის ყოველ კოლეგაზეც კი, ხასიათში ერთი მთავარი თვისება უნდა ჰქონოდა–მასების ლამაზად მოტყუება უნდა შესძლებოდა. აი, ვინ იყო ამ „მშვიდობისმოყვარე“ იმპერიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა, რომლის მსგავსი თითქმის ყველა რესპუბლიკაში არსებობდა, რადგან რაიმე სახალხო გართულების შემთხვევაში, მათ დასაშოშმინებლად ყოფილიყო გამოყენებული. ხალხს კი თავიანთი ენის მქონე კაცთან ჰქონოდათ საქმე, რამეთუ ეს უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენდა მის ფუნქციას. დიახ, ფუნქციას, რადგან მისი არსებობა, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები მუშათა კლასისა და მმართველი ელიტის ჰარმონიული თანაცხოვრების გარანტი იყო. ასე რომ, შიშით მცხოვრები, შიმშილით დაოსებული და მუშაობით ქანცგაწყვეტილი საბჭოელი მოქალაქე, თუკი ღმერთისაკენ მიმავალ გზას დაადგებოდა, იმ გზაზე აუცილებლად გადაეყრებოდა კომუნისტების მიერ ხელოვნურად შექმნილ ზე ადამიანს, რომელიც დაარწმუნებდა, რომ მის წინაშე იდგა ის, ვისაც ეძებდა.

აი, ასე გამოიყურებოდა მონათა კავშირი და მათივე შექმნილი ქვეყანა თავიანთი ცხოვრების წესებით, რომელთა ცენტრალურ ბუდესაც, ანუ დედაქალაქ მოსკოვის გასასვლელ საზღვარს მალე გადალახავს ჩქარი სვლით მიმავალი მატარებელი. სახლები, ძირითადად რუსული „დომიკები“, კანტი-კუნტადღა მოჩანს მატარებლის ფანჯრიდან. სავიჩევმა თავი ნელა წამოსწია და უკანასკნელად მოავლო თვალი მოსკოვს, რომელზე

დარჩენილი რამდენიმეთვიანი არასასიამოვნო შთაბეჭდილებაც სამარადისოდ გაჰყვება მის გონებას. ჯარისკაცის ფიქრები აწ გარდასული მწარე დღეების მოგონებებში დაჰქრიან და თავიანთ პატრონს აღარ ემორჩილებიან, რომელიც დრო და დრო დაჰყურებს საათს და დედასთან შეხვედრის შესაძლო დროის შემოკლებას მდუმარედ ითვლის. ის ცდილობს, რომ აზრები თანმიმდევრულად დაალაგოს, რათა მშობელს, შეხვედრისთანავე დეტალურად აღუწეროს თავისი თავგადასავალი. მას სურს, რომ ეს, რაც შეიძლება, სწრაფად მოხდეს, რადგან დედა-შვილმა ერთად გააკეთონ დასკვნა, რომელსაც, აგერ, უკვე რა ხანია, მარტო ვერაფრით ახერხებს.

მატარებელი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიიჩქაროდა. ფანჯრებიდან აღარაფერი ჩანდა. უკუნეთს მოეცვა დაუსახლებელი ადგილი, რომლის მყუდროებასაც რკინის ბორბლების დგარუნი არღვევდა მხოლოდ. დაქანცულ ანტონს ძილი მოერია, ნახევრად შებრუნდა და თავი ხმელ საზურგეს მიადო. აქეთ-იქით მოქანავე ვაგონი პირველ წუთებში დაძინების საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ დაღლილობამ იმარჯვა და, როგორც იქნა, ჩათვლიმა. ორდღენახევარზე მეტი იარა ასეთი ფორმით და, როცა თბილისის მიწაზე ჩამოდგა ფეხი, მუხლი ძლივს შეიმაგრა. ჯდომისაგან დაკუტებული ფეხები წვალებით აამოქმედა ვაგონის სახელურს მოჭიდებულმა და მხოლოდ ამის შემდეგ გაეშურა რკინიგზის სადგურის გასასვლელისაკენ. სამი საათი იმგზავრა ავტობუსით თავის ქალაქამდე და თითქმის ფეხზე მძინარე მიადგა მშობლიურ კორპუსს.

ეზოში, ხის გრძელ სკამზე, ანტონის ორი მეზობელი მამაკაცი ჩამომჯდარიყო, რომლებიც წყნარად საუბრობდნენ. ჯარისკაცის დანახვაზე ისინი ერთიანად შეკრთნენ, რის შემდეგ აიბუზნენ და ერთმანეთს გადახედეს. ამასობაში, ანტონი მიუახლოვდა მათ და, როდესაც თავისი მეზობლების სახეებზე უცნაური სერიოზულობა შენიშნა, ღიმილით იკითხა:

– ალბათ, ვერ მიცანით, არა?

– კი გიცანით, შვილო! – წარმოთქვა ერთმა და ორივე მამაკაცი ფეხზე წამოდგა.

ანტონმა მისალმების ნიშნად ხელი ჩამოართვა მათ და ღი-

მილიანი სახით კვლავ იკითხა:

– აბა, რატომ დაიქუფრეთ ჩემი დანახვისას?

მეზობლები ანტონს კარგად დააკვირდნენ და, რა ჟამს მიხვდნენ, რომ არაფერი იცოდა ნინა მაქსიმოვნას შესახებ, უფრო შეწუხდნენ. ძალიან უხერხული სიტუაცია ჩამოწვა, როცა ჯარისკაცი ინტერესით შეჰყურებდა უსიტყვოდ მდგარ აბუზულ ადამიანებს, რომლებსაც თავისი ბავშვობის წლებიდან კარგად იცნობდა. იცოდა მათი თბილი დამოკიდებულება საკუთარი ოჯახის მიმართ და იცნობდა მათ ენაწყლიანობასაც. სწორედ ეს გამტკნარებული სახეები აღმოჩნდა ანტონისთვის ძნელად აღსაქმელი და, ცოტა არ იყოს, დააბნია კიდეც მათმა ასეთმა გამომეტყველებამ, მაგრამ სწრაფად მოეგო გონს, დაღლილობის მიუხედავად და ისევ მან დაარღვია დუმილი:

– უკვე ცუდის მოლოდინში ვარ, მაგრამ ვერ ვარკვევ, რა შეიძლება ხდებოდეს ჩემს თავს.– თქვა დაძაბულ რეჟიმზე უეცრად გადართულმა ჯარისკაცმა და შუბლშეკრულმა მიმოატარა მზერა მეზობლებს.

წამიც არ იყო გასული, რომ ორიოდე ნაბიჯი უკან გადადგა. ისე, რომ თვალი არ მოუცილებია თავის წინ მდგომარე თავდახრილი მამაკაცებისთვის. შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დედის სახელი და ადგილს მოწყდა. ანტონმა, საშინელი დაღლილობის მიუხედავად, სადარბაზომდეც სწრაფად მიირბინა და მეოთხე სართულის კიბეებიც სულმოუთქმელად აირბინა. საკუთარი სახლის კარს რომ მიადგა, ხელი ძლივს ასწია და დააბრახუნა, რასაც აქასქასებული ხმაც მიაყოლა:

– ნინა მაქსიმოვნა, მე ვარ!

კარს იქით ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. სულ მცირე ხანში, სწორედ ეს სიჩუმე გახდება ამ სახლის ახალგაზრდა და უკვე ერთპიროვნული მეპატრონის ახალი ცხოვრების საფუძველი, რომელიც მის გონებაში დამღასავით ამოიშანთება და მისივე სიცოცხლის უკან ადევნებული სევდიანი თანამგზავრის სტატუსს შეიძენს. ეს კი, თავისთავად ნიშნავს, კომუნისტების მიერ ურჩი მოაზროვნეებისთვის ხელოვნურად შექმნილ ცხოვრებისეულ გზას, რომელსაც მათივე დაუწერელი ლოზუნგი ამშვენებს: ინტელექტუალებო, უკან, მომავლისაკენ!

ანტონი უღონოდ მიყრდნობოდა კარს და ამაოდ უცდიდა შიგნიდან დედის გამოხმაურებას. სანამ სრულად გაიაზრებდა იმას, რომ დედა სახლში რომ ყოფილიყო, აქამდე გამოხედავდა, გვერდითა მეზობლის კარის ჩხაკუნმა შეაკრთო, რომლის ზღურბლზეც მოხუცი ქალბატონი შენიშნა გასაღებით ხელში.

– ჩამოხვედი, შვილო? – უთხრა ნაღვლიანი სახით მოხუცმა. – გასაღები მე მაქვს და კარს გაგიღებ ახლავე. – თქვა და თავდახრილი გაემართა კარის გასაღებად.

– ნინა მაქსიმოვნა სად არის? – ჰკითხა ანტონმა და სახლში შევიდა, რომელსაც მეზობელი ქალბატონი ფეხდაფეხ მიჰყვა. – ეს რა შმორის სუნი დგას? – კვლავ იკითხა ანტონმა და ზურგჩანთა მისაღებ ოთახში მდგარ სკამზე მიაგდო. შემდეგ უცნაურად მილაგებული სახლი მოათვალიერა და მეზობელს მიუბრუნდა: – ისეთი სიტუაციაა, რომ აქ თვეობით არ გაღებულა ფანჯარა და თქვენ მაინც მითხარით, რა დაემართა დედაჩემს? ნუთუ დაიჭირეს? განა რა ქნა ამისთანა? – თქვა უკვე მაღალ ხმაზე სავიჩევმა და ნერვული დაძაბულობაც უმალ შეეტყო.

მოხუცს თვალიდან ორი კურცხალი ცრემლი ჩამოუგორდა სახეზე, რის შემდეგაც, თავის ხელში გამოზრდილ ბიჭს მიეახლა და მისი თავი გულზე მიიხუტა.

– ნინა აღარ გვყავს... – წარმოთქვა ქალმა და ქვითინი აუვარდა.

სავიჩევი ზამბარასავით შექანდა, მოხუცს მსწრაფლ განეშორა, ნაბიჯი უკან გადადგა და თითქმის შეჰყვირა:

– რაა? როგორ თუ?.. – ბოლო ორი სიტყვა ენის ბორძიკით ამოიძახა და დაჭიმული სხეულით ძეგლივით გაყინული დაელოდა მეზობლის პასუხს.

– ნინა მოსკოვიდან ჩამოასვენეს, შვილო. – ამოილუღლუღა ქალმა და კიდევ ერთხელ გამოიწმინდა ცრემლებისაგან დასველებული თვალები.

– როდის მოხდა ეგ? – სიმწრისაგან ამოიგმინა ჯარისკაცის ფორმაში ჩაცმულმა ახალგაზრდა კაცმა, რომლის სევდიანი სახის გამომეტყველებაც, უეცრად ისეთმა ნაღველმა დაიპყრო, იმთავითვე ჩანდა, რომ საკუთარ პატრონს ღიმილის უფლებას ძალიან, ძალიან დიდხანს ჩამოართმევდა.

– დაახლოებით, სამი თვის წინ შვილო.– უპასუხა ქალმა.

ანტონ სავიჩევი ნახევრად თავდახრილი წალასლასდა სავარძლისაკენ და მკვდარივით მიესვენა მის საზურგეს. შემდეგ მარცხნივ შებრუნდა, გვერდითა კიდეს იდაყვებით დაეყრდნო და ხელებში თავჩარგული, თვალში მოწოლილი ცრემლის თანხლებით შეუდგა მისთვის ყველაზე მოულოდნელი და თავზარდამცემი ამბის რეალობის რანგში აყვანას, რომლის ჭეშმარიტ გააზრებასაც მის გონებაში, მისივე ხელოვნურად შექმნილი ცხოვრების შემოქმედი სახელმწიფო სისტემა ყოველთვის წინ აღუდგება.

მივყვეთ მოვლენებს და ვნახოთ, შეძლებს თუ არა მარტოსულად დარჩენილი ახალგაზრდა იმ მონსტრის შეტორტმანებას მაინც, რომელიც ამგვარი ინტელექტუალების მსხვერპლად შეწირვას, ასეულობით მილიონი ადამიანის ცნობიერებაში შიშის სინდრომის დასათესად იყენებს.

ღიად დარჩენილ კარში ორი მამაკაცი ფეხაკრეფით შემოვიდა და მისაღებ ოთახში მოხუცი ქალის გვერდით აწურულები დადგნენ უჩუმრად. ესენი ის მეზობლები იყვნენ, ანტონს რომ შეხვდნენ ეზოში და ვერ უთხრეს დედის გარდაცვალების შესახებ.

– ბოდიშს გიხდით შვილო, რომ ვერ გამცნეთ დედის ამბავი. – ჩუმი ხმით წარმოთქვა ერთმა და სახეშეჭმუხნილი მიაჩერდა კვლავ ხელებში თავჩარგულ ჯარისკაცს, რომელსაც მათი შემოსვლა არც გაუგია.

ანტონ სავიჩევმა თავი მძიმედ ასწია და ოთახში მდგარ მეზობლებს რიგ-რიგობით შეხედა.

– რა მიზეზით გარდაიცვალა დედაჩემი?– საკმაოდ დაბალ ხმაზე იკითხა ანტონმა.

– არ ვიცით! – თითქმის ერთხმად უპასუხა ყველამ და გაფაციცებით მიაშტერდნენ ანტონს.

– აბა, მიზეზი არ უთქვამთ, ვინც ჩამოასვენა? – იკითხა ისევ სავიჩევმა.

– არაფერი უთქვამთ, შვილო. – თქვა ქალმა და განაგრძო: – ნინას ჩამოსვენების წუთიდან მის დაკრძალვამდე, კუბოს დაცვა არ მოსცილებია. ღამით, როცა მიდიოდნენ, კარს ლუქს

ადებდნენ და დილით ადრე ხსნიდნენ.

– კი, მაგრამ მიცვალებულს ხომ შეხედეთ და დაახლოებით მაინც ვერ შეატყვეთ, მოკლული იყო თუ ბუნებრივად გარდაცვლილი? – შეაწყვეტინა ანტონმა.

– მიცვალებული ვინ გვაჩვენა შვილო!? ცინკის დახურული კუბოთი მოასვენეს და ისე დავკრძალეთ, უბედური ნინა, თვალითაც არ დაგვანახეს.

ქალმა, როგორც კი დაამთავრა სათქმელი, მზერა მეზობელი მამაკაცებისკენ გააპარა, თითქოს შეეშინდაო საკუთარი სიტყვების.

ანტონი ფეხზე წამოდგა და მეზობლების სახეები საფუძვლიანად დაათვალიერა. მისი გამომეტყველებიდან ჩანდა, რომ გონება სხვა მიმართულებით მიატრიალა.

– ესეიგი, თქვენ ისიც არ იცით, იმ კუბოში ესვენა თუ არა საერთოდ მიცვალებული. ასეა ხომ? – თქვა სავიჩევმა და პასუხს დაელოდა.

– რა თქმა უნდა, როცა არ გვინახავს, როგორ ვირწმუნებთ?! – წარმოთქვა შედარებით იმ თამამმა მამაკაცმა, რომელმაც ანტონს მოუბოდიშა.

ჯარისკაცმა თავი დახარა და რაღაცის განსჯას შეუდგა, რომელიც ერთი წუთის შემდეგ ასე დაამთავრა:

– შეგიძლიათ გამომყვეთ და მაჩვენოთ ნინა მაქსიმოვნას საფლავი? ოღონდ, თქვენ არ შეგაწუხებთ. – მიეახლა მოხუცქალბატონს და მხრებზე ხელი ფრთხილად მოხვია.

– ეზოში დაგელოდებით! ტანისამოსის გამოცვლა თუ გჭირდება და მოწესრიგება, ჩვენ დაბლა ვიქნებით.– ჩაილაპარაკეს მამაკეცებმა და ოთახიდან გავიდნენ.

* * *

გაზფხულის მზე დასავლეთისკენ გადაწვერილიყო, მაგრამ მაინც მწველად ასხივებდა. სასაფლაოზე ამოტოტილი უზარმაზარი ცაცხვის ხეები, ახლადგამოსული ფოთლების შრიალით ეურჩებოდნენ მონაბერ ნიავს და ჩუმ გარემოში განლაგებულ გარდაცვლილთა ცივ სამარეებს ხმაურიანი დარაჯებივით წამოსდგომოდნენ თავზე. მარადიულობაში გარდასული სულების მიერ მიტოვებული სხეულები, ქვაზე თუ ხის ნაჭერზე

წაწერილი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებით, ჯერ კიდევ რჩებოდნენ ამ იდუმალი ადგილის ბინადრებად, მაგრამ დრო-ჟამი, როგორც წარმავალობის ერთადერთი მთავარი ნიშანი, ადრე თუ გვიან, მათ უკანასკნელ სამკვიდროსაც გადაშლის. მანამდე კი, მათი განსასვენებელი მდუმარებაში ჩაფლულა და გარედან შემხედვარე თვალი, ძველ და ახალ საფლავებს, ჩაღრმავებული ადგილებით, აბიბინებული ბალახებით და მიწაყრილებით განასხვავებს მხოლოდ. ერთ-ერთ ასეთ მიწაყრილზე ჩარჭმული ხის ნაჭერი გვამცნობს, რომ ნინა მაქსიმეს-ასულ ბერდიევასაც დაუვანებია მათ შორის ადგილი, რომლის სიახლოვეს მდგარი ახალგაზრდა კაცის მზერა, უკვე რამდენიმე წუთია, არ მოსცილებია მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს. ის დგას ორ ხანდაზმულ მამაკაცს შორის და მის მწუხარე სახეზე იკითხება ფიქრი, რომელიც დედასთან ერთად გატარებულ წლებს დასტრიალებს ზემოდან. ანტონ სავიჩევის აზროვნება წარსულმა მოიტაცა და უკვე გავლილი გზების ხელმეორედ დალაშქვრა უბრძანა, რათა მისგან მიღებულ სევდას გონებისათვის გადაეკეტა თვალებიდან მიღებული რეალობის აღქმის უნარი, რომელიც დედისა და მამის საფლავებს შორის მსგავსებას უმტკიცებდა. ბოლოს მაინც იმარჯვა ჯარისკაცის გამჭრიახმა გონმა და კუიბიშევიდან აღებული პარალელი საფუძვლიანად გაავლო ნინა მაქსიმოვნას საფლავზე. ანტონის მეხსიერებაში მკვეთრად აღბეჭდილმა, კუიბიშევში ნანახმა სასაფლაოს სცენამ, მისი დაჭიმული სახის ნაკვთების გაშლა დაიწყო და საკუთარ აზროვნებას, დედის გარდაცვალებაში უეცრად აღმოცენებული ეჭვი წინა პლანზე წარმოუდგინა.

„ღმერთო ჩემო!“ – გაიფიქრა სავიჩევმა და მკვდრადგამოცხადებული მამის გვერდით გატარებული მომენტები გაიხსენა. შემდეგ დედა წარმოიდგინა ცოცხალი და თავის წინ არსებულ საფლავს, როგორც უკვე ნანახ სატყუარას, ისე მიმოატარა მზერა. დედის სიცოცხლეზე ფიქრმა, მის აზროვნებას მცირე ხნით ისევ წაართვა სადავეები და ოცნების სამყაროში შესასვლელად, გამწევ ძალად, თავისივე სურვილები ჩაუყენა, მაგრამ გონმა აქაც იმარჯვა და წამიერად გზააბნეულ აზრებს, ნინა მაქსიმოვნას სიცოცხლის არარსებულ მტკიცებულებათა

აზრის მეშვეობით გზა გადაუღობა, რითაც საკუთარი პატრონი, ლამაზად შენიღბული ქაოტური სამყაროდან კიდევ ერთხელ დაიხსნა.

„იქნებ ეს სამარხიც მამაჩემის საფლავის მსგავსად ცარიელია? და თუ ეს ასეა, სად არის ნინა მქსიმოვნა? სად არის სიმართლე და სად ვეძიო მე ის? როგორ ვირწმუნო დედის სიკვდილი კუიბიშევის შემდეგ, მითუმეტეს მაშინ, როცა მიცვალებული არავის უნახავს?“ – საკუთარ თავს უსვამდა კითხვებს გონებაში და გამალებით ფიქრობდა გამოსავალზე.

უეცრად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და მდუმარედ მდგარ მეზობლებს მიუბრუნდა:

– დიდი მადლობა, რომ წამომიყვანეთ და მაჩვენეთ დედის საფლავი. ახლა წავიდეთ სახლში, ძალიან დაღლილი ვარ. სამი დღეა, მოვდივარ და თითქმის არ მძინებია.

– ანტონ, ერთ წუთს დაგაყოვნებთ! – თქვა ერთმა და ქაღალდის პაკეტიდან ბოთლი ღვინო, ჭიქები და პური ამოალაგა. ჩვენი ძვირფასი მეზობელი და მფარველი ნინა მაქსიმოვნა გავიხსენოთ თითო ჭიქით. არ დავარღვიოთ ქართული ტრადიცია. ამბობენ, რომ მისავალიაო. მისი სული ახლა აქ ტრიალებს ალბათ და ჩვენც შევთხოვოთ უფალს, მოიხსენიოს იგი ცათა სასუფეველში.

– მისთვის ახლა მეტს ვეღარაფერს გავაკეთებთ და იქნებ ასე მაინც დავაფასოთ ჩვენი ნინა. – წამოეშველა მეორე მამაკაცი.

თხუტმეტიოდე წუთი კიდევ დაჰყვეს სასაფლაოზე, რის შემდეგაც წყნარი ლაპარაკით გამოემართნენ თავიანთი კორპუსისაკენ.

ცას უკვე ბინდი შეჰპარვოდა, როცა ენერგიაგამოცლილმა ანტონ სავიჩევმა თავისი სახლის კარი შეაღო და მწუხარე სახით დედის საძინებელი ოთახისაკენ გაემართა. ნინა მაქსიმოვნას სავარძელს რომ მიუახლოვდა, ცოტა ხანს უყურა. შემდეგ მის საზურგეს ხელი ფრთხილად გაუსვა, თითქოს დედის სითბოს შეგრძნება სურსო. ერთხანს ასე იდგა გახევებული და, როცა უღონოდ ჯდებოდა სავარძელში, საწოლზე დალაგებულ დედის ტანსაცმელს მოჰკრა თვალი. ყელში უცაბედად მოწო-

ლილმა სევდამ, თვალში ცრემლი მოადინა ანტონს. ის ტიროდა ჩუმად, თავისთვის, როგორც მარტოსული და მთელს დუნიაზე მარტოდშთენილი ადამიანი. ტირილი უცხო არ იყო ამ ოთახისთვის, რადგან იგივე მარტოობის მიზეზით, სწორედ აქ, ამ სავარძელში ნინა ბერდიევასაც დაუღვრია უამრავი ცრემლი. ეს კედლები მოწმენი იყვნენ მრავალი მოთქმა-გოდებისა, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში მყოფ დედა-შვილს შორის, იყო ერთი განსხვავება–მტირალ ნინას ანტონი ჰყავდა მომავლის იმედად, რაც გულს უმაგრებდა და მის გონებას აიძულებდა, ებრძოლა; ხოლო ანტონის აზროვნებაში, ჯერ-ჯერობით, ასეთი არავინ და არაფერი მოსჩანდა და საკუთარ ბედზე გამწყრალი მისი ფიქრები მხოლოდ წარსულს დასტრიალებდა. უეცრად თავისი ბავშვობა გაახსენდა და ის მომენტი წარმოიდგინა, სკოლაში გამგზავრების წინ, დედა ზურგჩანთის მოკიდებაში რომ ეხმარებოდა და თან არიგებდა:

„აბა, შენ იცი, შვილო! მასწავლებლებს კარგად მოუსმინე, გაკვეთილები სწორად ჩაინიშნე და ჭკვიანად მოიქეცი. არასოდეს იფიქრო, რომ შენ, სხვებისგან განსხვავებით, მამა არ გყავს. მამაშენმა, ალექს სავიჩევმა სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი და დღევანდელი საბჭოთა ხალხის მშვიდ ცხოვრებაში მისი წვლილიც არის. თანამემამულეებისთვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვა ყველას არ შეუძლია, შვილო, და ამიტომ, ყოველთვის გახსოვდეს, რომ შენ გმირი მამის შვილი ხარ და თავი ამაყად გეჭიროს. ეს ყოველივე კი გავალებს იმას, რომ მამის სასახელოდ იყო ძლიერი და სხვებისაგან სანიმუშოდ გამორჩეული.“

ასე არიგებდა ათი წლის ასაკში მას დედა და ეს გაახსენდა ახლა მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილ სავიჩევს. ამ მომენტის გახსენებამ თითქოს სული შთაბერა, წელში გაიმართა და სიჩუმეში შთანთქმულ ოთახს მიმოატარა მზერა, რომ ამ დროს, კუიბიშევში ნანახი მამა წარმოუდგა თვალწინ.

– არაფერი არ მქონია თურმე საამაყო, ნინა მაქსიმოვნა, არც მაშინ და, მითუმეტეს ახლა, როცა მომავალსაც ვეღარ ვხედავ.– თავისთვის ჩაილაპარაკა ანტონმა, რომელსაც მამის გახსენებამ ოდნავ ამეტყველებული იერი კვლავ მოუქუფრა.

ორიოდე წუთის განმავლობაში იატაკზე თვალმიშტერებული, თითქოს ჩაფიქრდა, მაგრამ მალევე ასწია თავი და დაკვირვებით შეათვალიერა ოთახის შემოსასვლელი კარი. მისი მეხსიერება გამალებით ეძებდა რაღაც მნიშვნელოვანს, რომელზეც ქვეცნობიერი უკვე გამუდმებით მიუთითებდა. მისმა აზროვნებამ, როგორც იქნა, გზა გაიკვლია ბურუსში მოქცეული გონების სიღრმეში და იმ ადგილს მიაგნო, სადაც მისი ჯარში გამგზავრების წინა დღის მოვლენები იყო შენახული. სწორედ იქ აღმოაჩინა დედის ის საუბარი, რომელიც მაშინვე უცნაურად ეჩვენა, მაგრამ ამაზე მას შემდეგ, რატომღაც აღარ უფიქრია. სავიჩევი თავის წინ აღმართული ზღუდეების გარღვევას საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა, რაზედაც საჭირო გახდა იმ სიტყვების გახსენება, რომლითაც ნინა მაქსიმოვნამ შვილი დამოძღვრა ჯარში წასვლის წინ. ეს კი უკვე მიმართულებას ნიშნავდა და ანტონიც დაკვირვებით მიჰყვა ამ გონებრივი ჩანაწერების თანმიმდევრობას.

„შვილო, შენ ჯარში მიდიხარ სამი წლით. ამ პერიოდში ჩვენ ასეთი საუბრისთვის ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს, თუ, რა თქმა უნდა, შვებულება არ მოგცეს, მაგრამ ისეთი ნაწილებიც არსებობს, სადაც სამსახურის დროის ამოწურვამდე სახლში არ უშვებენ. მეტსაც გეტყვი, რომ საიდუმლო ნაწილში თუ მოხვდი, შენც კი არ გეცოდინება ის ადგილი, სად იქნები. წერილი რომ წერილია, იმითაც კი ვერ ვიურთიერთობებთ. ამიტომ, რადგან ჩვენ ვდგავართ ხანგრძლივი დროით დაშორების წინაშე, მიმაჩნია, რომ უნდა იცოდე ერთი რამ, რათა ის მოულოდნელობები, რაც უცნობ სიტუაციებს მოჰყვება, თავიდან აიცილო. – ანტონს გაახსენდა, რომ დედა აქ ცოტა ხნით შეჩერდა, მას დაჟინებით მიაპყრო მზერა და განაგრძო: – ადამიანში ყოველთვის მხიბლავდა აზროვნება და სიმამაცე. ვოცნებობდი, რომ შენ, ჩემი ერთადერთი შვილი ასეთი ყოფილიყავი. ეს სანუკვარი ოცნება ამისრულდა, მაგრამ არ ვიცი, უნდა მიხაროდეს, თუ ვწუხდე. არ ვიცი, რადგან მოაზროვნე და მამაცი ადამიანი ვერასოდეს ეგუება მარწუხებს და თავისუფლებისკენ ისწრაფვის. ის გრძნობს საკუთარი თავის მნიშვნელობას და სწორედ აქედან გამომდინარე იზიდავს შინაარსიანი ცხოვრება, თუნდაც თავი-

სი სახიფათო თავგადასავლებით. მართალია, ასეთი აზროვნება და მისწრაფება არ არღვევს არანაირ კანონზომიერებას და მით უმეტეს, ადამიანურ პრინციპს, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის მსგავსი ქმედება მიუღებელია და საბჭოთა საზოგადოებიდან განდგომად ფასდება. ეს კი უკვე განაჩენია და თავისუფლებისთვის ბრძოლაც აქ მთავრდება. იმპერიის საზღვრებში მცხოვრები უამრავი ასეთი ადამიანი, რომლებიც საკუთარ მიზნებს სისტემის მიერ დანერგილი ცხოვრებისეული წესების გვერდით განიხილავენ, მაშინვე აწყდებიან უტოპიას, რის შემდეგაც იწყებენ შუალედური ფორმის ძიებას და ბოლოს, თავიანთი მიზნების გაუფერულების ხარჯზე, ნელ-ნელა ეგუებიან მონობას. აი, აქ იკვეთება ჩემი სურვილისა და რეალური ცხოვრების გზები; აქ ეწინააღმდეგება ერთმანეთს ჩემი დედური ინსტინქტი და მომავლისადმი რწმენა. სწორედ დღეს, პირველად ვერ გირჩევ, რომელია უკეთესი, რადგან ტანჯვასა და მონობას შორის არჩევანის გაკეთება მიჭირს. – სავიჩევმა თავი წამოსწია და მექანიკურად შეათვალიერა თავის გვერდით მდგარი დედის საწოლი. ის ცდილობდა, კარგად გაეაზრებინა მშობლის ის სიტყვები, რომლებსაც ოდესღაც დიდი ყურადღებით არ მოეკიდა, რადგან უკვე გრძნობდა, რომ მის წინ შექმნილი ლაბირინთის დაძლევის გზა, სწორედ იმ მონოლოგში უნდა ეძებნა. ორიოდე წუთს კიდევ ატრიალა აქეთ-იქით თვალები. თითქოს შიშობდა, გამოსავალი მძიმე ფორმით არ ამოტივტივებულიყო მის გონებაში, მაგრამ დედის გარდაცვალების, როგორც ანომალური მოვლენის ამოხსნის სურვილმა, საბოლოოდ მაინც სძლია შიშს და გონისმიერი ყური კვლავ მიაპყრობინა აწ გარდასული საუბრისათვის. – ჩვენი ქვეყნის სიძლიერე დამოკიდებულია შიდა მსხვერპლზე. – წარსულიდან მოდიოდა ნინა მაქსიმოვნას ხმა. – ეს მსხვერპლი, შეიძლება, შეეწიროს სამ რამეს: ამბიციას, რომელიც უბიძგებს სხვა ადამიანის განადგურებისკენ, რამეთუ, სხვისი მოსპობის ნიჭი, გარანტირებულ კარიერას ნიშნავს; ცრუ დასმენა, რომელიც ფულზე, ან სხვა სახის გასამრჯელოზე შეიძლება იქნას განხორციელებული; და მესამე, საბჭოთა სისტემის ეჭვი რომელიმე პირზე, რომელიც ამას თავისი ინერტულობით, ანდა გაუაზრებელი მოქმედებით „დაიმსახურებს.“

ეს არის ის სამი ძირითადი მოვლენა, რომელსაც ვერასოდეს განსაზღვრავ, გადაეყრები, თუ არა. ამისგან არავინ არის დაზღვეული, მათ შორის, ალბათ, არც შენ. ამიტომ, სიფრთხილე გმართებს ყველასი და ყველაფრის მიმართ. გახსოვდეს, რომ შენთვის ყველაზე საშიში, ადამიანია, როგორი ახლობელი და მეგობარიც არ უნდა იყოს ის. რაც შეეხება ცხოვრების გზის არჩევას, დიდი არჩევანი არ გაქვს და იმ ორიდან, ერთ-ერთი უნდა ამოირჩიო, შვილო, რადგან შენ უნდა გაიარო ის გზა. მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ სადაც იქნები, იქ ვიქნები მეც, მაგრამ თუ შემთხვევით რაიმე სიტუაციის მსხვერპლი გახდები და თავიდან ვერ აიცილებ ამ სამწუხარო მოვლენას, იცოდე, რომ მარტო არ იქნები, მიუხედავად ჩვენთან მოქმედი წესისა, რომელიც შვილების შეცდომებს აკისრებს მშობლებსაც. მიაქციე ყურადღება, რომ აქ ლაპარაკი მაქვს უნებლიე შეცდომაზე, ან შემთხვევაზე, და არა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე. ახალგაზრდები, თავიანთი თავქარიანობით ხშირად სცდიან საბჭოთა სისტემას, რაც ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებათ. შენი აზროვნების ადამიანს ეს არ გემუქრება, მაგრამ სხვა დანარჩენში სიფრთხილე გმართებს, დიდი სიფრთხილე, რომ შენი მიამიტი და მიმნდობი ბუნების მსხვერპლი არ შეიქნა. მხოლოდ ეს მაშინებს, შვილო, და გაითვალისწინე ჩემი დარიგება. – ანტონს მთელი სხეული დაეჭიმა და უხილავ შიშს უეცრად ადევნებული, აქეთ-იქით მექანიკურად მომზირალი თვალები ცოტა ხნით მოუხუჭა, რათა უკეთ შესძლებოდა დედის საუბრის ბოლო ეტაპზე, მისი საგრძნობლად დაძაბული სახის წარმოდგენა. სავიჩევი კანკალმა აიტანა, რადგან ნინა ბერდიევას ეჭვი, შვილის მიამიტური ბუნების მარცხის თაობაზე, უკვე აცხადებული იყო. ახლა კი ყველაზე დიდი ინტერესი იმ სიტყვების გახსენებისკენ უნდა მიემართა, თუ რა უთხრა დედამ ამ ეჭვის გამოთქმის მერე, რადგან მისთვის უფრო მეტად ნათელი ხდებოდა, რომ ის ჩაკეტილი სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა, ამის შემდეგ გაიხსნებოდა. – რაც არ უნდა გაგიჭირდეს, – საოცარი ჟღერადობით ამოიჭრა ანტონის გონებაში დედის ხმა, რომელმაც წამის მეათედში დაიპყრო მთელი მისი ცნობიერება. – მე შენ არასოდეს მოგატოვებ! თუ გაგვწირავს ბედი და

ერთმანეთს დროებით დაგვაშორებს, იფიქრე, რომ დედა შენს საშველად მაინც მოვა. მე საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს სისტემასთან ურთიერთობის და იმაზე მეტი გონება, ვიღაცის ამბიციის მოთოკვას, ბოროტი ენის ამოგლეჯვას და საბჭოთა ემისრების ეჭვების გაფანტვას რომ შეძლებს. მთავარია, შენ არ გამოუცხადო იმპერიას ბრძოლა, თორემ შენი მშობლების ქვეყნის წინაშე დამსახურებას, ასე ხელაღებით ვერავინ გადაშლის და ანგარიშს მაინც გაგვიწევენ რაღაც ფორმით. იფრთხილე და იფიქრე ყველაფერზე, მაგრამ არასოდეს იფიქრო იმაზე, რომ დედა არ გყავს!

სავიჩევი სავარძლიდან წამოდგა და სანამ ნაბიჯს გადადგამდა, თავისთვის ჩაილაპარაკა: არასოდეს იფიქრო იმაზე, რომ დედა არ გყავს!

ანტონი მისაღებ ოთახში გავიდა და კედლის საათს შეავლო თვალი. შუაღამე დამდგარიყო. საათი ღამის ორისნახევარს აჩვენებდა. ანაზდეულად გახედა ფანჯრიდან ცაზე გამეფებულ წყვდიადს და კვლავ ფიქრებს მიეცა, რომელმაც მაშინვე ამოუტივტივა ივან ანდრეევიჩის სიტყვები:

„შენგან გასული ერთი სიტყვაც კი, თავდაყირა დააყენებს შენს ცხოვრებას.“

ამან, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა ახალგაზრდა კაცის გული, რომლის გასანეიტრალებლად ისევ მოიჭრა დედის ხმა:

„შენი მშობლების ქვეყნის წინაშე დამსახურებას, ასე ხელაღებით ვერავინ გადაშლის!“

ანტონმა ფანჯარა გამოხსნა. გარედან არავითარი ხმა არ ისმოდა, მშვიდად ეძინა ქალაქს. სავიჩევს კი აღარც დაღლილობა ახსოვდა და აღარც ძილი. მის თავში, მართალია, ფიქრების კორიანტელი იდგა, მაგრამ ამ ფიქრებს უკვე ჰქონდა მიმართულება.

„დედაჩემი ჭკვიანი ქალია და ისე, უაზროდ არ მეტყოდა– შეიძლება ბედმა დროებით დაგვაშოროს ერთმანეთს, მაგრამ დედა მაინც მოვა შენს საშველადო. ეს სიტყვები უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ის ცოცხალია, მითუმეტეს, მიცვალებული არავის უნახავს, მაგრამ მე როგორ გავიგო ეს?“– ფიქრობდა ანტონი და ნელ-ნელა უმყარდებოდა გრძნობა დედის სიცოცხლესთან დაკავშირებით.

უეცრად ადრეული გაზაფხულის გრილმა სიომ წამოუბერა, რომელმაც გაავდრების მანიშნებელი სუნი შემოიყოლა ფანჯარაში. სავიჩევს ეს არ უგრძვნია. ის მშვიდად გადაჰყურებდა ჩაბნელებულ სახლებს, რომელთა შორის გამავალ ქუჩებს, მხოლოდ მბჟუტავი ნათურები გამოარჩევდა. აშკარად ჩანდა, რომ მას ფიქრებისგან დროებით გაქცევა სურდა, მაგრამ ამის საშუალებას საკუთარი გონების თვალი არ აძლევდა, რომელიც დედის განსასვენებელს, კუიბიშევის სასაფლაოს ფონზე მალმალე აჩვენებდა. ანტონი შემობრუნდა და ოთახის კედლები ნაღვლიანი სახით შეათვალიერა, რომელშიც მარტო ცხოვრება ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა. ფეხისათრევით მივიდა მაგიდის გვერდით მდგარ სკამთან და უღონოდ დაეშვა დასაჯდომად.

„არასოდეს იფიქრო, რომ დედა არ გყავს!“ – მის ყურში კვლავ გაისმა ნინა მაქსიმოვნას მჭექარე ხმა, რომელმაც უკვე მკვეთრად შეაკრთო თავისი შვილი.

„არასოდეს ვიფიქრო, რომ დედა არ მყავს? რას ნიშნავს ეს სიტყვები? რა იმალება ამის მიღმა, ანდა რას ფიქრობდა დედა, როდესაც ამას მეუბნებოდა? რაღაცას ვერ ვხსნი...“ – ფიქრობდა ანტონი და გამალებით ეძებდა ამის პასუხს. დიდი ხანი არ დასჭირვებია მის გონებას, რომ თავის მთელ პერიმეტრზე ვებერთელა ასოებით წარმოედგინა ორი სიტყვა – დედა ცოცხალია, რომლის ბოლოში მკრთალად მოციმციმე კითხვის ნიშანი მაინც მოსჩანდა. მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი სავიჩევი კიდევ ერთხელ მოიღუშა, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ის იმ კითხვის ნიშანს შეება, რომელიც მის უმთავრეს სურვილს წინ ეღობებოდა. ერთი წუთი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მთავარი კითხვის საპასუხოდ რაღაც მოეფიქრებინა, რის შემდეგაც ფეხზე წამოიმართა, წყნარად მიიხურა სახლის კარი და სადარბაზოს კიბეებს დაუყვა.

* * *

ხეთაშორის პერიოდულად შემოჭრილი ქარი და მისგან გამოწვეული ღმუილი, ბუნების გაჯავრებას მოასწავებდა, რომელიც, ჩანდა, რომ საავდრო ღრუბლების მეშვეობით, წუთი-წუთზე მასიური წყლის ჭავლით დააცხრებოდა ცოდვილ მიწას.

სიბნელეში ჩამალული სასაფლაოს შუაგულში, შორიდან მოსული მკრთალი შუქის ფონზე მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა, რომელსაც ერთ ხელში ჩამქრალი ფარანი ეჭირა, ხოლო მეორეში ნიჩაბი და მოკლე ძალაყინი. ამ კუნაპეტ ღამეში ის მოვიდა იმ საიდუმლოებით მოცული მოვლენის ამოსახსნელად, რომლის პირველი ნაწილი, ჯერ კიდევ კუიბიშევში მოახვია მას დაზვერვის სამმართველომ. ჭეშმარიტების დასადგენად სხვა გზა არ არსებობდა და ანტონ სავიჩევი, ღამის სამ საათზე დედის სავარაუდო საფლავის მოთხრას შეუდგა.

გამაგრებულ მიწაყრილზე მძლავრად მოქნეული ნიჩბის ჩახანს და ქვაღორღზე მისი რკინის პირის ღრჭიალს, აშრიალებული ფოთლების ხმა ფარავდა. ციდან მეჩხერად წამოსულ წვიმის წვეთებს კი, ანტონის გვერდით მდგარი, ფართოდ გატოტილი ხე საკუთარ სხეულზე ინაწილებდა და თავის ქვეშ მდგომ ღამეულ სტუმარს დასველებისგან იცავდა. მუხლებამდე თხრილში ჩამდგარი, აწ უკვე ყოფილი ჯარისკაცი გამალებით უტევდა მიწას და ბელტებად ამოჭრილ მის გორახებს გვერდითა ზედაპირზე ყრიდა. თვალთახედვა ძალიან ჭირდა, მაგრამ ტენით დამძიმებულ, შავად ჩამოქუფრულ ღრუბლებში პერიოდულად შემოჭრილი ელვა, გრაგნილად დარბოდა ცის ერთი კიდიდან მეორეზე და თავისი ნათებით სამუშაოს სწორად წარმართვაში ეხმარებოდა ანტონს. ყოველ ასეთ გაელვებას გრგვინვა და გრუხუნი მოსდევდა, რომლის პარალელურად, იზრდებოდა და ხშირდებოდა წვიმის წვეთები. სავიჩევი უკვე სველდებოდა, მაგრამ მაინც სწრაფად მიიწევდა სიღრმისაკენ. ცოტა ხნის წინ, თხრილიდან მისი თავი-ღა მოსჩანდა და ეს წუთია, ისიც გაუჩინარდა. დაბლიდან ნიჩბის ყრუ ჩახანი ისმოდა. უეცრად, მოქნეული ძალაყინი მიწაში რაღაცას მოხვდა, რომლის მოგუდულმა ხმამ ჟრუანტელად დაუარა ანტონის მთელ სხეულს. მის გონებაში გაბატონებულმა შიშმა, რომელიც, თავის მხრივ, ქაოტურ გაურკვევლობაზე აღმოცენდა, ფართოდ გაუხსნა კარი უცაბედად მოვარდნილ ემოციას და თავის მონათესავე გრძნობასთან ერთად, ამდენი ფიქრებისაგან ისედაც დაუძლურებული ადამიანის ნერვული სისტემა მექანიკურ მოქმედებაზე გადაიყვანა. ანტონ სავიჩევს მუხლი მოეკვეთა და ჩაიჩოქა. თავი

რომ შეემაგრებინა, ძალაყინს ხელი გაუშვა და უკვე კარგად დასველებულ და ატალახებულ მიწას ხელებით დაეყრდნო. კოკისპირულად აწვიმდა ამოთხრილ საფლავში ოთხზე დამდგარ კაცს, რომელიც ხელით იმ ადგილს ფხოჭნიდა, საიდანაც ორიოდე წუთის წინ სავარაუდოდ კუბოზე შეხების ხმა მოესმა. ერთ-ერთი ხელის გული მალევე შეეხო ცივ მეტალს. ინსტინქტმა მასზე შეხებისთანავე უკუაგდო ადამიანის ხელი და საშინელი მოლოდინის რეჟიმში წარმოქმნილი ფიქრები, აცახცახებულ სხეულს ორმაგი ძალით დაუპირისპირა. იგივე ფიქრებმა, პარალელური დარტყმა მიაყენა გონისმიერ ყურსაც, რომელსაც ასეთი სიტყვები გაუგზავნა: ამ სასახლეში განისვენებს ნინა მაქსიმოვნა! – ანტონ სავიჩევს ტანში გააჟრჟოლა, მაგრამ ეს არ იყო წვიმისაგან დასველებული ორგანიზმის ადეკვატური ქმედება. მან წარმოიდგინა, რომ იმ მასიური თუნუქის ქვეშ, რომელზედაც თავად იდგა, თავისი დედა ესვენა.

გრგვინავდა ზეცა და კვლავ აწვიმდა ანტონს, რომლის თმებიდან სახეზე ჩამოსული წვიმის წვეთები, თვალიდან გადმოფრქვეულ ცრემლს ერთვოდა და ასე ერთობლივად ეპკურებოდა მიცვალებულის სასახლეს. დრო არ ითმენდა,– აზროვნება უნდა შებრძოლებოდა ემოციას და შიშს, ინსტინქტსა და ქაოტურ ფიქრებს, რათა ბოლომდე ამოეხსნა ნინა ბერდიევას გაქრობის საიდუმლო. სავიჩევი ჩაჩოქილ ფეხებს ტალახიანი ხელებით დაეყრდნო და წამიერად მოუხუჭა თვალი, სულში თუ ცხადში არსებულ რეალობას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი აზროვნება, ამ რთული რეალობის დასძლევად უკვე დაიძრა. და პირველი იარაღი, რომელიც მისმა თითქმის დაპყრობილმა გონმა თავისი დამპყრობლების წინააღმდეგ გამოიყენა, მეხსიერების საცავიდან კუიბიშევური მასკარადის კიდევ ერთხელ ამოწევა იყო, რომელსაც უმალ მოჰყვა იდუმალი ხმა: ამ სამარხში დედას ნუ ეძებ, ის აქ არ არის! – რამდენიმე წამის განმავლობაში ეს ხმა არ გამქრალა და ექოს სახით მოსძახოდა აქეთ-იქიდან. დროის ამ უმცირეს მონაკვეთში, მისმა მთავარმა სურვილმა, რომელიც ქვეცნობიერში ცოცხალ ნინა მაქსიმოვნას წარმოადგენდა, გაშმაგებით გადმოლახა გადაკეტილი გზა და აზროვნების არეალში შეიჭრა. წამების წინ შიშისა და შფოთისაგან განთავისუფლე-

ბულ და მოსუფთავებულ გონებრივ სივრცეში, ერთმანეთს შეეჯახნენ სურვილი და იქ გაბატონებული ექოდ დარჩენილი ხმა, რომელთა შეჯახებისას, როგორც ბუნებაში ხდება, წარმოიქმნა უდიდესი ძალა, რომელიც მაშინვე გადანაწილდა სხეულზე. ანტონ სავიჩევი ფეხზე წამოდგა, ფარანი გამართა და ყოველგვარი ემოციის გარეშე დაათვალიერა შესრულებული სამუშაო, რათა მისი შემდგომი მიმართულება სწორად განესაზღვრა.

წვიმა ჯერ შენელდა და შემდეგ მალევე შეწყდა. აღარც ქარი ქროდა და ჭექა-ქუხილის ხმაც სადღაც გამქრალიყო. ისეთი სიმშვიდე სუფევდა, თითქოს სულ რაღაც ნახევარი საათის წინ აბობოქრებული არ ყოფილიყოს ბუნება. მიცვალებულის სასახლის ზედაპირიც გადაწმენდილია უკვე მიწისაგან, რომლის ერთ კუთხეში ძეგლივით გაშეშებულა სავიჩევი. ის ფარნის სინათლეზე ათვალიერებს სასახლის ზედაპირს და მისი გახსნისთვის ემზადება. გასალკლდევებული დაჰყურებს დედის შესაძლო განსასვენებელს და თითქოს რაღაცას კიდევ სჯის გონებაში. შემდეგ ნელი მოძრაობით იმუხლებს, ალბათ გრძნობს, რომ ზედმეტ ფიქრს აზრი აღარ აქვს და ძალაყინის მოშველიებით ცდილობს თავსახურის ახდას. ისმის სამაგრის ჭრიალი და ზედაპირის ერთი მხარე მაღლა იწევს. ანტონმა მოპირდაპირე ადგილზე გადაინაცვლა და იქაც იგივე მოიმოქმედა. დაბლიდან სპეციფიური, საშინელი სუნი ამოვარდა, მაგრამ გარდაცვლილი დედის მაძებარი კაცისთვის, ეს აუტანელი არ ყოფილა, რადგან მისთვის მთავარი იყო ერთი რამ – ესვენა თუ არა იქ მისი დედა. მან კიდევ ერთხელ გადაამოწმა თავისი ნერვები, სახედაჭიმულმა ზეცას ახედა და არცთუ ისე ნელი მოძრაობით ახადა სარქველი მიცვალებულის სასახლეს.

– დედა?! — აღმოხდა ყელიდან მოგუდული ხმა ანტონს, როდესაც ფარნის სინათლეზე ადამიანის ნახევრად გახრწნილ გვამს დახედა. სახეზე და ხელის მტევნებზე ამოსაცნობი ნიშნები უკვე წაშლილი იყო. ერთადერთი თვალშიმოსახვედრი, რამაც შვილს კითხვის ფორმით სიტყვა დედა ამოათქმევინა, იყო თმა და ნაცნობი ტანსაცმელი. მეტი მამტკიცებელი იმისა, რომ სამარხში ნინა მაქსიმოვნა ესვენა, არ არსებობდა. სავიჩევი წელში ნახევრად მოიხარა, რათა უფრო კარგად შეძლებოდა ამ ყველაფრის დათვალიერება, მაგრამ ისევ და ისევ, თმისა და ტანსაცმლის გარდა, სხვა ვერაფრით აკავშირებდა საკუთარ დედასთან. წვალობდა ანტონი. ერთხანს სიგრძეშიც კი ზომავდა თვალით, მაგრამ ცოცხალი დედის სიმაღლე, მიცვალებულის სიგრძეს ვერაფრით დაადარა. ნახევარი საათის განმავლობაში დასცქეროდა გვამს ზემოდან და ცდილობდა, ეპოვნა რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რაც დაარწმუნებდა დედის გარდაცვალებაში, მაგრამ მის ასეთ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ტანსაცმელი და თმა... აი, რაზე ფიქრობდა გამალებით მისი გონება. დიდი ფიქრი არ დასჭირვებია, გამოერიცხა თითქმის ძვლებზე მიჭმუჭნილი დედის სამოსი, რომელიც მისი აზრით, შეიძლებოდა, გამოყენებული ყოფილიყო სხვა სხეულზეც. რჩებოდა თმა, რომლის ირგვლივაც ტრიალებდა მისი აზროვნება და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებოდა გამოუვალ მდგომარეობაში, უეცრად მოხუცი მეზობელი ქალბატონის სიტყვები რომ არ გახსენებოდა: “ნინა ისე დავასაფლავეთ, თვალით არავინ გვანახა”-ო. – ამ სიტყვებმა გზა გადაუღობა უმისამართოდ შორს წასულ მის ფიქრებს და ისეთი მიმართულება მისცა, რაც, ერთი შეხედვით, სულაც არ იყო ლოგიკას მოკლებული. ანტონ სავიჩევმა ფარნიანი ხელი დაუშვა და დაჭიმულ ზამბარასავით მომართულ სხეულს მოდუნების საშუალება მისცა, რამაც, თავის მხრივ, საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად, მშვიდი გონებრივი ფონის შექმნას შეუწყო ხელი.

– დედაჩემის სამხედრო ნაწილში სტუმრობის შემდეგ, დაახლოებით, სამი თვეა გასული. დაკრძალვის დღე კი მიგვანიშნებს, რომ ჩემგან წამოსული, იმავე, ან მაქსიმუმ მეორე-მესამე დღეს უნდა გარდაცვლილიყო. თუ იმასაც გავითვალისწინებ, რომ ჩამოსვენებას სამი-ოთხი დღე მაინც დასჭირდებოდა, ამ გამოთვლაში შეცდომა გამორიცხულია. ესეიგი, გამოდის, რომ დედას, ჩემგან წამოსულს შეემთხვა რაღაც. – ანტონმა თავი დახარა, მექანიკურად მიმოატარა მზერა სამარეს და კვლავ ფიქრს მიეცა. – კანონით, ვისაც ოჯახის წევრი გარდაეცვლება, მცირე შვებულებით ყველას უშვებენ საჯარისო ნაწილიდან, რათა ჯარისკაცი დაესწროს გარდაცვლილი ნათესავის დაკრძალვას. მე კი ამის შეტყობინებაც არ მომსვლია. მისი გარდაცვალებიდან

ორთვენახევარზე მეტი დრო გავიდა და სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან მთლიანად გამანთავისუფლეს. კი მაგრამ, თუ სახლში მიშვებდნენ და საერთოდ მიხსნიდნენ ვალდებულებას, დედაჩემის დაკრძალვამდე ამაში რა უშლიდათ ხელს? – თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს მიაგნო ანტონმა, რომელმაც ჯერ დახრილი თავი წამოსწია, შემდეგ კი თხრილიდან ამოვიდა. ფეხისათრევით მივიდა იქვე მდგარ ხესთან და მასზე უშნოდ გამოსულ წანაზარდს ხელით დაეყრდნო. – რას ნიშნავს ეს? – კიდევ ერთხელ დასვა კითხვა და კვლავ გონისმიერ მსჯელობას მიჰყვა. – ამდენი დრო რაში დასჭირდათ? რა დევს დროის ამ მონაკვეთში? – მისი გონება გაშმაგებით უტევდა იმ ურთულესი ამოცანის არსს, რომელიც ამ საქმეში გამობრძმედილი რამდენიმე ადამიანის თავში იყო მოხარშული. შეძლებს კი ანტონი, თავისი ინტელექტით სისტემის იდეოლოგთა დამარცხებას? მივყვეთ მის მსჯელობას და შემდეგ მოქმედებას, რომელმაც, რაიმე ფორმით, აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს ლოგიკურ დასასრულამდე. – დრო... დრო... – აგრძელებდა ფიქრს ანტონი, რომელმაც უეცრად ისე მიატრიალა გვერდით თავი და ისე გახედა ბნელ სივრცეს, რომ თითქოს იქ, შორს რაღაც შენიშნაო. – გასაგებია, რაშიც დასჭირდათ ამ დროის გაყვანა. – ჩაილაპარაკა ჩუმად, თავისთვის. ხის გვერდით ფიცრისაგან გაკეთებულ დაბალ სკამზე ჩამოჯდა, მუხლებს იდაყვებით დაეყრდნო და ისევ გონებრივ განსჯაზე გადაერთო. – რატომ არ გამანთავისუფლეს და დამასწრეს დედის დაკრძალვას? პასუხი ერთია: მე მოვითხოვდი დედის ცხედარის ნახვას, რაშიც წინააღმდეგობას ვერანაირი კანონით ვერ გამიწევდნენ. მეზობლებს რატომ არ აჩვენეს იგივე ცხედარი? იმიტომ, რომ შიგ ნინა მაქსიმოვნა არ ესვენა და მის მაგივრად სხვა დაკრძალეს. დიახ, ეს დრო ზუსტად იმაში იყო საჭირო, მე როცა დავბრუნდებოდი და შევიტყობდი, რომ არცერთ მეზობელს მიცვალებული დედაჩემი არ უნახავს, შეიძლება, არ მერწმუნა მისი სიკვდილი, მეტადრე, კუიბიშევის შემდეგ და ამის გადასამოწმებლად საფლავიც კი მომეთხარა. სამარეში კი დამხვდებოდა დედაჩემის თმის ფერის მქონე და მისი ტანსაცმლით შემოსილი უკვე გახრწნილი გვამი, რითაც ვირწმუნებდი მის გარდაცვალებას. მე არ ვიცი, ადამიანის ცხედარი რამდენ ხანში და როგორ იხრწნება. აქედან გამომდინარე, არც ის არის გასაკვირი, გვამი უფრო ძველიც რომ იყოს. კი, ეს დრო ამიტომ უნდა გასულიყო, თორემ ჩემი განთავისუფლება, როგორც ვხედავ, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. დიახ, მე არ უნდა დავსწრებოდი დაკრძალვას, რათა არ გამეგო, რომ მათ მიერ ჩამოსვენებული ადამიანი დედაჩემი არ იყო. ეს კუიბიშევური ფარსის გაგრძელება და ჩემთვის ნაცნობი ქმედებაა სისტემის მხრიდან. ამიტომ არ მჯერა ნინა მაქსიმოვნას გარდაცვალება და ვფიქრობ, რომ ის ისევე ცოცხალია, როგორც მამაჩემი, ალექს სავიჩევი. რაც შეეხება მათ პრიმიტიულ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩემს დასარწმუნებლად მიიღეს, საკმარისი არ არის ჩემი წარმოდგენის შესაქმნელად. – ანტონი ფეხზე წამოდგა, შეძლებისდაგვარად წელში გაიშალა და საბოლოო დასკვნაც გააკეთა. – დედა ცოცხალია! მე კი, შემდგომი ნაბიჯის გადასადგმელად, ძალიან დიდი სიფრთხილე მმართებს.”

ავდრიანი ღამის შემდეგ, ძალადაკარგული ნიავი, ჯერ კიდევ მიერეკებოდა აქეთ-იქით გაფანტულ ღრუბლებს, როცა აღმოსავლეთ ჰორიზონტზე, ორიოდე საათის წინ განრისხებულ და ახლა უკვე დადუმებულ ზეცას ალიონის ძნელად შესამჩნევი სინათლე წამოეპარა. ანტონ სავიჩევმა ამოვსებულ საფლავზე აქუჩებული მიწა საბოლოოდ მიმოასწორა, მიცვალებულის ვინაობის აღმნიშველი ტრაფარეტი ძველბურად ჩაამაგრა და სახლისაკენ აიღო გეზი. ის მიდიოდა ქანცგაწყვეტილი. ტალახიანი და სველი ტანსაცმელი ტანზე შემოჭდობოდა და მოძრაობაში ხელს უშლიდა. ფეხებიც აღარ ემორჩილებოდა სრულად და გადაციებული ორგანიზმიც ერთიანად უცახცახებდა. ამ ყველაფერს სასაფლაოზე ვერ გრძნობდა, რადგან მისი გონება მთლიანად დაკავებული იყო დედაზე ფიქრით. ახლა კი აღარაფერს ფიქრობდა იმის გარდა, რომ სანამ ინათებდა და ხალხი გამოიშლებოდა, სახლამდე მიეღწია.

ალიონს უკვე შეფერილი ჰქონდა ცის კიდე, როცა ანტონი თავის სადარბაზოში შევიდა და მეოთხე სართულამდე ძლივს ააღწია. აბაზანაც დიდი გაჭირვებით მოამზადა და, როგორც იქნა, საწოლამდეც მივიდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ჩათ-

ბა თბილ საბანში. ვერც კანკალი დაიოკა, რომელიც, დრო და დრო, კბილებსაც კი აცემინებდა ერთმანეთზე. ასე იწვალა ერთი საათი, რის შემდეგ, შეცხელება დაეწყო და სულ ცოტა ხანში, მთელ სხეულში იგრძნო მხურვალება. ეჭვი არ იყო, რომ მას სიცხემ აუწია. ძლივს წამოდგა საწოლიდან, კარადამდე რომ მისულიყო სიცხის საზომის ასაღებად. ფეხები თითქმის პარალიზებული ჰქონდა. კიდევ კარგი, რომ თავის კარის მეზობელ მოხუც ქალბატონს მიუკაკუნა და ამცნო თავისი მდგომარეობა, თორემ მოკლე ხანში, ამასაც ვეღარ მოახერხებდა. ქალი ძალიან შეწუხდა, როცა ანტონის აწითლებულ და სიცხისაგან გავარვარებულ სახეს შეხედა. სწრაფი მოძრაობით სახლში შებრუნდა, საიდანაც პატარა ჯამი, მარლის მონაჭერი და ბოთლით ძმარი გამოიტანა.

– აბა, შვილო, – უთხრა ანტონს, რომელიც საწოლში გაჭირვებით წვებოდა. – ახლა სიცხე გავიზომოთ და შემდეგ ვიმოქმედოთ. – დედაშვილური ტონით მიმართა ქალმა და ფეხებთან საბანი შეუსწორა.

ტემპერატურა ორმოც ნიშნულს მიახლოებოდა. ავადმყოფი უკვე წრიალებდა და მექანიკური მოძრაობები ეწყებოდა. მისი ასეთი მოქმედება მეტყველებდა, რომ სიცხე უფრო მაღლა მიიწევდა. თვალებიც ნელ-ნელა კარგავდა რეალობის აღქმის უნარს, რაც იმას ნიშნავდა, რომ აზროვნების მთელი სისტემა აგონიურ მდგომარეობაში გადადიოდა.

მოხუცი ციბრუტივით ტრიალებდა. მკერდი და ხელები წყალგარეული ძმრით დაუზილა ანტონს. შემდეგ იმავე სითხეში დასველებული წინდებიც ამოაცვა ფეხებზე, საბანი უფრო კარგად შეუსწორა და მისი საწოლის გვერდით ჩამოჯდა. ცოტა ხანს ასე უყურა სიცხისაგან გათანგულს. მის თვალში სევდა და ნაღველი მოსჩანდა, რადგან ანტონმა, დედის სახით, ის ერთადერთი ადამიანი დაკარგა, რომლის მეტი არავინ ჰყავდა ქვეყანაზე. ქალბატონმა სინანულით თავი გააქნია, თავის თვალსაწიერში გამოზრდილ ბიჭუნას თმებზე ხელი ფრთხილად გადაუსვა და გაამხნევა:

– ნუ გეშინია, შვილო, სიცხე ძალიან მალე დაგიწევს. ეს ხალხური მეთოდია და უტყუარი. ყველაფერი კარგად იქნება.

დამშვიდდი, მე აქ ვარ და არ მიგატოვებ. – ჩურჩულის ხმაზე ეუბნებოდა მოხუცი და თან გავარვარებულ შუბლზე ძმრიან ტილოს უსწორებდა, რომ ამ დროს ანტონმაც ამოილუღლუღა:

– მოხვედი, დედი? რამდენი გეძებე... – ცოტა ხანს გაჩუმდა, რადგან ნიკაპი აუკანკალდა. ისე, ცრემლის მოსვლას რომ უსწრებს ხოლმე წინ. შემდეგ თვალიდან ერთი კურცხალი ჩამოუგორდა და გაუმართავი, ძლივსგასაგონი ხმით განაგრძო: – კი ვგრძნობდი, რომ მოხვიდოდი, მაგრამ თან არ მჯეროდა. ასე აღარ მიმატოვო, რომ არ ვიცოდე, სად ხარ, თორემ გამიჭირდება კიდევ ერთხელ ამის გადატანა. მე ხომ შენს მეტი არავინ მყავს, დედი! ვის უნდა ვუთხრა, რას ვფიქრობ და რა მინდა?! აქ იყავი და აღარ წახვიდე. – ბოლო სიტყვები ძლივს-ღა ამოთქვა ანტონმა და ერთი ხელით მისწვდა მოხუცის ხელს, რომლითაც ის ოფლიან სახეს უმშრალებდა.

მეზობელ ქალბატონს თვალებიდან ცრემლის ღვიარება გასდიოდა და ცდილობდა, რომ ამ ქვითინს ხორხიდან ხმა არ ამოჰყოლოდა. წვალობდა ქალი და მეორე ხელით ძლივს ასწრებდა თვალების შემშრალებას. ეს დაძაბული სიტუაცია დიდხანს არ გაგრძელებულა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ანტონს სიცხე საგრძნობლად დაეწია და დაქანცული და დაუძლურებული, როგორც იქნა, ძილს დამორჩილდა. სავიჩევი ღრმად და სწრაფად სუნთქავდა. დრო და დრო შფოთავდა და კრთებოდა, მაგრამ ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ, მისი ორგანიზმი, გარკვეულწილად, მაინც ისვენებდა. ასე გავიდა, დაახლოებით, სამი საათი. ამ ხნის განმავლობაში, მეზობელმა ქალმა მოასწრო უბნის ექიმის გამოძახება, რადგან იფიქრა, რამე სერიოზული არ გაპარვოდა და არ დამძიმებოდა ავადმყოფი.

მოხუცი სავარძელში იჯდა. ანტონს სიცხე კვლავ მაღლა უწევდა და უკვე ძილ-ღვიძილში იყო, რომ ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. უბნის ახალგაზრდა ექიმი ოთახში შემოვიდა, ნაზი ქალური მოძრაობით ყელი მოიღერა, ანტონს ღიმილიანი სახით დახედა და იმედის მომცემი ხმით წარმოთქვა:

– აბა, რა დაემართა ჩვენს ლამაზ და ჯან-ღონით სავსე ბიჭს?

სავიჩევი უკვე გამოფხიზლებული იყო, მაგრამ, ცოტა არ

იყოს, მაინც გაუჭირდა სწრაფად იმის გააზრება, რომ მასთან ექიმი იყო მისული.

– სიცხე მაქვს, ექიმო. გავცივდი, ალბათ. – წარმოთქვა ენის ბორძიკით ანტონმა.

ექიმმა ჩანთიდან ფონედოსკოპი ამოიღო და მას მიმართა:

– თუ შეგიძლია, საწოლში წამოჯექი, რომ ფილტვებს მოვუსმინოთ!

ანტონმა ძლივს შეძლო საწოლში წამოჯდომა და თხელი მაისურის აწევა.

– ღრმად ისუნთქე! – მიმართა ექიმმა და მთელი ყურადღება ფილტვებიდან გამოსულ ხმას მიაპყრო. სულ ცოტა ხანში, მას სახე შეეჭმუხნა და ფონედოსკოპის მონაცვლეობით, ზურგის მხრიდან ყველა წერტილს მოუსმინა. – აბა, ახლა აქეთ შემობრუნდი, წინა მხარეც რომ მოვისმინოთ! – უთხრა სერიოზული სახით ექიმმა და დაელოდა ავადმყოფს, რომელსაც ძალიან გაუჭირდა ახალ პოზაში გადასვლა. – შევამჩნიე, რომ თითქოს ფეხების მოძრაობა გიჭირს. – უთხრა ექიმმა და ეჭვის თვალით შეათვალიერა ავადმყოფი.

– კი, სამხედრო სამსახურიდან გამოყოლილი ტრავმაა, რომელმაც, ალბათ, ახლა, გაცივებისას შემახსენა თავი. – ამოთქვა სიცხისაგან დასუსტებულმა ანტონმა და ცალ ხელზე დაყრდნობით შეეშველა ძალადაშრეტილ სხეულს.

ახალგაზრდა ქალბატონმა ზედმიწევნით გასინჯა ანტონი, მათ შორის, დაუთვალიერა ფეხებიც და გადაწყვიტა, რომ ავადმყოფი სასწრაფოდ სტაციონარში უნდა გადაეყვანათ, რათა მოსალოდნელი გართულებები თავიდან ყოფილიყო აცილებული. მან მოხუც მეზობელს ისიც გაუმხილა, რომ ფილტვების ყველა უბანზე ანთებითი პროცესი მიმდინარეობდა, რაც დაზიანებული ფეხებისთვის, შეიძლება, კატასტროფად ქცეულიყო. დიდი ფიქრის დრო აღარ იყო და ექიმმა თავად გამოიძახა სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ანტონი გადაყვანილ იქნა კლინიკაში.

სამი დღის შემდეგ სიცხე საბოლოოდ დაუბრუნდა თავის ნორმალურ ნიშნულს. ფილტვების ანთებამაც საგრძნობლად დაიხია უკან. ფეხებზეც ჩატარდა სათანადო მკურნალობა და სავიჩევმა საწოლიდან წამოდგომა შეძლო. ამ ხნის განმავ-

ლობაში, მეზობლები ყოველდღე ნახულობდნენ. განსაკუთრებით, მოხუცი ქალბატონი დასტრიალებდა თავს, რომელმაც პირველადი დახმარება აღმოუჩინა ანტონს და, რომ არა ის, ძალიან გაუჭირდებოდა მარტოს იმ მდგომარეობიდან გამოსვლა. ასე რომ, კლინიკის მედპერსონალის ძალისხმევამ და მეზობლების ყურადღებამ შედეგი გამოიღო და სავიჩევი ათი დღის შემდეგ გამოჯანმრთელებული საავადმყოფოდან გამოეწერა. მართალია, ცოტა სისუსტეს კიდევ გრძნობდა, მაგრამ ეს ახლად ჩამქრალი ანთების მახასიათებელი იყო და მეტი არაფერი. სახლი ერთობ მოწესრიგებული დახვდა, ხოლო ტალახიანი ტანსაცმელი – გარეცხილ-დაუთოებული. მის ახალ დედობილს ყველაფრისთვის მიუხედავს, რათა დედის გარეშე დარჩენილი ბიჭისთვის ყოფა შეემსუბუქებინა. ანტონი სავარძელში მძიმედ დაეშვა და ნინა მაქსიმოვნას ოთახს სევდიანი მზერა მიმოატარა. რასაც ახლა ის განიცდიდა, მის გულში ამ გრძნობას ვერავინ და ვერაფერი ამოავსებდა; აქედან გამომდინარე, მთელი მისი აზროვნება ამაზე იყო დაფუძნებული, მაგრამ ერთი ფიქრი, ერთი პატარა მიმართულება, მადლიერების გრძნობით გაჯერებული, მაინც მიემართებოდა მოხუცი მეზობლისაკენ. სწორედ ამ მადლიერებისგან ნაშობმა ფიქრმა გადაკეტა გონებაში ქაოსისაკენ მიმავალი გზა, რითაც გულში დაბუდებულ სევდას მართვის სადავეები წაართვა, რაც უკვე თავისთავად ნიშნავდა სიახლეს, ანუ ბიძგს ახალი ცხოვრების დასაწყებად.

გავიდა ორი დღე. ანტონი სახლიდან არ გამოსულა, მისაღებ ოთახში ატარებდა ძირითად დროს და დივანზე მიწოლილი და ჭერსმიპყრობილი, უკანასკნელად აანალიზებდა წარსულს, რის ფონზეც აწყობდა სამომავლო გეგმას. მისი დასკვნა მარტივი იყო, როცა ფიქრობდა, რომ დედას ვერანაირი გზით ვერ მოძებნიდა, რადგან ოფიციალურად ის გარდაცვლილად რჩებოდა, თუმცა თავად დარწმუნებული იყო მის სიცოცხლეში. რაც შეეხება მის სამომავლო გათვლას, ეს გადიოდა უნივერსიტეტში მოხვედრაზე, საიდანაც ერთი წლის შემდეგ საბუთებს მოსკოვში გადაიტანდა. იქ კი სჯეროდა, რომ კატია თვითონ მონახავდა და დედ-მამის მოძებნაში დაეხმარებოდა. აი, ეს მიზანი წარ-

მოშვა იმ ხელოვნურად შექმნილმა ცხოვრებისეულმა ტესტმა, რომელიც ანტონმა ორდღიანი ფიქრისა და განსჯის შედეგად გაიარა.

1960 წლის გაზაფხულია. ქვეყანას მართავს სოციოპათი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რომლის ყოველი მოქმედებაც, მის გონებრივ გადახრაზე მიუთითებს. რამდენადაც ღიმილის მომგვრელია მისი ქცევები ნორმალური ადამიანის თვალში, იმდენად საშიშიც არის მისი არსებობა, რადგან მის ხელშია გიგანტური სახელმწიფოს ბირთვული ჩემოდანი. მან "ტახტზე" ასვლიდან ძალიან მალე, უკვე მოასწრო თავისი უსასტიკესი ბუნების გამოვლინება, როდესაც 1956 წლის 9 მარტს, თბილისში, მისი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსულ მშვიდობიან დემონსტრაციას, სამხედროებმა, მისგან მიღებული ბრძანების შემდეგ ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გაუხსნეს. ათობით ადამიანს ტანკებით გადაუარეს, ხოლო სიკვდილს გადარჩენილი ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი ციმბირის გზას გაუყენეს. ასე გამოხატა ზიზღი ნიკიტა სერგის-ძემ სტალინისა და მისი სამშობლოს, საქართველოს მიმართ, რომლის ცის ქვეშაც, ახლა, ამ წუთას, გზაჯვარედინზე დგას ანტონ სავიჩევი და არ იცის, რომელ მხარეს წავიდეს. მას არავინ ელის და არც თვითონ ეგულება სადმე ვინმე, ვისთანაც შეიძლება მივიდეს და დარდით სავსე გული მოიოხოს. მდუმარედ გაჰყურებს ქალაქის ცენტრალურ ქუჩას, რომელიც ისევ ძველებურად გამოიყურება. ნაცნობიც არავინ გამოჩნდა, რომ გამოლაპარაკებოდა. მხოლოდ ერთი უცხო მოხუცებული მამაკაცი მიესალმა, რომელსაც ანტონმა მდაბლად დაუკრა თავი და გზის ნაპირს ნელი ნაბიჯით გაუყვა. ერთი საათის განმავლობაში იარა ასე და დაღლა რომ იგრძნო, ცოტა ხნით დასასვენებელ პარკში სკამზე ჩამოჯდა, სადაც, უნებლიედ, სკოლის პერიოდი გაახსენდა. ის წარმოიდგინა, სასწავლებლიდან მომდინარე, თვითონ და მისი კლასელები, მაღალი ხეების ჩრდილში რომ შეჩერდებოდნენ ხოლმე. ბავშვობამ დედა გაახსენა და ემოცია მოეძალა. მაშინვე წამოდგა და გეზი სახლისაკენ აიღო, რათა ფუჭი ფიქრებით აღარ გადაეტვირთა გონება. მას უნდა ემოქმედა და ეს იყო მხოლოდ გამოსავალი. დამთავრდა წარსულზე ფიქრის დრო. მის თავში ყველაფერი

გარკვეული იყო. უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებამდე სულ სამიოდე თვე რჩებოდა. უნდა მომზადებულიყო და ეცადა ბედი. მას სჯეროდა საკუთარი თავის და ჰქონდა იმის რწმენა, რომ ამ ბარიერს იოლად დაძლევდა.

მეორე დილა ბიბლიოთეკაში სტუმრობით დაიწყო ანტონმა, საიდანაც ისეთი წიგნები წამოიღო, რომლებიც მომზადებისას აუცილებლად დასჭირდებოდა. ეკონომიური პრობლემები ჯერ-ჯერობით მას არ ემუქრებოდა, რადგან მეზობელმა ქალბატონმა ნინასგან მისთვის ჩაბარებული ხუთი ათასი მანეთი გადასცა და თან დააყოლა: რუსეთში რომ მიდიოდა, სახლში დატოვებას, ჩემთვის მობარება არჩიაო. ასე რომ, აბიტურიენტ ანტონ სავიჩევს, ყველა პირობა ჰქონდა საიმისოდ, რომ გამოცდებისთვის კარგად მომზადებულიყო.

* * *

უნივერსიტეტის ფოიეში ყურთასმენა არ იყო, იმდენ სწავლის მაძიებელს მოეყარა თავი. ახალგაზრდა აბიტურიენტების გვერდით, შეინიშნებოდა უფროსი თაობაც, – ზოგს მშობელი მოჰყოლოდა მხარდასაჭერად, ზოგს და-ძმა, ზოგს კი ნათესავი. გამოცდებზე დამდგარი არცერთი აბიტურიენტი არ იყო მოსული გულშემატკივრის გარეშე. მხოლოდ ანტონი იდგა განცალკევებით მარტო, კედელზე მიყრდნობილი და ღრმად ჩაფიქრებული. ის საგამოცდო კომისიის წინაშე გასვლაზე ფიქრობდა და ნაკლები საფიქრალი ჰქონდა საკუთარ ცოდნაზე, რადგან მან საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის გადახედვაზე, დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია. უბრალოდ, საფუძვლიანად გადაიმეორა ყველაფერი და უნივერსიტეტის კედლებში გამართულად შემოაბიჯა. ერთადერთი, რაც მას ამ ბოლო თვეების განმავლობაში მუდმივად თავს ახსენებდა და გარკვეულწილად, სხვა რელსებზე ცდილობდა მისი აზრის გადაყვანას, იყო დედაზე ფიქრი. მართალია, ანტონი ხვდებოდა, რომ ამაზე გამუდმებით ფიქრი მოწყვეტავდა რეალობას და დეპრესიის გზას გაუყენებდა, მაგრამ იმდენად ძლიერად განიცდიდა დედის დაკარგვას, ამ გრძნობას ვერაფერს ვერ უპირისპირებდა. პერიოდულად, როგორც კი იპოვნიდა რაღაც მომენტს, კატიას სიყვარულით

ტკბებოდა და მასთან გატარებული დღეების გახსენებით ივსებდა ენერგიას, მითუმეტეს, ამასთან ერთად იმასაც ფიქრობდა, რომ ის იყო ერთადერთი, ვინც მშობლების მოძებნაში დაეხმარებოდა. აი, ამ ფორმით ახდენდა მისი აზროვნება მისივე დაძაბული გონების განმუხტვას, რომელიც ერთი წამითაც კი არ კარგავდა რეალობის აღქმის უნარს.

სამსაათიანი მომქანცველი ლოდინის შემდეგ, აბიტურიენტებმა გამოცხადების წინმსწრებ სიგნალს კვლავ მიაყურადეს და სმენად გადაიქცნენ:

– ანტონ სავიჩევი, ქართული ლიტერატურის ზეპირ გამოცდაზე, გამოცხადდეს მეორე სართულზე მდებარე ნომერ 104-ე აუდიტორიაში!

ანტონი ოთახში შესვლისთანავე თავისდაკვრით მიესალმა ოთხ გამომცდელ მამაკაცს, რომლებიც გრძელი მაგიდის ერთ მხარეს, ერთმანეთის გვერდით ისხდნენ და სწავლის ყველა მაძიებელს დაკვირვების საცერში ერთობლივად ატარებდნენ.

– აბა, ჯერ თქვენი გვარი მოგვახსენეთ! – უთხრა მათ შორის ყველაზე მხცოვანმა, სიმსუქნისაგან ლოყებდასიებულმა სათვალიანმა მამაკაცმა, რომლის სახეზე, ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა ცინიზმი, რაც ანტონის დარ ადამიანს, წესით, არ უნდა გამოჰპარვოდა.

– ანტონ სავიჩევი გახლავართ, ბატონო! – მიუგო მშვიდად ანტონმა და დაელოდა მათ სიტყვას.

– ბა-ტო-ნე-ბო! – შეუსწორა და დაუმარცვლა ლოყებღაჟღაჟამ, რომელმაც, ამის შემდეგ, ოდნავ მომღიმარი სახით გადახედა კოლეგებს. – ახლა კი აიღეთ თქვენს წინ მდგომი პატარა მაგიდიდან ერთი ბილეთი და, რაც შეგხვდებათ, მის ირგვლივ გავაგრძელოთ საუბარი. – უთხრა ისევ მან და სკამზე შესწორდა.

ანტონმა თვალი არ გაუსწორა "გამოცდილ" პროფესორს, რომელიც თავისი მოქმედების შემდეგ ურცხვად მიშტერებოდა ახალგაზრდა სწავლისმაძიებელს; მან ნელი მოძრაობით ჯერ თავი მიატრიალა გვერდით და შინაგანი ადეკვატური რეაქცია რომ დაეფარა, მშვიდად დაიძრა ბილეთის ასაღებად. მისი საგამოცდოდ შემართული გონება, ცოტა არ იყოს, შეტორტმანდა,

რადგან ეს მისთვის, გარკვეულწილად, ფსიქოლოგიური დარტყმა აღმოჩნდა. ამ საქმეში გამობრძმედილი, ე. წ. სწავლულები, ასეთ ფორმებს მიმართავდნენ არასასურველი აბიტურიენტების წინააღმდეგ, რადგან უნივერსიტეტში და ზოგადად, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრი ადამიანების 98 პროცენტიანი სია წინასწარ იყო შედგენილი. რაც შეეხება დარჩენილ ორ პროცენტს, ეს როგორც დაჯავშნული, გაუთვალისწინებელი სიტუაციისთვის ჰქონდათ შემონახული. აი, ასეთი იყო ტიპიური საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ანტისაბჭოთა ელემენტების მოხვედრის შანსი ნულს უტოლდებოდა. იმ შემთხვევაში კი, თუ იქ მოხვედრილს გაეღვიძებოდა "მადა" პარტიული ცხოვრების წესის წინააღმდეგ, ამისათვის მისივე თანატოლი კომკავშირელები და ამგვარი საქმეებისთვის შექმნილი შიდა კომკავშირული ორგანიზაცია გაკიცხავდა, რაც მისი გარიცხვისთვის მწვანე შუქს უნთებდა სასწავლებლის ხელმძღვანელობას. ანტონის მამის მეგობრების დანაპირები, უნივერსიტეტში ჩაბარების თაობაზე, ისევ ძალაში რომ ყოფილიყო, მას გამოცდისთვის ლოდინი კი არ მოუწევდა და გამომცდელების წინაშე წარდგომა, დაბლა დაახვედრებდნენ თავიანთ წარმომადგენელს და ერთ კითხვასაც ვერავინ შეჰბედავდა, ისე მოხვდებოდა უნივერსიტეტში. ანტონის ახლანდელი მდგომარეობა კი, წყალწაღებულის ამბავში გადის და ისიც ცდილობს – იქნებ და?.. სწორედ ეს – იქნებ და, ანუ შემთხვევითობაა გამორიცხული საბჭოთა სინამდვილეში. ამაშია "ჩეკას" ძალა, რომელიც ყველას და ყველაფერს ზედმიწევნით აკონტროლებს.

– აბა, გვიბოძეთ, ყმაწვილო, ეგ ბილეთი, რომ ჩვენც ვიხილოთ, რა შეგხვდათ! – მიმართა ანტონს მაგიდის ერთ ნაპირთან მჯდომმა მამაკაცმა, რომელმაც თან ხელი გაუწოდა ბილეთის გამოსართმევად.

– ინებეთ, პატივცემულო! – მოწიწებით დაუკრა ანტონმა თავი და ბილეთი მიაწოდა.

– ოოო, საკმაოდ საინტერესო რამ შეგხვედრიათ – შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანის" ერთ-ერთი თავი, რომელშიც ნახავდით ალბათ და, საზეპიროებიც შედის. იმედია გეცოდინებათ ეს მასალა, რომლის ამოწურვის შემდეგ, დამატებითაც

გვექნება შეკითხვები თქვენთან. – უთხრა ისევ მან, ვინც ბილეთი გამოართვა.

– რასაკვირველია. შევეცდები, თანმიმდევრულად მივყვე ხსენებული თავის განხილვას და შეფასება კი თქვენზეა. – თქვა მოკრძალებული ღიმილით ანტონმა და ორიენტირი სიმშვიდის შენარჩუნებაზე აიღო.

– თქვენს შეფასებას, თქვენი მოწოდების გარეშეც მოვახერხებთ. ასე რომ, თქვენ იმაზე იფიქრეთ, როგორ ჩაგვაბარებთ გამოცდას იმ სწავლულ ხალხს, რომლებიც ერთ გადაბრუნებულ სიტყვასაც კი არ გაპატიებთ. – გამოსცრა საკმაოდ მკაცრი ტონით ლოყებდაბერილმა, შუაში მჯდომმა პროფესორმა, რომელსაც აშკარად არ მოეწონა ანტონის თავდაჯერებულობა.

აბიტურიენტის სახეზე ოდნავადაც კი არ დარღვეულა სიმშვიდის გამომეტყველება, რასაც ვერ ვიტყვით მის მთავარ გამომცდელზე, რომელსაც ისედაც წითურ სახეზე, ალმურმა გადაუარა, რადგან ანტონის გამოხედვაში კარგად დაინახა მისი აზროვნებაც და შეუპოვარი ხასიათიც. სხვა რა გზა იყო – ეტიკეტი ორივეს ერთნაირად ავალებდა გამოცდის ფორმალური მიმდინარეობის დაცვას და ანტონმაც დაიწყო. მან ბრწყინვალედ მიმოიხილა "ვეფხისტყაოსანის" არამარტო იმ თავის შინაარსი, არამედ თითქმის მთლიანი ნაწარმოები. უნივერსიტეტის თავკაცები პირდაღებულნი უსმენდნენ და ვერ პოულობდნენ ადგილს, სად შეიძლებოდა ჩაჭროდნენ და გაეჩერებინათ. ეს იყო შემთხვევა, რა დროსაც, მათ შორის ყველაზე თავხედს უნდა აეღო საკუთარ თავზე და რაიმე მიზეზით ჩაეჭრა ეს საოცრად მოაზროვნე ახალგაზრდა. ამის ინიციატივა კვლავ მსუქანმა პროფესორმა აიღო, როდესაც ექსტაზში შესულმა ანტონმა ასეთი რამ თქვა: ქართველთათვის იმდენად მნიშვნელოვანია მეთორმეტე საუკუნეში ჩვენი თანამემამულის, შოთა რუსთაველის მიერ დაწერილი უკვდავი ქმნილება "ვეფხისტყაოსანი," რომ იყო დრო, გათხოვილ ქალს თავისი ოჯახი ამ წიგნს მზითევში ატანდა და მეტიც, ქართველები მას მეორე ბიბლიასაც უწოდებდნენო. აი, ამას ჩაეჭიდა ჩასაფრებული პროფესორი და ანტონს მიმართა:

– ყმაწვილო, თქვენ ბიბლია ახსენეთ და რა იცით მის შესახებ?

– ბიბლია? – გაეღიმა ანტონს. – ბიბლიის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, იმდენად, რამდენადაც ხელი არ მიმიწვდება რელიგიურ წიგნებზე. რაც შეეხება თეოლოგიას, როგორც ერთ-ერთ მეცნიერულ მიმართულებას, არ დაგიმალავთ და, სიამოვნებით გადავავლებდი თვალს, რადგან მგონია, რომ ადამიანი, თუკი ამის გონებრივი შესაძლებლობები და, მეტადრე, ინტერესიც გააჩნია, ცოდნის მხრივ, საშუალო დონეზე მაინც უნდა ფლობდეს იმას, რაც მის ირგვლივ, რეალობაში, უნდა ეს ვინმეს თუ არა, მაინც არსებობს.

– ესიგი, თქვენ ამბობთ, რომ რელიგია, რომელიც ათეული საუკუნეების გადმონაშთია, ადამიანთათვის საინტერესო სფეროს უნდა წარმოადგენდეს? – სიტყვა გააწყვეტინა წითურმა პროფესორმა. – და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი უმძლავრესი სახელმწიფო მთლიანად აგებულია ათეისტურ საფუძვლებზე და უარყოფს ყოველგვარ ცრურწმენას?! სად არის ღმერთი, ყმაწვილო? ღმერთმა შექმნა ამ ახალგაზრდა ქვეყნის ინდუსტრია და სამხედრო ტექნიკა, რომელიც შიშის ზარს სცემს მსოფლიოს?! თუ, უარყოფთ დარვინის თეორიას და გგონიათ, რომ მართლა ღმერთმა შექმნა ადამიანი?! აი, რა კარგია, რომ გაამჟღავნეთ თქვენი გონებრივი მრწამსი, თორემ ჩვენ ხომ ვერ შევიტყობდით, რომ თქვენ საშიშროებას წარმოადგენთ მარტო უნივერსიტეტისთვის კი არა, მთელი საბჭოთა საზოგადოებისთვის?!

– პატივცემულო, – სერიოზული სახით მიმართა ანტონმა პროფესორს, რომელიც საუბრის დროს კოლეგებსაც გადახედავდა ხოლმე და ამით თითქოს მათი დამოწმების იმიტაციასაც ახდენდა. – მაპატიეთ, მაგრამ ვფიქრობ, საკითხს არასწორი მიმართულება მიეცა. როგორც ჩანს, ჩემი ნათქვამიდან რაღაც სწორად ვერ იქნა გაგებული, რადგან მე დავაფიქსირე ჩემი ინტერესი თეოლოგიური მეცნიერების მიმართ. როგორ შეიძლება, ადამიანს ჰქონდეს რაიმესადმი რწმენა, ანუ უყვარდეს და ეთაყვანებოდეს რამეს და საფუძვლიანი წარმოდგენა არ ჰქონდეს მასზე?!

– მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ექსტაზში შესულს წამოგცდათ სიტყვა ბიბლია და ახლა თავგამოდებით ცდილობთ, შენიღბოთ თქვენი შეხედულებები ამის თაობაზე! – მკაცრი და ხმამაღალი ტონით წარმოთქვა პროფესორმა და კალმის მაგიდაზე ხმაურიანი დაგდებით გამოხატა თავისი შეუვალობა აბიტურიენტის მიმართ. – აღარ მივიღებ თქვენგან არავითარ განმარტებას! მორჩა, ჩემთვის გასაგებია ყველაფერი! უნივერსიტეტში არ გვჭირდება რელიგიით დაინტერესებული სტუდენტები! – დაამთავრა ხელოვნურად გაწიწმატებულმა პროფესორმა და კოლეგებს გადახედა იმ თვალით, ეთანხმებოდნენ თუ არა მის მოსაზრებას. ორმა კოლეგამ თავდახრით გამოხატა მისდამი თანადგომა. მხოლოდ ერთი, სანდომიანი სახის გამომცდელი მისჩერებოდა ანტონს მრავლისმეტყველი მზერით, რომელშიც აშკარად შეიმჩნეოდა უმიზეზოდ დაჩაგრული ადამიანისადმი თანაგრძნობა.

ანტონი ყველა გამომცდელის მოქმედებას აფიქსირებდა, მაგრამ ყურადრების ცენტრში ის არაადეკვატური მოქიშპე ჰყავდა, რომელიც თავის მდგომარეობას მის წინააღმდეგ ბოროტად იყენებდა. მათ შორის ძალები ასე ნაწილდებოდა: ანტონ სავიჩევის მხარეზე იყო მისი განსწავლულობა, აზროვნება და თუნდაც შემართება. ხოლო პროფესორის "არსენალში" არსებობდა ერთადერთი რამ – ბოლო სიტყვა. ის სიტყვა, რომელიც ხშირად განსაზღვრავდა იმ ახალგაზრდა სწავლისმაძიებელთა მომავალს, რომლებიც თავიანთი თავისუფალი ცხოვრებისეული ხედვით, საბჭოთა წესების კორექტირებას ცდილობდნენ.

სამწუხარო შედეგით დასრულდა საკმაოდ დიდი ცოდნით აღჭურვილი ერთი აბიტურიენტის უნივერსიტეტში მოხვედრის მცდელობა. სამწუხარო, მხოლოდ აბიტურიენტისთვის იყო ეს ამბავი, თორემ ის დრამა, რაც ამ აუდიტორიაში გათამაშდა და, რომელიც რამდენიმე წუთში დასრულდება, სამარცხვინო ფურცლად დარჩება ქვეყნის ისტორიაში, როგორც სულიერი ძალმომრეობის უდიდესი გამოვლინება. სწორედ ასეთი ინტელექტუალების განადგურება დაუდებს საფუძველს საბჭოთა კავშირის თვითლიკვიდაციის პროცესს, რომელიც მისი უხილავი რღვევის საწინდარი გახდება.

თავდახრილმა სავიჩევმა ნელი მოძრაობით წამოსწია თავი და ნაღვლიანი მზერა გადაატარა მის წინ მჯდომ ოთხივე მამაკაცს. მან ძალიან სწრაფად გაიაზრა საკუთარი მდგომარეობა და მშვიდად მიმართა მათ:

– გასაგებია თქვენი პოზიცია ჩემს მიმართ და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ დავას აზრი არ აქვს. თუ თქვენც გაინტერესებთ, მე როგორ ვაფასებ ჩვენს შორის მომხდარ გაუგებრობას, მათქმევინეთ ორიოდე სიტყვა ამასთან დაკავშირებით. მაგრამ თუკი მეტყვით, რომ ეს საჭირო არ არის, მაპატიეთ და, ვეღარავინ დამარწმუნებს, რომ ჩემი საქმე, ჩემს აქ მოსვლამდე არ იყო გადაწყვეტილი.

– ოოხ! – წამოენთო და წელში გასწორდა მთავარი გამომცდელი, რომელიც მანამდე მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი ცინიკური გამომეტყველებით, მაგრამ ინტერესით უსმენდა აბიტურიენტს. – თქვენ ფიქრობთ, რომ... – ამოიძახა რიხით მსუქანმა პროფესორმა, რომელსაც სიტყვა გააწყვეტინა ნაპირზე მჯდომმა მამაკაცმა. იმან, რომლის სახეზეც თავიდანვე შეიმჩნეოდა ანტონისადმი თანაგრძნობა.

– გისმენთ, ყმაწვილო!

ეს ორი სიტყვა იმდენად შეუვალი ტონით იყო ნათქვამი, რომ თვით აგრესიულმა პროფესორმაც კი გაოცებით შეხედა კოლეგას, რომელსაც თავი ოდნავ წინ წაეწია და მათ წინაშე მდგარი ახალგაზრდის მოსასმენად უკვე შემზადებულიყო. მისმა ასეთმა "თვითნებურმა" გამოსვლამ, უხერხული სიტუაცია შექმნა გამომცდელთა შორის, რის გამოც ოთახი სიჩუმემ მოიცვა. მათმა ამგვარმა წამიერმა დაბნეულობამ, უნებლიედ გაუხსნა გზა საპირისპირო აზრის გამოთქმას და მისი მოსმენის რეჟიმზეც იძულებით გადაიყვანა თითოეული მათგანი.

სავიჩევმა ზრდილობიანი ფორმით, თავდახრით გადაიხადა მადლობა სიტყვის უფლებისთვის, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მისკენ მომზირალ სახეებს და მძიმედ დაიწყო საუბარი:

– პირველყოფილმა ადამიანმა, როდესაც პირობითი საზღვრები გაავლო მეზობელ ტომებთან და თავისი თემით მათ გაემიჯნა, იქიდან დაიწყო მის გონებაში სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესი. მართალია, ტომებს შიგნით,

დაახლოებით, ერთნაირი პრიმიტიული წესები მოქმედებდა, როგორიც იყო, მაგალითად, ნადირობა, ნანადირევის განაწილება, მოხუცებისა და ქალების დაპურება თუ ბავშვების აღზრდა (გაწრთვნა), მაგრამ ჩვენ იმ ეპოქას პირველყოფილ თემურ წყობილებად მოვიხსენიებთ, ანუ პირველ საზოგადოებრივ წყობად განვიხილავთ. დიახ, ბატონებო, დედამიწაზე მცხოვრები ერთადერთი მოაზროვნე არსება–ადამიანი, მუდმივად ეძიებდა სიახლეს, რაც მისი გონებრივი ევოლუციის საფუძველი გახდა და, რამაც მათი ერთობლიობა, საბოლოოდ, საზოგადოებად აქცია. სწორედ ასეთმა მუდმივმა ძიებამ მიიყვანა ისინი იმ დასკვნამდე, მოძველებულად ეცნოთ თავიანთი ცხოვრებისეული წესები და მონათმფლობელურ წყობილებაზე გადასულიყვნენ. მას შემდეგ კაცობრიობამ რამდენიმე ეპოქა და საზოგადოებრივი წყობა გამოიარა და მისი ყოველი ახალი იდეის ცხოვრებაში გატარება, წარსულის უარყოფაზე გადიოდა.

– ერთი წუთით, ყმაწვილო! – შეაჩერა მსუქანმა პროფესორმა, რომელიც მანამდე სკამის საზურგეზე მიწოლილი უსმენდა ანტონს. მას სახეზე ცინიკური ღიმილი მაშინაც კი არ განელებია, როცა რაღაცის სათქმელად წამოიწია და კალმიანი ხელი ოდნავ ზემოთ შემართა. მისი მხრიდან ეს ჟესტი, უდაოდ აღნიშნავდა მის აღმატებულ მდგომარეობას არა მარტო აბიტურიენტზე, არამედ საკუთარ კოლეგებზეც კი. – თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ, – განაგრძო მან. – ადამიანებს, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველთა ცოდნის დონეს განვსაზღვრავთ და აქ შემოსულთ მეტ ცოდნას გადავცემთ, თქვენგან ლექცია გვესაჭიროება იმ თემაზე, რომელიც თქვენზე გაცილებით უკეთ ვიცით?!

– იქნებ ბოლომდე მოგესმინათ და გაგეგოთ, რისი თქმა მსურს! – მოკრძალებული ტონით მიმართა სავიჩევმა.

– თქვენ ცუდი ფორმა აირჩიეთ თქვენი სათქმელის გამოსახატად. ისტორიას გვიყვებით და სასრული არ ჩანს. – წარმოთქვა სახეცვლილმა პროფესორმა, რომელსაც ცინიკური ღიმილი მკაცრი იერით შეეცვალა. – წარმოიდგინეთ ის ასეულობით ახალგაზრდა, რომელიც ჩვენთან უნდა შემოვიდეს გამოცდის ჩასაბარებლად. თითოეულ მათგანს, თავისი აზრის

გამოსათქმელად ამდენი დრო რომ დავუთმოთ, რამდენ ხანს უნდა ვისხდეთ აქ?

– ბატონო პროფესორო, – კვლავ ზრდილობიანად ჩაეჭრა ანტონი. – მომეცით ნება...

– არავითარი ნება! დამთავრდა! – გამოსცრა პროფესორმა და ანტონს ურცხვად მიაშტერდა.

სავიჩევს უკვე სერიოზულმა იერმა გადაჰკრა და მაშინვე შეაგება მას თავისი სიტყვა:

– ჩემთვის გასაგებია, რომ თქვენ არ გსურთ, მე შემოვაბიჯო უნივერსიტეტის კედლებში, მაგრამ რას ვფიქრობ თქვენს ასეთ გადაწყვეტილებაზე, თქვენ თუ არ გაინტერესებთ, იქნებ დანარჩენ სამ გამომცდელს აქვს ამის ინტერესი?! თუ მხოლოდ თქვენ წყვეტთ, ეს ადამიანები რისთვის სხედან აქ?!

პროფესორს ნერვიულობისაგან მთლიანად აუჭარხლდა ლოყები და თავის კოლეგებს სათითაოდ გადახედა. ისინი პირგაკერილებივით შეჰყურებდნენ აბიტურიენტს. მათ მზერაში აშკარად შეიმჩნეოდა ინტერესი ამ იშვიათი ახალგაზრდა კაცის მიმართ. ხსენებული ინტერესი კი, მათივე სულში მიმალულ-მიძინებულ იმ პატარა ამბიციაზე გადიოდა, რომელიც სავიჩევმა დროებით გამოუღვიძათ. მათი შემხედვარე მთავარი გამომცდელი ფეხზე წამოიჭრა, კალამი მაგიდაზე დააგდო და ფანჯრისაკენ წავიდა.

– ჩემთვის არ არის თქვენი შეფასებები საინტერესო და ვისაც აინტერესებს, იმათ უთხარით! ოღონდ, რაც შეიძლება, მოკლედ! – ამოთქვა განრისხებულმა და ფანჯარასთან მისული, მათკენ ზურგით დადგა.

– დიდი მადლობა. – თავი დაუკრა მისკენ მომზირალ გამომცდელებს სავიჩევმა და მცირე პაუზის შემდეგ, დაწყებული საუბარი განაგრძო: – ბატონებო, მე შემთხვევით არ შევხებივარ კაცობრიობის მიერ განვლილ საზოგადოებრივ წყობილებებს და ამასთან ერთად, ადამიანის გონებრივ ევოლუციას. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ: დღეს, ცივილიზებულად მოაზროვნე ადამიანს, დანაშაულად მიაჩნია მონათმფლობელურ წყობილებაში მოქმედი ის წესი, რომელიც ერთი ადამიანის მიერ, მეორე

ადამიანის ექსპლოატაციას ეხება. გამოდის, რომ დღევანდელ პროგრესულ საზოგადოებაში მოქმედი ჰუმანური პრინციპები, იმ გონებრივმა ევოლუციამ წარმოშვა, რომლის ფუძეც და საფუძველიც, ჩვენივე ძიების უნარია. დიახ, სწორედ ამ უნარმა გააღვივა ჩვენს გონებაში კოდირებული მორალი, რომელიც ჩვენი ამ ქვეყნად მოვლენის დღიდან მოგვდევს მეგზურად. მან ჩვენთან ერთად გამოიარა ყველა ისტორიული ქარტეხილი და ეპოქათა ჭიდილში გამოწრთობილი, უკვე პროგრესის ფონზე, ზნეობრივი სახით წარმოგვიდგა გონებაში. ადამიანები, რომლებიც ქმნიან თუ ემორჩილებიან სახელმწიფოებრივ წესებს, მათ გვერდით ყოველთვის განიხილავენ საკუთარ აზროვნებაში წარმოდგენილ მორალურ კოდექსს, რომელიც თავისთავად ჩამოუყალიბდა თითოეულ მათგანს. ამის შედეგად, ნაკლებად მოაზროვნე ადამიანსაც კი ძალუძს ცუდის და კარგის გარჩევა და სიკეთისა თუ ბოროტების აღქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მორალმა, როგორც ბუნების გამორჩეულმა საჩუქარმა, ერთმანეთთან ურთიერთობის სწორ ფორმას გვაზიარა ადამიანები. აი, რა მოგვცა ძიებამ და ინტერესმა, რის გამოც არც წარსულში დასჯილა ამისთვის არავინ და არც მომავალში დაისჯება ვინმე, რადგან, ვიმეორებ, რომ ეს არის პროგრესის საფუძველი. მე დღეს ამ ინტერესისთვის ვისჯები, ბატონებო! ერთ-ერთი მეცნიერული დარგის მიმართ გამოთქმული ინტერესისთვის! რაც შეეხება თქვენს გადაწყვეტილებას, ამის კონკრეტულ შეფასებას მე არ მოვახდენ, მაგრამ ვერცერთი თქვენგანი ვერ დამისაბუთებს იმას, რომ დედამიწის მოსახლეობა აპოკალიფსს სოციალისტური წყობით შეხვდება და საზოგადოებრივი წყობილება აღარ შეიცვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავლის ადამიანი, როგორც ხდებოდა უწინ, აუცილებლად იპოვნის ხინჯს დღევანდელ სოციალისტურ სისტემაშიც. ახლა მე წავალ სახლში. იქ არავინ მელოდება, რადგან ერთი დედის მეტი არავინ მყავდა ქვეყანაზე და ისიც აღარ არის ჩემს გვერდით. დავჯდები ცარიელ კედლებთან და ვიფიქრებ, ძალიან ბევრს ვიფიქრებ იმაზე, სახელმწიფო იძლევა ადამიანების ასეთი ფორმით დასჯის ნებას, თუ ადამიანები თავად წყვეტენ ამას? არ ვიცი, რა დასკვნამდე მივალ, მაგრამ თუკი მომავალ წელსაც მოვალ

უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილით, ალბათ, იმედიც მექნება, რომ ცოდნით შემაფასებთ და სხვა არაფრით.

ანტონ სავიჩევმა, სანამ კარს მიიხურავდა, უკანასკნელად შეხედა თავის გამომცდელებს: მისი განაჩენის მთავარი გამომტანი ისევ ზურგშექცევით იდგა ფანჯარასთან; მაგიდასთან მჯდომი ორი არაფრისმთქმელი სწავლულის უხერხული შმუშვნა-გრეხვა და დროდადრო ფანჯრებისკენ გაპარული მათი მზერა კი იმის მანიშნებელი იყო, რომ ისინი იქიდან უკვე რისხვას ელოდნენ. რაც შეეხება მეოთხე გამომცდელს, რომლის სახეზეც ანტონისადმი სოლიდარობის გამოხატულება ჯერაც არ იყო გამქრალი, მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილ, გადაჯვარედინებულ ხელებზე ნიკაპით დაბჯენილს, თვალი იმ მიმართულებით გაშტერებოდა, სადაც ცოტა ხნის წინ სავიჩევი იდგა.

უნივერსიტეტიდან გამოსული ანტონი თავდაღმართში ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ქუჩას. მის თავში უამრავი ფიქრი აშლილიყო, მაგრამ ვერცერთის სადავეს ვერ ფლობდა. ვინ მოსთვლის, ამ მოკლე ხანში უკვე მერამდენედ იპყრობდა მის გონებას ქაოსი და მერამდენედ აიძულებდა მას, მექანიკური მოქმედებების შესასრულებლად. რამდენი ამოუხსნელი აზრი იდგა არეულ რიგში მის ქვეცნობიერთან და როგორ ცდილობდა ეს დაუნდობელი სამყარო ამ ეულად დარჩენილი ყმაწვილის გადაგვარებას. დეპრესია... აი, რას სთავაზობდა კომუნისტური რეჟიმისაგან ფრთაშესხმული ატმოსფერო, თავისი ზომბირებული შემსრულებლებით წარმოდგენილი, მაგრამ სავიჩევი ასე იოლად დასაძლევი ინდივიდი არ იყო. ის ჯერ კიდევ მშვიდად მიჰყვებოდა, ერთი შეხედვით, ამოუხსნელ კროსვორდად ქცეულ საკუთარ ცხოვრებას და ეჭვის ნატამალიც კი არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი, ადრე თუ გვიან, ასე დალაგდებოდა: აუცილებლად გამოჩნდებოდა დედა; დღესა და ღამეს გაასწორებდა მეცადინეობაში და უნივერსიტეტში მაინც მოხვდებოდა; საბოლოოდ კი მიაღწევდა იმას, რომ შეხვდებოდა საყვარელ ქალს, რომლის სახეც მუდმივად დაფარფატებდა მის წარმოდგენაში.

ორ კილომეტრამდე იარა სავიჩევმა მზის გულზე და, როცა სახლამდე მიატანა, უკვე აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. მისი

სხეულის თითოეული ნერვული დაბოლოება, განცდებისაგან ისე ათრთოლებულიყო, საკუთარ მშვიდობიან მბრძანებელს, ანუ გონებას, საშინელ დისკომფორტს უქმნიდა და ამ არელ-დარეულ ფონზე, ბრძოლის ველზე უხილავ ძალასთან შესარკინებლად უხმობდა. ანტონი სახლის კარებში ბარბაცით ძლივს შელასლასდა, ოფლისაგან ჩამოსველებული თეთრი პერანგი გაიხადა და სკამის საზურგეზე მიაგდო. შემდეგ ტანსზევით შიშველი დივანზე ხელებგაშლილი გადაწვა, თავი მოწყვეტილივით გადააგდო უკან და თვალები მოხუჭა. ისეთი დაქანცული იყო, გეგონებოდათ, მთელ დღეს ფიზიკურ მუშაობაში გაატარაო. დიახ, მას არავითარი ძალა აღარ შესწევდა და გონებას ნელ-ნელა თმობდა ნერვების საჯილდაოდ, მაგრამ აზროვნება, როგორც მისი ერთგული მოკავშირე, ბოლომდე არ ტოვებდა და აიძულებდა, რომ ებრძოლა სიმშვიდის მოსაპოვებლად. აზროვნების ასეთმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, როცა ანტონმა, რაღაც მომენტში, ამ მოთხოვნის აღქმა შესძლო. ის ფეხზე წამოდგა, მისაღები ოთახი მექანიკურად მოათვალიერა და აბაზანისკენ წავიდა. ოფლიანი სახე ცივი წყლით ჩამოიბანა, საშინაო ტანსაცმელი გადაიცვა და ჩვეულ, მშვიდ ფორმას დაუბრუნდა. შემდეგ სამზარეულოში სადილის მცირე ულუფა მოამზადა და იმ პატარა მაგიდაზე გააწყო, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი სკამი ჰქონდა მიდგმული. ბავშვობიდან მოწიფულ ასაკამდე, ანუ ჯარში წასვლამდე, ამ მაგიდასთან სადილობდა ხოლმე დედასთან ერთად. ანტონს თავიდანვე ფანჯარასთან შეურჩევია ადგილი და არც ახლა დაარღვია ტრადიცია, მაგრამ მაგიდის მეორე მხარეს, ცარიელი ადგილისკენ მაინც გაექცა თვალი. მას ცხოვრებამ სიმარტოვესთან შეგუების სიმძიმე არ აკმარა და მარცხის სახით ისეთი დარტყმა აგემა, რომლის ასახსნელად, ვერც თავს პოულობდა და ვერც ბოლოს. საბჭოთა "სწავლულების" დღევანდელი მოქმედების ახსნას, გამოცდილება სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, ანტონს ჯერჯერობით არ გააჩნია. ამიტომ, ლოგიკურად ის უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მეორე წლისთვის მოემზადოს. ასეც მოხდება, როცა ერთი წლის განმავლობაში, წიგნებში თავწარგული, გარე სამყაროს მთლიანად მოსწყდება და თავის გარშემო დატრიალებულ ყველა ცხოვრებისეულ ანომალიას, გონების მიღმა მოიტოვებს. ამ ხნის განმავლობაში, ორად ორი რამ ექნება მხოლოდ სულიერ საზრდოდ: პირველი – დედის დაბრუნების იმედი და მოლოდინია, რომელიც მასში სიმშვიდის გრძნობის შენარჩუნებასა და მისი მოთმინების უნარზე იქნება ორიენტირებული; ხოლო მეორე – კატიას სიყვარული, რაც, მოცემულ მომენტში, სწავლის გაგრძელების აუცილებლობაზე მიანიშნებს, რადგან ეს არის მასთან შეხვედრის ერთადერთი გზა.

წამებმა, წუთებმა, საათებმა, კვირებმა და თვეებმა უსწრაფესად გადაირბინეს და ანტონის ცხოვრებაში ერთი უღიმღამო მონაკვეთი შექმნეს, რომელიც აქტიურად მიეთვლება კომუნისტების მიერ განიავებული ინტელექტუალური პოტენციალის გიგანტურ მასშტაბებს.

* * *

უნივერსიტეტის საგამოცდო აუდიტორია. დეკორაციული თვალსაზრისით, ოდნავ სახეცვლილი, მაგრამ კვლავ ოთხი გამომცდელით წარმოდგენილი. წინა წელს გამოცდაზე მყოფი მამაკაცებიდან, ორი შეცვლილია, მათ შორის, ლოყებღაჟღაჟა და მასთან ერთად, ერთი – სხვა. მაგრამ არა ის, რომელმაც ანტონის მიმართ კეთილგანწყობა გამოავლინა. მთავარი გამომცდელის მაგივრად, საკმაოდ ხნიერი, სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი ზის და ანტონს ისე შესცქერის, გეგონება, მასთან ძველი ნაცნობობა აკავშირებსო. მის მომღიმარ სახეზე აშკარად ჩანს, რომ აბიტურიენტი მოსმენამდე შეფასებული ჰყავს.

– აბა, გისმენთ, ყმაწვილო! – დარბაისელი კაცის სიდინჯით წარმოთქვა მოხუცმა პროფესორმა და ღიმილიანი სახით მიაჩერდა ანტონს.

სავიჩევმა ვრცლად და საფუძვლიანად მიმოიხილა საგამოცდო ბილეთში აღნიშნული საკითხი და შეკითხვების მოლოდინში გაირინდა.

ბებერმა პროფესორმა ერთი წუთის განმავლობაში მაინც ატრიალა ენა პირში. საუბრის დაწყება უჭირდა და წვალობდა. აბიტურიენტმა იმდენად სრულყოფილად ჩამოაყალიბა ერთ-ერთი ლიტერატურული ნაწარმოების გარკვეული მონაკვეთი, რომ გამოცდილი, ვერაგი სწავლულიც კი ვერ პოულობდა ფორმას,

რითაც, შეიძლებოდა, დაეწუნებინა მისი გამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოთქვა:

– ყმაწვილო, ეს ნაწარმოები დიდი კლასიკოსის შექმნილია და როცა თქვენს ინტერპრეტაციას ვისმენდი, წამიერად დამავიწყდა მისი ავტორი და წარმოვიდგინე, რომ ეს თქვენ დაწერეთ. ჩემი აზრით, ეს თავად მწერლის შეურაცხყოფაა, როცა მის შექმნილს და ნააზრევს ასე ერთი ხელის მოსმით ცვლით და კინაღამ თქვენზე მიიწერთ.

– რას ბრძანებთ, ბატონო! აბა, წიგნი რომ დამეზეპირებინა, მეტყოდით, შენ რა გაიგე ამ წიგნიდან, ვერაფერი შევიტყვეთო. მე შინაარსი ზედმიწევნით გადმოვეცი, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგად მაქვს გაგებული ნაწარმოების არსი. თუ მაინცდამაინც ზეპირად გინდათ, მასედაც შემიძლია მოგითხროთ.

– თქვენ უკვე გამოამჟღავნეთ, რაც გინდოდათ და, რაც შეგეძლოთ. ჩვენ იმდენი დრო არ გვაქვს, წაღმა-უკუღმა ვატაროთ ერთი თემა. წადით ახლა, დაისვენეთ ერთი წელი და მერე რომ მოხვალთ, გეცოდინებათ, როგორ უნდა ჩააბაროთ გამოცდა. და კიდევ – ისწავლეთ მწერლების პატივისცემა! ასე აჯობებს! ისინი თქვენზე გაცილებით უკეთ ხედავენ და ამაზე ნუ შემედავებით!

სავიჩევს ამ გაუგებარი მიზეზის მის წინააღმდეგ გამოყენებამ, აზროვნება გადაუკეტა და ნერვები ვეღარ მოთოკა:

– თქვენ მე მთლიანად შემაძულებთ სწავლულთა ფენას!

– ამისთანა რა დავიმსახურეთ?! უსამართლოდ მოგექეცით, თუ?! რომ იცოდეთ, კიდევ რამდენი თქვენნაირი ახალგაზრდა უნდა შემოვიდეს გამოცდის ჩასაბარებლად. ჩვენ გვესმის, რომ ყველას გსურთ სწავლის გაგრძელება ისეთ პრესტიჟულ სასწავლებელში, როგორიც უნივერსიტეტია, მაგრამ ჩვენც გვაქვს ჩვენი მოვალეობა – თქვენს შორის საუკეთესოების ამორჩევა. – შეჰღიმა მოხუცმა პროფესორმა, რომელმაც ასეთი ფორმით სცადა აღელვებული ახალგაზრდა კაცის დაშოშმინება.

ანტონი კარგად დააკვირდა მის ირონიაშეპარულ გამომეტყველებას და უნებლიედ გაახსენდა შარშანდელი გამოცდის "შემოქმედი" ლოყებღაჟღაჟა პროფესორი. მართალია, მათ ქცევაში გასხვავება აშკარა იყო – წლევანდელი გამომცდელი

ლმობიერი ჩანდა აბიტურიენტის მიმართ, მაგრამ საგამოცდო ბილეთს აცდენილი მათი საბოლოო გადაწყვეტილება, მაინც ერთნაირ მეთოდურ ხასიათს ატარებდა. სავიჩევი უჩუმრად ისმენდა საკუთარი განაჩენის ბოლო, არაფრისმთქმელ სიტყვებს და თვალმოუცილებლად უყურებდა ჩიფჩიპით მოლაპარაკე სწავლულს. აბიტურიენტის თვალები უკვე ცეცხლს აფრქვევდა, ხოლო გონება მთლიანად აგრესიას მოეცვა, რომელიც თავისი პატრონის მართვას, შემდეგი სიტყვების მოშველიებით ცდილობდა: "უნივერსიტეტის კარი შენთვის დახშულია." ამ სიტყვების მონოტონურად მრავალჯერ განმეორების ფონზე, გონისმიერი თვალი აფიქსირებდა მშვენიერ კატერინას, რომელიც თმებგაშლილი, მთელი სისწრაფით მორბოდა მისკენ და თან უყვიროდა: "უნივერსიტეტის გარეშე ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს შევხვდებით! ამიტომ დათმე და მოემზადე მომდევნო წლისათვის!" – გონებაში თავმოყრილი აგრესიული ძალები, კატიას გამოჩენამ, ცოტა არ იყოს, დააფრთხო, მაგრამ მართვის სადავეები მაინც შეინარჩუნა. ანტონის გამწარება იმდენად დიდად იზომებოდა, რომ მისი განეიტრალება, მისმა მთელი ცხოვრების მიზანმა – ულამაზესმა კატერინამაც კი ვერ შეძლო. მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ საყვარელი მამაკაცის გონებაში აგრესია შეაკავა და ერთიანი ძალით ამოფრქვევის საშუალება არ მისცა, რაც იმაში გამოიხატა, რომ სავიჩევმა, მოხუცი პროფესორის გამოსვლას, თავისი მწვავე სათქმელი დელიკატური ფორმით შეაგება:

– შარშან, – გამოსცრა კბილებიდან ანტონმა. – თქვენს ადგილზე სხვა ბატონი იჯდა, რომელმაც ისეთივე მეთოდით ჩამჭრა, როგორც თქვენ. ამ მეთოდს ერთი სიტყვა ჰქვია – ძალმომრეობა.

– ყმაწვილო! – შესძახა პროფესორმა და ფეხზე წამოიჭრა, რომელსაც ანტონმა ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო შედარებით ხმამაღლა:

– თქვენს გვერდით მჯდომი თქვენი ორი კოლეგა დამეთანხმება, – ხელით მიანიშნა მათზე. – რომლებიც ესწრებოდნენ შარშანდელ ჩემს გამოცდას, რომ მე მაშინ ვრცლად მიმოვიხილე მორალის როლი ადამიანთა შორის ურთიერთობაში. მეგონა,

რომ ჩემს მიმართ დაშვებულ იქნა შეცდომა და ვირწმუნე, რომ მეორე წელს ეს აღარ განმეორდებოდა, მაგრამ შევცდი. დიახ, შევცდი და ახლა ვფიქრობ, – ანტონმა წამიერი პაუზა გააკეთა ისე, რომ თვალი არ მოუცილებია სახეზე სიტყვაშეყინული პროფესორისთვის. – რომ უნივერსიტეტი განთავისუფლებულია იმ "სენისაგან," რასაც მორალი ჰქვია.

– როგორ ბედავთ! – იყვირა მოხუცმა პროფესორმა და მაგიდაზე ხელი მთელი სიმძლავრით დაარტყა, რომელსაც ანტონმა კვლავ არ მიაქცია ყურადღება და მაინც დაასრულა თავისი სათქმელი:

– აქედან გამომდინარე, მე ჩემს ადგილს აქ, თქვენს გვერდით ვერ ვხედავ!

– ნება მიბოძეთ, დავაწყნარო ეს ახალგაზრდა და ავუხსნა, რომ არასწორად იქცევა! – მიმართა კოლეგებს ანტონის მიმართ კეთილად განწყობილმა გამომცდელმა და გაწიწმატებული პროფესორის თანხმობას არ დალოდებია, ანტონს ხელკავი გამოსდო და ასე გამოიყვანა საგამოცდო აუდიტორიიდან.

ლექტორმა ოთახიდან გამოსვლისთანავე სთხოვა აბიტურიენტს, რომ მას გაყოლოდა. გრძელ და განიერ დერეფანში კანტი-კუნტად მიმოდიოდა ხალხი და ამის გამო ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მაგრამ სავიჩევის მეგზურმა მაინც იპოვნა სხვათაგან მოფარებული ადგილი და იქ წარუდგინა საკუთარი თავი:

– მე გახლავარ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი ჯიმი ჯავახია. – უთხრა და თან ხელი გაუწოდა ანტონს.

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ბატონო ჯიმი, რადგან თქვენი ჩემდამი თანაგრძნობა შარშანაც დავინახე და წელსაც.

– თანაგრძნობა?! – სიმწრით გაეღიმა მამაკაცს და უხერხულობისაგან თავი ოდნავ გვერდით მიატრიალა. – მეტი რა შემიძლია?! არც არაფერი, ჩემო კარგო. – უთხრა და ანტონს თვალებში შეხედა. – შარშან, – ჩუმი ხმით განაგრძო საუბარი ლექტორმა. – შენი გამოცდის მერე, ორი კვირა ვეღარ გამოვედი სამსახურში და ისეთი განწყობა მქონდა, რომ უნივერსიტეტის დატოვებაზეც კი ვფიქრობდი.

– რატომ? – თავისდაუნებურად აღმოხდა ანტონს.

მამაკაცი მის სახეს კარგად დააკვირდა. შემდეგ იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო და ძალიან დაბალ ხმაზე დაიწყო საუბარი:

– შვიდი წლის წინ, პარტიის ქალაქის ყრილობაზე გავიცანი ქალბატონი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვფიქრობდი, რომ ეს იყო ქალი, რომლის ბადალი, შეიძლება, დედამიწის ზურზეც კი არ მოძებნილიყო. მისი სიტყვით გამოსვლა დღესაც მახსოვს – მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა. ყრილობა რომ დამთავრდა, ყველა მასზე ლაპარაკობდა. არც მანამდე და არც მას შემდეგ მე ის ქალბატონი აღარ მინახავს და აღარც არაფერი გამიგია მის შესახებ. ორი წელიც არ იქნება გასული, როცა გავიგე, რომ გარდაცვლილა. გარდაცვალების მიზეზი არავინ იცოდა და ცოტა არ იყოს, გამიკვირდა – რამ მოკლა ასეთი კლდესავით ქალი-მეთქი? – პროფესორმა კიდევ ერთხელ მიმოიხედა და განაგრძო: – როდესაც გავიგე, რომ შენ ნინა მაქსიმოვნას შვილი იყავი, სწორედ ეს იყო ჩემთვის მეხის დაცემის ტოლფასი. აი, მაშინ კი ნამდვილად დამაფიქრა მისმა გარდაცვალებამ, როცა შენ აქ გიხილე და შენს შესახებ გავიგე. – მამაკაცი თვალს არ აცილებდა ანტონს. ანტონი კი იმ ინტერესით შეჰყურებდა, თუ რისი თქმა სურდა საბოლოოდ მას. – შენ საკმაოდ დიდად მოაზროვნე ახალგაზრდა ხარ და თან ძალიან ჭკვიანი. ამიტომ, არ მგონია, რომ საციმბიროდ გამიმეტებ. – უთხრა პროფესორმა და უფრო მეტად დააკვირდა მის გამომეტყველებას.

– რას გულისხმობთ, ბატონო? – გაკვირვებით ჰკითხა ანტონმა.

– საიდუმლოს, რომელიც, ვალდებული ვარ, როგორც ადამიანი და პირველ რიგში, კაცი, რომ გაგიმხილო.

"საიდუმლო?" – გაიფიქრა ანტონმა და ამ სიტყვამ იმდენად შეაკრთო, რომ წამის მეათედებში წარმოიდგინა თავდაყირა დაყენებული თავისი ცხოვრება, რომელიც სწორედ საიდუმლოს გათქმის წყალობით მიიღო. დაბნევა გამორიცხული იყო, რადგან მისი ასეთი სახის დამნახავი, ახლა პროფესორი დაიბნეოდა და შეშინდებოდა. არადა, ეს საიდუმლო იქნებ ნინა მაქსიმოვნას

გაუჩინარებას ეხებოდა? აი, ეს გაიაზრა ანტონმა და იმწამსვე მოვიდა გონს. მაშინვე მოეხსნა უმნიშვნელო დაძაბულობაც და ფიქრებისაგან უმისამართოდ გაქცეული მზერა, ისევ პროფესორისკენ მიმართა, რომელიც გაფაციცებით შეჰყურებდა და თითქოს რაღაცის თქმას ელოდა მისგან.

– მე ზრდასრული ადამიანი ვარ, ბატონო ჯიმი და კარგად ვიცი, რა რას ნიშნავს და რას რა მოჰყვება. ამიტომ, აბსოლუტურად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს მიერ ჩემთვის გამხელილი საიდუმლო, ჩემი პირიდან არასოდეს არ ამოვა.

– კეთილი. ასეთი მტკიცე პასუხის შემდეგ, ვფიქრობ, რომ შენ შეგწევს ძალა, მოიკრიბო გონება და, რაც შეიძლება, მშვიდად შეხვდე იმ ამბავს, რომელსაც სამწუხაროსაც კი ვერ ვუწოდებ.

– გისმენთ, ბატონო ჯიმი! – უთხრა ანტონმა და რაღაც საშინელების მოლოდინში მყოფ ნერვებს, საიმედოდ ამოსდო ლაგამი.

პროფესორი ცოტა ხნით კვლავ შეჩერდა. თითქოს ცდილობდა, უფრო ღრმად ჩაეხედა უცნობი ყმაწვილის თვალებში, რათა იქიდან მიეღო საბოლოო დასტური იმაზე, რომ თავისი ენა, საკუთარი ცხოვრების ბედისწერად არ ექცეოდა. ანტონ სავიჩევის მშვიდი და მეტყველი თვალები ამის პირობას ნამდვილად აძლევდა და მამაკაცმაც, როგორც იქნა, დაიწყო:

– ანტონ, შარშან, შენს გამოცდაზე რომ მსუქანი კაცი იყო, კომისიის თავმჯდომარე და ჩვენი უნივერსიტეტის პრორექტორი, ალექსანდრე თვალავაძეა.

– მე რომ ჩამჭრა, იმას გულისხმობთ? – ჰკითხა ანტონმა.

– კი, კი, მაგაზე მაქვს საუბარი. – პროფესორს ცოტა სუნთქვა აუჩქარდა, რადგან წეღანდელთან შედარებით, უფრო ხშირად აყურადებდა კორიდორში მოსიარულე ადამიანების ფეხის ხმას. – სანამ შენ შემოხვიდოდი გამოცდაზე, – განაგრძო მან. – ალექსანდრემ ყველა გამომცდელი გაგვაფრთხილა: ჩვენთან შემოვა ანტონ სავიჩევი და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ის უნივერსიტეტში არ მოხვდესო. ვინ არის და რა დააშავა ასეთი-მეთქი? – ვკითხე მე. მაგას მერე გეტყვით, ვინც არის, მაგრამ ზემოდანაა დავალება, რომ მან საბჭოთა კავშირის ვერცერთი უმაღლესი სასწავლებლის კარი ვერ უნდა შეაღოს. საქართველოში ამის გაკონტროლება მე დამავალეს და სხვაგან, ალბათ, სხვას ექნება დავალებულიო. შენი წასვლის შემდეგ გავიგე, რომ ნინა ბერდიევას შვილი იყავი და ამან გაცილებით მეტად იმოქმედა ჩემზე. ეეჰ... – ამოიოხრა პროფესორმა და დანანებით გააქნია თავი. – რწმენა შემერყა. რას ვემსახურები, უკვე აღარ ვიცი. აქამდე მეგონა, რომ სწავლამოწყურებული ადამიანებისთვის ჩემი დაგროვილი ცოდნა უნდა გადამეცა და როგორც ჩანს, მთლად ასე არ ყოფილა. შენი დარი მოაზროვნეები უნივერსიტეტის გარეთ უნდა დარჩნენ და ეს მართლა ყეყეჩი, რომელმაც ჭადრაკის სვლებიც კი არ იცის, აქ უნდა იჯდეს და თქვენისთანების ბედს წყვეტდეს!? მე ძალიან მალე დავტოვებ ამ სამსახურს და ვწუხვარ, რომ არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

ანტონმა თავი დახარა. აშკარად შეეტყო, რომ ამ ამბავმა მთლიანად გაანადგურა. მის თავში უკვე ქაოსი ტრიალებდა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ – დედა, კატია, მოსკოვი და ის ოცნების კოშკები, რომელსაც ყოველი ძილის წინ თავის წარმოდგენაში აშენებდა. ერთი ხელის მოსმით დაენგრა ყველაფერი. მის გონებაში აღარ მოსჩანდა გზა, თუნდაც უნივერსიტეტიდან წასასვლელი.

– ანტონ, – მხარზე ხელი დაადო პროფესორმა, მაგრამ სავიჩევს აღარაფერი ესმოდა, იატაკზე გაეშტერებინა თვალი. – ვიდრე ხუთი და ექვსი წლის შემდეგ შეგეტყო, რომ უმაღლეს სასწავლებელში ვიღაც გბლოკავდა, ახლა ჯობდა გაგეგო და ამდენ ფუჭ წვალებას აცდენოდი, რადგან წლობით გაგრძელებული უშედეგო ბრძოლა დეპრესიამდე მიგიყვანდა. ახლა უფრო მეტად შეგიძლია დასკვნების გაკეთება და სწორი ორიენტაციის აღება. უნდა იფიქრო, ბევრი უნდა იფიქრო და გამოსავალი აუცილებლად გამოჩნდება. მე არ ვიცი, რა ხდება შენს თავს, მაგრამ დედაშენის სიკვდილიც ამასთან კავშირში მგონია. იქნებ რამე შეიცვალოს და ჩვენი ცხოვრებაც სხვაგვარად წარიმართოს. წინა გამოცდაზე გაჟღერებული შენი ნააზრევი, საზოგადოებრივი წყობის შეცვლასთან დაკავშირებით, გონება-

ში ამობეჭდილივით დამრჩა და იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ უნდა შეიცვალოს რაღაც. ეს რწმენა მე შენგან გადამედო და შენ უკეთ იფიქრებ ალბათ.

– კარგით, ბატონო. დიდი მადლობა, რომ ამაცილეთ უფრო მეტ ტანჯვას. ყველაფერი გასაგებია. ვიფიქრებ, ვიფიქრებ...

ცას პირი მოექუფრა და პერიოდულად სჭექდა, მაგრამ ეს ხმაური არ ესმოდა გზაზე გაჩქარებით მიმავალ კაცს, რომელსაც მიმართულება უნივერსიტეტიდან გამოსვლისთანავე ჰქონდა აღებული და ახლა მხოლოდ ჩაფიქრებული მიემართებოდა დანიშნულების ადგილისაკენ. მის გონებაში ისიც გადაწყვეტილი იყო უკვე, რა უნდა მოემოქმედებინა ადგილზე მისვლისას. მას მხოლოდ გონისმიერი სმენა ჰქონდა გამძაფრებული, რადგან მისთვის სასურველი ხმა სწორედ იქიდან აღწევდა მის აზროვნებაში, სადაც ეს უკანასკნელი სათანადოდ ამუშავებდა და საკუთარი პატრონი თავისი მდგომარეობის უფრო მეტად დამამძიმებელი საქციელის ჩასადენად მიჰყავდა.

ანტონ სავიჩევმა შედარებით ვიწრო ქუჩაზე გადაუხვია და მტკიცე ნაბიჯებით გაუყვა იმ ხეთა რიგს, რომელიც წალკოტში ჩაფლული საკუთარი სახლების მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა. მისთვის ეს ქუჩა იმდენად ნაცნობი იყო, რომ თვალახვეულსაც კი შეეძლო სვლა, რადგან ბავშვობის დროიდან მოწიფულობამდე, თითქმის ყოველდღე უწევდა აქ გავლა. წლების განმავლობაში ამ ადგილზე მეგობრისადმი სიყვარულით მოდიოდა. ახლა კი სიძულვილით მიემართება მისი სახლისკენ და ერთი სული აქვს, ამდენი უბედურებისთვის პასუხი მოსთხოვოს. იმ საქციელისთვის, რომლის გამო, ჯერ კიდევ რა ელოდება, არავინ იცის. გონებაში შემოჭრილი ხმა კი უფრო ამძაფრებს მის განწყობას და ყოფილი მეგობრის სათანადოდ დასჯას სთხოვს. იგივე ხმა მალ-მალე ახსენებს, რომ მისი ცხოვრება უკვე დამთავრებულია; ის ვეღარ ნახავს დედას; ვეღარასოდეს შეხვდება კატიას და ვერსად გააგრძელებს სწავლას; მთელი ცხოვრება იქნება შავი მუშა და ივლის ეულად.

წვიმის წვეთები მეჩხერად მოდიოდა და მშრალ ასფალტს ეპკურებოდა, როცა სავიჩევი ერთ-ერთი სახლის მესერთან მდგარ გაფოთლილ ხესთან შეჩერდა და მალულად შეათვალიერა მისი

ეზო. სახლის მეორე სართულზე, დახურულ აივანზე, ინვალიდის ეტლში მჯდომ მამაკაცს მოჰკრა თვალი, რომელსაც პატარა გოგონა ეხმარებოდა გადაადგილებაში.

“ღმერთო ჩემო”... – გაიფიქრა ანტონმა და თავი დახარა. შემდეგ კვლავ გახედა აივანს და კარგად დააკვირდა ეტლში მჯდომ ინვალიდს, რომელსაც თმა და წვერი გაბურძგნოდა და თითქმის ჩონჩხადქცეული, უსიცოცხლოდ მისვენებულიყო ეტლის საზურგეს. სავიჩევმა, ადამიანის ამ აჩრდილში, თავისი კლასელი და ბავშვობის მეგობარი გოგი ამოიცნო, რომელთანაც პასუხის მოსათხოვად გამძვინვარებული მოიჩქაროდა. არავინ იცის, რა მოჰყვებოდა მათ შეხვედრას, თუკი გოგი საღსალამათი დახვდებოდა სახლში, მაგრამ ახლა დგას და დაბნეული გაჰყურებს ადამიანს, რომელთანაც ოდესღაც ყველაზე მეტი მეგობრული სიყვარული აკავშირებდა. ანტონის გონებაში ქაოსი გამოუვალმა მდგომარეობამ შეცვალა, რომელმაც ადგილზე გააშეშა და შემდგომი მოქმედების ფიქრის უნარი წაართვა. მან უკვე აღარ იცოდა, უნდა წასულიყო, თუ მდგარიყო, რომ ამ დროს, საშველი თავისთავად გამოჩნდა, – მოპირდაპირე სახლის ეზოდან მოხუცი ქალბატონი გამოვიდა და გაჩქარებული ნაბიჯით თავისი სახლისაკენ გაემართა. ანტონმა იცნო გოგის მეზობელი, რომელიც მოსალოდნელი ძლიერი წვიმის შიშით, თითქმის გარბოდა.

– გამარჯობა, ქალბატონო! – წინ გადაუდგა თავზე ნახევრად მოსასხამგადაფარებულ ქალს ანტონი. ადამიანის უეცარი გამოჩენით რომ არ შეშინებულიყო, გაუღიმა იმ მიზნით, ეგონა, იცნობდა, მაგრამ ქალმა ვერ იცნო, სალამი კი დაუბრუნა:

– გაგიმარჯოს, შვილო. – უთხრა და საფუძვლიანად შეათვალიერა ახალგაზრდა. თან ჩქარობდა სახლში შესასვლელად.

სავიჩევი მიხვდა, რომ ქალბატონმა ვერ იცნო და უფრო გაბედულად დაუსვა კითხვა:

– ერთი რამ მინდა გკითხოთ, დიდად არ შეგაყოვნებთ. აქეთ გზად მოვხვდი და აივანზე შემთხვევით დავინახე გოგი, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობდი შორიდან და არ გამიგია მისი ამბავი. რა დაემართა, რატომ ზის ინვალიდის ეტლში? – ჰკითხა და გაფაციცებით დაელოდა მისგან პასუხს.

მოხუცმა სინანულით თავი გააქნია და ამას მოაყოლა:

– რამდენიმე თვის წინ, მანქანით კლდეზე გადაიჩეხა. ამ ავარიამ მისი მშობლები და უმცროსი ძმა იმსხვერპლა. თვითონ წელში გადაწყდა და ციხეს ამიტომ გადაურჩა. სამი ოპერაცია გაუკეთეს ხერხემალზე, სულ დამსხვრეული ჰქონდა მალები, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ახლა, ერთი თვეა, ძალიან დამძიმდა. ზუსტად არ ვიცი, რა გაუმიზეზდა, მაგრამ როგორც ექიმები ამბობენ, დიდი დღე აღარ უწერია. უბრალოდ, სანამ იქნება, ასე იწვალებს საცოდავი. პატარა და უვლის და დეიდა ჰყავს კიდევ. ღმერთმა უშველოს მასაც,– თავისი ოჯახი აქვს, მაგრამ ყურადღებას არ აკლებს.

ქუჩის ნაპირს მიუყვებოდა ანტონი და ვერც კი გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა სველდებოდა წვიმისაგან. უეცრად შეჩერდა, თითქოს რაღაცამ შეაცბუნაო და ირგვლივ მიმოიხედა. იქვე ახლოს, ავტობუსის გაჩერებაზე, გადახურული ადგილი იყო და წვიმას იქ შეაფარა თავი. ახლო-მახლო არავინ ჩანდა, არც ავტობუსს ელოდა ვინმე, რამაც ანტონს თავის განსჯის იმაზე მეტი საშუალება მისცა, ვიდრე ქუჩაზე მომდინარეს ჰქონდა. მან კიდევ ერთხელ წარმოიდგინა ბავშვობის მეგობარი ინვალიდის ეტლში და სინანულით გახედა გამოვლილ გზას. თავისდაუნებურად აუწყლიანდა თვალები და ნაბიჯიც კი წადგა უკან გასაბრუნებლად, რომ ამ დროს, მის გონებაში მიძინებულ ფიქრთა აჯანყება დაიწყო, რომლებმაც იოლად დამორჩილებული აზროვნება მოიტაცეს და ნაცნობი კარცერის ბნელ ოთახში აუხილეს თვალი. სავიჩევს საკუთარი გოდება მოესმა და ერთიანად შეაჟრჟოლა. ის ფარდულის კედელს მიეყრდნო და თავი დახარა. მისი ტყვედქცეული აზროვნება კი, გამარჯვებულმა ფიქრებმა იქიდან გამოიყვანეს და პოლკოვნიკ ვოლკოვის კაბინეტში მიიყვანეს, რომლის ყვირილიც უმალ მოიჭრა წარსულიდან: “ენის ტლიკინი ჭორიკანა ქალების საქმეა! კაცს არ შეშვენის ეგ! ამიტომ უნდა მიიღო ის, რაც დაიმსახურე! და ერთი კიდევ: თუ კვლავ ეცდები თვითმკვლელობით შენი საქციელის ამ უბრალო საზღაურიდან გაქცევას, ის სარდაფი მოგენატრება, სადაც ერთი საღამო გაატარე!” – ამან მთლიანად გამოთიშა ანტონი, რომელსაც უნებლიედ წარმოუდგა თვალწინ თავისი

თვითმკვლელობის მცდელობაც, დედის გაუჩინარებაც, კატიას დაკარგვაც და სწავლისკენ მიმავალი გზის გატაკეტვაც. ეს კი სიცოცხლის წყურვილის გაქრობას და ცხოვრების დამთავრებას ნიშნავდა. უფრო სწორად – არსებობას, საკუთარი არსების გარეშე.

ამასობაში წვიმამაც გადაიღო და ქაოტურ ორომტრიალში მოქცეულმა ანტონის გონებამაც მიიღო ძნელად მისაღები გადაწყვეტილება – მეგობრისაკენ მიმავალი გზის საპირისპირო მიმართულება.

უკაცრიელ ქუჩაზე მიდიოდა აბუზული, ყველასაგან უარყოფილი ადამიანი და ვერავინ იტყოდა იმას, რომ უკან დარჩენილი, ინვალიდის ეტლში მჯდარი სიკვდილმიმთხვეულის ყოფა სჯობდა, თუ მთელი სიცოცხლე სავარაუდო ტანჯვა-წამებისთვის განწირული ანტონ სავიჩევის მომავალი.

საღამოს ხუთი საათი სრულდებოდა, როცა ანტონი თავის კორპუსს მიუახლოვდა. თავდახრილი მიემართებოდა სადარბაზოსკენ და აშკარად ეტყობოდა, ეზოში შეკრებილი მეზობლებისთვის უსიტყვოდ გვერდის ავლას აპირებდა, რომ ამ დროს, მათ შორის მდგომმა ერთმა ქალბატონმა გამოსძახა:

– ანტონ, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურის გამყიდველი გკითხულობდა!

– აა, სულ დამავიწყდა... დიდი მადლობა. – უთხრა ანტონმა და კორპუსის კუთხეში მდგარი ჯიხურისკენ გაემართა. ბოდიში მოუხადა გამყიდველს დაგვიანებისთვის, რომელიც ყოველთვის უნახავდა დღის პრესას. ფული გადაუხადა და ჩქარი ნაბიჯით გაიარა ეზო. სახლში შესვლისთანავე გაზეთები მისაღებ ოთახში მაგიდაზე დადო, ფეხსაცმელები თასმების გაუხსნელად გაიძრო და თავის საძინებელში საწოლზე გულაღმა გადაწვა. ერთი წუთიც კი საკმარისი აღმოჩნდა დაღლილობისგან დაჭიმული სხეულის მოსადუნებლად და გონებაში ყველა ფიქრის გასაქრობად, რამაც საშუალება მისცა, უკვე ნათლად წარმოედგინა დაინვალიდებული მეგობარი. დიდხანს იტრიალა ანტონის ცრემლმორეულ თვალთა წიაღში გოგის უსიცოცხლო სახემ, რომელმაც მის სინდისს მწვავედ შემოჰკრა და იმ აგრესიით სავსე გულში ჩაახედა, რომლის განმუხტვასაც, სულ ცოტა ხნის წინ, სწორედ

რომ, მასთან ანგარიშსწორებით აპირებდა. და კვლავ განახლდა ჯერ კიდევ გაუნელებელი ომი ანტონის გონებაში, სადაც საომრად ამხედრებულმა ბავშვობისდროინდელმა სიყვარულმა, დაუნდობლად შეუტია მის გულში დაბუდებულ აგრესიას. ცხოვრების მახინჯ მოვლენებზე აღმოცენებული ეს გრძნობა, გარდაუვალი მარცხისთვის იყო განწირული, რომ ამ დროს, თითქოს არაფრისგან, მის დასაცავად წარმოიქმნა გაუგონარი ძალა, რომელმაც, უკვე ბრძოლაში ჩაბმულ სიყვარულს, უკან დახევა აიძულა. ამის მიზეზი, ანტონ სავიჩევის თავში წამიერად გაელვებული ფიქრი იყო, რომელმაც შეახსენა თავისი ამჟამინდელი მდგომარეობა. დიახ, იმ აგრესიის და თუნდაც ანტონის გარშემო შექმნილი დღევანდელი მდგომარეობის წარმოშობის სათავე ხომ თავად ის ბავშვობისდროინდელი სიყვარულია, რომელმაც, უბრალოდ, თავისივე შექმნილის განადგურება ვეღარ მოახერხა.

ამ ჯახს ვერ გაუძლო საწოლზე გადაწოლილმა ნახევრად გათიშულმა კაცმა, ფეხზე წამოიჭრა, საკუთარი აზროვნების ყველა შესაძლო გასასვლელი საიმედოდ ჩაქოლა და მისაღებ ოთახში გავარდა. მექანიკურად ეცა ფანჯრის სახელურს და სწრაფი მოძრაობით გამოხსნა ორივე სარკმელი. შემდეგ მის რაფას ხელებით დაეყრდნო და წინ წაწეული თავით ჰაერის ხარბად შესუნთქვა დაიწყო. ამ ქმედებით ის ფიქრებისაგან თავის დახსნას ცდილობდა, რაც მოკლე ხანში, მის გონებაში, თავისთავად გაფანტავდა ერთ საკითხზე კონცენტრირებულ ყურადღებას. ასეც მოხდა და ანტონი მალევე შემობრუნდა ოთახისკენ, სადაც ყოველგვარი აზრებისგან განძარცული, ბოლთის ცემას მოჰყვა. ხუთიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ მუხლებმა დაღლა აგრძნობინა და იქვე მდგარ სავარძელში ჩაჯდომისაკენ უბიძგა. დაჯდომის დროს, თვალმა შემთხვევით დააფიქსირა მაგიდაზე დალაგებული გაზეთები და სავიჩევიც დასწვდა დღის პრესას. პირველი, რაც მას თვალში მოხვდა და ცოტა გამოაფხიზლა, ზემოდან მოქცეული რუსული გაზეთი "იზვესტია" იყო, რომლის საწყისი გვერდიც დიდი ასოებით გვამცნობდა – ორშაბათიდან საკავშირო კონკურსის დაწყებას. ხსენებულ კონკურსს თავად გაზეთი აწყობდა, რომლის პირობებიც ასე გამოიყურებოდა:

ორშაბათიდან, კვირაში სამ დღეს, ანუ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, გაზეთში დაიბეჭდებოდა ერთი საჭადრაკო ამოცანა. მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა საბჭოთა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა. ხოლო პირი, რომელიც მას ამოხსნიდა, ამოხსნილი ამოცანის ვარიანტი, ტელეგრამით უნდა გადაეგზავნა მითითებულ მისამართზე. ვინც ყველაზე ადრე მიაწვდიდა ცენტრს დასრულებული სახის თორმეტ ამოცანას, ის გამოცხადდებოდა გამარჯვებულად.

ანტონმა დახრილი თავი ასწია, აქეთ-იქით მიმოატარა მზერა და მასვე მიაყოლა გონებაში ტალღასავით შემოჭრილი ახალი აზრი, რომელმაც უმალ შთანთქა მიღებული ინფორმაცია.

– ორშაბათს, ანუ რამდენიმე დღეში. ძალიან კარგი. – ჩაილაპარაკა თავისთვის, ფეხზე წამოდგა, ფანჯრები დახურა და სამზარეულოსკენ გაემართა. – ახლა კი მოვამზადოთ ჩაი და თავადაც მოვემზადოთ ო რ შ ა ბ ა თ ი ს თ ვ ი ს! – წარმოთქვა კვლავ ჩუმად და ცეცხლზე ჩაიდანი შემოდგა.

* * *

დილის შვიდი საათია, კვირის დასაწყისი სამუშაო დღე. ქუჩაში ადამიანების ენერგიული მიმოსვლა მიმდინარეობს. დასვენების შემდეგ, ყველა სამსახურში მიიჩქარის და ქალაქის მოსახლეობა ჩვეულ რიტმს უბრუნდება. ნელ-ნელა იკვეთება სოციალისტური სისტემის დამახასიათებელი ფუსფუსი, რომელშიც უსაქმურად მდგომი ადამიანის მონაწილეობა გამორიცხულია, რადგან ეს უმალ შესამჩნევი ხდება იმ სათანადო ორგანოებისთვის, რომელთაც ასეთი "ქმედების" აღკვეთა ევალებათ. ამგვარი კონტროლი, განსაკუთრებით გამძაფრებულია დილის საათებში, რაც შესანიშნავად იცის ანტონ სავიჩევმაც, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიემართება თავისი სახლიდან ცოტა მოშორებით მდებარე ფოსტის შენობისაკენ. მას ხელთ უპყრია მინიატურული ჭადრაკის დაფა-ყუთი, რომელშიც შესაბამისი მომცრო ფიგურები ყრია და ასევე დღევანდელი გაზეთი "იზვესტია", რომელიც ესესაა, შეიძინა.

ფოსტის ფოიეში რამდენიმე ადამიანი იყო. ზოგი შეკვეთილ ზარს ელოდა, ზოგი კი ტელეგრამას წერდა. ანტონმა, საქმიანი კაცის შთაბეჭდილება რომ შეექმნა, ჯერ ირგვლივ მოათ-

ვალიერა მოსაცდელი დარბაზი. შემდეგ საათს დახედა და მხოლოდ ამის მერე გაემართა ერთ-ერთ კუთხეში მდგარი სკამისკენ. დაჯდომისთანავე გაზეთი მოიმარჯვა და ფანჯრისკენ შებრუნდა, რათა ზურგშექცევით ყოფილიყო სხვებისგან.

"შამათი სამ სვლაში. თეთრები იწყებენ და იგებენ."– თვალით გადაიკითხა ამოცანის ქვეშ მიწერილი ტექსტი და საჭადრაკო ყუთიდან ფრთხილად ამოალაგა იქ ნაჩვენები ფიგურები – ცხრა თეთრი და ექვსი შავი. შემდეგ სურათის მიხედვით განალაგა მუხლზე დადებულ დაფაზე ისინი და გონებაში მშვიდად გაუყვა მისი ამოხსნის გზას. თხუთმეტი წუთიც კი არ დასჭირვებია მოცემული ვანიანტის გასახსნელად, რომლის თანმიმდევრობა, ანუ სვლები, პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან ამოღებული ბლოკნოტის ფურცელზე გასაგზავნათ ჩაიწერა და იქვე მიაწერა სახელი, გვარი და მისამართი.

– ინებეთ, გეთაყვა! – უთხრა ანტონმა ახალგაზრდა ტელეგრაფისტ გოგონას და ბლოკნოტიდან ამოხეული ფურცელი გაუწოდა, რომელმაც ორიოდე წუთში ღიმილიანი სახით აქეთ გადმოაწოდა დეპეშის გაგზავნის აღმნიშვნელი ქვითარი.

"ესეც ასე!"– გაიფიქრა სავიჩევმა, როდესაც ფოსტის კარი მიხურა და სახლისაკენ აიღო გეზი.

მთელი თვე ამ ფორმით გაატარა ანტონმა, – კვირაში სამჯერ მიდიოდა ფოსტაში და ამოხსნილ საჭადრაკო ამოცანებს გზავნიდა მოსკოვში. ყოველ ჯერზე რთულდებოდა შემოთავაზებული ვარიანტები და ისიც უფრო მეტ ხანს ანდომებდა მათ ამოხსნას. ყველაზე რთული აღმოჩნდა მეხუთე ამოცანა, რადგან ფიგურების განლაგება, ცრუ მიმართულებებზე მიანიშნებდა. საბოლოოდ მაინც იოლად გაიარა საკონკურსო გზა და ითქმის, რომ თითოეული პასუხისთვის განკუთვნილი ვადები, მაქსიმალურად შეამცირა. ახლა კი შეეძლო, საკუთარი თავისთვის დასვენების უფლება მიეცა და მშვიდად დალოდებოდა გამარჯვებულის ვინაობის გამოცხადებას.

გავიდა რამდენიმე დღე. სულიერად და ფიზიკურად გამოფიტულმა სავიჩევმა ძალები აღიდგინა და ცხოვრების შემდგომ ნაბიჯზე ფიქრს დიდი მონდომებით შეუტია. მან კიდევ ერთხელ სცადა, ეფიქრა დედაზე, რომლის კვალიც ჯერ კიდევ არ

ჩანდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოჩნდებოდა. გამუდმებით ფიქრობდა ასევე კატიაზე, რომელთანაც, ერთი შეხედვით, კი მოუჭრეს გზა, მაგრამ არანორმალურად სჯეროდა, რომ მას შეხვდებოდა. ეს რწმენა ეფუძნებოდა იმ დიდ სიყვარულს, რომლისთვისაც მზად იყო, ყვალაფერი გაეღო. ის თვლიდა, რომ თვითონ თუ ვერ მოახერხებდა მის მოძებნას, ამას მისი საყვარელი ქალი გააკეთებდა. ამაში დარწმუნებული იყო და ყოველ ღამით, ამ ოცნებით იძინებდა. ეს იყო მისთვის ერთადერთი შვება, რადგან ამაში ხედავდა მომავალს. მითუმეტეს, დამატებით ისიც სჯეროდა, რომ იმის გარდა, დედას ვერავინ მოაძებნინებდა. ყოველი ასეთი ოცნების ბოლო აკორდი, სანამ ჩათვლემდა, წარმოდგენაში უტოვებდა სურათს, სადაც ერთად მოსჩანდნენ – დედა, კატია და თვითონ. აქედან გამომდინარე, მას მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა – საბჭოთა კავშირის დედაქალაქი.

* * *

– მატარებელი მოსკოვის მიმართულებით, დგას მეორე ლიანდაგზე! ჩასხდომა მიმიდინარეობს მიწისქვეშა გადასასვლელიდან! – გამოაცხადა თბილისის ცენტრალური ვაგზლის დიქტორმა, რომლის ხმას, მოსაცდელ დარბაზში, მოსკოვში გასამგზავრებელი ხალხის სკამებიდან წამოშლა მოჰყვა. მათ შორის იყო ერთი მოხდენილი ახალგაზრდა, რომელსაც ხელთ ეპყრა პატარა შავი ჩანთა. ის ხალხის ნაკადს მიჰყვებოდა მატარებლისკენ და ეტყობოდა, რომ ფიქრებით სულ სხვაგან იყო. ანტონმა პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ფულთან ერთად ჩადებული დოკუმენტები უკანასკნელად მოსინჯა და ვაგონის კართან მდგომ გამცილებელ ქალბატონს ბილეთი გაუწოდა.

– მიბრძანდით! – გზა დაუთმო ქალმა და თან გვარიანად შეათვალიერა წარმოსადეგი ახალგაზრდა მამაკაცი.

– გმადლობთ! – გაუღიმა ანტონმა და ვაგონში შევიდა.

ოთხადგილიან კუპეში ერთი შუახნის ქალბატონი დახვდა სავიჩევს, რომელიც საბარგულში ჩანთებს ალაგებდა. ანტონმაც მონახა თავისი ადგილი და ფანჯრის გვერდით მოეწყო. დიდად მოლაპარაკე ქალი გამოდგა მისი თანამგზავრი, რადგან სანამ მატარებელი დაიძვრებოდა, იქიდან მოყოლებული, ძილის

დრომდე, ანუ გვიან ღამემდე პირი არ გაუჩერებია. ჯერ ხომ თავად გამოჰკითხა – ვინ იყო, სად სწავლობდა თუ მუშაობდა და რატომ მიდიოდა მოსკოვში. ამის შემდეგ თავისი მოაყოლა – რა მიჰქონდა სტუდენტ შვილთან და როგორ დადიოდა თვეში ერთხელ დედაქალაქში საჭმლით დატვირთული, რომ მის შვილს ტრადიციული კერძები არ მოჰკლებოდა.

ამ უაზრო ქაქანს უსმინა ორდღენახევარი სავიჩევმა და მოსკოვში რომ ჩავიდა, იმდენად იყო გამოფიტული, აღარ იცოდა, საით წასულიყო და საიდან დაეწყო. ენთუზიაზმითა და შემართებით წამოსული კაცი, გაწურულ ჩვარს დაამსგავსა ამ ენერგიამოძალებულმა დედაკაცმა. კიდევ კარგი, რომ ის ყოველთვის ახერხებდა გონების მობილიზებას და ამისათვის, ცოტა ხნით ჩამოჯდა კიდეც მოსაცდელ დარბაზში, თორემ მის ადგილას სხვას, შეიძლება, კარგა ხანს გზა ვეღარ გაეკვლია.

მატარებელი ღამით ჩავიდა საბჭოეთის დედაქალაქში და ანტონს ტაქსი დასჭირდა უახლოეს სასტუმროში მისასვლელად, რადგან აქაურობას საერთოდ არ იცნობდა. დედის დანატოვარი ფულიდან იმდენი დარჩა, რომ ამ ქალაქში საკმაოდ დიდხანს შეეძლო გაჩერება. ყოველშემთხვევაში, აქ იქამდე აპირებდა ყოფნას, სანამ კატიას არ მიაგნებდა. ეს იყო მისი მთავარი მიზანი და ამის იქით, სხვა აღარაფერი აინტერესებდა. საშუალო დონის სასტუმროში მოეწყო, სამი დღის ფული წინასწარ გადაიხადა და გვარიანადაც დაისვენა. იმავე ღამით, იქვე მოიძია სახელმწიფო დაწესებულებების ცნობარი და უშიშროების მთავარი სამმართველოს მისამართი გონებაში ჩაიბეჭდა. მეორე დღეს, კითხვა-კითხვით მიაგნო ხსენებულ ქუჩას და შორიდანვე დაინახა გამორჩეული შენობა, რომელთან ახლოს მისასვლელი გზებიც, შლაგბაუმებით იყო გადაკეტილი. ესეიგი, მას შორი-ახლოს უნდა ევლო და გაეკონტროლებინა იქით მიმავალ მანქანებში მსხდომნი, თუ ფეხით მოსიარულენი.

პირველმა დღემ, დიდი მცდელობის მიუხედავად, უშედეგოდ ჩაიარა და სასტუმროში ძალიან დაღლილი დაბრუნდა. საწოლზე ტანსაცმლიანად მიეგდო და ძლივს შეაკავა პესიმიზმისკენ გაქცეული ფიქრები, რომლებიც არწმუნებდნენ, რომ ეს გზა მიზანთან ვერ მიიყვანდა, ანუ კატიას ასე ვერ იპოვნიდა. სავიჩევს

ამის გაგონებაც კი არ უნდოდა და ისევ ჯიუტად იდგა თავის გეგმაზე – მის უნახავად არ წასულიყო ამ ქალაქიდან. მას გონება ისე ჰქონდა მომართული, რომ დროის ფაქტორს ყურადღებას არ აქცევდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საბოლოოდ ფული გამოელეოდა და უცხო ქალაქში ფინანსების გარეშე დარჩებოდა. რა თქმა უნდა, ეს გზა, თუნდაც ამის გამო, თავიდანვე განწირული იყო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება რომ, როდესაც ანტონი ამ გადაწყვეტილებას იღებდა, მის ცხოვრებაში გზა, როგორც ასეთი, საერთოდ აღარ არსებობდა. ამიტომ, მისი აქეთ წამოსვლა, შორს მოკიაფე ნათელი წერტილივით წარმოდგენილი იმ სიყვარულის მოჭიდება იყო მხოლოდ, რომელსაც გრძნობდა, რომ სამუდამოდ კარგავდა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ანტონი მთელ თავის მომავალს ამ სიყვარულზე აგებდა და თუ რაიმეს ქმნას ენთუზიზმით ცდილობდა, მათ შორის, სწავლის გაგრძელებას, ყველაფერი კატიასთან შეხვედრის დაუოკებელ სურვილზე იყო აღმოცენებული. აქედან გამომდინარე, რეაქცია სრულიად ბუნებრივია და მეტადრე გასაკვირი აქ არაფერია, რომ დასამთავრებლად განწირული სიცოცხლის გასაგრძელებლად, როცა გადარჩენის შანსი აღარ არსებობს, ადამიანმა გადადგას ნაკლებად იმედის მომცემი და ერთი შეხედვით, თუნდაც უტოპიური ნაბიჯი.

გათენდა მეორე დილა. ანტონმა პირი გაიპარსა, თმები გადაივარცხნა, სარკესთან ტანსაცმელი შეისწორა და ოთახის კარი გამოიხურა. ორმოციოდე წუთის შემდეგ, წინა დღით ამორჩეული ადგილი დაიკავა და გამძაფრებულად დაიწყო ფეხით მოსიარულეებისა, თუ მანქანებში მსხდომი მგზავრების თვალიერება. მისი იქ მისვლიდან, ერთი საათიც კი არ იყო გასული, რომ შავი მანქანა მიადგა, საიდანაც სამი ოფიცერი გადმოვიდა. ერთ-ერთმა მათგანმა საბუთები მოსთხოვა. ანტონი ცოტა დაიბნა, მაგრამ არ შეიმჩნია და პასპორტი გაუწოდა. ოფიცერმა პასპორტის ყველა ფურცელი საგულდაგულოდ შეამოწმა და მას მანქანის უკანა ღია კარზე მიუთითა:

– სავიჩევ, გამოგვყევით!

ანტონი უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანების კილოთი ნათქვამ სიტყვას და მანქანაში ჩაჯდა.

დაახლოებით ორი კილომეტრის გავლის შემდეგ, რუხი ფერის ერთ დიდ შენობასთან გაჩერდნენ. მანქანიდან გადასულმა ორმა ოფიცერმა, რომლებსაც ცენტრალურ შესასვლელში სამხედრო ფორმაში ჩაცმული მორიგე შეეგებათ, ანტონ სავიჩევი გადასცეს და თვითონ შენობის შიდა კიბეებით მაღლა ავიდნენ. მორიგემ დაკავებული სამორიგეო ოთახში შეიყვანა, საგულდაგულოდ გაჩხრიკა, ფული და პირადი ნივთები ჩამოართვა, ფეხსაცმლის თასმებიც მოახსნევინა და ვიწრო და ნახევრად ჩაბნელებული კორიდორის ბოლოს, დაკეტილი რკინის კარი გაუღო. ეს იყო ერთადგილიანი საკანი თავის რკინის საწოლით და ბეტონზე დამაგრებული მაგიდით და სკამით. ეჭვი არ იყო, რომ ანტონი დააპატიმრეს, მაგრამ ამის მიზეზს თავად ვერ ხედავდა და გაოგნებული ჩანდა. ამიტომ, იმ იმედით, რომ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, შეძლებისდაგვარად დაიმშვიდა თავი და სკამზე ჩამოჯდა. ის ათვალიერებდა ოთახს, არაფერზე არ ფიქრობდა და ელოდებოდა იმ დროს, როცა კარს გაუღებდნენ და გაათავისუფლებდნენ. ამასობაში, მოსაღამოვდა. მორიგემ კარზე დატანებული სარკმელიდან ალუმინის სასმისით წყალი და გამხმარი შავი პურის ორი პატარა ნაჭერი შემოაწოდა. აქ უკვე იფიქრა, რომ ჯერ არ გაუშვებდნენ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დალოდებოდა. ანტონს ნერვიულობა შეეყარა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ასე იარა ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ საწოლზე ჩამოჯდა და დაღლილი ფეხები გაშალა. გავიდა კიდევ ერთი საათი. მომსვლელი არავინ ჩანდა. სავიჩევის ნერვები უკვე კულმინაციას აღწევდა. უეცრად ფეხზე წამოიმართა, კართან მიიჭრა და ხელით დააბრახუნა. რამდენიმე წამში მორიგემ პატარა სარკმელი შემოხსნა და გაკვირვებულმა შემოხედა ანტონს.

– ის მაინც მითხარით, რაზე დამაპატიმრეთ! მე არაფერი დამიშავებია!– შეჰყვირა არც თუ ისე დაბალ ხმაზე სავიჩევმა და სარკმელთან უფრო ახლოს მივიდა.

– უდანაშაულოდ არავის იჭერენ და, თუ არაფერი დაგიშავებია, დაელოდე უფროსების გადაწყვეტილებას და გაგიშვებენ. – შეუბღვირა მორიგემ და სარკმელი დაკეტა.

იმ ღამით ძლივს გაათია ანტონმა. დილა რომ გათენდა, ისე

იყო დაღლილი, ფეხებს ძლივს იმორჩილებდა. დღის თორმეტ საათზე კარის მორიგი ჩხაკუნი გაისმა, რის შემდეგ, ზღურბლზე კაპიტნის ფორმაში ჩაცმული ბრგე ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა.

– ანტონ სავიჩევ, გამომყევით! – უთხრა და წინ გაუძღვა.

სამორიგეოში ფული და პირადი ნივთები დაუბრუნეს სავიჩევს და გარეთ მდგარ მანქანამდე მიაცილეს. სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, კაპიტანმა ჩამორთმეული პასპორტი და მასთან ერთად ფურცელი გაუწოდა.

– ეს თქვენი პასპორტია, – უთხრა მან. – ხოლო ეს კი, უშიშროების სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც მოგიწოდებთ, რომ დღესვე დატოვოთ მოსკოვი. და თუ როდისმე დაბრუნდებით, აუცილებლად უნდა გქონდეთ თქვენი ქვეყნის პარტიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც თქვენი მოსკოვში ჩამობრძანების აუცილებლობას დაასაბუთებს. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ ამ მოთხოვნას დაარღვევთ, ციხე არ აგცდებათ. ნება თქვენია. ახლა კი აქ მომიწერეთ ხელი, რომ ჩემგან ეს ფურცელი ჩაიბარეთ და ასევე მოისმინეთ ჩვენი მოთხოვნა. ეს მანქანა ჯერ იმ სასტუმროში მიგიყვანთ, რომელშიც დროებით ხართ გაჩერებული, რადგან აიღოთ ჩანთა. შემდეგ წაგიყვანთ ვაგზალზე, საიდანაც ხუთ საათზე გადის მატარებელი საქართველოს მიმართულებით. კარგად ბრძანდებოდეთ და კეთილ მგზავრობას გისურვებთ! – შეჰღიმა კაპიტანმა, მიტრიალდა და ფეხაწყობილი გაემართა შენობის შესასვლელისკენ.

* * *

საქართველოში მიმავალი მგზავრებით სავსე მატარებელი მოსკოვის ცენტრალური ვაგზლიდან ნელა დაიძრა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით აიღო გეზი. ადამიანები სამოცსაათიანი მგზავრობისთვის ემზადებოდნენ და თავიანთ ადგილებზე მეტი კომფორტის მოსაწყობად ჯერ კიდევ ფუსფუსებდნენ, რათა ხანგრძლივი მგზავრობა მათთვის შედარებით ნაკლებად დამღლელი ყოფილიყო. მათ შორის იყო ანტონი, რომელიც უძრავად იჯდა სკამის საზურგეზე თავმიდებული და თვალდახუჭული. ის უკვე მეორედ ტოვებდა მოსკოვს, მაგრამ

პირველისგან განსხვავებით, მას დედასთან აღარ მიეჩქარებოდა. თუ ადრე სურდა, მანძილი სწრაფად გაევლო და მშობლისთვის, რაც შეიძლებოდა, მალე მოეთხრო თავსგადახედილი ამბები, დღეს აღარც მანძილი აღელვებს, არც ვინმესთან შეხვედრას ელტვის და აღარც ფიქრებთან ერთად დაფრინავს. ზის მოღვენთილი და აზროვნება გადაკეტილი, რადგან მიემგზავრება არსად.

შუაღამემ მოაწია და მგზავრების უმრავლესობამ ძილს მისცა თავი. ანტონი კი იჯდა გამტკნარებული და ფანჯრიდან გაჰყურებდა ღამეულ სივრცეს, რომელიც დრო და დრო, სადღაც აკიაფებული ნათურის ფონზე კარგავდა საკუთარ სახეს. ეს ის მომენტია, როდესაც ადამიანი ცდილობს, თვალის მეშვეობით გაექცეს რეალობას, რომელიც სულიერი მღრღნელივით მოსდევს უკან. ხსენებულ საშინელებას, გაქცევით თავს ვერავინ დააღწევს, რადგან ეს გზა ყოველთვის უფსკრულით მთავრდება. ერთადერთი გადარჩენის შანსი, რეალობისთვის თვალის გასწორება და მასთან შებმაა მხოლოდ.

ვნახოთ, სადამდე მიიყვანს ანტონ სავიჩევს ბრძოლისგან თავის არიდება, რომელმაც ეს ესაა, სახლის კარი გახსნა და დამძიმებული ჩანთა კორიდორშივე მიაგდო.

– დამთავრდა... – აღმოხდა შინაგანი ხმა და მისაღებ ოთახში დივანზე გადაწვა. – ყველაფერი დამთავრდა. – გაიმეორა და რამდენიმე წამით თვალები მოხუჭა. ცოტა ხანში ფეხზე წამოდგა და დედის საძინებელში გავიდა. იქ ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც მოათვალიერა იქაურობა. დაბალი კარადის თავზე დადებულ საოჯახო ალბომს შეხედა და ხელში აიღო. პირველ გვერდზე მისი სურათი იყო ჩაკრული – ჩანთით ხელში დედასთან ერთად. – მახსოვს ეს დღე, სკოლაში რომ მიმიყვანე პირველად. – ჩუმად ჩაილაპარაკა ანტონმა და სავარძელში ჩაჯდა. – გუშინდელი დღესავით მახსოვს, დედი, ეგ დღე. მაშინ მომავალზე არ ვფიქრობდი. ჩემს მაგივრად, შენ ფიქრობდი ამას. ეეჰ... – ამოიოხრა სავიჩევმა. – რას წარმოიდგენდი, შენი მცდელობა, ჩემი ბედნიერი ცხოვრებისთვის, იმ თავითვე განწირული რომ იყო.

ამ დროს, მის თავში ფიქრები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

და ცოტა ხნით ქაოტურ ვითარებაში აღმოჩნდა მისი აზროვნება. ეს ჯახი იმით დამთავრდა, რომ გამარჯვებულმა ფიქრმა, ანუ ჯანსაღმა აზრმა, საბოლოოდ შემოუძახა სავარძელში ჩამჯდარ კაცს, რომელმაც აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა:

“შენ მიგიძღვის ბრალი ნინა მაქსიმოვნას გაუჩინარებაში და იქნებ, სიკვდილშიც! შენ თავად დაკარგე კატია და თვითონ თქვი მასზე უარი, როცა მის გვერდით მჯდარმა, მოისმინე და არარად ჩააგდე ივან ანდრეევიჩის გაფრთხილება, რომ შენგან გასული ერთი სიტყვაც კი თავდაყირა დააყენებდა შენს ცხოვრებას! შენ ეს გსურდა და, რაც გსურდა, ის მიიღე! შენ ხარ მიზეზი იმისა, რომ შენივე ბავშვობის მეგობარს, კოშმარად უქციე ცხოვრება, რომელიც ახლა, საშინელი ტკივილების ფონზე, უკანასკნელ ამქვეყნიურ წუთებსღა ითვლის! შენ ჩაიხერგე სწავლის გზა და ამოიქოლე მომავლისკენ მიმავალი ყველა გასასვლელი! შენ ხარ ადამიანი, რომელმაც შენი გაჩენით მხოლოდ ბოროტება მოიტანე დედამიწაზე! ტრაგედია... აი, რა გხიბლავს შენ! ბოღმა... აი, რა ასულდგმულებს შენს გულს! არავითარი ხსნა შენ არ გელის და არავითარი მომავალი შენთვის აღარ არსებობს! შენ იცხოვრებ მარტო და არავის ენდომება შენთან ურთიერთობა, რადგან შენ გძულს წუთისოფელი და მასაც სძულხარ შენ! და ეს სიძულვილი პირველად შენში იშვა! შენ დათესე იგი და შენვე მოიმკი მას!”

სავიჩევმა თვალები მოხუჭა და კბილები ერთმანეთს დააჭირა. ერთხანს ასე იჯდა გახევებული. შემდეგ ნელა წამოიმართა ფეხზე, დაკეცილი ალბომი სავარძელზე დადო და ეზოს მხარეს გამავალ ფანჯარასთან მივიდა. დაბლა არავინ ჩანდა, მაგრამ ანტონი მაინც თვალდაშტერებით გადაჰყურებდა ზემოდან იმ ადგილს, სადაც მთელი ბავშვობა გაატარა. უეცრად ის კადრი წარმოუდგა თვალწინ, შვიდი-რვა წლის ასაკში ველოსიპედს რომ დააქროლებდა აქეთ-იქით. იმ ბედნიერმა დრომ მოიტაცა მისი გონება და დიდხანს დააყოვნა ფანჯრის ჩარჩოზე ცალი მხრით მიყრდნობილი. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ თითქოს უკანასკნელ სიამოვნებას იღებდა ცხოვრებისაგან, საშინელი გადაწყვეტილების წინ. მისი ეს მცირე სასიამოვნო მონაკვეთი ნინა მაქსიმოვნას ხმამ დაასრულა, რომელიც შორი-

დან მკაფიოდ მოესმა: – ანტონ, შვილო, არაფერი იტკინო!

– მე აღარაფერი მტკივა, დედი, გარდა იმისა, რომ შენ დაგკარგე და ჩემი ცხოვრება თავადვე გავანადგურე. ამიტომ აზრი აღარ აქვს რამეზე ფიქრს და მეტადრე, სიცოცხლის გაგრძელებას. – ჩაილაპარაკა თავისთვის და გასალკდევებული სახით შემობრუნდა ოთახისკენ. კედელში შეჭრილ პატარა სათავსოში თოკი ადვილად მოძებნა და მისაღებ ოთახში ჭაღის ჩამოსაკიდებელ რკინაზეც საიმედოდ გამოსდო. ყულფიც იოლად გამონასკვა და თავის ჩამოსახრჩობადაც მალევე მოემზადა. მას ამის გამოცდილება უკვე ჰქონდა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევაში მაშინ ოფიცრებმა შეუშალეს ხელი, რასაც ახლა განიცდის და ფიქრობს, რომ სწორედ იქ უნდა დასრულებულიყო ყველაფერი. ერთი ფიქრი კი მუდმივად დარბის მის თავში და ახსენებს, რომ შესაფერი დრო ახლა უფროა, რადგან იმ დროს თავის მოკვდინებით, დედას მიაყენებდა საშინელ დარტყმას. ასე რომ, დიდი განსჯა საჭირო აღარ არის და ცხოვრების დამთავრებას ერთი რამით უნდა უპასუხოს – სიკვდილით.

სავიჩევი სკამზე შემართებით ავიდა და ყულფშიც უშიშრად გაყო თავი. შემდეგ ჩამოსაბმელის სიმყარე მოსინჯა თოკით კიდევ ერთხელ და ყელზე ყულფი ბოლომდე მიჭიმა. საძილე არტერიები ნახევრად დაეხშო და აქედან გამოწვეულმა თვალთდაბნელებამ სიკვდილის წინმსწრები აგონია გამოიწვია, რომელმაც წამის მეასედებში დაანახვა გონებაში აწ გარდასული თავისი ცხოვრება. ჰოი, საოცრებავ! კადრები უმალ მობრუნდა უკან და ერთ ადგილზე გაშეშდა, რამაც ძალიან ნათლად წარმოადგინა მატარებლის მოსაცდელ ბაქანზე მდგარი კაპიტანი ჩურინის ვებერთელა სხეული, რომელმაც ანთებული თვალებით მქუხარე ხმით შესძახა:

– ეი, ჯარისკაცო, ნუთუ ასე მალე დაგავიწყდა ჩემი შეგონება, რომ სიცოცხლეში სიცოცხლისთვის უნდა იბრძოლო და არ აღიარო სიკვდილი, რომელმაც თავად უნდა გაღიაროს შენ?!

სავიჩევის თვალებს სინათლე დაუბრუნდა, რომელმაც ყელზე შემოჭდობილი თოკი მოუშვა და ცოტა ხნის წინ სუნთქვაშეკავებულმა, ღრმად და სწრაფად დაიწყო ჩასუნთქვა. სული მოითქვა თუ არა, ოთახი მოათვალიერა. შემდეგ სკამზე

დაიხედა, რაზედაც იდგა და ნელ-ნელა მოიხსნა ყულფი თავიდან. უილაჯოდ ჩამოდგა ფეხი სკამიდან და იქვე ახლოს მდგარ დივანზე მიესვენა. ჯერ კიდევ ხშირი იყო მისი სუნთქვა და ჯერ კიდევ არ იყო გამოსული იმ კოშმარიდან. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ცდილობდა გარკვეულიყო სიტუაციაში. ასე განვლო გარკვეულმა დრომ და, როდესაც გონს მოეგო, პირველი, რაც თავში მოუვიდა, ეს იყო: "იქნებ დედა ცოცხალია? ჯერ ხომ დიდი დრო არ გასულა მისი გაუჩინარებიდან?! იქნება და, გამოჩნდეს?! მას სურდა, რომ მე ძლიერი ვყოფილიყავი და მის შესაძლო დაბრუნებას, ასე არ უნდა დავხვდე. მარტო ამისთვისღა უნდა ვიცოცხლო, სხვა რომც აღარაფერი მესახებოდეს. ასე არ უნდა გადავუხადო დედას სამაგიერო, რომელმაც გამზარდა და ერთი წუთი არ მივუტოვებივარ. დიახ, მე მხოლოდ ამისთვის უნდა ვიცოცხლო, რომ დედას შევხვდე." – გაიფიქრა ანტონმა, თითქოს ოდნავ მტკივანი კისერი ხელით მოისრისა და ფეხზე წამოდგა. შემდეგ თოკი ჩამოხსნა და სათავსოში შეაგდო. შეუვალი სახით მოათვალიერა ოთახები და გონებაში მტკიცედ დაადგა მომავალ ცხოვრებაზე ფიქრს.

* * *

იმ დროს, როდესაც ანტონ სავიჩევი თვითმკვლელობაზე ფიქრობდა და შემდეგ კი მის აღსრულებას ცდილობდა, პარტიის ქალაქკომის შენობის წინ უწყვეტ რიგად მოდიოდა შავი ფერის ავტომანქანები და იქიდან გადმოსული ადამიანებით ივსებოდა უზარმაზარი შიდა სააქტო დარბაზი. აქ მობრძანებულიყო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი, ცეკას კულტურის განყოფილების უფროსთან ერთად, რომელთაც თან ახლდათ რამდენიმე მოსკოველი სტუმარი. წინა რიგში მათ მხარს უმშვენებდა პარტიის ქალაქკომის პირველი მდივანი, ხოლო უკან განლაგებული სკამების მწკრივებს, მოწვეული ღვაწლმოსილი კომუნისტები იკავებდნენ. სცენაზე გამართული იყო დიდი საჭადრაკო დაფა, რომლის გვერდითაც მიკროფონი იდგა. ყველა რომ მოთავსდა თავის ადგილზე, კულისებიდან გამომცხადებელიც გამოჩნდა, რომელსაც პატარა ფურცელი ეპყრა ხელთ. დარბაზი გაისუსა და გამომცხადებელმაც რიხიანი ხმით წარმოადგინა გაზეთ "იზვესტიას" რედაქტორის

მოადგილე და საკავშირო საჭადრაკო ამოცანების კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე, ვიაჩესლავ ვორონინი, რომელიც პირველი რიგიდან წამოდგა და სცენაზე ავიდა.

– მოგესალმებით, ამხანაგებო! – მიმართა მან დარბაზში მსხდომ ადამიანებს, როდესაც მიკროფონთან მივიდა. – ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზეზი, გაზეთ "იზვესტიას" პრიზზე ჩატარებული საჭადრაკო ამოცანების კონკურსია, რომელიც საკავშირო მასშტაბით განხორციელდა. მასში მონაწილეობა მიიღო სამ მილიონამდე ადამიანმა და მინდა გითხრათ და გახაროთ, რომ გამარჯვებული საქართველოდანაა. მეტიც, ამ დარბაზში ზის იგი. დამსწრე საზოგადოება რამდენიმე წამით აწრიალდა და თითოეულმა მათგანმა ინტერესით გადახედა ერთმანეთს. სიტყვით გამომსვლელმა კი საუბარი განაგრძო: – შეიძლებოდა, მე, როგორც ჟიურის თავმჯდომარე აქ არ ჩამოვსულიყავი და გამარჯვებულისთვის პრიზი გადაეცა ჩვენს რომელიმე რიგით წევრს, მაგრამ იმდენად დამაინტერესა მისმა პიროვნებამ, გადავწყვიტე, პირადად გავცნობოდი მას. მინდა ისიც გითხრათ, რომ თავად გამარჯვებულმა არ იცის თავისი წარმატება და ალბათ, დიდი სიურპრიზი იქნება მისთვის. – ვორონინი ცოტა ხნით შეჩერდა. ღიმილიანი სახით მოავლო თვალი მოწვეულ სტუმრებს და განაგრძო: – მთელი საჭადრაკო სამყარო გაოცებულია, რომელიც თავიდანვე ადევნებდა თვალს გამარჯვებული კონკურსანტის სწრაფ მოქმედებას. ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ დროის ფაქტორით გამარჯვებულის ვინაობის გამოვლენა არ გაგვჭირვებია, რადგან თორმეტივე ამოცანის სწორი პასუხი, ყველაზე ადრე საქართველოდან და იმ ადამიანის ხელიდან მივიღეთ, რომლის სახელსაც სულ რამდენიმე წამში მოგახსენებთ. სანამ ეს მოხდება, მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ კონკურსში გამარჯვებული პიროვნება, ფენომენალური გონების ადამიანია. კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებ და გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ მან სამ მილიონ მონაწილეს შორის, თორმეტივე ამოცანა ამოხსნა პირველმა, რაც ასეთ კონკურსებში გაუგონარი მაჩვენებელია. ამიტომ მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რითაც თავისუფლად შეუძლია გახდეს დიდი საბჭოთა

საჭადრაკო ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. მას უახლოეს მომავალში მოსკოვში ელიან საერთაშორისო დიდოსტატები და იმედია, ეს ცნობა თქვენც გაგახარებთ.

დარბაზში ტაშმა იგრიალა და ერთი წუთის განმავლობაში არ გამწყდარა მისგან გამოწვეული ყურისწამღები ხმაური. ხოლო როცა ეს ხმაური შეწყდა და ხალხი ისევ ინტერესით მიაჩერდა მოსკოველ სტუმარს, ვორონინმა შესძახა:

– სცენაზე ვიხმობ ამხანაგ ალექსანდრე თვალავაძეს! – თქვა და მიმინოს მზერით გადახედა დარბაზს, რადგან ყველაზე მეტად მას აინტერესებდა, მისგანვე გმირად გამოცხადებული პიროვნება.

ალექსანდრე თვალავაძე მძიმედ წამოდგა სკამიდან და გაოცებულმა შეხედა ჯერ სცენაზე მდგარ მოსკოველ სტუმარს, რომელიც მაღლიდან უღიმოდა, ხოლო შემდეგ დამსწრე საზოგადოებას. მან არ იცოდა, რა მოემოქმედებინა და ცოტა ხანს ასე იდგა გახევებული.

– ამხანაგო ალექსანდრე, – ჩასძახა მიკროფონში ვორონინმა. – ვიცი, რომ ეს თქვენთვის მოულოდნელია, მაგრამ გაისიგრძეგანეთ ყველაფერი და მობრძანდით სცენაზე!

ისედაც ლოყებღაჟღაჟა პროფესორს, უარესად აუჭარხლდა სახე და უილაჯოდ დაიძრა სცენისკენ.

დარბაზი კვლავ ტაშის ხმამ გააყრუა, რომელიც მანამ არ შეწყდა, სანამ ალექსანდრე ვორონინს არ მიუახლოვდა.

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. – ხელი გაუწოდა მოსკოველმა დაბნეულ მამაკაცს, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ფიქრებით სულ სხვაგან იყო.

– ამხანაგო ალექსანდრე, – ხელის ჩამორთმევის შემდეგ ჭადრაკის დაფისკენ მიუთითა. – ალბათ ხედავთ, რომ აქ ფიგურები განლაგებულია მეხუთე ამოცანის ვარიანტის მიხედვით. ეს ამოცანა სპეციალისტების აზრით, ყველაზე ძნელად ამოსახსნელი იყო. მას მრავალი მისატყუებელი მიმართულება ახლავს თან და ამიტომ, ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თქვენი პასუხი მივიღეთ დილითვე, ხოლო თქვენს შემდგომ მეორე პასუხი მოვიდა ექვსი საათის შემდეგ. მე ძალიან მაინტერესებს და ალბათ დამსწრე საზოგადოებისთვისაც არ

იქნება ინტერესმოკლებული, თუ რა გზას დაადექით თავდა-
პირველად, ამ ამოცანის ამოხსნისას. იქნებ დაფაზე გვაჩვენოთ
ეს ყველაფერი. გთხოვთ! – უთხრა მოწიწებით და დაფასთან
მიიხმო.

თვალავაძემ თვალი შეავლო თავის გვერდით აღმართულ
დაფას და მხოლოდ ამის შემდეგ შეხედა ვორონინს. დრო არ
ითმენდა, რაღაც უნდა მოემოქმედებინა, რადგან ასეულობით
ადამიანი მისჩერებოდა.

– აქ რაღაც გაუგებრობაა... – ძლივს ამოთქვა ნახევრად
გათიშულმა ალექსანდრემ და თან დაამატა: – არავითარი კავ-
შირი ამ კონკურსთან არ მაქვს.

– ვერ გავიგე? როგორ თუ კავშირი არ გაქვთ? – საკმაოდ
სერიოზული სახე მიიღო მოსკოველმა სტუმარმა.

– დიახ, ამ საქმეში მე არაფერ შუაში არ ვარ. – წარმოთქვა
ენის ბორძიკით წამოწითლებულმა პროფესორმა და მოწყალე
თვალებით მიაჩერდა ჟიურის თავმჯდომარეს.

ვიაჩესლავ ვორონინი წამიერად დააკვირდა კონკურსში
გამარჯვებულად გამოცხადებულ გაბეჩავებულ კაცს და ად-
გილს მოწყდა. სცენის კიდესთან მისულმა, პირველ რიგში
მჯდომ თავის თანაშემწეს უხმო და საქაღალდედან იმ ფურც-
ლის ამოღება დაავალა, სადაც გამარჯველის ვინაობა სრულად
იყო დაფიქსირებული. თანაშემწემ უმალ მიაწოდა ფურცელი
სცენაზე მდგარ ოდნავ წელში მოხრილ ვორონინს და სწრა-
ფადვე დაუბრუნდა თავის ადგილს.

– ამახანაგი ალექსანდრე თვალავაძე, ხომ? – ამოიკითხა
მაღალი ხმით და დაელოდა პროფესორის პასუხს.

– დიახ. წარმოთქვა დაბალ ხმაზე თვალავაძემ და მიბნედი-
ლი თვალებით მიაჩერდა მის წინ მდგომ კაცს.

– უნივერსიტეტის პროფესორი და პრორექტორი! – დაუ-
მარცვლა მოსკოველმა სტუმარმა.

– დიახ. კვლავ დაუდასტურა ალექსანდრემ და ავის მომას-
წავებელ რეჟიმში გადაერთო.

– ჭავჭავაძის ქუჩის ნომერ ორში მცხოვრები. – ამოიკითხა
ბოლო მინიშნება ვიაჩესლავ ვორონინმა, რომლის ხმას უკვე
გაცხარება ეტყობოდა.

– დიახ ასეა, ყველაფერი ემთხვევა ჩემს პიროვნებას, მაგ-
რამ, მერწმუნეთ, რომ მე არც ამ კონკურსის შესახებ ვიცოდი
და მითუმეტეს, არც რაიმე კავშირი მაქვს მასთან.

– ესიგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ასეთმა დიდად მოაზ-
როვნე ადამიანმა, როგორიც არის ამ საჭადრაკო ამოცანების
ამომხსნელი, ამხელა საქმით დაკავდა, რომელშიც გაიმარჯვა
და ეს გრანდიოზული გამარჯვება მოგაწერათ თქვენ ისე, რომ
თქვენ არაფერი იცოდით? საოცარია, რომ ცდილობთ, ამაში
დამარწმუნოთ. – ხელები გაშალა ვორონინმა და პარტიის ცენ-
ტრალური კომიტეტის მდივანს გადახედა, რომელიც ფეხზე წა-
მოდგა და სცენასთან მივიდა. დარბაზი გაისუსა, რომელშიც,
წუთის წინ, ადგილ-ადგილ ჩუმი ჩოჩქოლის ხმა ისმოდა.

– ამხანაგო ალექსანდრე, ახლოს მობრძანდით და განგვიმარ-
ტეთ, რასთან გვაქვს საქმე? – მიმართა ცეკას მდივანმა სცენის
სიღრმეში დაფასთან უძრავად მდგომ თვალავაძეს.

სანამ ალექსანდრემ ფეხათრევით წინ წამოიწია, "იზვეს-
ტიას" რედაქტორის მოადგილემ შესძახა:

– სახეზე გვაქვს არგაგონილი თაღლითობა!

ამ სიტყვებმა ცეკას მდივანი უფრო გაახელა და მეორედ
მიმართა თვალავაძეს:

– აუხსენით დამსწრე საზოგადოებას, რას ნიშნავს ეს ყოვე-
ლივე?

ალექსანდრე თავდახრილი იდგა და ვერ გაერკვია, რაღა
შეიძლებოდა, ეთქვა. მისმა ასეთმა გაუგებარმა მოქმედებამ
მწყობრიდან გამოიყვანა ცენტრალური კომიტეტის მდივანი,
რომელმაც პარტიის ქალაქკომის პირველ მდივანს უხმო და
მაღალ ხმაზე განუმარტა:

– დღეს რაც აქ მოხდა, არის ჩვენი ქვეყნის უდიდესი სირცხ-
ვილი! ეს ამბავი ხვალ მთელ საბჭოთა კავშირს ეცოდინება! ამი-
ტომ, ჩემი აქედან გასვლისთანავე, გაძლევთ მითითებას, რომ
ეს უღირსი ადამიანი გარიცხოთ პარტიიდან! ჩამოართვათ ყვე-
ლაფერი! მათ შორის, პროფესორის ხარისხი! დაატოვებინოთ
თანამდებობა და მოსთხოვოთ ძალოვან სტრუქტურებს, რომ
აღძრან სისხლის სამართლის საქმე!

ცეკას მდივანს ბოლომდე არ ჰქონდა სიტყვა დამთავრებუ-

ლი, რომ ალექსანდრეს თვალთ დაუბნელდა და სცენაზე დავარდა. გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სტაციონარში გადაიყვანა, სადაც დაუდგინეს ინსულტი. მიუხედავად ამისა, მდივნის სიტყვებიდან ყველაფერი აღსრულდა, გარდა ერთისა – მის წინააღმდეგ საქმე აღარ აღიძრა, რადგან დამბლა მიიღო და პირველი ჯგუფის ინვალიდად იქცა.

* * *

სამი დღე იფიქრა ანტონმა, თუ რა ფორმით გაეგრძელებინა ცხოვრება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირველ რიგში, მუშაობა უნდა დაეწყო. უმუშევრად დიდხანს არავინ გააჩერებდა და ამით აუცილებლად დაინტერესდებოდა მილიცია. სანამ ეს მოხდებოდა და ამის გამო გაფრთხილებას მიიღებდა, მანამ თავად უნდა მოეძებნა რამე. ესეც არ იყოს, დედის დანატოვარი ფული მალე გამოელეოდა და ამის საჭიროება მაინც დადგებოდა. მისი ასეთი გადაწყვეტილება, სიცოცხლის გაგრძელებასთან დაკავშირებით, საბოლოო ჯამში, სამმა მთავარმა ფაქტორმა განსაზღვრა: პირველი და უმთავრესი იყო იმის რწმენა, რომ ნინა მაქსიმოვნა, ადრე თუ გვიან, დაბრუნდებოდა. ეს მოლოდინი ასრულებდა იმ გონებრივი ძალების ლოკომოტივის ფუნქციას, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ის ცოცხალი იყო. ამას მოსდევდა მეორე იმედი, რომელიც არწმუნებდა, რომ კატიაც მოძებნიდა როდისმე, რამეთუ, ასეთი სიყვარული, მისი აზრით, არ შეიძლებოდა, უკვალოდ გამქრალიყო. ხოლო მესამე ფიქრი, რომელიც აქტიური მოძრაობით ყოველთვის თავს ახსენებდა, ეხებოდა მამას, რომლის გონებრივი თუ რეალური შესაძლებლობები, მის წარმოდგენაში, მაინც გაივლიდა მშობლიური გრძნობის ზღვარზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მესამე დამატებითი ძალაც ამოქმედდებოდა მის დასახმარებლად. ასე რომ, ანტონი მარტოდ აღარ გრძნობდა თავს და ასეთ ყოფაში მას, შეიძლებოდა, მხოლოდ ცოტა ხნით მოხდენოდა ცხოვრება. მანამდე კი, უნდა დაევიწყებინა ყველა და ყველაფერი, მუშაობაზე აეღო აქცენტი და იმედით დალოდებოდა მომავალს.

ერთი საათის წინ სახლიდან გამოსულ ანტონს, შრომითი მოწყობის ბიუროს უფროსთან შესვლის რიგმა მოუწია და მისი კაბინეტის კარის სახელური ფრთხილად დასწია.

– შეიძლება? – იკითხა მან, როდესაც კარი შეაღო.

– მობრძანდი, გენაცვალე! – უთხრა გრძელი მაგიდის თავში მჯდარმა შუახნის მამაკაცმა და თავისთან ახლოს მდგარი სკამისკენ მიუთითა. – დაბრძანდი და მოგვახსენე, რამ შეგაწუხა ეს ჯან-ღონით სავსე ადამიანი? – შეჰღიმა ბიუროს უფროსმა და ინტერესით მიაჩერდა.

– სამსახურის მოძებნაში მჭირდება თქვენი დახმარება. – უპასუხა სავიჩევმა, როცა სკამზე დაჯდა.

– ჯერ ახალგაზრდა ხარ, განათლება არ გექნება ალბათ. სადმე თუ სწავლობ, ანდა გიმუშავია თუ არა როდისმე? – ჰკითხა უფროსმა და დაელოდა მის პასუხს.

– არა, სწავლით არ ვსწავლობ და არც მიმუშავია სადმე. – თითქოს სინანულით წარმოთქვა ანტონმა.

– რატომ, სწავლა არ გიყვარს, თუ ვერ მოხვდი ვერსად? – ცინიკურად ჰკითხა კაცმა.

სავიჩევმა ზედემტად სერიოზული სახით შეხედა მას, რასაც მოაყოლა კიდეც მძიმედ ნათქვამი სიტყვები:

– მე, ბატონო, სამუშაოს მოძებნაში გთხოვეთ დახმარება.

ბიუროს უფროსი გაუხერხულდა, მაგრამ საკუთარი მდგომარეობა გამოიყენა და მისგან ბოძებული პოზიცია მთლიანად არ დათმო, რითაც ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნა ცინიკური იერი.

– სამსახური? – გაიმეორა მომღიმარი სახით და მაგიდაზე იქით-აქეთ გაფანტული ფურცლები ერთად შეაგროვა. – სამსახურები ჭირს, – განაგრძო მან. – მაგრამ შენთვის არის ერთი კარგი სამუშაო. ახალი კორპუსის მშენებლობა დაიწყო გუშინ და იქ შემიძლია გაგაგზავნო. – ფურცლების მილაგებას მორჩა, ხელები მაგიდაზე დააწყო და ანტონს უკვე ჩვეულებრივი ჩინოვნიკის გამომეტყველებით შეხედა.

– მშენებლობაზე თავისთავად მძიმე იქნება სამუშაო. – ჩაილაპარაკა თავისთვის ანტონმა. – ცოტა მუხლები მაწუხებს და შეიძლება ვერ შევძლო.

– რას ამბობ, კაცო! – ხელები გაშალა და თვალები ფართოდ გაახილა. – ვინმემ რომ შემოგხედოს, ისეთი აღნაგობა, სიმაღლე და გამომეტყველება გაქვს, ათი ადამიანი ვერ დაგძლევს და ათკილოგრამიანი ვედრო გაშინებს?! არ გადამრიო,

თუ ძმა ხარ! – კალამი მიაგდო უფროსმა მაგიდაზე და ისევ ფურცლების თვალიერებას მოჰყვა.

– კი არ ვწუწუნებ, მაგრამ ჯარიდან გამომყვა ეს დაავადება და არ ვიცი, ასეთ დატვირთვას გავუძლებ თუ არა.

– ჯერ-ჯერობით სხვა სამუშაო მაინც არ არის და სცადე, იქნებ შეძლო. – შემრიგებლური ტონით უთხრა ბიუროს უფროსმა და ამ ბოლო წინადადებით თითქოს თავისი უტაქტო ქმედებაც გამოისყიდა, რადგან დროზე შენიშნა, რომ ანტონის სახით, განსხვავებულ ახალგაზრდასთან ჰქონდა საქმე. ამიტომ მიმართვაც უჩუმრად დაუწერა, მისამართიც გარკვევით წაუწერა ფურცელზე და თან აუხსნა კიდეც, ზუსტად სად მდებარეობდა ობიექტი. ისიც აღუთქვა, რომ თუ კარგი სამსახური გამოჩნდებოდა, აუცილებლად შეატყობინებდა. ბოლოს გულთბილად დაემშვიდობა და წარმატებები უსურვა.

სავიჩევმა მშენებარე ობიექტსაც იოლად მიაგნო და იქ მყოფ სამუშაოს მწარმოებელსაც, რომელმაც ახალი მუშა, თავის მიმართვასთან ერთად, ობიექტიდან ოციოდე მეტრში სახელდახელოდ გაკეთებულ ოთახში მთავარ ინჟინერს წარუდგინა.

– ესე რა! – წარმოთქვა აღფრთოვანებულმა მთავარმა ინჟინერმა, როცა ანტონ სავიჩევი შეათვალიერა. – სულ მიმხრჩვალი და გადასავათებული ხალხი მოდის აქ სამუშაოდ და ძლივს არ ვეღირსე ჯანიან კაცს!? – ჩაილაპარაკა კმაყოფილმა ინჟინერმა და მაშინვე გააფორმა სასურველი მუშა. – ახლა კარგად მომისმინე! – უთხრა ანტონს, თავისი სკამიდან წამოდგა და მის სიახლოვეს ჩამოჯდა. – მე ერთი შეხედვით შემიძლია შევაფასო ადამიანი და გეტყვი, რომ შენ ძალიან კარგ თვალზე შემოგხედე. ჭკვიანი ახალგაზრდა ჩანხარ და ვიცი, რომ შენთან მუშაობის პრობლემა არ მექნება. მარტო ის მითხარი, თუ გიმუშავია სადმე?

– არა, არასოდეს. – მიუგო სავიჩევმა.

– გასაგებია... – ცოტა ხნით თავი დახარა ინჟინერმა და განაგრძო: – ამიტომ დავიწყოთ ნელი ტემპით. ეს არის სამუშაოთა მწარმოებელი და ძირითადად საქმე გექნება მასთან. – ხელით მიუთითა თავის გვერდით მდგარ კაცზე.

– კი, სანამ აქ მომიყვანდა, უკვე გავეცანით ერთმანეთს. – ღიმილით შეაგება ანტონმა.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა გაყვები მას საწყობში. იქ ყველანაირი უნიფორმებია და რომელიც შენ მოგერგება და მოგეწონება, ის აიღე. თუ რამე პრობლემა იქნება და გენდომება, რომ მე მითხრა, ყოველთვის შეგიძლია, რომ მნახო. მივეჩვიოთ აქაურობას, ცალკე მუშაობას და მოკლე ხანში, კარგად რომ გაერკვევი ყველაფერში, ბრიგადირად დაგაწინაურებ. ამას წინასწარ მე არავის ვეუბნები, თუმცა იშვიათად, რომ ვინმე მომეწონოს. შენ გექნება ყველანაირი პრივილეგია, რაც მუშას შეიძლება, რომ ჰქონდეს. დანარჩენი სხვა დროს ვილაპარაკოთ. – ფეხზე წამოდგა მთავარი ინჟინერი და სავიჩევს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა.

სამუშაოთა მწარმოებელმა ანტონი საწყობის გამგეს რომ წარუდგინა, იქ რამდენიმე ადამიანი კიდევ იმყოფებოდა, მათ შორის, სამი ახალი მუშა, რომლებსაც ტანსაცმელი უკვე აღებული ჰქონდათ და იქვე ირგებდნენ ტანზე. ანტონმაც ამოარჩია თავისი ზომის უნიფორმა და მათ გვერდით დაიწყო ჩაცმა. ის გარეგნობით წარმოსადეგი ახალგაზრდა იყო და ამიტომ ყველა იმ თვალით უყურებდა – რა გაუჭირდა ამ ბიჭს ამისთანა, ასეთი მძიმე სამუშაოთი რომ იწყებს ცხოვრებასო. იმ დროისათვის არსებობდა ფაბრიკა-ქარხნები, სადაც, ძირითადად, თანამედროვე ახალგაზრდები საქმდებოდნენ. აქ კი მოდიოდა შუახნის, მუშაობაში გამოწრთობილი ხალხი, რომლებსაც უფრო მეტი ანაზღაურება სჭირდებოდათ ოჯახის გამოსაკვებად და შესანახად. აი, ამ საზომით უყურებდა ყველა და არცერთ მათგანს წარმოდგენაშიც კი არ შეეძლოთ ეფიქრათ, სინამდვილეში ვინ იყო მათ წინაშე. მეტიც, ვინმეს რომ მათთვის ეთქვა კიდეც, მუშის ფორმაში ჩაცმულმა ამ პატარა ბიჭმა, რამდენიმე დღის წინ, ნახევარი ძალით შემოჰკრა საბჭოთა სისტემას და კინაღამ რესპუბლიკის (საქართველოს) კომუნისტური ელიტა დაშალაო, არავინ ირწმუნებდა. ამის შესახებ მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა და ისიც თვითონ ამოხსნა: როდესაც ალექსანდრე თვალავაძის თავს დატრიალებული ამბავი უნივერსიტეტში მიიჭრა და იქ მომსახურე პროფესორ-მასწავლებლებმა ეს მოისმინეს, კოლეგებს გამოეყო პროფესორი ჯიმი ჯავახია, რადგან რა-

ტომღაც მაშინვე აბიტურიენტი ანტონ სავიჩევი გაახსენდა. მან ზედმიწევნით აღიდგინა მასთან საუბრის დეტალები და განსაკუთრებით თავისი ნათქვამიდან ორი მნიშვნელოვანი რამ: შენმა ჩამჭრელმა პროფესორმა თვალავაძემ ჭადრაკის სვლებიც კი არ იცისო. და მეორე – ჭავჭავიძის ორ ნომერში, უნივერსიტეტის წინ სასახლე წამოჭიმაო. აი, აქედან დაასკვნა მან, რომ ალექსანდრეს სახელით ჭადრაკის ამოცანების ამომხსნელი და პრიზის ამღები, ერთადერთი, ანტონ სავიჩევი შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. ეს ეცოდინება მას მთელი ცხოვრება და მისი პირიდან ვერასოდეს გაიგებს ვინმე, მაგრამ ერთია – ადამიანის და, თუნდაც უარყოფითი პიროვნების ასეთი ფორმით განადგურებაში უნებლიე მონაწილეობისთვის, სინდისის ქენჯნა ბოლომდე მაინც შეაწუხებს.

საღამოს ხუთი საათი სრულდებოდა. მუშაობით დაღლილი ანტონი ავტობუსით სახლში ბრუნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ძალზე მომქანცველი იყო, ამით გამოწვეული უკმაყოფილება მის სახეზე არ ჩანდა. ამის მიზეზი, მთავარი ინჟინრის მისდამი მოპყრობა გახდა, რომელმაც აგრძნობინა, რომ ის ვიღაცას სჭირდებოდა. ასე რომ, თუ დილით გამოსულ ანტონს სიცოცხლის გაგრძელების გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და მის ამ გადაწყვეტილებას განსაზღვრავდა არგუმენტირებული მიზეზები, გონებაში ოპტიმისტური და პესიმისტური გრძნობების თანაბარი დავა მაინც აღენიშნებოდა. აი, ასეთი სულიერი ფონით გამოვიდა სახლიდან და დაადგა დღევანდელ დღეს, რომელიც თავისი მნიშვნელობით ორივე გრძნობის ბიძგი შეიძლებოდა რომ გამხდარიყო. ბედმა ოპტიმიზმისკენ დაქაჩა სასწორი, რომლის ერთ პინაზე მთავარი ინჟინრის გამოსახულება გარკვევით მოსჩანდა.

მეორე დილას, გამთენიისას გამოეღვიძა ანტონს. გაღვიძებისთანავე შეავლო თვალი ფანჯრიდან შემოჭრილ ალიონს და ფეხზე წამოდგა. აქამდე თუ აცდიდა ხოლმე თავს გაფხიზლებას და მხოლოდ ამის შემდეგ დგებოდა საწოლიდან, ახლა მკვირცხლად წამოიჭრა და სწრაფ ტემპში დაიბანა ხელ-პირიც, ჩაიცვა კიდეც და საუზმეც სწრაფად მოამზადა. ეს იმიტომ, რომ მანამდე მისი გონება, ძირითადად, წარსულის განსჯით

და მომავალზე ფიქრით იყო დაკავებული, რაც მისგან მსგავს აქტივობას არანაირად არ მოითხოვდა. მისი ასეთი ქმედება კი განპირობებულია მის ცხოვრებაში აწმყოს ჩართვით, ანუ რეალობის ფეხის აწყობით. ერთი შეხედვით, მან ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ხალხში გავიდა და მომაბეზრებელ მარტოობაზე უარი თქვა. გაცილებით საინტერესოდ მოსჩანდა მისი პასუხი ამ ნაბიჯთან დაკავშირებით, როცა ამის ახსნას, საბჭოთა წესების აღსრულების აუცილებლობით ცდილობდა. ყველა შემთხვევაში, ანტონის ნებაყოფლობითი დანებება კომუნისტურ რეჟიმთან იმ მოტივით, რომ ასე ცოტა დროს მოკლავდა და მიზანს უფრო დაუახლოვდებოდა, თავის მოტყუება იყო მხოლოდ. მან თავის წარსულზე აღმოცენებული სტიმული და მასზე დაფუძნებული მიზანი, ამგვარი აწმყოთი შეაზავა, რომლის საფასურადაც მეტი სულიერი სიმშვიდე მოიპოვა. არც გაემტყუნებოდა, რადგან ისიც ადამიანი იყო და უბრალოდ, დაიღალა. ულმობელი ცხოვრება კი ხვალიდან მთელი სისწრაფით დაიძვრებოდა წინ და ყოველი მისი დღე ქანცგამოლეულ ანტონს ფიქრის უნარს წაართმევდა, რითაც ნელ-ნელა და შეუმჩნევლად დააშორებდა თავის ოცნებადქცეულ სიყვარულს.

ჯერ კიდევ არ იყო ადამიანების მიმოსვლით ქუჩა გადატვირთული, როცა დილაადრიან, სახლიდან გამოსული სავიჩევი ავტობუსის გაჩერებისკენ გაემართა. ის მიდიოდა მხნედ და სახეზე ეტყობოდა, რომ სიხარულით მიიჩქაროდა სადღაც. დიახ, ასე იყო, რადგან ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მას არც კლასელები, არც მეგობრები, ნაცნობები და მეზობლებიც კი არ ეკონტაქტებოდნენ, თუ არ ჩავთვლით იმ ფარულად ნასროლ მისალმებას ვინმესგან, ან აუცილებლობით გამოწვეულ მეზობლურ ურთიერთობებს. მისი ერთადერთი დამლაპარაკებელი და ხმის გამცემი იყო თავისი კარის მეზობელი მოხუცი ქალბატონი, რომელსაც დედის გარეშე დარჩენილი ყმაწვილი ეცოდებოდა და ხშირად ცხელი საჭმლით ხელში სტუმრობდა მას. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, სიხარულით წავიდოდა სამსახურში, სადაც ერთობ თბილი და კონტაქტური ადამიანებით დაკომპლექტებული კოლექტივი ეგულებოდა.

მისთვის ახლა ყველაზე მთავარს, ადამიანებთან ურთიერთობა წარმოადგენდა და სრულებით არ ანაღვლებდა პირველი სამუშაო დღის შემდეგ ატკივებული კუნთებისგან გამოწვეული დისკომფორტი.

ასეთ ვითარებაში გავიდა ექვსი თვე. ამ დრომ ისე სწრაფად გაირბინა, რომ ანტონმა თავისი ცხოვრების რადიკალური ცვლილება ვერც კი გაიაზრა. ამაში საოცარი არაფერია, რადგან სიცოცხლეს შინაარსი მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა მისი მესაჭე თვითონ ხარ, მის ზიგ-ზაგებს თავად შეიგრძნობ და დაბრკოლებების გადალახვას საკუთარი უნარით ახერხებ. ხოლო მაშინ, როდესაც ხსენებულ მესაჭეობას თმობ და ულოკომოტივოდ, ინერციით მოძრავ ეშელონში ნებით ერთვები, შენში აზროვნების ადგილს რეფლექსი და ინსტინქტი იკავებს, რაც საბოლოოდ ადამიანის ფორმის ცხოველად გაქცევს. შენი ეშელონი კი, უღიმღამო დროის ფაქტორის გათვალისწინებით, უსწრაფესად მიგიყვანს სიკვდილთან, რომლის წინაშე მდგარსაც, აუცილებლად მოგეცემა უკან გახედვის საშუალება. იქიდან კი უმალ მიიღებ ასეთ პასუხს: შენ არაფერი განგიცდია, რადგან შენით არაფერი შეგიქმნია! შენ არაფერი დაგინახავს, რადგან ეშელონში ჩაბმულს ცხოვრების დინება მიგაქანებდა და საკუთარი ხედვა არაფერში გჭირდებოდა! შენი გული ადამიანის მიმართ ჭეშმარიტი გრძნობით არასოდეს შეტოკებულა, რადგან ამ მხრივ, "სამშობლოსადმი" სიყვარულს ანიჭებდი უპირატესობას! ამიტომაც, იმის გამო, რომ შენს გონებრივ საცავში არ აღმოჩნდა ერთი მცირედი განცდაც კი, შენი თვალიდან აღქმული ერთი მნიშვნელოვანი კადრიც კი არ შემორჩა შენს თვალსაწიერს და შენს გულში კი, მირაჟზე დაფუძნებული გრძნობა იქნა აღმოჩენილი, რომელიც იმ მირაჟის გაქრობასთან ერთად წაიშალა, ვასკვნით, რომ შენ, როგორც ადამიანს, არ გიცხოვრია!

აი, ასეთ მარათონში ჩაება ანტონ სავიჩევი, სადაც თითოეული მარათონელისთვის დრო იმდენად უფერულად გადის, რომ მათ თვალწინ გადაშლილი ეს საოცარი სამყარო, შეუმჩნეველი რჩებათ.

მორიგი დილა გათენდა. ეს დღე ანტონის მუშაობის დაწყებიდან ერთი წლისთავს აღნიშნავდა. მართალია, ის ძველებურად აღარ იღლებოდა, რადგან ექვსი თვის წინ უკვე ბრიგადირის თანამდებობაზე დანიშნეს, მაგრამ მისი სამუშაო გარკვეულ ენერგიას მაინც მოითხოვდა. რეზინის ჩექმები ხომ ნამდვილი კატასტროფა იყო მისი ფეხებისთვის, რომლებსაც სახლში მისვლისთანავე თბილ წყალში დგამდა, რადგან თითქოს ადგილ-ადგილ ნემსებივით ჩხვლეტდა ხოლმე დღის ბოლოს. ამ ხერხს მიმართავდა ყოველთვის, როცა კი ამ კუთხით პრობლემა ექმნებოდა, რადგან ეს ძალიან დიდ შვებას აძლევდა. ერთ საღამოს, როდესაც სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა, მარჯვენა ფეხი ოდნავ წამოსტკივდა. ანტონი ავტობუსიდან ჩამოვიდა და სწრაფად გაემართა თავისი კორპუსის სიახლოვეს მდებარე მაღაზიისკენ, რათა საჭირო პროდუქტები ეყიდა და მალე ასულიყო სახლში. მაღაზიიდან რომ გამოდიოდა, საპირისპირო მხრიდან მომდინარე კაცი შენიშნა, რომელიც ჯოხის დახმარებით ერთ ფეხს ძლივს მოათრევდა. რატომღაც იმ დროს და იმ ადგილზე სხვა არავინ მოძრაობდა და ისე იყო, რომ ისინი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდნენ. მართალია, სულ მცირე ხანში მამაკაცი საგრძნობლად გამხდარიყო და მოტეხილიყო, მაგრამ სავიჩევმა მასში პროფესორი ალექსანდრე თვალავაძე მაინც ამოიცნო. თავის მხრივ, პროფესორმაც იცნო აბიტურიენტი და უფრო ჯიქურ გაემართა მისი მიმართულებით. ანტონმა თავი დაღუნა და სცადა, ისე გაევლო, რომ იქნებ ვერ ეცნო მისთვის არასასურველ პიროვნებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ალექსანდრე გაუსწორდა თუ არა მას, რიხით შესძახა:

– ყმაწვილო!

ანტონმა თავი ასწია.

– გისმენთ, ბატონო! – უთხრა და თვალი-თვალში გაუყარა პროფესორს.

– არ მითხრა ახლა, ვერ გიცანიო! – ცინიკურად მიმართა თვალავაძემ.

– გიცანით, ბატონო! – არ დათმო პოზიცია სავიჩევმა.

– ააა, მიცანი, მაგრამ მოსალმებას არ აპირებდი! – წაუსისინა ალექსანდრემ.

– დაახლოებით, ასეა. – მიუგო ანტონმა, რომელსაც თვალი

არ მოუცილებია მისთვის.

– რა თქმა უნდა, იმის შემდეგ, რაც შენ გააკეთე, წესით უნდა ამრიდებოდი. – ჩაილაპარაკა სერიოზული სახით პროფესორმა.

ანტონის გონება უსწრაფესად დააცხრა თვალავაძის მიერ წარმართულ მისაღებ გამოცდას უნივერსიტეტში და თავის გამოსვლას კიდევ ერთხელ გადახედა კრიტიკული თვალით. მან კვლავ ვერ აღმოაჩინა საკუთარი "შეცდომა" გამოცდის პროცესში და სამ-ოთხ წამში პასუხი შეაგება პროფესორს.

– რას გულისხმობთ, ბატონო? უნივერსიტეტის კედლებში შესვლა არ მაღირსეთ, სწავლის გზა გადამიკეტეთ, სიცოცხლის უფლება წამართვით და აქეთ მდებთ ბრალს?!

თვალავაძე შეცბა. მისი სახის გამომეტყველების ასეთი უეცარი ცვლილება, თითქოს უკან დახევას მოასწავებდა, მაგრამ მთლიანად არ დათმო შეტევითი ხაზი, თუმცა დაწყებული სახით ვეღარ გააგრძელა სათქმელი:

– მინდოდა, შეგხვედროდი და თვალებში ჩამეხედა შენთვის. არც კი მჭირდებოდა ეს, რადგან ისედაც ვგრძნობდი, რომ შენს მეტი ამას ვერავინ გააკეთებდა, მაგრამ ახლა ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ შენ ხარ ის, ვინც ამ დღეში ჩამაგდო.

სავიჩევს თვალი გაუშტერდა პროფესორზე, რადგან გონებიდან ამოტყორცნილ ფიქრებს მიჰყვა მისი აზროვნება, რომელმაც უმალ მიიყვანა გაზეთ "იზვესტიას" პრიზზე წარმოდგენილ საჭადრაკო ამოცანებთან.

ფიზიკურად განადგურებული უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი კი განაგრძობდა:

– ეს ცხოვრება, სამწუხაროდ, ასე ყოფილა მოწყობილი და ეს ყოფილა მისი კანონზომიერებაც – ვისაც რა შეგვიძლია, იმას ვიქმთ. – ჩაილაპარაკა ბოლო სიტყვები შედარებით ჩუმად, კიდევ ერთხელ შეათვალიერა თვალგაშტერებული სავიჩევი და უფრო მეტად გაძნელებული სვლით გაეცალა თავის ყოფილ აბიტურიენტს.

დარჩა ანტონი გახევებული და გაშეშებული.

ქუჩაზე კვლავ არავინ მოსჩანდა იმ ორი ადამიანის გარდა, რომელთაგან ერთი ფეხებისთრევით მიფლარტუნობდა, ხოლო

მეორე – უძრავად იდგა. სწორედ მათ შორის და სწორედ ამ ადგილზე, რამდენიმე წუთის წინ საოცარი დრამა გათამაშდა, რომელმაც მთელი თავისი "მშვენიერებით" წარმოადგინა საბჭოეთის დაფარული სისტემის არსი.

უსიცოცხლოდ აიარა კორპუსის ოთხი სართული ანტონმა და სახლის კარი გუნებაწამხდარმა შეაღო. პროდუქტები სამზარეულოში დაალაგა. შემდეგ ქურთუკი და ფეხსაცმელები გაიხადა და აბაზანაში შევიდა. რამდენჯერმე შეისხა პირზე წყალი. თითქოს ცდილობდა, გამოგონებულიყო, მაგრამ უჭირდა გაფანტული აზროვნების მობილიზება. ვერ იქნა და ვერ მოიშორა თვალიდან გაუბედურებული ალექსანდრეს სახე. არანორმალურად განიცდიდა თავის საქციელს, რომელმაც პროფესორის ამჟამინდელი მდგომარეობა განსაზღვრა. ანტონმა ხელ-პირი შეიმშრალა, მისაღებ ოთახში წელში მოღვენთილი გამოვიდა და დივანზე ნამთვრალევივით მიეგდო. სინდისის ქენჯნამ ისეთი საშინელება დაუტრიალა გონებაში, რომ საკუთარი თავის გაკიცხვაც კი ვერ შეანელებდა მის გააფთრებულ მოწოლას. უეცრად, მოქუფრული სახე გაეშალა ანტონს, რომელიც ძნელად შესამჩნევმა ღიმილმა მაშინვე დაიპყრო. ეს იმ მცირე და მოკრძალებულმა სიხარულმა გამოიწვია, რაც მის ამ გაფიქრებას მოჰყვა: "მაშ, მე გავიმარჯვე საკავშირო საჭადრაკო ამოცანების კონკურსში?!" – და კვლავ ახმაურდა სინდისის დაფდაფები, რომელმაც უკვე გარკვევით და მძაფრად შემოუძახა თავის პატრონს: "კი, შენ გაიმარჯვე, მაგრამ ადამიანის მოსპობის ხარჯზე!" – სავიჩევს ათი წამიც კი არ დასცალდა გამარჯვების სიხარულის შეგრძნება, რომ იმავე სინდისმა ასეთი განაჩენი გამოუტანა: " ხვალ სამსახურში არ წახვალ და მთელ დღეს დაუთმობ შენს მიერ ჩადენილი ბოროტების გასიგძეგანებას, თუ რა მოაქვს ადამიანებისთვის ზოგადად ბოროტებას. ამავე დროს, როცა რაიმე ცხოვრებისეული სიხარული გეწვევა, მაშინვე გაგახსენებ ალექსანდრე თვალავაძეს, რადგან სიხარულის დროსაც იფიქრო, რომ ყოველთვის ერთი ნაბიჯი გაშორებს ასეთ ქმედებას, რამეთუ, დაზღვეული არ ხარ, რომ იმ მდგომარეობაშიც არ გაგამწარებს ვინმე.

ანტონ სავიჩევის ცხოვრებაში თითქოს რაღაც ეტაპი დას-

რულდა და დაიწყო ახალი, არაფრისმთქმელი მარათონი, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდებოდა წინა პერიოდისგან, რომ ისედაც სერიოზული ყმაწვილი, უფრო დასერიოზულდა. რაც შეეხება მის ჯანმრთელობას, ფეხების ტკივილმა ნელ-ნელა უმატა და სამუშაოს დაწყებიდან, დაახლოებით, ექვსი წლის შემდეგ, ანტონი უკვე ჯოხის დახმარებით გადაადგილდებოდა. ამ ხნის განმავლობაში, რამდენჯერმე იმკურნალა, რაც პერიოდულად აძლევდა კიდეც შვებას, მაგრამ მთლიანად გამოჯანმრთელების პერსპექტივა, ჯერ-ჯერობით მედიკამენტოზურმა მკურნალობამ ვერ გამოავლინა. ასე გადიოდა დრო და მისი ფიქრი, რომ დრო რაღაცას შეცვლიდა, ჯერ კიდევ აუსრულებელი რჩებოდა.

ერთ საღამოს ძალიან დაღლილი დაბრუნდა სამსახურიდან და სახლში მისვლისთანავე სავარძელში ისე მკვდარივით ჩაესვენა, ფეხსაცმლის გაძრობაც კი ვერ მოახერხა. ძალაგამოცლილს მალევე ჩაეძინა და სიზმარში დედა ნახა. უფრო სწორედ, ის მომენტი იხილა, ჯარში წასვლის წინ რომ მოძღვრავდა მშობელი. ანტონი ძლივს გამოერკვა ძილბურანიდან და თითქოს შეამცივნა კიდეც. ძილიდან გამორკვევისთანავე, ერთ ადგილზე გააშტერა თვალი. მერე გაჭირვებით წამოდგა ფეხზე, მაგრამ ნაბიჯი არ გადაუდგამს, გაჩერდა. ცოტა ხანში სახე მოეღუშა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მეხსიერების ბილიკებით იმ შორ გზას დაადგა, რომელსაც დედასთან უნდა მიეყვანა. უცებ რაღაც იაზრა, ნელი მოძრაობით შებრუნდა და დედის ოთახისკენ გაემართა. კარი ფრთხილად შეაღო და სანამ ზღურბლს გადააბიჯებდა, იქაურობა მოათვალიერა. მისი მარტო ცხოვრების პერიოდში დღე ისე არ გავიდოდა, დედის ოთახში რომ არ შემოეხედა. ხშირად ისიც ხდებოდა, რომ ნინა მაქსიმოვნას სავარძელში, სადაც ახლა ჩაჯდა, საათობით მჯდარს უფიქრია წარსულზე, თუ მომავალზე. ასე რომ, ეს კედლები, ნინადან მოყოლებული, იდუმალი მესაიდუმლესავით ინახავდა მათ ფიქრებს, ცრემლსა თუ გოდებას, რადგან ეს სახლი ხომ საბჭოთა სისტემისაგან გაუბედურებული ორი ადამიანის ერთადერთი ნავსაყუდელი იყო.

ანტონის გონება თითქოს ნელ-ნელა გადადიოდა ტრანსში

და იმ მომენტს უახლოვდებოდა, ჯარში წასვლის წინა დღეს დედის წინაშე რომ იდგა და მისგან დარიგებას ისმენდა. კიდევ რამდენიმე წამი და მის წარმოდგენაში სრულად აღსდგებოდა აწ გარდასული სურათი თავისი ხმებით აჟღერებული. წარსულიდან გამოწვეულმა ხმამაც დიდად არ დააყოვნა და წლებისგან წარმოქმნილი ლაბირინთები უსწრაფესად გამოიარა. სავიჩევს უკვე გარკვევით მოესმა დედის საოცარი ხმის ტემბრი:

– ადამიანში ყოველთვის მხიბლავდა აზროვნება და სიმამაცე. ვოცნებობდი, რომ შენ, ჩემი ერთადერთი შვილი ასეთი ყოფილიყავი.

აქამდე ოდნავ დაძაბული ანტონი ცოტა მოეშვა, სავარძლის საზურგეზე უფრო თავისუფლად გადაწვა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ადამიანში სიმამაცე და აზროვნება მაშინ კარგავს თავის მნიშვნელობას, როდესაც მისი გამოვლენისთვის უმცირესი ასპარეზიც კი არ არსებობს. მე ყველა გზა ამოქოლილი მაქვს, დედი, და ამდენად, ეს უნარები ჩემთვის უკვე გამოუსადეგარია. – ამოთქვა დანანებით ანტონმა და მისი თვალთახედვა ისევ გარდასულ კადრებში აირია, რასაც მალევე მოჰყვა კიდეც ხმა:

– იმპერიის საზღვრებში მცხოვრები უამრავი ისეთი ადამიანი, რომლებიც საკუთარ მიზნებს სისტემის მიერ დანერგილი ცხოვრებისეული წესების გვერდით განიხილავენ, მაშინვე აწყდებიან უტოპიას, რის შემდეგაც იწყებენ შუალედური ფორმის ძიებას და ბოლოს, თავიანთი მიზნების გაუფერულების ხარჯზე, ნელ-ნელა ეგუებიან მონობას. აი, აქ იკვეთება ჩემი სურვილისა და რეალური ცხოვრების გზები. აქ ეწინააღმდეგება ერთმანეთს ჩემი დედური ინსტინქტი და მომავლისადმი რწმენა. სწორედ დღეს, პირველად ვერ გირჩევ, რომელია უკეთესი, რადგან ტანჯვასა და მონობას შორის არჩევანის გაკეთება მიჭირს.

უეცრად მოგუდული ღმუილით წამოიჭრა ანტონი და მისაღებ ოთახში გავარდა. ორივე ფანჯარა გამოხსნა და გარედან შემოჭრილ ჰაერს მიეძალა. მის გონებაში ვულკანივით ამოფრქვეულიყო რეალობის განცდა, რომელსაც წამებში ჩაეხერგა წარსულთან დამაკავშირებელი მთავარი არტერია.

– მაშ, ახდა ნინა მაქსიმოვნას სიტყვები?! – გამოსცრა კბილებიდან ანტონმა და ოთახისკენ შებრუნდა. – ესიგი, ისე ვიქეცი მონად, რომ ვერ გავიგე და სხვა მონებთან ერთად, ანუ უუფლებო საბჭოთა მოქალაქეების გვერდით, ყოველ დღე ველი მიზნის აცხადებას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც სწავლის გზა სამუდამოდ გადამიკეტეს; ეს ხდება მაშინ, როდესაც მოსკოვიდან გამომაძევეს და იქ, რაც არ უნდა ვიღონო, ვეღარასოდეს დავადგამ ფეხს; გამოდის რომ, არაფრისგან ვქმნი მიზნის მიღწევის პერსპექტივას და მეტიც, ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ დრო მიმიყვანს იქამდე. დიახ, ეს იმ დროს ხდება, როცა დედა სამუდამოდ გამიქრეს და მიცვალებულად გამომიცხადეს. – ანტონის დაბნეული გამომეტყველება დამაჯერებელმა იერმა შეცვალა, რასაც მაშინვე მოჰყვა უკვე სერიოზული კითხვები: – ვის ველი და რას ველი? ვისგან ველი და რას ვაკეთებ? მონადქცეული ადამიანის ფსიქოლოგიით ვიცხოვრე ამდენი წელი და რომ არა ეს სიზმარი, კიდევ დიდხანს ვიქნებოდი ბურანში. მორჩა, დამთავრდა ძველი ცხოვრება! არავითარი სამუშაო! სხვა გზას უნდა დავადგე! – ჩაილაპარაკა სავიჩევმა და ნინა მაქსიმოვნას სიტყვებიც უმალ მისწვდა მის ყურს:

– სწორედ დღეს, პირველად ვერ გირჩევ, რომელია უკეთესი, რადგან ტანჯვასა და მონობას შორის არჩევანის გაკეთება მიჭირს.

ხმა როგორც კი გაქრა მისი შინაგანი ყურთასმენიდან, გაგრძელების ინიციატივა ისევ თვითონ აიღო:

– დავიჯერო, მხოლოდ ტანჯვასა და მონობაზეა ჩვენი მთელი ცხოვრება აგებული და სხვა მიმართულება აღარ არსებობს? – ამოთქვა შედარებით გამართული ხმით ანტონმა და სიცოცხლეში პირველად შეიტანა ეჭვი დედის სიტყვებში. ამის შემდეგ ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. სიარულის დროს ხანდახან ჩერდებოდა, სახეზე ეტყობოდა, რომ გონებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების კარიბჭეს მისდგომოდა, რომლის გადასალახად, საჭირო ფონს საკმაოდ დიდხანს ეძებდა. უეცრად რაღაც იაზრა და იქ დაასრულა ყველაფრის განსჯა. სწრაფად გამოიცვალა ტანსაცმელი, თმები შეისწორა და სახლის კარი მიიხურა.

მშვიდი საღამო იყო. ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებული ხეების ფოთლებს წყნარი სიო აშრიალებდა, რომლის სასიამოვნო ხმაურშიც, ქალაქის თავზე დაკიდებულ ცის თაღს უჩუმრად ბინდი შემოჰპარვოდა. სამსახურიდან დაბრუნებული დაღლილი ადამიანები კანტი-კუნტად მოსჩანდნენ ქუჩაზე, რომელთა შორის, ჯოხით ხელში ერთი ახოვანი ახალგაზრდაც მიბაკუნობდა.

სავიჩევი ავტობუსიდან ჩამოვიდა და ერთ-ერთი სახლის ჭიშკარზე გარედან მიმაგრებულ ზარის ღილაკს თითით დააწვა. ორიოდე წუთში მისი ხნის ახალგაზრდამ გამოხსნა კარი და ანტონი რომ დაინახა, ცოტა შეცბა.

– ანტონ... – გაკვირვებით წარმოთქვა ბიჭმა და უხერხულად აიწურა.

– გამარჯობა, ძმაო! – უთხრა სავიჩევმა და თან დაამატა. – სალაპარაკო მაქვს შენთან და სახლში თუ მიმიღებ?

– რა თქმა უნდა. – იქით-აქეთ აათამაშა თვალები მასპინძელმა, კარი უფრო ფართოდ შეხსნა და თავადაც უკან დაიხია. აშკარად შეეტყო, რომ ანტონის ხილვა მაინც და მაინც არ ესიამოვნა.

– ნათქვამია, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო. და თუ ეს ასეა, ჩვენც გვქონია ურთიერთობის საფუძველი, რომელიც, მართალია, დროებით შეწყდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გაქრა ჩვენს შორის. – უთხრა ანტონმა, როდესაც ბავშვობისა და სკოლის მეგობრის სახლში, პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში ჩამოსხდნენ. – ასე არ არის, ბონდო? – დაამთავრა სავიჩევმა და სერიოზული მზერა გაუსწორა მეგობარს.

– ასეა, ანტონ და ამას არაფერი შეცვლის, – პატარა პაუზა გააკეთა და კვლავ უხერხულად აიშმუშნა ბონდო. – მაგრამ ცხოვრება ისეთია, რომ ყველას სხვა და სხვა გზაზე გვაყენებს.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ანტონმა, რომელიც ასეთ პასუხს არ მოელოდა.

– როგორ გითხრა, – ენა დაება ბონდოს, რომელიც თავის მხრივ, ასეთი შეკითხვისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. – ცხოვრება ხშირად აშორებთ ადამიანებს და ეს, მე მგონი, არც არის გასაკვირი. – სცადა სიტუაციიდან თავის დახსნა და მოუ-

ლოდნელ და არასასიამოვნო სტუმარს შეჰღიმ-შესცინა.

– არა, ბონდო, ადამიანებს ცხოვრება არ აშორებთ ერთ-მანეთისგან. ადამიანები თავად შლიან ზოგჯერ თავის წარ-სულს და გულიდან იგლეჯენ იმ სიყვარულს, რომელიც სწორედ იმ ცხოვრებისეულ გზაზე უშლით ხელს. ასე რომ, გაციებულა ბავშვობისდროინდელი გრძნობები შენს გულში და ტყუილად მოვსულვარ მე აქ მის საძებნელად.

ანტონი წამოდგა და ოთახის მიხურული კარისაკენ გაემარ-თა, რომ ამ დროს, თითქოს უეცრად გონს მოსული ბონდო ფეხზე წამოიჭრა და გასასვლელში წინ გადაუდგა მეგობარს.

– გთხოვ, ცუდად ნუ გამიგებ ამას. მე არც წარსული გადამიშლია და არც სიყვარული ამომიგლეჯია გულიდან. არ გასულა დღე, რომ შენზე არ მეფიქროს და სინდისს არ შევეწუ-ხებინე. ამ გრძნობას ვერასოდეს წამართმევს ვინმე, მაგრამ იმის გამო, რომ ხელისუფლებასთან პრობლემები გქონდა, ყველა და მათ შორის მეც, მოვერიდეთ გართულებებს. ცხონებული გოგი, რომელსაც მე ვუვლიდი ბოლომდე, სიკვდილის წინ გამიმხილა, რომ მას უთქვამს სახლში მამაშენის შესახებ და ამ წინდაუხე-დაობით დაულუპიხარ, რადგან ნათესავიც ყოფილა მათი იქ იმ დროს და მას გაუტანია ეს ამბავი. ძალიან განიცდიდა რაღაცას და არ ვიცოდი, რა იყო ამის მიზეზი. ბოლოს მითხრა: ანტონს გადაეცი, რომ მისი სიყვარული არასოდეს გამნელებია, მაგრამ მის წინაშე დამნაშავე ვარ. პატიება სთხოვე ჩემგან, შემინდოს ეს უნებლიე და უდიდესი დანაშაული, რომელსაც, ალბათ, სა-კუთარი სიცოცხლითაც კი ვერ გამოვისყიდიო. ამ სიტყვების შემდეგ აღესრულა გოგი და მინდოდა, ეს შენც გცოდნოდა, მაგრამ ვერ მოვბედე შენთან მოსვლა. შარშან სამედიცინო ინ-სტიტუტი დავამთავრე და ახლა ორდინატურას გავდივარ. ერთ წელიწადში დამოუკიდებელი ექიმი ვიქნები და არ მინდოდა, ამ-დენი წვალების წყალში ჩაყრა. მიუხედავად ამისა, მეც პატიებას გთხოვ ამისათვის, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ყოფა და ვერავითარი წინააღმდეგობით ვერ შევცვლით ჩვენ მას.

ანტონს ბოლო რამდენიმე წინადადება აღარ გაუგია. ის რაღაც მომენტში წაბორძიკდა და რომ არ წაქცეულიყო, იქვე ახლოს მდგარ სკამზე დაეშვა. გული აუჩქარდა და სუნთქვა

გაუჭირდა. ხელის აწევით ანიშნა მეგობარს, რომ გაჩერებუ-ლიყო, რომელიც ისევ აგრძელებდა საუბარს. შემდეგ პერანგის მაღლითა ღილი შეიხსნა და შუბლი მოისრისა. ეს მოხდა სულ რამდენიმე წამში და როცა ბონდო გონს მოეგო, დაფეთებულმა გაუსინჯა მაჯა და წამალი მოურბენინა. თხუთმეტი წუთის შემ-დეგ უკვე გამოკეთებული ანტონი უჩუმრად ადგა და წასასვლე-ლად გაემზადა. ეზოში რომ გავიდა, მეორე სართულის აივნიდან ფეხის ხმა მოესმა და უნებლიედ მაღლა აიხედა. იქიდან ოჯახის უფროსი, ანუ კლასელის მამა გადმოჰყურებდა.

– როგორ ბრძანდებით, ბიძია გურამ? – შეჩერდა სავიჩევი და ორივე ხელით ჯოხს დაეყრდნო.

– არამიშავს... – მკაცრი სახით გადაუგდო სიტყვა დაბლა მდგომ სტუმარს, თავი გვერდით მიაბრუნა და გზისკენ მიაპყრო მზერა.

სავიჩევი ჭიშჯარში რომ გადიოდა, ნახევრად შემობრუნდა, მეგობარს დამშვიდობების ნიშნად თავი ოდნავ დაუკრა და შე-ძლებისდაგვარად სწრაფად განაგრძო სვლა. სანამ იქაურობას გასცილდებოდა, დაბნეულმა ბონდომ მაინც მოახერხა ბოლო სიტყვების ჩუმად მიძახება:

– იცოდე, თუ რამე იქნება, მე ვიტყვი, რომ ფეხის ტკი-ვილის გამო მომაკითხე და მე სტაციონარში წასვლა გირჩიე უფრო კვალიფიციურ ექიმთან.

ანტონს გონება იმდენად დამძიმებული ჰქონდა, რომ ბონდოს სიტყვებისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, გზის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და ავტობუსის გაჩერებაზე მდგარ ხალხს შეერია.

ნახევრად გათიშულ მდგომარეობაში მყოფი სავიჩევი ავტო-ბუსით მიდიოდა სახლისაკენ და ფანჯარასთან მჯდომს შუშაზე მიედო თავი. ის ფიქრებიდან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო, რადგან ასეთი სულიერი დარტყმა, დედის გარდაცვალების ცნობის შემდეგ არ მიუღია. სახლში რომ მივიდა, დივანთან კინაღამ ჩაიკეცა, რადგან ამ გამანადგურებელი სტრესის შემ-დეგ, მას ფიზიკური ძალაც კი აღარ შერჩენოდა. დაჯდომისთა-ნავე, წლობით მის გულში დაგროვებულმა ჯავრმა, ღრია-ლის სახით იფეთქა მისი ხორხიდან. პირველად ტიროდა ასე

მოთქმით ანტონი, რომელმაც ისღა მოახერხა, რომ ცრემლით დასველებულ სახეზე ორივე ხელი აიფარა. თითქოს შერცხვაო საკუთარი თავის, როდესაც ეს მორიგი ცხოვრებისეული დაბრკოლება ვეღარ გადალახა. ანტონი ძალიან დაიღალა. მის ადგილზე, სხვა ამდენსაც ვერ შეძლებდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, ყველა მისმა კლასელმა თუ მეგობარმა იცოდა ხელისუფლებასთან მისი პრობლემების შესახებ და ამიტომ არავინ ეკონტაქტებოდა. პირიქით, თუ სადმე ვინმე თვალს მოჰკრავდა, მეორე მხარეს გადადიოდა. ხალხი თავს არიდებდა და გაურბოდა მასთან ყოველგვარ ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, ის იყო მარტო სული, რომელსაც ყველა ცხოვრებისეული საკითხის გადაწყვეტა, ფიქრი თუ განსჯა, თვითონ უხდებოდა. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საზოგადოების მხრიდან იგნორირება თავისთავად უკვე სტრესია, ადვილი წარმოსადგენია, ამ წლების განმავლობაში, რა დონეზე უნდა დამუხტულიყო მისი გონება. ამ განმუხტვას შველის ერთადერთი წამალი, რომელსაც ადამიანი ჰქვია სახელად. დიახ, მას სჭირდებოდა ვინმე გულშემატკივარი, რომელთან ერთადაც იმსჯელებდა მომავალზე, რადგა მან აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება. სწორედ ამის გამო წავიდა ბონდოსთან, რომელიც გოგის შემდეგ ყველაზე სანდო და ახლობელ მეგობრად მიაჩნდა. იქ კი რა დახვდა? საცოდავი გოგის დანაბარები და პლუს ამას, საბჭოთა მლიქვნელად გარდაქმნილი ბონდო. ეს ლაბირინთიდან თავის დაღწევის ბოლო ცდა იყო, რის შემდეგაც, მისი გონება აბსოლუტურ ვაკუუმში მოექცა. ეს ის მომენტია, როდესაც აზროვნების ჰორიზონტი მთლიანად ქრება და გონება იძულებული ხდება, თავის წიაღში მყარად ჩაბუდებულ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტს დაემორჩილოს. ანტონ სავიჩევის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე დრო დამდგარიყო – ინტელექტი გზას უთმობდა ინსტინქტს.

და დაიწყო ახალი მარათონი, რომელმაც გონით აღქმული სამყაროდან, თვალით დანახულ სამყაროში გადაინაცვლა. აქამდე თუ მომავლის სხივი ანათებდა დასახული მიზნის მისადგომებს და მისკენ ჭეშმარიტ ღირებულებებზე მორგებული ქცევებით მიიწევდა, ახალ მარათონში აღარც ღირებულებებს

ჰქონდა ფასი და მომავლისკენ მიმართული სხივიც გვარიანად მინავლებულიყო. იჯდა ანტონი გზაგასაყარზე გარინდებული, როცა დრომ მიაკითხა და უკეთესი მდგომარეობის მოსაპოვებლად, საკუთარი თავი მსხვერპლად შესთავაზა. დიახ, დროის აზრით, სულიერად და ფიზიკურად რომ გადარჩენილიყო, მსხვერპლი უნდა შეეწირა. ყველანაირად დაუძლურებული სავიჩევი ამ შეთავაზებას დათანხმდა, შემართულად წამოდგა ფეხზე და თავისი კორპუსის წინ მდებარე მაღაზიიდან ერთი ბოთლი კონიაკი ამოიტანა. ეს დროის მოკვლის ყველაზე იდეალური საშუალება იყო. ჭიქაში ჩამოსხმული კონიაკი პირთან მიიტანა თუ არა, შეჩერდა, რადგან მის თავში კიდევ მოხდა მცირე საბრძოლო შეტაკება, მაგრამ ძალთა თანაფარდობა იმდენად განსხვავებული იყო, რომ ანტონმა უმალ გამოცალა სასმისი. ერთ ჭიქას მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამე, მეოთხე და ბოთლიც დაიცალა. სიმთვრალეც ქარიშხალივით მოიჭრა მის გონებაში, რომელმაც თან მოიყოლა მთელი რიგი მოგონებები. ო, რა ტკბილი და სასიამოვნო ყოფილა წარსულში ამ ფორმით გასეირნება! – აღმოხდა მთვრალ გონებას და თავდავიწყებით გადაეშვა ილუზიურ სამყაროში წარმოდგენილი საყვარელი ადამიანების გარემოცვაში. პარალელურად, მან ხელის რადიო მოიმარჯვა, რომელსაც მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად იყენებდა, მუსიკის არხი მოძებნა და ჰანგების თანხლებით აწ გარდასული ამბების გასახსენებლად დივანზე გადაწვა. გაიხსენა დედა და მისგან დანატოვარი მრავალი სიტყვა, რომელთა შორის, ერთ-ერთი ნათქვამი რამდენჯერმე დაატრიალა თავში. “თუ გაგვწირავას ბედი და ერთმანეთს დროებით დაგვაშორებს, იფიქრე, რომ დედა შენს საშველად მაინც მოვა.” – აი, ამ სიტყვებზე გადაეწყო საკმაოდ მთვრალი სავიჩევი და უნებლიედ აღმოხდა:

– დარწმუნებული ვარ, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი და ვიცი, რომ შენ მაინც დაბრუნდები. ვიცი, რომ უნდა გელოდო, რადგან მე სხვა გზა არ მაქვს. შენ საოცრად ძლიერი ქალი ხარ. იცი, რომ მე მოუთმენლად გელი და ვგრძნობ, რომ დიდხანს აღარ მალოდინებ. ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით. არაუშავს, ეს დროებითი დაშორება ვერაფერს დაგვაკლებს, ჩვენს დე-

და-შვილობას ვერ შეარყევს. – ჩურჩულებდა თავისთვის ანტონი და მის სახეზე, დრო და დრო, ცრემლის მოზრდილი კურცხალები მოგორავდა.

ცოტა ხანში კატიასკენ გადაინაცვლა მისმა მეხსიერებამ. აი, აქ უკვე თვალები მოხუჭა სავიჩევმა და თოკჩაბმული ზვარაკივით მიჰყვა კატიას სიყვარულისგან აშლილ ემოციას.

შუაღამემდე იცურა ანტონმა სიამოვნების მორევში, რომლის ტრიალსაც საბოლოოდ დაჰყვა და ფსკერამდე მიაღწია. მას ისე უეცრად მოერია ძილი, რომ ტანსაცმლის გახდა ძლივს მოახერხა. თვითონ კი ვერ გრძნობდა დაღლას, მაგრამ ორგანიზმმა უჩვეულო რეჟიმზე გადართვას ვეღარ გაუძლო და დაწოლისთანავე ძილის გზას გაუყენა თავისი პატრონი.

დილა რომ გათენდა, თვალის გახელა არ უნდოდა ანტონს, რადგან გრძნობდა, რომ მისი გუშინდელი მოქმედება, მისთვისვე არ იყო მისაღები. მეორე მხრივ, ვერ უარყოფდა გუშინ მიღებულ იმ სიამოვნებას, რომელმაც წლებისგან ნაგროვები კოშმარი ერთი ხელის მოსმით დაავიწყა და მისი ტვირთი უმისამართოდ მოისროლა. ახალმა გამოფხიზლებულმა კაცმა, როგორც კი პარალელი გაავლო გუშინდელ სასიამოვნო დღესა და დარდითა და ვარამით სავსე წარსულ დღეებს შორის, სწრაფად წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა და მაღაზიიდან კონიაკი ამოიტანა. ბოთლი სამზარეულოში მაგიდაზე დადგა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა. ერთხანს კიდევ ჩაფიქრდა და იქიდან გამოგონებულმა, სასმელის დალევის დღის რეჟიმი დააწესა. ისე უნდა გაენაწილებინა კონიაკი, რომ მთელ დღეს კარგ განწყობაზე ყოფილიყო. ამ რეჟიმში თავიდანვე ჩადო ის მექანიამზი, რომ დაწესებული ზღვარისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა, რადგან კარგად იცოდა, რომ ეს იქნებოდა მისი სულიერი კატასტროფა. ასეთი ხერხით უმტკივნეულოდ გაიყვანდა დროს და ის საშველი კი, მასში ნინა მაქსომოვნას გამოჩენის სახით რომ არსებობდა, თავისით დადგებოდა. სიმთვრალეში ისიც კი ირწმუნა, რომ არა მარტო დედა დაბრუნდებოდა, მამა და კატიაც მოძებნიდნენ ამასობაში. ასე რომ, ანტონი გაურბოდა ფუჭ ფიქრს და ემოციით დატვირთულ აზროვნებას; ადამიანებისგან გარიყული, საკუთარი მდგომარეობის მუდმივ რეჟიმში აღქმას; დედის მოლოდინს, რომელიც ყველაზე ძნელად ასატანი აღმოჩნდა მისთვის; და ბოლოს, მონობას, რაც არაფრით არ სურდა. რაც შეეხება ტანჯვის გზას და მასთან დაკავშირებულ ნაბიჯებს, სავიჩევს ამაზეც ძალიან ბევრი ჰქონდა ნაფიქრი და პერიოდულად, ასეთ გადაწყვეტილებამდეც მიდიოდა, მაგრამ მისი ყოველი ამგვარი მცდელობა – დასდგომოდა რადიკალურ ცხოვრებისეულ მიმართულებას, მისივე თავში დედის სიცოცხლეზე ჩამოყალიბებული აზრი უშლიდა ხელს.

მეორე დილით გამოღვიძებულ ანტონს, აღარც ფიქრი დასჭირვებია და აღარც რაიმეს განსჯა. ყველაფერი გარკვეული იყო, ხოლო შედეგი ბახუსისა – ცნობილი. ყოველი მომდევნო დღე კვალში ჩასდგომოდა თავის წინამორბედს, რომლებიც არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მათი წყალობით გადარბოდა ახალგაზრდა კაცის ცხოვრების ოქროს პერიოდი, რომელიც, შეიძლებოდა, გამოყენებული ყოფილიყო არა მისი ინტელექტის გათიშვით, არამედ რეალიზებით. სწორედ ეს საათები და დღეები აკარგვინებდა მსოფლიოს ერთ განვითარებულ გონებას, რომელსაც თავისი თანამედროვე მოაზროვნეთა შორის, ღირსეული ადგილის დამკვიდრების უნარი ნამდვილად შესწევდა. ეს ხდებოდა ერთი უმარტივესი მიზეზის გამო – მას არ ჰქონდა არჩევანის ნება, რადგან ის დაიბადა საბჭოთა (მონათა) კავშირის წიაღში.

ერთი კვრის თავზე, საღამოს, როდესაც სავარძელში გადაწოლილი ანტონი რადიოში აჟღერებული სიმღერებით ტკბებოდა და მიბნედილ თვალებში კატიას სახე უფარფატებდა, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. სავიჩევი სიყვარულის კლანჭებს ძლივს დაეხსნა, ფეხზე გაჭირვებით წამოდგა და კარის გასაღებად გაემართა.

– ვაა, დედილო, შენ გენაცვალე! რა ცუდი ადამიანი ვარ, თუ შენ არ შემომხედე, მე არ გაკითხავ, არა?

– არა, რატომ? ამ ბოლოს აღარ მოგიკითხივარ, თორემ მაგაში ნამდვილად ვერ დაგემდურები. – უთხრა მეზობელმა მოხუცმა ქალბატონმა და ანტონის ხელით შეპატიჟების მინიშნებას დაემორჩილა. – ეს დღეებია, სულ მუსიკის ხმა გამოდის შენგან და ცოლი ხომ არ მოიყვანე, შვილო? – ეშმაკურად

შეხედა და თან გაუღიმა.

– ქალი რომ მომეყვანა, შენ არ გაგაგებინებდი?! ესეც არ იყოს, მე ქალს არასოდეს მოვიყვან. – თქვა დანანებით ანტონმა, როცა ოთახში ჩამოსხდნენ.

– რას ჰქვია, არ მოიყვან? – გაიკვირვა მეზობელმა.

– ეეჰ, ამაზე ნუ მკითხავ. – ამოიოხრა სავიჩევმა.

– შენ ახლა მთვრალი ჩანხარ, თორემ დრო მიდის და დაოჯახება გჭირდება. აბა, პატრონი არ გინდა? ვინ დაგირეცხავს და ვინ მოგივლის? ელემენტარულად, სამსახურიდან დაღლილი რომ მოხვალ, სადილს ვინ დაგახვედრებს?

– აკი შენ მეხმარები ხოლმე, ამაში?!

– მე სადამდე შევძლებ, შვილო, დავბერდი უკვე და ჩემი დღეები დათვლილია. – თავი გააქნია სინანულით მოხუცმა.

– რა დროს შენი სიბერეა! დაბრუნებულ ნინა მაქსიმოვნას სანამ არ შევეგებებით ერთად, მანამ არსად გაგიშვებ.

მეზობელმა ქალბატონმა ეჭვის თვალით შეათვალიერა ანტონი და პატარა პაუზა გააკეთა, გაჩუმდა. პატარა დაკვირვების შემდეგ, საკმაოდ ფრთხილად ჰკითხა:

– ვის უნდა შევეგებოთ, შვილო?

– დედას, ნინა მაქსიმოვნას. – მშვიდად მიუგო ანტონმა და მოხუცს გაუღიმა.

ქალბატონი უფრო ინტერესით დააკვირდა მის სახეს, რომ კვლავ ანტონმა განაგრძო:

– ჯარიდან რომ დავბრუნდი და გავიგე, რომ მიცვალებული დედაჩემი არავის ენახა, იმავე საღამოს წავედი სასაფლაოზე და ღამით მოვთხარე საფლავი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნინა მაქსიმოვნა იქ არ დამხვდა. – წარმოთქვა ანტონმა და ახლა ის დააკვირდა მეზობელს.

– ვაიმე, შენ დამიფარე ღმერთო! – აღმოხდა მოხუც ქალბატონს და პირზე ხელი აიფარა. – რას ამბობ, შვილო! – შესძახა ჩუმი ხმით და თავი გვერდით მიატრიალა. გეგონებოდათ, რაღაცას იხსენებსო, რომ ისევ ანტონს მიუბრუნდა. – ეტყობა, მაგიტომ არ გახსნეს მიცვალებულის სასახლე და ალბათ, ამიტომ ლუქავდნენ სახლსაც, არავის რომ არ აგვეხსნა ღამით. ეს გარეწრები, ესენი! – არ ცხრებოდა მოხუცი. – აბა, სად

შეიძლება, ამდენ ხანს რომ ჰყავდეთ ნინა, ამ არამზადებს? – ცრემლები ვეღარ შეიკავა ქალბატონმა. – ამდენ ხანს, რატომ არაფერი მითხარი ამის შესახებ? – საყვედურივით უთხრა მეზობელმა.

– ახლაც რომ გიმხელ, მეშინია. – ჩაილაპარაკა ანტონმა და თავი ჩაღუნა.

– სხვასთანაც ხომ არ გაქვს ნათქვამი? – დაინტერესდა ქალი.

– არავისთვის მითქვამს და ვერც ვერავის ვეტყვი ამას, რადგან ასეთი რამის გათქმის გამო ვარ ამ დღეში. ეხლა უკვე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ არ ვთქვა, გული გამისკდება. შენს ხელში ვარ გაზრდილი. აგერ, რამდენი წელია, დედასავით მყევხარ გვერდში და შენ თუ არა, ვის ვენდო სხვას?!

მოხუცმა კიდევ ერთხელ გაიქნია სინანულით თავი და კიდევ დაეძრა ცრემლები თვალებიდან. ჯერ კი დააპირა იმის თქმა – ეს რა დღეში ყოფილხარო, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, ცრემლები შეიმშრალა და ომახიანი ხმით უთხრა:

– მითუმეტეს, თუ ცოცხალია ჩვენი ნინა, თავი უნდა შეიკავო დალევისგან! ეგ არაფერ სიკეთეს არ მოგცემს, შვილო. ის კი ისეთი ქალია, ასე ადვილად ვერ მოერევიან და მჯერა, რომ დაბრუნდება. როგორ გამახარე, რომ იცოდე. რა ბედნიერებაა, ღმერთო ჩემო! – ხელები მაღლა აღმართა მოხუცმა.

– თავი როგორ უნდა შევიკავო?! ამდენი წელია, მარტო ვზიდავ ამ ყველაფერს. ესეც არ იყოს, სწავლის გზაც ჩამიკეტეს. უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა მითხრა: ათი წელი რომ აბარო, აქ არავინ შემოგიშვებსო. ესეც არ მაკმარეს და, მონად მაქციეს. გამრიყეს და სიმარტოვისთვის გამწირეს. ვეღარ ვუძლებ, დედილო, დავიღალე, ძალა აღარ შემწევს! ოცდაშვიდი წლის ვარ და ღრმად მოხუცებული მგონია თავი. კიდევ დიდხანს გავუძელი საბჭოთა მონსტრის შემოტევას. ღამეები არ მეძინა იმაზე ფიქრით, თუ რა გზა არსებობდა კიდევ. როგორც ჩანს, ჩემთვის ცხოვრების სხვა გზა აღარ არსებობს. – ანტონი რაღაც მომენტში მთლიანად გამოფხიზლდა და ამას რომ ლაპარაკობდა, თითოეულ სიტყვას მთელი გრძნობით გადმოსცემდა, მაგრამ ბოლოს გაგრძელება ვეღარ შეძლო, ყელში ბურთივით

გაეჩხირა და თვალებიც შეუსველდა. მაშინვე წამოდგა, მეზობელს ბოდიში მოუხადა, სამზარეულოში გავიდა და ერთი ჭიქა კონიაკი სულმოუთქმელად გადაცალა.

მოხუცი უკან მიჰყვა და ცარიელ მაგიდაზე მხოლოდ ბოთლი და ჭიქა რომ დაინახა, სახეზე იტაცა ხელი.

– მოგიკვდეს ჩემი თავი! საჭმლის გარეშე სვამ სასმელს?! ესე სულ გაუბედურდები, შვილო! ერთ წუთს დამელოდე, აღარ დალიო მეტი და ახლავე მოგიტან ცხელ სადილს! არაუშავს, შენ ისეთი გონიერი ბიჭი ხარ, რომ დიდხანს არ გააგრძელებ ამ დალევას და მალევე შეწყვეტ. მე ამის მჯერა. აბა, დამელოდე ცოტა ხანს! – მხარზე ხელი გადაუსვა მოხუცმა და სამზარეულოდან გავიდა.

იმ დღეს, გვიან ღამემდე, გვერდიდან არ მოსცილებია მეზობელი ქალბატონი, რომელიც უყვებოდა მისი ბავშვობის აქამდე მისთვის უცნობ მომენტებს. შიგა და შიგ, ამხნევებდა და ეუბნებოდა, რომ დედა აუცილებლად დაბრუნდებოდა და მას ღირსეულად უნდა დახვედროდა შვილი, რადგა ნინა ყოველთვის ალკოჰოლის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. უყვებოდა, როგორ ეჩხუბებოდა ხოლმე მეზობელ მსმელ კაცებს და აფრთხილებდა, რომ თუ რამე პრობლემა ჰქონდათ, სასმელი გამოსავალს ვერ აპოვნინებდათ.

მეორე დილიდან, უკვე ყოველდღე აკონტროლებდა სავიჩევს მოხუცი და ყოველ წამს ახსენებდა ერთი და იგივეს, რომ სასმელის მიღება უნდა შეეწყვიტა. ანტონისთვის მისი ეს მოქმედება აუტანელი შეიქნა და მეზობლისთვის და თავის კეთილის მსურველისთვის რომ არ ეწყენინებინა, კარებში უკეთებდა წერილს წარწერით –"მალე მოვალ", და სახლიდან გადიოდა. ასე უაზროდ დაეხეტებოდა აღმა-დაღმა მთვრალი და არ უნდოდა იმის გაგონებაც კი, რომ ისევ იმ ძველ, შფოთიან ცხოვრებას დაბრუნებოდა. მას ფიქრები აღარ აწუხებდა და ამისათვის, მშვენივრად გრძნობდა თავს. ასე გავიდა სამი თვე და გრილი ნიავის თანხლებით შემოდგომაც შემოიჭრა საქართველოში.

ერთ საღამოს, ანტონი საკმაოდ მთვრალი მიადგა თავის სადარბაზოს. ფიქრობდა, როგორც სხვა დროს, ახლაც ფეხაკრეფით ასულიყო კიბეებზე, რათა მოხუცს არ გაეგო მისი მისვლა.

ცალი ხელით ჯოხი დააბჯინა პირველ საფეხურს, ხოლო მეორეთი კიბის სახელურს დაეყრდნო. მიუხედავად ორივე მხრიდან ასეთი საიმედო საყრდენისა, ვერცერთი ფეხი ვეღარ ადგა ერთ საფეხურზეც კი. ბევრი იწვალა, მაგრამ ფეხების ოდნავ მაღლა აწევაც ვეღარ შეძლო. ცოტა ხნით გვერდით გადგა და დაისვენა. ამ ბოლო დროს, კი უჭირდა ხოლმე კიბეებზე ასვლა, მაგრამ ჯოხის დახმარებით მაინც ახერხებდა ოთხი სართულის ავლას. ახლა კი, სამი ცდის შემდეგ, ერთი ნაბიჯის ადგმაც კი ვერ მოახერხა. სხვა გზა არ იყო, ისევ გარეთ უნდა გასულიყო, რადგან ხალხი დაიწყებდა სადარბაზოში დინებას და არ უნდოდა, ვინმეს ასეთ მდგომარეობაში ენახა. როგორც იქნა, გავიდა ქუჩაში და გაჩერდა. ვერ ფიქრობდა, სად შეიძლებოდა, წასულიყო, რადგან არავინ იყო მისი მშველელი. სწორეზე სიარული ჯერ კიდევ შეეძლო და ამიტომ, მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, გეზი სასაფლაოსკენ აიღო.

"ცოტა ხნით იქ ჩამოვჯდები. ამასობაში, დაღამდება, ხალხის დინებაც შემცირდება და მერე კვლავ შევეცდები". – გაიფიქრა და ჯოხის დახმარებით გაუყვა გზას. კიდევ კარგი, რომ სასაფლაო ახლოს იყო, თორემ ნამდვილად ვერ მიაღწევდა იქამდე. მანძილის ნახევარი უკვე გავლილი ჰქონდა და ერთ ვიწრო და მშვიდ ქუჩაზე ჯოხით მიკაკუნობდა, რომ ერთ-ერთი სახლის პირველი სართულის ღია ფანჯრიდან, საოცრად აჟღერებული როიალის ხმა შემოესმა. ანტონმა წვალებით მოუჩქარა ნაბიჯს და სახლს რომ გაუსწორდა, ფანჯრის შიგნით მჯდარი, ასე, თხუთმეტ წლამდე გოგონა შენიშნა, რომელიც ამ შესანიშნავ ინსტრუმენტზე, ჩაიკოვსკის "შემოდგომას" ასრულებდა. ტანზე აბურძგლა ამ ნაცნობმა და საყვარელმა მელოდიამ ანტონს და ელვის უსწრაფესად კუიბიშევში გადაისროლა მის გონებაში შემორჩენილი აზროვნების ყველა ნაწილი. სხეულით აქ, ქუჩის ნაპირზე მდგარი, ჯოხზე დაეყრდნო, ხოლო გონებით, კუიბიშევის ერთ-ერთ სამთავრობო აგარაკზე აღმოჩნდა, სადაც სწორედ ამ მუსიკის ფონზე, კატიასთან გონებაში სამუდამოდ აღბეჭდილი პირველი ღამე გაატარა. ქუჩაზე საოცარი ჰარმონიულობით ისმოდა მუსიკის ხმა, რომლის პარალელურად, სავიჩევი გულზე მიხუტებულ თავის ოცნების ქალთან დაუვიწყარ

ვალსს ასრულებდა.

ამასობაში, სასაფლაოზე მდგარ ასწლოვან ხეებს ბინდ-ბუნდის ნიავმა წამოუქროლა და მათ ტანზე ასხმულ, გასაცვენად გამზადებულ გადაყვითლებულ ფოთლებს ყველა მხრიდან შეუტია. ხმელი ფოთლები მწკრივად ეფინებოდა მიცვალებულთა საფლავებს, როცა მის ბილიკზე სახეგაბრწყინებული ახალგაზრდა გამოჩნდა. მისი გამომეტყველება იმას მიგვანიშნებდა, რომ მას ცოტა ხნის წინ დიდი სიამოვნება უნდა ჰქონოდა განცდილი, რომლის კვალიც ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გამქრალი მისი სახიდან. ის მექანიკურად მიიკვლევდა ჯოხის დახმარებით გზას და ფიქრებით სულ სხვაგან იმყოფებოდა. დედის საფლავამდე რომ მიაღწია, მაშინღა იცვალა იერი და იქვე ახლოს გამართულ ხის სკამზე ჩამოჯდა. "ნინა მაქსიმეს-ასული ბერდიევა." – ეწერა შავ მარმარილოს ქვაზე, საიდანაც შესანიშნავად ამოტვიფრული და თითქოს ცოცხლად წარმოდგენილი მაქსიმოვნა შემოგვცქეროდა. მის დაბლა კი იყო ასეთი წარწერა: "თანამშრომლებისაგან."

ანტონი ამ ადგილზე მხოლოდ სამჯერ არის მოსული. პირველად – მეზობლებთან ერთად, რომლებმაც აჩვენეს ეს საფლავი. მეორედ, როცა მოთხარა და მესამედ – ახლა. გასაკვირი ის ნამდვილად არ იყო, რომ სავიჩევი აქ არ დადიოდა. მას არ სჯეროდა დედის გარდაცვალება და აქედან გამომდინარე, საფლავსაც არ აღიარებდა. გასაკვირი ის იყო, რომ ახლა რამ მოიყვანა აქ? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უმიზეზოდ ბუნებაში არაფერი ხდება, ამის მიზეზსაც შევიტყობთ, თუ ბოლომდე მივყვებით მის კვალს. საფლავის გვერდით უცხო მამაკაცმა ჩამოიარა და ანტონს საღამო მშვიდობისა უსურვა. ანტონმაც იგივე სურვილით უპასუხა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა. ეს იყო და ეს, მალევე დაღამდა და იმ არე-მარეზე აღარავინ გამოჩენილა. დარჩა სავიჩევი სკამზე ჩამომჯდარი და ფეხებმტკივანი. მას აღარც ფიქრის უნარი ჰქონდა და აღარც განსჯის. სკამის გვერდით მდგარ ხეს მხრით მისწოლოდა და თავი მიედო მასზე. თვალებს აჩვევდა კუნაპეტ ღამეს და ხის ტოტებს შორის მოელვარე ვარსკვლავებს აკვირდებოდა. ცა მოწმენდილი იყო და ბუნება მშვიდი, თუ არ ჩავთვლით, მისუსტებულ ნიავს, რომელიც ხანდახან სახეზე თუ მოელამუნებოდა ანტონს. სავიჩევმა ფეხები გაშალა და უფრო მოხერხებულად დაჯდა. სიმთვრალიდან ჯერ კიდევ არ იყო გამოსული და ამიტომ სერიოზულად არ აღიქვამდა თავის მდგომარეობას. დღეს ბევრი სიარული მოუხდა და ძალიან იყო გადაღლილი. მისი აქ მოსვლიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ რაღაც მომენტში თვალები მოხუჭა და ხეს ზურგით უფრო თავისუფლად მიეყრდნო. სულ მცირე და უაზრო ფიქრების შემდეგ ჩათვლიმა. ერთი მხრიდან თავისი ხელჯოხი ისე მოხერხებულად ამოიბჯინა, რომ მძინარემ, გარკვეული დროით, რაღაც სასწაულად, წონასწორობა შეინარჩუნა. თორმეტს ახალი გადაცილებული იყო, აკანკალებულს რომ გამოეღვიძა. წამოდგომა და ფეხის გამართვა სცადა, მაგრამ ნაბიჯების გადადგმაც გაუჭირდა. ეჭვი არ იყო, რომ სასხლამდე კი არა, სასაფლაოს კედლებსაც ვერ გასცდებოდა. მას უკვე ძალიან უჭირდა მოძრაობა და ისევ სკამზე ჩამოჯდა. აქ ჩააფიქრა საკუთარმა ფეხებმა, მაგრამ ტანში ამტვრევდა, აკანკალებდა და ფიქრის თავი ნამდვილად არ ჰქონდა. უცებ იაზრა, რომ პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ხვალისთვის ნაყიდი კონიაკი ედო. სწრაფად ამოიღო, თავსახური მოხსნა და რამდენიმე ყლუპი დალია. ორიოდე წუთში იგივე გაიმეორა და კანკალიც შეუჩერდა. ისევ ახედა ცას, ისევ უაზროდ დაატრიალა თვალები და, როგორც იქნა, ამ ყლუპებით სმამ კარგად შეათრო. აი, აქ კი გაახსენდა ის ღამე, საფლავი რომ მოთხარა და შიგ მიცვალებული ნახა. ფეხზე წამოდგა და საფლავთან მივიდა. თვალთახედვა იმდენად ჭირდა, რომ ერთ მეტრში შეგეძლო მხოლოდ ადგილის მინიმალური ფონით განსაზღვრა. ანტონმა საფლავის ქვა გაარჩია – შავი სილუეტი, შავად წარმოდგენილ სივრცეში. სანამ დღის შუქი იყო, ხომ დაინახა ქვაზე გამოსახული დედის სურათი და ახლა, გვარიანად მთვრალმა იფიქრა, რომ დედა უყურებდა ძალიან ახლო მანძილიდან.

– იქნებ მართლა აქ ხარ, დედი, და მე ვერ შევძელი შენი ამოცნობა? იქნებ ტყუილად გელოდი ამ წლების განმავლობაში? ვინ მეტყვის ამას და ვისგან გავიგებ ამის შესახებ სიმართლეს? – ანტონს თვალები ცრემლებით აევსო. – რა დავაშავეთ

ამისთანა, ასე რომ გავიწირეთ? ამდენი წლები აქ არ მოვდიოდი იმიტომ, რომ არ მჯერა შენი სიკვდილი, მაგრამ მეორე მხრივ, ის ხალხი მაფიქრებს, შენს საფლავს ვინც უვლის. რა გზას დავადგე, უკვე აღარ ვიცი.

სავიჩევი არეულ აზრებს თავს ვერ უყრიდა და რას ამბობდა, თვითონაც არ ესმოდა კარგად. ამ ვაი-ვაგლახში დაათენდა თავზე და დილით ადრე იმ კაცმა ამოიარა, საღამოს რომ მიესალმა. მამაკაცი შორიახლოს გაჩერდა და სკამზე მისვენებულ ანტონს დააკვირდა. შემდეგ მიუახლოვდა და, როცა უკვე თავს წამოადგა, სავიჩევმა მაშინღა შეამჩნია.

– გამარჯობა, შენი!

– გაგიმარჯოს! – დაუბრუნა მისალმება ანტონმა.

– კი მაგრამ, ღამით აქ იყავი? წავედი, აქ დაგტოვე და მოვდივარ და აქ ხარ.

– კი, აქ ვიყავი. სახლში ვეღარ წავედი. – ამოილუღლუღა სავიჩევმა.

– აქ როგორ გასძელი მთელი ღამე, ანდა ვის საფლავზე ხარ მოსული? – უთხრა კაცმა და ნინა მაქსიმოვნას სურათს შეხედა. – ეს ქალბატონია აქ დაკრძალული?! – იკითხა უკვე გაოცებულმა და საფლავთან უფრო ახლოს მივიდა. – როდის გარდაიცვალა? ან შენი ვინ არის ეს ქალი?

– დედაა ჩემი. ჩაილაპარაკა ანტონმა.

– რით დაიღუპა? – კვლავ იკითხა კაცმა.

– არც არავინ იცის. მე ჯარში ვიყავი და მისი დაკრძალვიდან სამი თვის შემდეგ გამანთავისუფლეს. – დანანებით თქვა ანტონმა.

– რას წარმოვიდგენდი, რომ ამ ქალბატონს, ასეთი რამ მოეწეოდა. აფსუს, რა დიდებული და ძლიერი ქალი იყო!

მამაკაცი სავიჩევს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

– მე მჭედელი ვარ და ოთარი მქვია!

– ანტონი! – შეაგება თავისი ხელი სავიჩევმა.

– სასაფლაოს ტერიტორიაზე მაქვს სახელოსნო, – განაგრძო კაცმა. – თითქმის ყველა მიცვალებულს ვხედავ, ვისაც აქ კრძალავენ და ეს როგორ გამომეპარა, წარმოუდგენელია პირდაპირ. ცოტა ხანს თუ მეწვევი სახელოსნოში, ერთ ამბავს

მოგიყვები, რომელიც ახალგაზდობაში შემემეთხვა და სწორედ დედაშენმა მიხსნა მაშინ სიკვდილისაგან.

ანტონი ჯოხის დახმარებით ძლივს წამოდგა ფეხზე და მჭედელმა რომ ეს შეამჩნია, ხელი მიაშველა და ასე დახმარებით მიიყვანა სამჭედლომდე. დილით ცოტა ციოდა. ამიტომ მასპინძელმა ღუმელი შეანთო და იქვე გვერდით დაუდგა ანტონს სკამი.

– აქ რასაც უყურებ, ყველაფერი ჩემი გაკეთებულია. – უთხრა მჭედელმა და მაგიდაზე საჭმლის დალაგება დაიწყო. სუფრის გაშლას რომ მორჩა, უკვე შემთბარი ანტონი მაგიდასთან მიიწვია. – ეს ჭაჭის არაყია! – თქვა მჭედელმა და ჭიქები შეავსო. – ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! – წარმოთქვა მასპინძელმა და ჭიქა გამოცალა. – დღეს აღარ ვმუშაობ. იმდენი საქმეც არ მქონდა. არაუშავს, საქმეს ხვალ მივხედავ და დღეს დავლიოთ.

ანტონმა როგორც კი შესვა არაყი, მჭედელმაც გააგრძელა:

– დედაშენის გარდაცვალება ძალიან მეწყინა. რა ამ სიტყვის პასუხია, მაგრამ შენი ნახვა კი გამიხარდა. სულ ვფიქრობდი, ნეტავი სად გაქრა ეს ქალი-მეთქი. მოდი, მეორე ჭიქა მისი შესანდობარი ვთქვათ და თან მოგიყვები იმ დაპირებულ ამბავს, დაახლოებით, ჩვიდმეტი წლის წინ რომ გადამხდა. – მჭედელმა მეორე ჭიქაც გამოცალა და ანტონს დაელოდა, სანამ ისიც დალევდა. სასმელს თითო ლუკმა მიაყოლეს და მასპინძელმა დაწყებული საუბარი განაგრძო: – ჩემს ბიჭობაში, ერთი ავაზაკი ცხოვრობდა ჩვენს ქალაქში. თავისი ბანდა ჰყავდა და ვისაც გადაეკიდებოდა, არ გაახარებდა. მე მითხრა ერთხელ, თვეში ოცი მანეთი უნდა მომიტანოო. შევშინდი და სამ თვეს ვაძლიე, რადგან ვიცოდი, როგორ უსწორდებოდნენ ადამიანებს. ზოგი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა და ხალხმა იცოდა, რომ ისინი იყვნენ ამ ყველაფრის უკან, მაგრამ შიშით ხმას ვერავინ იღებდა. ბოლოს მაინც დახვრიტეს მკვლელობისთვის და ხალხმაც ამოისუნთქა, მაგრამ მანამდე ბევრი გააუბედურეს. მოკლედ, ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, მეოთხე თვეში ფული ვეღარ გადავუხადე და ერთ ღამეს, სამსახურიდან სახლში რომ ვბრუნდებოდი, ბნელ ქუჩაზე დამხვდა ორ თანამზრახველთან ერთად. დანები გახსნეს სამივემ და დამიწყეს აქეთ-იქიდან ქნევა. აგერ,

ლოყაზე რომ პატარა შრამი მაქვს, იმ ღამეს დამისვეს აქ დანა. უცებ ბნელში ფეხი დამიცდა და წავიქეცი. აბა, ახლა დაემშვიდობე სიცოცხლესო, მითხრა იმ გარეწარმა და იმავე წამს მოხდა სასწაული – ვიღაცამ ქეჩოში წაავლო ხელი და უკან გასწია. სიბნელეში ქალის სილუეტი დავლანდე და დავინახე, როგორ შემოუქნია იმ არაკაცმა დანა. სიტუაციის გააზრებაც ვერ მოვასწარი, რომ ჰაერში გაფრიალებულ და აელვარებულ დანას მოვკარი თვალი, რასაც მოჰყვა დარტყმისა და ადამიანის დაბლა დაცემის ხმა. იმ ორმაც იგივე მოიმოქმედეს და მათაც იგივე ბედი ეწიათ, ანუ სამივე თავდამსხმელი რამდენიმე წამში უკვე მიწაზე ეყარა. თავი სიზმარში მეგონა. ჩემი მშველელი რომ მომიახლოვდა და წამომაყენა, მაშინ მივხვდი, რომ გადარჩენილი ვიყავი. ასეთ რამეს ფილმებშიც ვერ ნახავ კაცი. გამოცანად დარჩა ეს ყველაფერი ჩემში. მე რომ მომხედა, ახლა ისინი ააყენა ფეხზე და უთხრა: ეს ბიჭი ჩემი ძმისშვილია და ამას რომ ბუზი აუფრინდეს, იცოდეთ, ვერსად დამემალებით, გიპოვნით და სათითაოდ, ჩემი ხელით ამოგგლეჯთ გულსო. – ის დღე იყო და, რომ დამინახავდნენ, უკვე მერიდებოდნენ. მან სიცოცხლე მაჩუქა და იმ შარს ამაცილა. აი, რით ვარ დავალებული მე მისგან და რა გვაკავშირებს ახლა მე და შენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, უკვე ადვილი წარმოსადგენია ჩემი დამოკიდებულება შენდამი და ყოველგვარი შესავლების გარეშე გეტყვი, რომ ჩამთვალე უფროს ძმად. ყოველთვის გახსოვდეს, რომ რასაც ახლა გეუბნები, ბოლომდე შევასრულებ ამ სიტყვას, თუმცა არ ვიცი, და-ძმები გყავს თუ არა.

– არა, არავინ მყავს, ერთი მოხუცი მეზობელი ქალბატონის გარდა. – თქვა სინანულით სავიჩევმა, მაგრამ მასპინძლის მიმართ კმაყოფილების ნიშნად, მოკრძალებით გაიღიმა.

– ეგ არაფერი. ჩათვალე, რომ იმ ქალბატონის შემდეგ, მეც შენი ახლობელი ვარ. ახლა კი, რადგან უკვე გავერკვიეთ ურთიერთობაში, მაინც მორიდებით გკითხავ: ფეხებზე რა გჭირს?

– ფეხების სატკივარი ჯარიდან მომყვება, იქ მიღებული ტრავმაა.

– დაგიზიანდა?

– არა, გამიცივდა.

– ესეიგი, მოგეყინა?

– მთლად მოყინვა არ იყო, მაგრამ დიდხანს მომიწია ცივ წყალში დგომამ.

– ააა, გასაგებია... – თქვა მჭედელმა და წამიერი ჩაფიქრების შემდეგ განაგრძო. – მერე, ასე რომ გიჭირს სიარული, ექიმთან რატომ არ მიდიხარ?

– აზრი არ აქვს. – ჩაილაპარაკა სავიჩევმა.

– რას ლაპარაკობ! ახალგაზრდა კაცი ხარ და ასეთი რამის უყურადღებოდ დატოვება როგორ შეიძლება?!

– ეეეჰ... – ხელი ჩაიქნია ანტონმა.– ეს მაშინ არ შეიძლება, როცა შენს ცხოვრებას ინტერესი აქვს, თორემ თუ წინ არაფერია, არავითარი ავადმყოფობა აღარ საჭიროებს ყურადღებას.

– აბა, დავნებდეთ და თავი მოვიკლათ?! – გაოცებით თქვა ოთარმა.

ანტონმა ჭიქები არყით შეავსო. წუხანდელ უძილოს, აშკარად ეტყობოდა, რომ ძილი ართმევდა თავს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ეპუებოდა ამ ძნელად სამართავ მოთხოვნილებას, რადგან ასეთი ძვირფასი ადამიანის გამოჩენით გამოწვეული სიხარული, მასში უკვე ყველა გრძნობას აჭარბებდა. შეიძლება ითქვას, რომ ანტონი, ამ ქოხის ტიპის შენობაში მჯდარი, ყველაზე ბედნიერი იყო ჯარიდან დაბრუნების შემდეგ. ის იმდენად განიცდიდა ადამიანებთან ურთიერთობის დეფიციტს, რომ აღარ სურდა არსებული სიტუაციის დამთავრება.

– ოთარ, – ჭიქა აიღო ანტონმა. – მადლობელი ვარ შენი, რომ ასე მარტივად მაგრძნობინე, თუ როგორ შეუძლია თითოეულ ჩვენგანს, გააბედნიეროს სხვა. მადლობელი ვარ, რომ დედაჩემი ასეთი კუთხით გაიხსენე. ბედნიერი ვარ, რომ მისგან დახმარებას ასე აფასებ. ძალიან გამახარა იმან, რომ გულწრფელი მეგობრობა შემომთავაზე, რომელიც დაფუძნებულია შენში სამუდამოდ დარჩენილ მადლიერების გრძნობაზე. და ბოლოს, ბედნიერი ვარ კიდევ იმისათვის, რომ ბედმა, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს შენთან შემახვედრა. – ანტონმა ძლივს მოუყარა სათქმელს თავი და ასე დაამთავრა: – მოდი, იმ ბედნიერებას გაუმარჯოს, რომელიც ასე იოლად

შეგვიძლია, ერთმანეთს მივანიჭოთ!

– იცოცხლე და გაგიმარჯოს ღმერთმა ამ ძვირფასი სიტყვებისთვის! – უთხრა ოთარმა და ჭიქა მიუჭახუნა.

პატარა წახემსების შემდეგ ოთარმა განაგრძო საუბარი:

– სულ მაინტერესებდა, რა პროფესიის იყო ქალბატონი ნინა, მაგრამ ამას როგორ გავიგებდი, მითუმეტეს, მას შემდეგ აღარსად შევხვედრივართ ერთმანეთს.

– დედ-მამა არ ჰყავდა და ინტერნატიდან სამხედრო სასწავლებელში გაუგზავნიათ. იქ კი, ხომ იცი, როგორ ავარჯიშებენ ადამიანებს და იქიდან მოსდგავდა ეს ფიზიკური ძალა, თორემ ქალაქკომში მუშაობდა პარტიის ხაზით მთელი ცხოვრება.

– მასეთი ფიზიკური შესაძლებლობები თუ ჰქონდა ქალს, არ მეგონა. სანამ ცოცხალი ვარ, ის მომენტი და მისი ელვისებური მოქმედება, რომელსაც თვალს ვერ მიადევნებდა კაცი, არასოდეს ამოვა ჩემი მეხსიერებიდან.

– კი, გეთანხმები, ფიზიკური შესაძლებლობები ძალიან დიდი ჰქონდა. სიცოცხლის ბოლომდე ყოველ დილა დარბოდა ხუთ-ექვს კილომეტრს და დარბაზშიც ვარჯიშობდა საღამოს. ოფიციალური ქაღალდი გვამცნობს, რომ გულით გარდაიცვალა, რომელიც მე ნაკლებად მჯერა იმიტომ, რომ მას გული როგორ მოკლავდა, ჩამოსხმული ფოლადივით იყო.

– აბა, რა ვითარებაში გარდაიცვალა, არავინ იყო მნახველი? – დაინტერესდა ოთარი.

– ჩემთან იყო ჯარში, მოსკოვში და იქიდან რომ წამოვიდა, იქვე დედაქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში დაემართაო გულის შეტევა.

– საოცარია. – თავი გააქნია ოთარმა.

– ყოველ შემთხვევაში, მე სიმართლეს არავინ მეტყვის და უნდა დავჯერდე იმ ფურცელს, რომელსაც ექიმი აწერს ხელს. – თქვა დანანებით ანტონმა და ღამით შეციებულ ტანში ოდნავ გააკანკალა.

ეს არ გამორჩენია ოთარს, რომელიც ფეხზე წამოიჭრა, ღუმელთან მივიდა და ნახშირი შეუმატა.

– ახლა კარგად გახურდება და ცოტა აქეთ მოიწიე. – უთხრა და თვითონვე მიეხმარა გადაადგილებაში.

სავიჩევი ღუმელის გვერდით კარგად რომ მოთავსდა, ინტერესით მომზირალ მასპინძელს და ამავე დროს, ახალ შეძენილ მეგობარს, ჯერ თვალი-თვალში გაუსწორა, შემდეგ მცირე ხნით კიდევ აწონა სათქმელი და მხოლოდ ამის მერე მიმართა:

– რაც დედაჩემი აღარ არის, ყველა ერიდება ჩემთან ურთიერთობას, მათ შორის ბავშვობის მეგობრებიც. მე არ ვიცი, რით არის ეს გამოწვეული, მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთი რამის გამო შეიძლება იქცეოდნენ ასე. ალბათ ნინა მაქსიმოვნას ასეთ უეცარ და დაუსაბუთებელ გარდაცვალებას, პოლიტიკას მიაწერენ და ჩემთან ურთიერთობაში ხელისუფლებასთან პრობლემებს ხედავენ. აი, ეს არის, რაც მინდოდა შენთვის მეთქვა. შენ ეს უნდა იცოდე, ოთარ, თორემ ჩემი მხრიდან ცუდად გამოვა, შენ რომ მართლა პრობლემებს შეხვდე. მე თვითონ ასე არ მგონია, მაგრამ რაკი მასე ფიქრობს ყველა, შენც უნდა გცოდნოდა ამის შესახებ. – მწარედ ჩაეღიმა ანტონს და ხელები ღუმელზე მიაფიცხა.

– მე მჭედელი ვარ და სულ არ მაინტერესებს ხელისუფლება. ისინი ვერც ჩინ-მედლებს ამყრიან და ვერც თანამდებობას დამატოვებინებენ. სახლიდან არავინ გამაგდებს და მასეც რომ იყოს, სადაც არ უნდა წავიდე, ხელობა მაქვს ისეთი, ყველას რომ სჭირდება. ასე რომ, შენ მაგის დარდი არ გქონდეს, რომ პრობლემას შევეყრები შენს გამო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ადამიანებს გვაქვს რაღაც ვალდებულებებიც და მოვალეობებიც, რისთვისაც ჩვენ ამ ქვეყნად მოვედით. მჭედელი ვარ, მაგრამ ეს ყველაფერი კარგად ვიცი, ანტონ. ამიტომ, ერთი წამიც კი არ იფიქრო მაგაზე. გახსოვდეს მხოლოდ ის, რაც მე თავიდან გითხარი, რომ ჩვენ დღეიდან ძმები ვართ, ნამდვილი ძმები.

სავიჩევმა მოზღვავებული კეთილი გრძნობების შემოტევას ველარ გაუძლო, თვალში ცრემლი მოაწვა, თავი დახარა და იდაყვებით უკვე შემთბარ მუხლებს დაეყრდნო. მის აზროვნებას საკუთარ წარმოდგენაში ორი ადამიანის სახე წარმოეჩინა და გამალებით ცდილობდა, მეგობრობისთვის შექმნილი ყალიბის მათზე მორგებას. ერთს უმალ მოარგო, ხოლო მეორე ვერაფრით მოაქცია ამ ყალიბში. გული დასწყდა, მაგრამ რეალობას

ვერ გაექცეოდა, – მისი მეგობარი, ერთი საათის წინ გაცნობილი ოთარი აღმოჩნდა და არა, ბავშვობიდან მასთან ერთად გაზრდილი ბონდო. დიახ, ანტონს ახლა ამ ადამიანის მეტი დუნიაზე არავინ მოეძევებოდა და ეს მისთვის პირდაპირ ბედის წყალობა იყო. ამდენად, იმის დროც მოვიდა, სავიჩევს ეთქვა და გაემხილა თავისი მთავარი გასაჭირი, რომ სახლში ასვლა მას უკვე აღარ შეეძლო. მან წუთის წინ ცრემლით შესველებული თვალები შეუმჩნევლად გამოიმშრალა და სუფრის შელამაზებით დაკავებულ ოთარს მშვიდი ხმით მიმართა:

– მე კიდევ ერთხელ გიხდი ყველაფრისთვის მადლობას და ვაღიარებ, რომ შენი სახით შევხვდი სხვებისგან განსხვავებულ პიროვნებას. ვხედავ, რომ შენ საკმაოდ გახსნილი ადამიანი ხარ და იმის გამო, რომ არც მე მქონია ურთიერთობაში უკან მოტოვებული რაიმე, პირდაპირ მინდა გითხრა ჩემი გასაჭირი. – ანტონმა უკანასკნელი გადამოწმების მიზნით, საბოლოოდ შეავლო თვალი მისკენ ინტერესით მომზირალ ოთარს, რომელსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ის მეგობრისთვის ყველანაირ სიძნელეს შეებმებოდა. ამის შემხედვარე სავიჩევის დაღლილი გული, კვლავ სიამოვნების ელექსირით შეივსო და უფრო გაბედულად განაგრძო: – მე სახლში ვეღარ შევძელი ასვლა და მართალი გითხრა, აღარც მინდა, რომ ვცადო ეს.

– კორპუსში ცხოვრობ? – ჰკითხა ოთარმა.

– კი. – მიუგო სავიჩევმა.

– რომელ სართულზე?

– მეოთხეზე.

– მერე, რა პრობლემაა?! ერთ მხარეს მხრით ამოგიდგები და ასე ნელ-ნელა ავალთ. – წამოდგა ოთარი და მინავლებულ ღუმელს ნახშირი შეუმატა, რადგან გარეთ ცოტა წამოწვიმა და ცივი ქარის ენებმაც შემოაღწია ოთახის ღრიჭოებიდან.

– არა, არა, იქ მისვლა არ მინდა. ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. – ხელები გაასავსავა ანტონმა.

– აბა, რას იზამ და სად გაათევ ღამეებს? – კვლავ ჰკითხა ღუმელთან ჩამუხლულმა ოთარმა და ანტონს გაოცებით გახედა.

– აქ გავჩერდებოდი, თუ შესაძლებელია. მითუმეტეს,

საწოლიც დგას. – ჩაილაპარაკა ანტონმა.

– რას ლაპარაკობ, კაცო?! – წამოდგა ოთარი. – აქ როგორ უნდა გასძლო – ლოგინი არ აგია ზედ და არაფერი?! ეგ გათხელებული ნაბადი გდია და ეგეც არ იყოს, უამრავი ღრიჭოებია ფანჯრებზე დარჩენილი. გამორიცხულია, აქ ვერ გასძლებ. ან რაზე ვლაპარაკობ?! მე აგიყვან, ძმაო, სახლში და ყოველ დღე მოგაკითხავ, არ მიგატოვებ. ექიმსაც მოგიყვან და თუ საჭირო გახდება, სტაციონარშიც გადაგიყვან. ნუ გეშინია, ყველაფერში მხარში ამოგიდგები, არაფერს მოგაკლებ.

– ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი მესმის და ჩემს გასაჭირზე შენი ასეთი რეაქციაც ძალიან მახარებს, მაგრამ მე გადაჭრით არ მსურს ჩემს ეზოში დაბრუნება და ამ ფორმით მეზობლების ხილვა. კიდევ ერთხელ გთხოვ, თუ შესაძლებელია, აქ დავრჩე, მომეცი ამის ნება, რადგან აქედან გასულს ერთი გზა მექნება – დედაჩემის საფლავთან ყოფნა.

ოთარი მიხვდა, რომ ანტონი საკმაოდ მტკიცე ბუნების ადამიანი იყო და მისი გადაწყვეტილებაც ურყევად მოჩანდა. ამიტომ, ერთხელ კიდევ სცადა, იქნებ აზრი შეეცვლევინებინა და მას დაყოლოდა სახლში წასვლაზე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს თავის სახლში გადაყვანაც შესთავაზა, – მართალია, მეც მეექვსე სართულზე ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი მეუღლე დასავით მოგხედავსო, მაგრამ ამაზეც მოკრძალებული უარი მიიღო. ადგა მჭედელი. სხვა რა გზა იყო და დაიბარა – ერთ საათში მოვალო. მინიშნებულ დროზე ადრე მოვიდა და მატყლის ფუმფულა ლოგინი მოიტანა თავის თბილი გადასაფარებლით. მას ფეხდაფეხ პატარა მისაბმელიანი მოტოროლერი მოჰყვა ნახშირით დატვირთული. ასევე, მოზრდილი ჩანთით პური და საჭმელ-სასმელიც მოაყოლა და ანტონს განუცხადა, რომ მხოლოდ გვიან ღამით წავიდოდა სახლში და დანარჩენ დროს მასთან გაატარებდა. სამჭედლო ოთახი გვერდით იყო და იქ არანაირად ხელი არ შეეშლებოდა მუშაობაში.

იმ ღამეს, დაპირებისამებრ, გვიან წავიდა ოთარი სახლში, ხოლო მეორე დილას, თერთმეტი საათისთვის დაბრუნდა და თან ექიმიც მოიყოლა.

– ანტონ, მე და გრიშა ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მარ-

თალია, მე მჭედელი გამოვედი და ეს ექიმი, მაგრამ სრულებით არ გვიშლის ეს ფაქტი ხელს, რომ ახლობლებად დავრჩეთ. როგორც ვუთხარი, რომ მეგობარი მყავდა ავად, არც კი დაფიქრებულა, ისე წამომყვა. ახლა გაგსინჯავს და გვეტყვის, რა უნდა გავაკეთოთ.

ექიმმა ოთახი მოათვალიერა და ცოტა ხანს დაბლა, იატაკის მაგიერ, ადგილ-ადგილ ჩაღრმავებულ მიწაზე შეაჩერა მზერა. შემდეგ ანტონს გახედა და მშვიდად ჰკითხა:

– რა გჭირს, მეგობარო?

სავიჩევს თავიდან აშკარად შეეტყო, რომ ექიმის მოსვლა, მაინც და მაინც არ ესიამოვნა, მაგრამ ზრდილობის გულისთვის პაციენტის პოზიცია იძულებით დაიკავა და მიუგო:

– ფეხებმა შემაწუხა, ექიმო.

– რამდენი ხანია? – იკითხა გრიშამ და ანტონისკენ გაემართა.

– ჯარიდან გამომყვა, მაგრამ ასე არასდროს შევუწუხებივარ. ითქმის, რომ ჯოხის დახმარებითაც ძალიან მიჭირს უკვე გადაადგილება.

– აბა, შევხედოთ! – უთხრა ექიმმა და ანტონის წინ სამფეხა დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

სავიჩევმა შარვლის ტოტები მუხლებამდე აიწია და ექიმს მიაჩერდა, რომელსაც პაციენტის ფეხების დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, რადგან შესიებულ კიდურებზე, მოშაო და მოლურჯო ადგილები მრავლად მოსჩანდა.

– გასაგებია. – ჩაილაპარაკა ექიმმა და წამოდგა. – არც ერთი წამის, წუთის კი არა, წამის დაკარგვა არ შეიძლება. ავადმყოფი სასწრაფოდ სტაციონარში უნდა იქნეს გადაყვანილი.

ანტონმა უილაჯოდ ჩამოიწია ფეხებზე შარვალი და წინდების ამოცმას შეუდგა.

– რა ხდება? რა სჭირს? – იკითხა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა ოთარმა და გრიშას მიუახლოვდა.

– სათქმელი გითხარით – სასწრაფოდ სტაციონარში! – გაიმეორა ექიმმა და თავისი ჩანთიდან ამოლაგებული და გამოუყენებელი სამედიცინო ხელსაწყოების ჩალაგებას შეუდგა. – მე მეტს ვერაფერს გეტყვი, ოთარ! – შეკრული ჩანთა ხელში

აიღო და ჯერ გაოგნებულ ოთარს მიაჩერდა შემდეგ კი გასასვლელისკენ აიღო გეზი.

– ანტონ, ძმაო, – მიუახლოვდა ოთარი. – გავემზადოთ, გარეთ ტაქსი გველოდება. ექიმი გვირჩევს, რომ სასწრაფოდ ხარ მისახედი. წამოდი! თუ ვინმე ნაცნობი მყავს, ყველას თავს დაგახვევ და გამოგაჯანმრთელებ! – უთხრა შემართებით და სკამზე გადაკიდებულ მის ქურთუკს მისწვდა.

ანტონი ისევ საწოლზე იყო ჩამომჯდარი. მისი ფიქრები იმდენად შორს წასულიყო, რომ აღარც ოთარის ლაპარაკი ესმოდა და ვერც მის მოქმედებას ამჩნევდა. ექიმის დასკვნის შემდეგ, მას გადაწყვეტილება უნდა მიეღო და ეს უნდა გაეკეთებინა, რაც შეიძლება, სწრაფად.

– რას ვაკეთებთ, არ მივდივართ? – ოთარის ხმა მაშინ აღიქვა სრულად ანტონმა, როცა არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა. ამიტომ, ნელა ასწია მან თავი, ახალშეძენილ მეგობარს თვალებში შეხედა და საკმაოდ მშვიდად მიმართა:

– ექიმი გაუშვი!

– რას ამბობ, გაგიჟდი?! – გაოცებულმა ოთარმა ორიოდე ნაბიჯით უკან დაიწია და ანტონს გაფართოებული თვალებით მიაჩერდა.

– ექიმი გაუშვი, ოთარ! – კვლავ გაიმეორა სავიჩევმა და შეუვალი მზერა ესროლა მჭედელს.

– ეს უკვე სისულელეა შენი მხრიდან და ვერ გავიგე, ამას რატომ აკეთებ? – წამიერად თვალმოხუჭულმა ოთარმა შუბლი მოისრისა და თან დაამატა: – უნდა წამოხვიდე, სხვა გზა არ არსებობს.

– მოდი, საბოლოოდ გავერკვეთ, თორემ უხერხულია, ამდენ ხანს რომ იცდიან. – საწოლიდან ჯოხის დახმარებით წამოდგა ანტონი. – ექიმი უნდა გაუშვა, რადგან ისედაც დიდხანს ვალოდინეთ. რაც შეეხება ტაქსის მძღოლს, უთხარი, გრიშას რომ მიიყვანს, უკან გამობრუნდეს, ისევ მანდ გაჩერდეს და დაგველოდოს. მანამდე კი, ერთი თხოვნა შემისრულე – დედაჩემის საფლავზე მინდა გასვლა და ამაში დამეხმარე. ეს არის, მეტი არაფერი.

სავიჩევმა ვერ დაინახა ცრემლით ამოვსებული მჭედლის

თვალები, რადგან მას, როგორც კი ბურთივით მოებჯინა ყელში, თავი დახარა და პირუჩუმრად წავიდა კარისკენ.

ერთი წუთის შემდეგ ოთარი ძალიან დანაღვლიანებული დაბრუნდა, მაგრამ ისიც ეტყობოდა, რომ ამ განცდის დამალვას ცდილობდა.

– ყველაფერი კარგად იქნება, ანტონ! ნუ გეშინია, მე გვერდიდან არ მოგცილდები! – უთხრა და ყელში ამოჩრილი ბურთის თანხლებით მიეახლა უმცროს მეგობარს, რომელსაც ქურთუკი უკვე შემოეცვა და გარეთ გასასვლელად გამზადებულიყო. მჭედელმა ფრთხილად ამოსდო ხელკავი და კარის ზღურბლს ნელი სვლით გადაატარა უცნაური სტუმარი, რომლისთვისაც მზად იყო, ყველანაირ ნებას დაჰყოლოდა.

მზის სხივებთან ბრძოლაში ძალადაკარგული დილის სუსხი, თავის გადარჩენის მიზნით ნიავს ასდევნებოდა და სასაფლაოზე მდგარი, ფართოდ განტოტილი ხეების ქვეშ დროებით თავშესაფარს ეძებდა. საფლავებს შორის უმისამართოდ მორბენალმა, ხსენებული სუსხით აღჭურვილმა ნიავმა, ჯოხზე დაყრდნობილ სავიჩევსაც შემოურბინა გარშემო, მაგრამ ქვაზე გამოსახული დედის სურათზე მიჩერებული შვილის ყურადღება ვერანაირად ვერ მიიპყრო. მჭედელი მოშორებით იდგა და სევდიანი თვალებით შესცქეროდა ამ დრამატულ სცენას. ანტონი კი, მუხლებში ოდნავ მოხრილი ფეხებით მდგარი, უსულო სვეტივით გაშეშებულიყო და დედის მზერისთვის გაესწორებინა თვალი. რამდენიმე წუთის განმავლობაში სურათი უცვლელი იყო, რის შემდეგ, ანტონმა თავი დახარა და გარშემო შემოვლებულ რკინებს შიგნით, ჯერ დედის საფლავი შეათვალიერა, ხოლო მერე, მის გვერდით დატოვებული ადგილი. აი, აქ იჩინა თავი ყველა ადამიანურმა სისუსტემ და სავიჩევის გონებაში წამყვან პოზიციებზე განლაგდა. აი, აქ იგრძნო ცხოვრებაში პირველად საკუთარი უსუსურობა. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ერთი მცირედი აზრიც აღარ მოიძევებოდა მის აზროვნებაში, რომელიც უწინდებურად შეებრძოლებოდა ადამიანის სიცოცხლის გზაზე მუდმივად ჩასაფრებულ შიშს. როდესაც ხსენებული შიში იპყრობს გონებას და ყველა იმ შესაძლო ადგილებს ქოლავს, საიდანაც ჯანსაღი აზრის აღმოცენება შეიძლება

მოხდეს, ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების მთელი მექანიზმი, მთლიანად ინსტინქტურ მართვაზე გადადის. ასეთ მდგომარეობას გონებრივი დეგრადირება ჰქვია, რომელსაც სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: სულიერი, ფიზიკური და გარეშე ფაქტორები. ანტონის შემთხვევაში ეს დაწოლა სამივე მიმართულებიდან განხორციელდა. სწორედ ცხოვრების ასეთ მწვავე შოლტს ვერ გაუძლო და მისგან მიყენებული ტკივილის დროებით განქარვებას, კონიაკის დახმარებით შეეცადა. იმ კონიაკის, რომელმაც ახლა, ფიქრებში წასულს აგრძნობინა, რომ მასზე დამოკიდებულ ორგანიზმს მისი მიწოდება ესაჭიროებოდა, რათა აშლილ სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს წინ აღდგომოდა. სავიჩევმა იქვე ახლოს მდგარ მჭედელს გახედა, რომელიც ასეთმა დაკვირვებულმა გადახედვამ ცოტა გააუხერხულა. მცირე ხანს უყურა მას ანტონმა და კვლავ საფლავისკენ მიმართა მზერა. ცალი ხელით რკინის კონსტრუქციაზე დაყრდნობილს, საბოლოო გადაწყვეტილება ახლა უნდა მიეღო, თუ როგორი იქნებოდა მისი შემდგომი მოქმედება. ერთი წუთი და, არჩევანი გაკეთებულია, რომელსაც წინმსწრებად სასმელის აკრძალვა და ოთარის გვერდით ყველანაირი ტკივილის ატანა ჩაუყენა. დიახ, იმ გახედვამ, რომელმაც დაარწმუნა მჭედლის გულწრფელობაში და მისი სახით უკვე ნამდვილი მეგობარი დაანახა, ანტონის შემდგომი ცხოვრება განსაზღვრა.

სავიჩევი გამობრუნდა და ოთარის დახმარებით ათიოდე მეტრით დასცილდა იქაურობას, რის შემდეგ გაჩერდა და შორიდან ერთხელ კიდევ შეათვალიერა დედის განსასვენებელი.

– წავიდეთ! – ჩუმად წარმოთქვა სამი-ოთხი წუთის მერე ანტონმა და ჯოხის გასამართად წინ მოსინჯა ადგილი.

ტაქსი უკვე დაბრუნებულიყო და სასაფლაოს გარეთ, სამჭედლოს სიახლოვეს ელოდათ.

– ჯერ სახლში მიმიყვანეთ და იქ გადავწყვიტოთ, რას ვაკეთებთ. – ჩაილაპარაკა სავიჩევმა, როცა მანქანაში მოთავსდა.

– როგორც შენ მეტყვი, ანტონ! – უთხრა ოთარმა, რომელმაც იფიქრა – იქნებ გამოსაცვლელის, ან რამის წამოღება სურს საავადმყოფოშიო.

სადარბაზოს კიბეების ავლაში ტაქსის მძღოლიც დაეხმარათ

და უკვე მეოთხე სართულზე, ანტონმა, საკუთარი სახლის კარს გასაღები მოარგო. თავის საძინებელ ოთახში რომ შევიდა, იქ მდგარი კარადის უჯრიდან ფულის რამდენიმე მსხვილი კუპიურა ამოიღო და ტაქსის მძღოლს გაუწოდა:

– ეს შენ, დღევანდელი მომსახურებისთვის!

მძღოლმა ფულს დახედა და თვალები გაუფართოვდა.

– რას ამბობ, მთელი კვირა რომ გატარო, მაშინაც არ ეღირება ჩემი სამსახური მაგდენი და ესეც არ იყოს, მე შენ ფულს როგორ გამოგართმევ, ახალგაზრდა კაცი ავად ხარ და იქნებ რა გჭირდება?!

– ანტონ, ეხლა არ მაწყენინო, იცოდე! ტაქსის ფულსაც მე გავისტუმრებ და თუ რამე გახდება საჭირო, იმასაც. – ფულიანი ხელი გააწევინა ოთარმა და თან დაამატა: – ასეთი რამ აღარ გააკეთო! შენ ჩემი პატარა ძმა ხარ და მორჩა!

– კარგი სამსახური მქონდა წლების განმავლობაში და ძალიან მაღალი ხელფასი. თავისდაუნებურად, ჯამაგირის დიდი ნაწილი მრჩებოდა, ანდა სად უნდა დამეხარჯა?! – თავისთვის ჩაილაპარაკა ანტონმა და მწუხარე სახით ფული ისევ უჯრაში ჩაყარა.

მძღოლმა სინანულით შეათვალიერა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა, თავი დახარა და გვერდით გადგა. ასე დაელოდა მათ მოქმედებას, რადგან ამ სიტუაციას ის შემთხვევით შეესწრო და ბევრი არაფერი იცოდა ანტონის შესახებ. სახეზე კი შეეტყო, რომ სავიჩევის კეთილი ჟესტი ძალიან მოეწონა და მისმა ასეთმა დიდსულოვანმა გამოსვლამ საპასუხო ქმედებაზე დააფიქრა.

– ოთარ, ცოტა ხანს ჩამოჯექით! – სკამებისკენ მიუთითა ანტონმა და თვითონ საწოლზე ჩამოჯდა. – ერთ რამეს გეტყვი, – მიმართა მჭედელს. – რომ დავას და ლაპარაკს აზრი არ აქვს. მე გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს და ეს არანაირად აღარ შეიცვლება. ძალიან დიდი მადლობელი ვარ და შენს ასეთ მოქმედებას დიდად ვაფასებ. ვხედავ, რომ შენ ნამდვილი მეგობარი ხარ და განიცდი ამ ყველაფერს, მაგრამ გეტყვი, რომ თუ გამოსაჯანმრთელებელი ვარ, აქაც გამოვჯანმრთელდები. თუ არა და, ვერა ექიმი მე ვერ მიშველის. ასე რომ, აქ დავრჩები და

როცა დრო გექნება, დამხედე ხოლმე ხანდახან.

ოთარს კიდევ ერთხელ აევსო თვალები ცრემლებით და ანტონის საძინებელი ოთახიდან გავიდა.

მძღოლი უხერხულად აიბუზა და აღარ იცოდა, რა მოემოქმედებინა.

რამდენიმე წუთი ოთახი დუმილმა მოიცვა, რომ ოთარიც შემოვიდა. ეტყობოდა, რომ რაღაც მოიფიქრა და ანტონს ასეთი რამ უთხრა:

– აქედან პირდაპირ გრიშასთან წავალ და გავიგებ, თუ არსებობს ვინმე პროფესორი, ძირითადად ამ ავადმყოფობის სპეციალისტი და რადაც არ უნდა დამიჯდეს და ვინც არ უნდა იყოს, მაინც მოვიყვან აქ. ეს შეიძლება დღეს ვერ მოვახერხო და ხვალ, მაგრამ ამას მაინც გავაკეთებ და შენ მაინც გამოგაჯანმრთელებ. ახლა წავალ. დღეს ვეღარ მოვბრუნდები, მაგრამ აი, გიგას გამოვატან საჭმელს. – მძღოლზე მიუთითა. – ხვალ დილით ადრე მოვალ და ყოველდღე მოვალ, შენ ნურაფერზე ინერვიულებ. მარტო ის იფიქრე, რომ მე შენი ღვიძლი ძმა ვარ. – დაამთავრა ოთარმა და წასასვლელად შემზადებულმა გიგას შეხედა.

– ბოდიშს ვიხდი ოთარ, მაგრამ მეც მათქმევინეთ ერთი სიტყვა. – თავი ასწია მძღოლმა და ანტონს მიმართა. – მეც ვიტყვი ჩემს სათქმელს და შემოგთავაზებთ, რაც მე ძალმიძს. სახელმწიფო გეგმა ბევრი არ მაქვს. დილით ადრე რომ გამოვიდე, თორმეტ საათამდე შესატანი გეგმის ფულს აუცილებლად გამოვიმუშავებ. თორმეტის შემდეგ, ჩემი მანქანით თქვენს გვერდით მიგულეთ და, რაც დაგჭირდებათ, მზად ვიქნები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დილის საათებში რომ ვიყო საჭირო ვერ მოვიცლი. დილით თუ დაგჭირდებით, საქმეს მერე მივხედავ. მოკლედ, ხვალიდან მეც თქვენს გვერდით ვარ და არ დამერიდოთ არაფერზე. ჩათვალეთ, რომ მეც თქვენი ძმა ვარ.

აქ უკვე ანტონმა ვეღარ გაუძლო, თვალები შეუსველდა და თავი გვერდით მიატრიალა. მალევე მოერია მისთვის ამ უჩვეულო განცდას და მათ მიმართა:

– ექიმიც რომ არ იყოს, ჩემი გამოჯანმრთელებისთვის თქვენი თანადგომაც კი საკმარისია.

იმ ღამეს ანტონს თვალი არ მოუხუჭავს. სინანულით გასცქეროდა წარსულს და ფიქრობდა – სულ სხვაგვარად წარიმართებოდა ყველაფერი, ეს ადამიანები შვიდი-რვა წლის წინ რომ გამოჩენილიყვნენ ჩემს ცხოვრებაშიო. წარსულის ფონზე ილუზიური სამყარო შექმნა, რომელიც მჭედლისა და გიგასნაირი ხალხით შეავსო. იმდენად დიდი ბედნიერება მიანიჭა ამ წარმოდგენამ, რომ ფეხების ტკივილიც კი დაჯაბნა. გამთენიისას, მისი გონება ისე მშვიდად გადავიდა ძილის მდგომარეობაში, რომ დილით ადრე მოსული ოთარის ხმაზე გამოფხიზლება გაუჭირდა.

– როგორ ხარ, ძმაო! – უთხრა კიბეებზე სწრაფად ამოსულმა აქასქასებულმა ოთარმა და მწოლიარე ანტონს მიუახლოვდა. – სამზარეულოში დავალაგე პროდუქტები და სადილის დროსაც შემოვირბენ, გაგიმზადებ და თან საქმესაც მივხედავ. შეგირდი დავაყენე და თუ არ მივუთითე, რა როგორ უნდა გააკეთოს, ვერაფერს იზამს. პროფესორს დღეს უნდა შევხვდე და მეტყვის, როცა ეცლება. ყველა ღონეს ვიხმარ, დავაჩქარო.

– შუა დღეს მოსვლა არ გინდა, ოთარ! ჩემი კარიდან, ხელმარცხნივ რომ კარია, იქ დააკაკუნე. გახსოვს, რომ გითხარი, ერთი მოხუცი ახლობელი ქალბატონი მყავს მეთქი?

– კი, როგორ არა. – მიუგო მჭედელმა.

– მან, ალბათ, ვერ გაიგო ჩემი მოსვლა და შენ უთხარი, რომ აქ ვარ. ის მიმზადებდა აქამდეც საჭმელს და ახლაც მომხედავს. დედობილივით მყავს. მის ხელში ვარ გაზრდილი და დიდი წვლილი აქვს ჩემს აღზრდაში.

– კარგი, რადგან ასეა, მე საღამოს მოვალ და გვიანობამდე ვიქნები ხოლმე აქ. ზოგჯერ დავრჩები კიდეც, თუ დაგჭირდება და სურვილიც გექნება ამისი.

– რას ამბობ, ხმის გამცემი ახლა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

– კარგი, კარგი. ყველაფერი კარგად იქნება. ასე მჯერა და ასე უნდა იყოს. გავალ ახლა, შემოგიყვან იმ ქალბატონს და მე გავიქცევი სამსახურში. საღამოს, როგორც გითხარი, აქ ვარ. მანამდე, არ მოიწყინო. აბა, შენ იცი, არაფერზე ინერვიულო! ყველაფერს მოვაგვარებ და მალე ფეხზე დადგები!

მოხუცი მეზობელი, როგორც კი შემოვიდა, საყვედურებით აავსო ანტონი – ღამით რომ არ გამოჩნდი, ნერვიულობისგან წნევამ ამიწია და კინაღამ მოვკვდიო. ბოლოს დაუყვავა, მოეფერა და უთხრა, ასეთი რამ აღარ გააკეთოო.

ის დღეც დაღამდა. ოთარი საღამოს ცოტა ადრე წავიდა და დაუბარა, დილით, ათი საათისთვის პროფესორთან ერთად მოვალო. უკვე გვიანი იყო და ანტონს არ ეძინებოდა. მწოლიარეს თვალები ჭერზე მიეპყრო და გუშინდელივით, ისევ იმ ფიქრს მისცემოდა. ძალიან ლამაზად ალაგებდა თავის ცხოვრებას ცხრამეტი-ოცი წლიდან დღემდე, ახლად შეძენილი მეგობრების გვერდით და ამით ხარობდა. როდესაც ამაზე ფიქრობდა, თითქოს სხვა სამყაროში გადადიოდა. მისთვის რეალობა მთლიანად ქრებოდა და იმ ილუზიური წარმოდგენით, რომ ეს მარტო ასე კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ეს ასე იყო, შვებად ევლინებოდა. მას კი ეგონა, მჭედელი რომ უწინ გაეცნო, სხვაგვარად წარიმართებოდა მისი ცხოვრება, მაგრამ არ იცოდა მთავარი – მისი ყოველი ნაბიჯი რომ კონტროლდებოდა. ამდენად, ის მჭედელი და თუნდაც ნებისმიერი სხვა, გაცნობიდან რამდენიმე დღეში ისე ჩამოსცილდებოდა, რომ მიზეზს ვერასოდეს შეიტყობდა. ახლა ის საბჭოთა სისტემისთვის საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენს და ოცი მჭედლისთანა კაციც რომ გამოჩნდეს მის ცხოვრებაში, აღარავინ მიაქცევს ყურადღებას. საბჭოთა უშიშროებამ სავიჩევის სადავე მაშინ მიუშვა, როდესაც ის სასმელს მიეძალა. ასე რომ, ანტონი ამჟამად ისეთივე თავისუფალი ადამიანია, როგორც მისი არაფრისმთქმელი მილიონობით თანამოქალაქე.

დილის ათი საათი სრულდებოდა. ანტონმა მეზობელი ქალბატონის მიერ, იქვე სკამის საზურგეზე გადაკიდებული, გარეცხილ-გაუთოებული მაისური გადაიცვა და ექიმის მოლოდინში კედლის საათს მიაჩერდა. დანიშნულ დროზე, მართლაც მოვიდნენ ოთარი და პროფესორი, რომელმაც ზედმიწევნით გასინჯა ავადმყოფი. ორმოცდაათ წლამდე, ჭაღარაშერეულმა მამაკაცმა საფუძვლიანად გამოჰკითხა მას ყველაფერი და დაასკვნა:

– იმის გამო, რომ ჩვენ არ გვაქვს სისხლისა და სხვა მრავალი ანალიზი, ზუსტი დიაგნოზის დასმა გაჭირდება, რაც სწორი

მკურნალობისთვის აუცილებელი პირობაა. მდგომარეობა რადგან სერიოზულია, ჩემს სტაციონარში წამოსვლას გირჩევდით.

დროის იმ მოკლე მონაკვეთში, როდესაც ექიმი სინჯავდა, სავიჩევი მისი დაკვირვებით იყო დაკავებული და შეიძლება ითქვას, რომ არ გამოჰპარვია პროფესორის სახის არცრთი მიმიკა; ხოლო, როცა მკურნალმა სტაციონარში გადასვლა შესთავაზა, მან მოკრძალებული ღიმილით და ზრდილობიანი ფორმით, ძალზე მშვიდი ტონით მიმართა:

– ექიმო, ალბათ, ხედავთ, რომ ეს პრობლემა ჩემთვის ახალი არ არის. წლების განმავლობაში, ეს ავადმყოფობა პერიოდულად მიტევდა, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, უკან იხევდა. ამჯერადაც მგონია, რომ ასე იქნება.

სავიჩევი თითქოს კიდევ აგრძელებდა საუბარს, მაგრამ პატარა პაუზა გააკეთა, რითაც ისარგებლა პროფესორმა და ჩაერთო:

– მინდა გითხრათ, რომ ახლა სხვაგვარადაა საქმე და ავადმყოფობის თავისით შეჩერების პერსპსქტივა თითქმის ნულის ტოლია. მე გითხარით და კიდევ გიმეორებთ, რომ ანალიზებმა უნდა გვაჩვენოს მკურნალობის მიმართულება. ამიტომ, კვლავ იმას გეტყვით, რომ ამჯერად თქვენი ავადმყოფობა, სათანადო ჩარევის გარეშე, უკან არ დაიხევს. ეს მხოლოდ სტაციონარშია შესაძლებელი.

ანტონი სერიოზული სახით მისჩერებოდა პროფესორს და როგორც კი მორჩა ის სათქმელს, მის სიტყვას თავისი საბოლოო გადაწყვეტილება შეაგება:

– ბატონო პროფესორო, ვხედავ და ვაფასებ იმას, რომ თქვენ, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიბიძგებთ იმ აუცილებელი ქმედებისკენ, რაც ჩემთვის, ერთი შეხედვით, სასიკეთოა. მოცემულ შემთხვევაში, ლოგიკა თქვენს მხარეზეა, მაგრამ თუ ამას ცხოვრების სიბრტყეზე გადავიტანთ და იქ განვიხილავთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ჩვენი ყოველი ნაბიჯი, რომელიც ჩვენივე ცხოვრებისეული წესების აღსრულების აუცილებლობით არის განპირობებული, ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის სურვილებთან. ეს დამოკიდებულია მათ გონებრივ განვითარებაზე, ანუ რაც მეტია აზროვნება, მით მეტია დოგმატურ წესებთან შეუთავსებლობა. საუბარია, იმ თავსმოხვეულ წესებზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, გვართმევს თავისუფალ ნებას და ამის სანაცვლოდ გვაძლევს – არაფერს. ანდა რა შეიძლება, ადამიანმა მიიღოს თავისუფლების სანაცვლოდ? არც არაფერი და სწორედ ეს არაფერი მიგვანიშნებს ჩვენი ცხოვრების აბსურდულობაზე. ჩვენ სიცოცხლეში არჩევანის ნება არ გვაქვს. ასეთი მომენტი ძალზე იშვიათად დგება საბჭოთა მოქალაქეებისთვის. დღეს, მე, ცხოვრებაში პირველად მეძლევა უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ გადავწყვიტო თუნდაც ჩემი შემდგომი ჯანმრთელობის საკითხი და სურვილი მაქვს ამ უფლებით ვისარგებლო. ექიმო, გთხოვთ, ნუ გამინაწყენდებით იმაზე, რომ მე სახლში დარჩენას ვირჩევ.

გამტკნარებული წამოდგა სკამიდან პროფესორი, მაგრამ ღიმილით მაინც შეჰღიმა სავიჩევს.

– ნება თქვენია, თუმცა მე წამოსვლას ვარჩევდი. – პროფესიულმა ჩვევამ სძლია ექიმს, მაგრამ ავადმყოფის შეუვალ სახეს რომ შეხედა, ასე დაემშვიდობა: – მე დაგიტოვებთ წამლებს, რომლებსაც ტკივილების მომატების დროს მიიღებთ; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მერე გადაწყვეტთ ჩემს სტაციონარში დაწოლას, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს მზად ვიქნები თქვენს მისაღებად.

ჩანთით ხელში კიბეებზე მძიმე ნაბიჯებით ჩადიოდა პროფესორი და თითქოს ფიქრით სხვაგან იყო მისი გონება. უკან დამწუხრებული მჭედელი მიჰყვებოდა და არც მის თავს იდგა სიმშვიდე. ეზოში რომ გავიდნენ, პროფესორი შემობრუნდა და უკან მიყოლილ კაცს, პატარა ჩაფიქრების შემდეგ უთხრა:

– ალბათ, გაინტერესებთ, რა სჭირს ავადმყოფს?

– რა თქმა უნდა, ექიმო! – მიუგო გაფაციცებით მჭედელმა და თვალმოუცილებლად მიაპყრო მზერა პროფესორს.

ექიმმა ცოტა ხნით თვალები მოხუჭა და ხელის თითებით საფეთქლები მოისრისა. შემდეგ, ნახევრად მოხუჭული თვალებით მჭედელს შეხედა და დანანებით ამოთქვა:

– რა ახალგაზრდა ეცლება ქვეყანას ხელიდან!? – რამდენიმე წამს კიდევ გაჩერდა და კვლავ განაგრძო: – ჩემი ცხოვრებისა და მუშაობის მანძილზე, მრავალ მძიმე ავადმყოფთან მქო-

ნია ურთიერთობა და, რომ არა, დღევანდელი შემთხვევა, არც ვიფიქრებდი ამაზე. ყველა მათგანის თვალებში, ვინც ჩემთან მოუყვანიათ, ერთი რამ იკითხებოდა – ექიმო, გთხოვ, მიშველე! მათგან წამოსულ ასეთ სურვილს იმდენად მივეჩვიე, რომ განწირული ადამიანის ჩვეულებრივ მოქმედებად მივიჩნიე მათი ამგვარი დამოკიდებულება. დღეს მივხვდი, რომ ვცდებოდი.

– რას გულისხმობთ, ექიმო? – დაინტერესდა მჭედელი.

პროფესორმა თავის წინ მდგარი კაცი იმ თვალით შეათვალიერა – იყო კი, ის იმის გამგები, რაც მისთვის უნდა ეთქვა? როდესაც დარწმუნდა მის ალალ და არცთუ ისე უაზრო გამოხედვაში, განაგრძო. – იმას, რომ მის თვალებში ეს ვერ ამოვიკითხე. მეტსაც გეტყვით, მას არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს და ეს გადაწყვეტილება იმდენად მტკიცეა, რომ ვერავინ შეაცვლევინებს ამას. ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში არ მინახავს. მან იცის, რაც ელის. როცა ვსინჯავდი, ის მე მაკვირდებოდა და მაშინ უფრო დარწმუნდა. ვერ დავმალავდი, რომ საქმე სერიოზულად აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ურთიერთობის ასეთ გაგრძელებას არ ველოდი. დაბნეული ვარ, ძალიან დაბნეული და ერთადერთი კითხვა მებადება: განა რა მოხდა და რა ხდება ამ ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში, რომ ამ შესანიშნავი გარეგნობის და ამ ინტელექტის პატრონი, ასე უღიმღამოდ იღუპება?! – პროფესორმა თავი გააქნია. – ყოველთვის ვცდილობდი, პაციენტთან ურთიერთობაში ნერვებს არ ავყოლოდი და ცივი გონებით მემოქმედა. ამის პასუხად, დღეს ისეთი ფსიქოლოგიური დარტყმა მივიღე, რომ არ ვიცი, ამის შემდეგ, როგორ წარიმართება ჩემი პროფესიული საქმიანობა.

– ესეგი, მისი გადარჩენა აღარ შეიძლება? – თვალში ცრემლი მოადგა ოთარს.

– არსებობს სულ ხუთი პროცენტი იმ შემთხვევაში, თუ ორივე ფეხს მოვკვეთთ ბარძაყში. ასეთი იმედი შეიძლება ვიქონიოთ მაშინ, თუ ორგანიზმში არ არის მოდებული და მე რაც მგონია, თუ ის არ აღმოჩნდა. თქვენგან ვიცი, რომ მას არც მშობლები ყავს და არც და-ძმა. გამოდის რომ, რომც გადარჩეს, მთლად მოკვეთილი ფეხებით, ჯოჯოხეთად ექცევა ცხოვრება და მაინც ტანჯვით დაასრულებს სიცოცხლეს, საშინელი ტანჯვით. – პროფესორი კიდევ ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო. – ეს ახალგაზრდა მართალია, რადგან მან ვერ აიტანა ის, რასაც მილიონობით ჩვენგანი ყოველდღიურად ვიტანთ. მან რამდენიმე წინადადებაში დამანახა ცხოვრების ჭეშმარიტი არსი. – პროფესორი ნახევრად მიბრუნდა და წასასვლელად გაემზადა, მაგრამ ისევ მოუბრუნდა მჭედელს და უთხრა: – მე თქვენ ახლა დაგიწერთ იმ მალამოს დასახელებას, – თან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო. – რომელიც აფთიაქში ძალიან იაფი ღირს. ყოველდღიურად უნდა წაესვას და გარკვეულწილად გაუგრილებს შეშუპებულ ადგილებს. ტკივილებს თუ ის ტაბლეტები აღარ გაუყუჩებს, მოდით ჩემთან სამსახურში და ამპულებს მოგცემთ. იმ ნემსებს ვერსად იშოვით, რადგან აფთიაქში ის არ იყიდება. ასევე, იმ ტაბლეტებს, რომლებიც დაგიტოვეთ. თუ ისინი ეფექტური იქნება და შემოგაკლდებათ, მაგაზეც ჩემთან უნდა მოხვიდეთ. მე აქ ვეღარ მოვალ, რადგან ჩემი მოსვლა მისთვის არასასურველი იქნება. ნემსების გაკეთება თუ დასჭირდება ვენაში, გრიშა გამოგადგებათ, მითუმეტეს, თქვენი მეგობარია და თან აქვე ახლოს ცხოვრობს.

– ექიმო, ის მაინც მითხარით, რამდენი ხანი აქვს დარჩენილი? – უთხრა თითქმის ატირებულმა მჭედელმა და თვალები შეიმშრალა.

– ორგანიზმზეა დამოკიდებული და ადამიანის ბრძოლისუნარიანობაზე. ანტონს ბრძოლა შეწყვეტილი აქვს და ამიტომ, ჩემი აზრით, ერთ თვეს არ უნდა გასცდეს. მიხედეთ, გთხოვთ, რადგან ის ნამდვილად იმსახურებს ამას. – თქვა თვალებში ცრემლჩამდგარმა ექიმმა და ეზო ჩქარი ნაბიჯით გადაიარა.

შემოდგომა ძალებს იკრებდა და მიწის ზედაპირზე შემორჩენილ სითბოს ქარის დახმარებით სამხრეთისკენ მიერეკებოდა. ადამიანები ნელ-ნელა იმოსებოდნენ თბილი ტანსაცმლით. ანტონი ფანჯარას მთელი დღის განმავლობაში ვეღარ ტოვებდა ღიას და მხოლოდ შუადღეს თუ გამოხსნიდა ერთი საათით. კომუნისტები, როგორც არ უნდა აცივებულიყო, თხუთმეტ ნოემბრამდე გათბობას არ რთავდნენ საქართველოში. ამიტომ, ეს გარდამავალი პერიოდი, მითუმეტეს, თუ სიცივეები იყო, კორპუსში მცხოვრები ხალხისთვის ძალიან რთულად მიმდინარეობ-

და, რადგან გათბობის სხვა საშუალება მათ არ ჰქონდათ.

ასე გადიოდა შემოდგომის დღეები, რომელმაც იმ წელიწადს დიდი სიცივეები მოიყოლა. სავიჩევის სახლშიც შეაღწია ამ სახეცვლილმა ამინდმა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მჭედელს, გრიშას და ტაქსის მძღოლს, რომლებიც ყოველი დღის მეორე ნახევარში ანტონის სახლში იკრიბებოდნენ და კარტისა თუ სხვა თამაშებით ართობდნენ სახლის პატრონს.

მათი რეჟიმი ასეთი იყო: ოთარი დილით ადრე მოვიდოდა, საჭმელს და საჭირო მედიკამენტებს მოუტანდა და სამსახურში გარბოდა. დღის სამი საათის შემდეგ, ასე, ოთხ საათამდე, სამივე იკრიბებოდნენ და გვიანობამდე რჩებოდნენ ანტონთან. ამ ხნის განმავლობაში, გრიშა გამოეთიშათ რამდენჯერმე, რომელსაც პერიოდულად საავადმყოფოში მორიგეობა უწევდა. სადილს მისი დედობილი, მეზობელი ქალბატონი უმზადებდა, რომელიც საყვედურს არ ულევდა სახლში მკურნალობის გამო. ის ნამდვილი დედასავით უვლიდა და არ იცოდა, სინამდვილეში რა ხდებოდა მისი გაზრდილი ბიჭის თავზე. ანტონი კი ისეთი ბედნიერი იყო ადამიანებთან ასეთი ურთიერთობით, რომ ვერც გაიგო, ერთმა თვემ როგორ გაირბინა. რაც შეეხება მჭედელს, რომელსაც პროფესორმა ზუსტად ეს დრო აღუთქვა მეგობრის სიცოცხლედ, თითებზე ითვლიდა დღეებს და ბედნიერი ანტონის შემხედვარეს, სახეზე ეტყობოდა, რომ სასწაულს ელოდა. ეს უფრო მისი სურვილიდან გამომდინარე იყო, ვიდრე რწმენა იმისი, რომ სავიჩევი ჩვეულ ფორმას დაუბრუნდებოდა. ასე იყო თუ ისე, ამ ახალგაზრდებმა გვერდით გადადეს თავიანთი ოჯახების ყოველდღიური პრობლემები და მთელი ენერგია ანტონის სიცოცხლის ბოლო დღეების გალამაზებას მოახმარეს.

ერთ საღამოს, როდესაც სავიჩევი მეგობრებს ემშვიდობებოდა და მათივე მოტანილი ინვალიდის ეტლით გასასვლელ კარამდე მიჰყოლოდათ, ოთარი შემობრუნდა და უთხრა:

– ანტონ, მოდი, ამაღამ აქ დავრჩები!

– რამდენიმე ღამე ხომ დარჩი, მაგრამ არაფერი დამჭირვებია. ხომ ხედავ, ყავარჯნების დახმარებით, გადაადგილება ჯერ კიდევ შემიძლია. შენ ოჯახს უფრო სჭირდები და ბავშვებს. წადი, წადი, ძმაო! ისედაც ბევს ირჯებით ჩემთვის და ასე ნამეტანი

გათამამებაც არ ღირს.

ოთარმა აღარ გაუწია წინააღმდეგობა და მეგობრები სათითაოდ ხვალამდე დაემშვიდობნენ. კარში გასვლისას ანტონმა მიაძახათ, – დედილოს მიუკაკუნეთ, რომ იქნებ ჩემთან შემოვიდესო. ერთი საათის გასული იყო მეზობელი ქალბატონი და რომ შემოვიდა, იმ წამსვე მიეჭრა ანტონს.

– რამე ხომ არ გინდა, შვილო?

სავიჩევი თავის საძინებელ ოთახში მდგარ დაბალ კარადასთან მიგორდა და მისი ზედა უჯრიდან დახურული კონვერტი ამოიღო.

– დედილო, ერთ რამეს გთხოვ. ცოტა ხნით ჩამოჯექი და ყურადღებით მომისმინე. ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ვიმეორებ, ძალიან დიდი მნიშვნელობა. ამიტომ, ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, რომ არ მკითხო არაფერი, გულისყურით მომისმინე და შემისრულე ეს, როგორც მთელი ჩემი ცხოვრების სურვილი. – ანტონი კიდევ ერთხელ დააკვირდა სმენადგადაქცეული მოხუცის სახეს და, რა დარწმუნდა მის მზადყოფნაში, რომ ის დანაბარებს ზედმიწევნით აღასრულებდა, განაგრძო. – მოკლედ, ჩემს მდგომარეობას, შენ ყველაზე კარგად ხედავ. შეიძლება, ყოველ წუთს დადგეს, ჩემი სტაციონარში გადაყვანის აუცილებლობა, საიდანაც, ალბათ, დიდხანს ვერ დავაღწევ თავს. ჩემი აქ არ ყოფნის დროს, ბუნებრივია, გასაღები შენ გექნება და სახლსაც შენ მიხედავ. ვინ მყავს შენს გარდა სხვა?! – მოხუცს ცრემლი მოადგა, ანტონმა კი კვლავ გააგრძელა საუბარი. – გახსოვს, ალბათ, რომ მაწუხებდი, ქალი რატომ არ მოგყავსო. ახლა უნდა გითხრა ამის პასუხი და წესით, ამ მიზეზმა უნდა გაამართლოს ოდესღაც შენგან დაწუნებული ჩემი საქციელი. ერთი ქალი მიყვარს დღემდე. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მე ის აღარ მინახავას, მაგრამ ვერცერთი წამით ვერ გავექეცი მის სიყვარულს. არ გაქრა და არ განელდა მისდამი ჩემი გრძნობა და ამან გამოიწვია, გარკვეულწილად, ჩემი სიმარტოვე. ახლა, როგორც ვიცი, გაუგია ჩემს შესახებ და არ გამოვრიცხავ, რუსეთიდან ჩამოვიდეს და მომინახულოს. ვფიქრობ, ხვალ, ან ზეგ, იმდენად შემომიტია ფეხებმა, რომც არაფერი იყოს, თავად გადავწყვეტ სტაციონარში წასვლას და ჩემი აქ არ ყოფნის

დროს თუ გამოჩნდება, აი, ამ წერილს გადასცემ, სანამ ჩემს სანახავად წამოვა. მას ჰქვია კატია და გარეგნულ მონაცემებს რაც შეეხება, არის ქერა და გრძელთმიანი. საკმაოდ მაღალი და მოხდენილი ტანის ქალბატონი. როდესაც ნახავ, დარწმუნდები, რომ ის ნამდვილად ღირსია ჩემგან ასეთი სიყვარულისა. ასე რომ, ეს კონვერტი გამომართვი და სათუთად შეინახე მანამ, სანამ კატია გამოჩნდებოდეს. – სავიჩევმა მოხუცს კონვერტი გაუწოდა და თან დააყოლა: – მეორე საკითხიც მინდა გითხრა და შენი იმედი მექნება, რომ ადვილად გაართმევ ამასაც თავს. – ანტონმა იგივე უჯრა გამოხსნა და მეზობელს მიმართა: – აქ ფულია, ჩემი დანაზოგი. ბიჭებმა არაფრის დიდებით არ გამომართვეს. თავად იხარჯებიან და მე უხერხულად ვარ. დედილო, კიდევ ერთხელ გიმეორებ, ჩემი საავადმყოფოში ყოფნის დროს, შეიძლება ათასი რამ დამჭირდეს და ოთარს მიეცი, შენ ვერ გეტყვის უარს. ასე მეც დაწყნარებული ვიქნები, თორემ ამის გამო ძალიან შეწუხებული ვარ. აი, ეს თხოვნა მაქვს, მეტი არაფერი. – უთხრა სავიჩევმა და დაკვირვებით მომზირალ და ცრემლმორეულ მოხუცს ძველებურად გაუღიმა.

ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა. ინვალიდის ეტლში მჯდარი ანტონი, ფანჯრიდან განათებულ ქუჩას გადაჰყურებდა და თავისი ცხოვრების გარდასულ წლებს, ხან საით მიუყვებოდა და ხან საით. იხსენებდა თავსგადახედილ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, ბავშვობისა თუ მოწიფულობის ხანაში. გაიხსენა გოგიც, ინვალიდის ეტლში რომ იჯდა თავის აივანზე. “ეეჰ, რა ყოფილა თურმე ჩვენი ცხოვრება”... – გაიფიქრა და თავისი ახლანდელი მდგომარეობა მიადარა, მაშინ დანახული მეგობრისას. ცრემლები ვერ შეიკავა ანტონმა, მაგრამ ახლა საკუთარი თავის განსჯის დრო არ იდგა, თუ არ ჩავთვლით ერთ მომენტს, როდესაც მეხსიერებამ დაინვალიდებულ ალექსანდრესთან შეხვედრა გაახსენა. სავიჩევმა თავი დაღუნა და პატარა ფიქრის შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა:

– გოგის ფიქრადაც კი არ გაუვლია ჩემი დაღუპვა და უნებლიედ მოუვიდა ეს შეცდომა, რომელიც არ ვაპატიე და სიკვდილის პირას მყოფიც კი არ ვინახულე. მე კი რა გავაკეთე? შეგნებულად, ჩაფიქრებულად გავანადგურე და მოვსპე ადამიანი.

მართალია, ეს მისი ჩემდამი საქციელის საპასუხოდ ჩავიდინე, მაგრამ აქ არის განსხვავება – მას დაავალეს, მე კი თავად გადავწყვიტე ეს ბოროტება. იმ გაგებით, რომ ბოროტ საქმეს სიკეთე არასოდეს არავისთვის მოუტანია, ალექსანდრე დაინვალიდდა მხოლოდ. რაში მჭირდებოდა? რა გავაკეთე ამით? – სინანულმა შეიპყრო ანტონი, რომელმაც ეტლი შემოაბრუნა და საძინებელი ოთახისკენ დაიძრა. წვალებით გადავიდა საწოლში, თავქვეშ ხელები ამოიწყო და სცადა, სხვა მიმართულებით გაეგზავნა თავისი ფიქრები. მალევე ჩაეძინა, მაგრამ ერთსაათიანი შფოთიანი ძილის შემდეგ გამოეღვიძა და საწოლზე გულდაფეთებული წამოჯდა. დედა! – წამოიძახა გაღვიძებისთანავე ანტონმა და სიზმრის ანალიზს შეუდგა. – არასოდეს მინახავს სიზმარში დაბრუნებული დედაჩემი და იქნებ მართლა უნდა მოვიდეს? - წარმოთქვა ჩაფიქრებული სახით და ფეხები ფრთხილად გადმოსწია საწოლიდან. ცოტა ხანს ასე იყო გარინდებული და კიდევ ფიქრობდა რაღაცას. მერე თითქოს რაღაც იაზრა, ფეხზე ყავარჯნების დახმარებით წამოდგა და ტანსაცმლის კარადასთან გაჭირვებით მივიდა. ოთხი თვის წინ ნაყიდი შავი შარვალი და შინდისფერი ხალათი ჩამოხსნა, რომლებიც იქვე, სავარძლის კიდეზე მიაწყო. ეს ტანსაცმელი ერთხელაც არ სცმია. დედობილმა გაუუთოვა და აქ დაუკიდა. სწორედ ის ახალი ტანსაცმელი გამოალაგა ახლა და მაშინვე გაემართა პირსაბანისკენ. წვერი და თმა, წინა დღეს ჰქონდა მოწესრიგებული. ამიტომ, ხელ-პირი დაიბანა და თმა გადაივარხნა. საძინებელში რომ დაბრუნდა, სავარძელზე მიფენილი ტანსაცმელი აიღო და საწოლისკენ გაემართა. იქ ჩამოჯდა და ცოტა ხნით შეისვენა. შემდეგ მაისური გაიხადა და ხალათი ტანზე თავისუფლად მოირგო. რაც შეეხება შარვალს, ის წვალებით ამოიცვა თხელი სპორტული შარვლის გაძრობის შემდეგ და ასე გამოწყობილი ჩაჯდა ეტლში. სავიჩევი გამოცოცხლებული ჩანდა და ენერგიამომატებული. ისეთი განწყობით იყო, რომ თითქოს ვიღაცის მოსვლას ელოდა. სარკესთან მივიდა და თმები კიდევ ერთხელ შეისწორა. ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და ოთახებში მიმოდიოდა ეტლით. უეცრად სადარბაზოდან ფეხის ხმა შემოესმა, რომელსაც მთელი არსებით მიაყურადა.

– ორი ადამიანი უნდა მოდიოდეს. – ჩაილაპარაკა და შემოსასვლელი კარისაკენ დაიძრა.

ფეხის ხმა ნამდვილად მის კართან შეწყდა, რომელსაც მოჰყვა ნინა მაქსიმოვნას ხმა:

– ანტონ, შვილო, სად ხარ?

– კარი ღიაა, შემოდი, დედა! – შესძახა ანტონმა და ზღურბლზე უმალ დაინახა თავისი მშობლები. – დედა! მამა! – აღმოხდა ხორხიდან და მათ მიეგება.

– ჩემო საყვარელო ბიჭუნავ! – დაიძახა ნინა მაქსიმოვნამ და გულში ჩაიკრა ამდენი ხნის უნახავი შვილი.

– რამდენი გელოდე, დედი! – ამოთქვა სიხარულისაგან აკანკალებულმა ანტონმა და დედას გულზე მიეხუტა. – ვიცოდი, რომ მაინც მოხვიდოდი. ვიცოდი, რომ არ დამტოვებდი. დიდი ხანი კი გავიდა, მაგრამ აღარ მახსოვს ის განვლილი დრო, რადგან უკვე ჩემთან ხარ.

– კი, უკვე შენთან ვართ, მეც და მამაც, და ამიერიდან ველარავინ დაგვაშორებს ერთმანეთს. ახლა შენს წასაყვანად მოვედით. დღეის იქით, ჩვენ ერთად და ბედნიერად ვიცხოვრებთ. არაფერი აღარ შეგაწუხებს, შვილო, და არც მარტო აღარ დარჩები. მამასაც მიესალმე, მას შენ ძალიან უყვარხარ. – წელში გაიმართა ნინა მაქსიმოვნა და ანტონს საშუალება მისცა, მამას მისალმებოდა.

– გამარჯობა, მამა! – უთხრა და ხელი გაუწოდა.

– გამარჯობა, ანტონ! ბოდიშს გიხდი, შვილო, კუიბიშევში რომ ვერ გაგეცანი. უფლება არ მქონდა და ამიტო მოხდა ასე. ეეჰ, მერჩივნა, იქ გამემხილა ისე, რომ ვერავის გაეგო, მაგრამ არაუშავს, ახლა, დედის თქმისა არ იყოს, არა კაცთაგანს აღარ შესწევს ძალა, რამე გვიკარნახოს. გაემზადე და წავიდეთ! – უთხრა ღიმილიანი სახით მამამ და მხარზე ხელი დაადო.

– დედა, ჩემს ნივთებს რა ვუყო?

– დაანებე, შვილო, თავი! ეგენი აღარაფერში გამოგადგება. იქ ყველაფერი გექნება. დაივიწყე ყოველივე და დაივიწყე წარსული, რომელიც ჯოჯოხეთად გიქციეს. ჩვენ შენს გვერდით ვიქნებით და ყველანაირად მოგხედავთ. ასე რომ, მალე აღარც ფეხები შეგაწუხებს და აღარც დარდი გექნება რამის.

– დედი, დედი!

– რაო, ჩემო ბიჭო?

– კატიას ვერ ვნახავთ?

– კატია თვითონ მოვა ჩვენთან. მან იცის ჩვენი ამბავი და შენ მას აუცილებლად შეხვდები. უბრალოდ, დროა ცოტა საჭირო.

– არაუშავს, სადაც ამდენი ვილოდე, ცოტასაც მოვიცდი. – თქვა დანანებით ანტონმა და მონატრებულ დედის ხელს, ორივე ხელით მოეჭიდა.

დილის ექვსი საათია და ჯერ ცით გარიჟრაჟი არ შემოსულა, რადგან წელიწადის ერთ-ერთი შესანიშნავი დრო – შემოდგომა, უკანასკნელ დღეებს ითვლის საქართველოში. ბუნება მას სიცივის მეშვეობით ართმევს ბატონობას და ჩქარი სვლით მომავალი ახალი მმართველის – ზამთრის შესაგებებლად ამზადებს ქვეყანას. დედამიწა კი თავისი ნაშიერების გონებაში მდუმარედ ითვლის დროს, რომლის შექმნის ინიციატივაც, თავადვე მისცა საკუთარ ბუდეში აღზრდილ მოაზროვნე არსებებს, რომლებიც წერენ ისტორიას, აწმყოში სახავენ მომავლის იმედს და საბოლოო ჯამში, სიკვდილისაკენ მიიჩქარიან.

ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, როცა ანტონ სავიჩევის სახლის სადარბაზოს კიბეებზე, აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოისმა. აშკარა იყო, რომ დაბლიდან გაშმაგებით ვიღაც მორბოდა. და აი, უკვე მაღლა ამოსული, აქასქასებული მჭედელი მეგობრის კართან წამიერად შეჩერდა. მას საშინელი კოშმარი დაესიზმრა და გამოღვიძებისთანავე, ჩქარი სვლით აქეთ გამოემართა. ოთარს ხელი კარის სახელურზე ჰქონდა მოკიდებული და თითქოს მისი დაწევა უმძიმდა. არავინ იცის, რას ფიქრობდა გონებაარეული მჭედელი, მაგრამ გულით რომ განიცდიდა რაღაცას, ეს თვალნათლივ ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეაღო კარი და გაოცებისაგან იმდენად შეკრთა, რომ უკვე ზღურბლს გადასულმა, უკან გადმოდგა ორი ნაბიჯი. მან ღია კარის წინ, შესასვლელში, ინვალიდის ეტლში მჯდარი და მის საზურგეს მსუბუქად მისვენებული, გაცისკროვნებული თვალებით და ღიმილიანი სახით მომზირალი მეგობარი დაინახა. წამიერად გაოგნებული მჭედელი, მალევე მოეგო გონს და შესძახა:

– ანტონ, აქ რას აკეთებ?

ანტონს რეაქცია არ ჰქონია. ის უძრავად იჯდა და ერთი მიმართულებით იყურებოდა. ამის შემხედვარე ოთარი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ მაშინვე შედგა შიგნით ფეხი და უძრავად მყოფ სავიჩევს ხელზე შეეხო. ინსტინქტმა ისევ უკან გასწია ოთარი, რადგან ანტონს ყინულივით გაციებოდა ხელი. დიახ, მის წინაშე, მისი გარდაცვლილი მეგობარი იყო, რომელიც ღიად დარჩენილი თვალებით და ბედნიერი გამომეტყველებით, ჩანდა, რომ სიკვდილის წინ საყვარელ ადამიანს მიეგება.

ერთ დღეში მოედო მთელ ქალაქს ნინა ბერდიევას შვილის გარდაცვალების ამბავი, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა, მათ შორის, მისი კლასელ-მეგობრები, ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ მის ნახვას. ყველაფერი, რაც მიცვალებულის პატივის მისაგებად ითვლებოდა, თავისმა ახალმა შეძენილმა მეგობრებმა გაუკეთეს. ხოლო ანტონის დანატოვარი ფული, რომელიც მეზობელმა ქალბატონმა გადასცა მათ, საფლავის გასკეთებლად გადადეს.

ანტონის გარდაცვალებიდან მესამე დილა თენდებოდა. სამი ღამის უძილო მჭედელი, რომელსაც ამ ხანში გადაბმულად სამი საათიც არ სძინებია, სამზარეულოში სკამის საზურგეზე მიყრდნობილი, ძილ-ბურანში წასულიყო. გიგა და გრიშა ახალი მოსულები იყვნენ, რომლებიც რაღაცას ანგარიშობდნენ და მაგიდაზე დადებულ რვეულში იწერდნენ. მისაღები ოთახის შუაგულში გამართულ ტახტზე მიცვალებულის სასახლე იდგა, რომელშიც ოცდაშვიდი წლის ულამაზესი ახალგაზრდა კაცი ესვენა. სიკვდილამდე ნახევარი საათით ადრე, თავისი ხელით უკან გადავარცხნილ და გასწორებულ თმებს, პირვანდელი სახე ჯერ კიდევ არ დაეკარგა. ახალი ტანსაცმელი და განსაკუთრებით, შინდისფერი ხალათი, რომელიც ასევე, გარდაცვალებამდე თავადვე მოირგო, ქერა თმას და თეთრ პირი-სახეს იმდენად ამშვენებდა, რომ სამძიმარზე მოსული ქალბატონები დანანებით უყურებდნენ და კარგა ხანს ვერ წყვეტდნენ თვალს. ანტონი კი იწვა სახეზე შეყინული კეთილშობილური გამომეტყველებით, რომლის განიერ მხრებს და ამობურცულ მკერდს თითქოს ვერ იტევდა მიცვალებულის სასახლე.

ღია ფანჯრებიდან გრილი ნიავი შემოიჭრა და მარტოდ დარჩენილ მიცვალებულს თმები შეურხია. სწორედ აქ, ამ კედლებს შორის, წლების განმავლობაში, თითქმის ყოველ დღე, საათობით იჯდა ანტონი და ფიქრობდა წარსულზე, თუ მომავალზე. ამ ფანჯარასთანაც ხშირად მდგარა თავდამძიმებული და ქუჩაზე მომზირალი. აგერ, კუთხეში მიწეულ იმ სავარძელში მჯდარსაც ბევრჯერ ჩასძინებია დედის მოლოდინში, თუ კატიაზე ფიქრში. მრავალი ღამე დასთენებია ამ ოთახში ანტონს, რომელიც დიდხანს, ძალიან დიდხანს ებრძოდა მარტოობას. მისთვის ეს იყო ყველაზე მძიმედ ასატანი რეალობა, რომელიც საბჭოთა სისტემამ არგუნა ცხოვრების წესად. ხსენებული წესი, კომუნისტური პარტიის ხელში არსებული ზე მძლავრი იარაღი იყო, რომელსაც სახელად ერქვა "იგნორი". ამ გამანადგურებელი იარაღის გამოცდა, მისი ჯარში მეორედ მიბრუნების შემდეგ დაიწყო მასზე და მის გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე შეწყდა. ასეთი იარაღის სუსხი, საბჭოთა კავშირის წიაღში დაბადებულმა მრავალმა ეგრედ წოდებულმა, ურჩმა ინტელექტუალმა საკუთარ თავზე გამოსცადა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა სასტიკად დამარცხდა მასთან შერკინებაში. მოაზროვნეები, რომლებსაც ხელოვნურად აქცევდნენ იზოლაციაში და საზოგადოებასთან ადაპტირების უფლებას კი არა, ადამიანებთან ჩვეულებრივი, მეგობრული ურთიერთობის ნებასაც ართმევდნენ, სიცოცხლეს ამთავრებდნენ ლოთობაში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, ან უფრო უარეს შემთხვევაში, შორეული ციმბირის ტაიგაში აშენებულ საკონცენტრაციო ბანაკებში. ანტონ სავიჩევის შემხედვარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვებსაც ექნებოდათ თავისუფალი არჩევანი სიკვდილის სახით და ბევრი დაუფიქრებლად აირჩევდა ამა სოფლიდან გასვლას არა იმიტომ მხოლოდ, რომ ამქვეყნიური ტანჯვა აერიდებინა, არამედ იმისათვის, რომ, როგორც თავისუფალ ადამიანს, ისე დაესრულებინა საკუთარი ცხოვრება. ანტონიც იგივე გზას დაადგა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას თავად არ აურჩევია სიკვდილი, სიკვდილმა ის თვითონ მონახა. რაც შეეხება მის არჩევანს, მან სიკვდილთან მიახლებას, მასთან შებმა არჩია, რომელიც ყოველგვარი ხელოვნური გაბრუების გარეშე

აღასრულა კიდეც. სწორედ მისმა ასეთმა ქმედებამ გამოარჩია ის იმ დანარჩენი საბჭოთა მოქალაქეებისგან, რომლებსაც მისი დარი, ან უფრო მეტი ტანჯვა ჰქონდათ მიღებული. აი, ეს იცოდა სწორედ საბჭოთა უშიშროების სამსახურმა და ამიტომ უთმობდა მას ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამიტომ გაათავისუფლეს ჯარიდან გარკვეული დროის შემდეგ, რომელიც მხოლოდ ნინა მაქსიმოვნას გვამის გახრწნის პროცესზე იყო გათვლილი. ამისათვის არ აჩვენეს მეზობლებს ახალი გარდაცვლილი ნინა, რადგან კარგად იცოდნენ, ანტონი დაინტერესდებოდა ამ "წვრილმანებით" და მივიდოდა დასკვნამდე, რომ საფლავი გაეხსნა. იქ კი, უკვე გახრწნილ მიცვალებულში მშობელს ვეღარ ამოიცნობდა. მათ იცოდნენ, რომ მისი ინტელექტის მქონე ადამიანი პარალელს გაავლებდა კუიბიშევში ნანახ საფლავთან და იქიდან აღძრულ ეჭვს, დალუქული მიცვალებულის სასახლე გაუმყარებდა, რის შესახებაც მეზობლები აუცილებლად ეტყოდნენ. ეს ყოველივე ემსახურებოდა ერთადერთ რამეს: ანტონს უნდა ერწმუნა, რომ დედა ცოცხალი ჰყავდა, რათა მუდმივი მოლოდინის რეჟიმზე გადართულიყო მისი გონება. მათი აზრით, დედის დაბრუნების მოლოდინს უნდა გადაეკეტა რადიკალურ მიმართულებაზე დამდგარი ფიქრის გზები და საბოლოოდ, ეს "საშიში" ინტელექტი, რომელსაც შეეძლო უამრავი თავსატეხი გაეჩინა საბჭოთა სისტემისთვის, ინერტული უნდა გამხდარიყო. ამ ყველაფერს აგვირგვინებდა ადგილობრივი, ანუ ქალაქის უშიშროების განყოფილება, რომელიც ხელოვნურად ავრცელებდა ჭორს იმის შესახებ, რომ ანტონ სავიჩევი ანტისახელმწიფოებრივ ელემენტს წარმოადგენდა. ამას ემატებოდა ნინა ბერდიევას იდუმალი გაქრობა, რომელიც საერთო ჯამში, ხალხში თესდა შიშს. უშიშროების სამსახურის მიერ ჩატარებული ამგვარი სამუშაო, იზოლაციაში აქცევდა სამიზნე ობიექტს, რომლის გაკონტროლებაც უკვე იოლი ხდებოდა. აი, ამ ხერხით შეძლეს ანტონის გაუვნებელჰყოფა და ასე "უხმაუროდ" მიიყვანეს ის სიკვდილამდე, როგორც იმპერიის მორიგი მსხვერპლი. მისი განადგურების მთავარი მიზეზი, მისივე განსაკუთრებული აზროვნება იყო, რომელმაც მარწუხები ვერ იგუა და ინდივიდუალიზმისკენ გადაიხარა. ასეთ მუშაობაში

გამობრძმედილმა კომუნისტებმა კი კარგად იცოდნენ, რომ ამ ტიპის უმართავი და მოაზროვნე ინდივიდი, დასაწყისშივე უნდა შეეჩერებინათ, რათა მომავალში მისი სიურპრიზებისგან აღარ "შეწუხებულიყვნენ".

წარმატებით დასრულდა საბჭოთა იარაღის –"იგნორის" მორიგი გამოცდა, რომელმაც ერთ ძალზე საინტერესო ახალგაზრდა კაცს წამებად უქცია თავისი ხანმოკლე ცხოვრება. მისი შემქმნელები ვარაუდობდნენ, რომ ხსენებული იარაღი იმპერიის გაძლიერებას ემსახურებოდა, რომლებიც, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ სავიჩევის სიკვდილიდან, დაახლოებით, ორი ათეული წლის შემდეგ, თავისუფალი სამყაროს შვილები, მათ ასეთ მცდელობას წერტილს დაუსვამდნენ.

დადგა ანტონის დაკრძალვის დღე. ეზოში ხალხის მისვლა-მოსვლა არ წყდება. კორპუსის წინ, რამდენიმე აქ მცხოვრები მამაკაცი მიმდგარა და დაბალ ხმაზე საუბრობს. მათგან ოდნავ მოშორებით, სახელდახელოდ გაკეთებული ფარდული დგას, სადაც ცეცხლზე შემოდგმულ მოზრდილ ქვაბებში, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, უპოვართა დასაპურებლად მზადდება სადილი, რომელთა გაკითხვა დაკრძალვის შემდეგ უნდა მოხდეს. უეცრად, ეზოში მყოფი ხალხის ყურადღება ჩუმად და უხმაუროდ შემოსულმა შავმა ავტომანქანამ მიიპყრო, რომელიც ანტონ სავიჩევის სადარბაზოსთან შეჩერდა. იქიდან ერთი ახოვანი მამაკაცი გადმოვიდა და სწრაფი ნაბიჯით აუყვა კიბებს. მეოთხე სართულზე რომ ავიდა, მძლავრ ტანზე მორგებული პიჯაკი შეისწორა და ღია კარში შევიდა. მიცვალებულის სასახლის გვერდით მჯდარ რამდენიმე ადამიანს სახელმწიფო უშიშროების დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინა და ყველა მათგანს სახლის დატოვება მოსთხოვა. ხალხი უჩუმრად გამოიკრიფა შიგნიდან და კიბეებზე დაეშვა. მათ უკან მიჰყვათ ის ზორბა მამაკაცი, რომელმაც ეზოში გასვლისთანავე, მანქანის უკანა კარი გამოხსნა და შიგნით მჯდომს მოწიწებით მიმართა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, გთხოვთ!

იქიდან მკაცრ კლასიკურ ფორმაში ჩაცმული, საკმაოდ მაღალი და საოცრად მოხდენილი ქალბატონი გადმოვიდა. ქერა და

გაშლილი თმა ბეჭებზე დაჰფენოდა. მის ბუნებრივ და გაწყობილ სახეს გამჭოლი მზერა უფრო მიმზიდველს ხდიდა. მიწას როგორც კი დაადგა ფეხი, წამიერად გადაავლო თვალი ეზოს და თითქმის შეუმჩნეველი კოჭლობით გაემართა სადარბაზოს შესასვლელისკენ. მას უკან ორი მამაკაცი მიჰყვა, რომელთაგან ერთ-ერთი ზემოდან დაბრუნებული იყო. კიბეები რომ აათავეს, წუთის წინ შიგნით ნამყოფმა უშიშროების თანამშრომელმა, ერთხელ კიდევ დაათვალიერა სახლის ყველა ოთახი და ქალბატონს მოკრძალებით ხელით მიანიშნა, რომ ადგილი "სუფთა" იყო. ვინც ეზოში ტრიალებდა, მათი მოსვლა ყველამ შეამჩნია, მათ შორის, ერთმა პატარა ბიჭუნამ, რომელმაც ცოტა ხანში კიბეებზე აირბინა და ანტონის მოხუცი მეზობელი ქალბატონის კარი შეაღო.

– ევა ბებია! – შესძახა მან, რომელმაც შიშით შეათვალიერა სავიჩევის სახლის შესასვლელთან ორი ძეგლივით გაშეშებული კაცი და კარი მიიხურა.

– რა ხდება, შვილო? – გამოეგება უკვე შიგნით შესულ ბავშვს მოხუცი და ინტერესით მიაჩერდა.

– ევა ბებია, – ჩუმად მოახსენა ბიჭმა. – შენ რომ დამავალე, თუ თვალი მოჰკრა უცხო და ლამაზ ქალსო, მე მგონი, ის უნდა იყოს. მანქანით მოვიდა და ყველა მას უყურებდა. ახლა ანტონთან შევიდა და გარეთ კი ორი კაცი დგას კარებში.

– გასაგებია, შვილო, დიდი მადლობა. შენ წადი და დანარჩენს მე მივხედავ. – უთხრა მოხუცმა, ბავშვი კარამდე მიაცილა და თვითონ ისევ შიგნით შებრუნდა. კარადის ერთ უჯრაში ხელის კანკალით მოძებნა ანტონის დანატოვარი წერილი და გასასვლელისკენ გაემართა.

– შიგნით შესვლა არ შეიძლება, ქალბატონო! – გადაეღობა ორიდან ერთი მამაკაცი, როდესაც მოხუცმა მიცვალებულის სახლში შესვლა დააპირა.

– რატომ? — იკითხა მან გულუბრყვილოდ.

– ცოტა ხანს უნდა მოითმინოთ და მერე გექნებათ ამის საშუალება. – თქვა კარებში ატუზულმა კაცმა და შეუვალი მზერა მიაპყრო მას.

– იმ ქალბატონს რა ჰქვია, შიგნით რომ არის? – არ ცხრებოდა მოხუცი.

– ქალბატონო! – უკვე კბილებიდან გამოსცრა მეორემ, რომელსაც სიტყვის დასრულება არ აცალა და უმალ მიაყოლა ქალმა:

– თუ ეს ქალი კატიაა, მასთან მაქვს სწორედ საქმე.

მამაკაცები დაიბნენ, რითაც ისარგებლა მოხუცმა და უფრო ხმამაღლა განაგრძო:

– მე ვიცი, რომ იქ კატიაა და შემიშვით, რაღაც მინდა, ვუთხრა.

უეცრად, მოხურული კარის შიგნიდან ხმა მოისმა:

– შემოუშვით! – რის შემდეგაც, გარეთ მდგარი, ერთი შეხედვით, შეუვალი კაცები შეცბნენ და მოხუც ქალბატონს თავიანთი ხელით შეუღეს კარი.

ანტონის დედობილმა შესვლისთანავე შეჰკიდა თვალი მისაღებ ოთახში მისკენ ზურგით მდგარ ქალს, რომელსაც ერთი ხელი მიცვალებულის სასახლეზე ჰქონდა მოკიდებული.

– კატია! – თავისდაუნებურად წარმოთქვა მოხუცმა.

ქალი ნელი მოძრაობით შემობრუნდა და თვალში ცრემლმომდგარმა შეხედა მოხუცს.

– დიდება უფალს! – აღმოხდა ქალბატონ ევას და გაკვირვებული სახით უკან დაიხია. – მართალი ყოფილა ჩემი საცოდავი ანტონი, როდესაც მითხრა – კატიას რომ ნახავ, მიხვდები, ცოლის მოყვანას რომ ტყუილად მიჩიჩინებდიო. მართალი ყოფილა ჩემი უბედური ბიჭი. – ამოთქვა უკვე ტირილით. – მეუბნებოდა, როდესაც შენ მას შეხვდები, დარწმუნდები, რომ მისი მსგავსი ქალი დედამიწის ზურგზე არ არსებობსო.

ამის თქმა იყო და, კატიასაც წასკდა ცრემლი, რომელიც ამ სიტყვების გაგონებაზე წამიერად კი დაიბნა თითქოს, მაგრამ მაშინვე მიეგება მოხუცს, ხელ-კავი ამოსდო და ოთახში მდგარ სკამებთან მიიყვანა.

– დაბრძანდით, ქალბატონო! – უთხრა მშვიდად და სკამი შეუსწორა. – თქვენ, ალბათ, მეზობელი ხართ. – გვერდით მიუჯდა კატია და მხარზე ფრთხილად მოხვია ხელი.

– ჩემს ხელშია გაზრდილი, შვილივით მყავდა. განსაკუთრებით ბოლო წლებში, როცა უკვე დედის გარეშე დარჩა. ვცდი-

ლობდი, არ მეგრძნობინებინა მარტოობა და ხშირად შემოვდიოდი მასთან. თან არ მინდოდა, თავი მომებეზრებინა, მაგრამ ზოგჯერ ვატყობდი, ხმის გამცემი თავადაც სჭირდებოდა. ვეჩხუბებოდი – გოგო მოიყვანე, მოგხედავს კიდეც და მარტოც აღარ იქნები-მეთქი. თავიდან ეღიმებოდა ჩემს ამ ახირებაზე და ბოლოს გამომიცხადა – მე ისეთი გოგო მიყვარს, დედილო, ათასი წელი რომ ვიცხოვრო უქალოდ, იმის იქით, ქალის დანახვა აღარ შემიძლიაო. თუმცა, შენ სიყვარულისა რა გაგეგებაო, იცინოდა ხოლმე საცოდავი. – მოხუცმა ტირილი დაიწყო. კატიასაც შეუჩერებლად სდიოდა ცრემლი და ვერაფრით იჭერდა თავს. – აი, შვილო, ეს წერილი დამიტოვა. ის აუცილებლად მოვა, მე თუ საავადმყოფოში ვიქნები და სანამ ჩემთან წამოვა, ეს კონვერტი გადაეციო. იმ ღამით დაიღუპა. მომატყუა, არაფერი მიჭირს, უკეთესად ვგრძნობ თავსო. ბოლო დროს შეძენილი მეგობარი რჩებოდა ხოლმე მასთან, ისიც გაუშვა იმ ღამით, – ხომ ხედავთ რომ კარგად ვარო, – უთქვამს მისთვისაც. რას წარმოვიდგენდი, ამ დღეს თუ მოვესწრებოდი და ნინა და ანტონი ასე უდროოდ წავიდოდნენ ამ ქვეყნიდან. გამომართვი, შვილო, ეს წერილი. მე გავალ და ისე წაიკითხე. ვინ იცის, რას გწერს ბიჭი. – მოხუცმა კატიას კონვერტი მიაწოდა და ტირილით გაემართა გასასვლელი კარისაკენ.

კატიამ მზერა გააყოლა ხნიერ ქალბატონს და, როდესაც ის თვალს მიეფარა, მცირე ხნით თავი დაღუნა. შემდეგ კონვერტს დახედა, რომელსაც გარეკანზე არაფერი ეწერა. ერთხანს ასე ატრიალა ის ხელში. რაღაც ძალა არ აძლევდა საშუალებას, რომ გაეხსნა და ენახა წერილი. თითქოს შიშმა აიტანაო, რადგან არ იცოდა, რას უწერდა აწ უკვე გარდაცვლილი საყვარელი მამაკაცი. ფეხზე წამოდგა და მიცვალებულის სასახლეს მიუახლოვდა. მასში მწოლიარე ანტონს გაყინულ სახეზე დააკვირდა და გაიფიქრა:

"როგორ დავაჟკაცებულხარ და როგორ მოგხდენია წლები, ჩემო ძვირფასო... – კატიას თვალებიდან ისევ იფეთქა ცრემლის ნაკადმა და უკვე მისი თანხლებით გაჰყვა ფიქრებს, რომელმაც კუიბიშევში ანტონთან ერთად გატარებულ დღეებს გადაუფრინა ზემოდან. – ეეჰ... – გაიფიქრა კვლავ მან. – რას წარმოვიდგენდი, რომ ასე საშინლად დამთავრდებოდა ყველაფერი და ასეთი ბოლო ექნებოდა ჩვენს სიყვარულს?!" – ქალმა მხარზე ხელი გადაუსვა მიცვალებულს და ჩუმად, მაგრამ მოთქმით ატირდა.

ოთახში, წელში უსუსურად აბუზული და სახეზე საცოდავი გამომეტყველებით, კონტრდაზვერვის ის მრისხანე პოლკოვნიკი იდგა, რომელმაც რამდენიმე თვის წინ, უცხო ქვეყნის დაზვერვის უმსხვილეს ქსელში შეაღწია და თითქმის მარტომ განახორციელა მათი გაუვნებელჰყოფის ოპერაცია. ასეთი გაუგონარი გმირობის გამო, ოცდათერთმეტი წლის მაიორს, ეკატერინე ბუკოვსკაიას, საბჭოთა კავშირის ჩეკას უფროსმა თავისი ხელით გადასცა პოლკოვნიკის სამხრეები და ლენინგრადის ოლქის უშიშროების უფროსის პირველ მოადგილედ დანიშნა. ესეც იმიტომ, რომ ოპერაციის დროს, როდესაც უკანასკნელ გაქცეულ აგენტს მისდევდა, სროლისას, როცა მისი მანქანა მწყობრიდან გამოიყვანა და ხრამში გადაჩეხა, თავადაც ფეხი დაუზიანდა. უფრო სწორად, ამ ბრძოლიდან ის საღ-სალამათი გამოვიდა, მაგრამ ფეხი თავად დაიზიანა ანტონის გამო. ის ელოდებოდა ასეთ მომენტს, რომ გაშიფრული თანამშრომელი გამხდარიყო და ოჯახის შექმნა შესძლებოდა. ამ თხოვნაზე, დაეკავშირებინა თავისი ბედი ანტონ სავიჩევისთვის, უარი ეთქვა. მხოლოდ ახლა, უფროსობამ მისთვის "მოიღო მოწყალება" და მისცეს უფლება, დაკრძალვის წინ მოენახულებინა იგი.

კატიამ ტირილით გული რომ მოიოხა, სკამზე ჩამოჯდა, კონვერტი ფრთხილად გახსნა და იქიდან ორად მოკეცილი ფურცლები ამოიღო.

"ჩემო ფერიავ, ვიცი, რომ ახლა ჩემი წერილი ხელთ გიპყრია და კითხულობ." – ასე იწყებოდა სავიჩევის ბარათი.

ქალს მოზღვავებული ცრემლებისგან თვალები დაებინდა და ფურცლები გვერდით მდგარ სკამზე გადადო. მას არასოდეს გასჭირვებია გრძნობების დათრგუნვა, რადგან სადაზვერვო სკოლაში წარმოდგენილი ეს უპირველესი სახელმძღვანელო ბავშვობიდანვე ჰქონდა შესწავლილი. მიუხედავად ამისა, მის გონებაში ერთიანად გაქრა ყველანაირი შეძენილი ცოდნა; უნარი დაკარგა მასში ყველა ჩამოყალიბებულმა ჩვევამ, რომელსაც წლების განმავლობაში აწრთობდა; დაავიწყდა საკუთარი

მდგომარეობა, რამაც ამოუშალა საბჭოთა სისტემის მიმართ რიდი და შიში; მისმა მოქმედებამ, გამოცდილების სახით, დაკარგა საყრდენი და აქედან გამომდინარე, ამ ყველაფრისგან განძარცვული მისი აზროვნება, იძულებით დაემორჩილა სიყვარულს. იმ სიყვარულს, რომელმაც მხოლოდ ქალიღა დატოვა მასში, შესაბამისი გრძნობებით წარმოდგენილი. ასე რომ, სკამზე ახლა იჯდა ნაზი და მომხიბვლელი არსება, რომელსაც ქალური გრძნობების მეტი აღარაფერი შერჩენოდა.

კატიამ წერილი ისევ აიღო ხელში, თავი შეიმაგრა და გამომშრალი თვალებით შეუდგა კითხვას:

"მე დარწმუნებული ვარ, – აგრძელებდა ანტონი. – რომ შენს სიტყვას შეასრულებდი და ჩვენი შეუღლებისთვის მოემზადებოდი. ისიც ვიცი, რომ ამას ითხოვდი და უარს მიიღებდი. შენ ყოველთვის ყურადღებით იქნებოდი ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ და ალბათ, შემთხვევას არ გაუშვებდი, გაგეგო ჩვენი მდგომარეობა. ნამდვილად გეცოდინება, ჩემი მშობლები, ჩემს შეცდომას რომ შეეწირნენ. დოზირებულად ჩემს ამბავსაც შეგატყობინებდნენ. აუცილებლად იფიქრებ, თუ საიდან ვიცი ეს ყველაფერი, მაგრამ როდესაც წერილის კითხვას ჩაამთავრებ, მიხვდები, რომ მეტ-ნაკლებად შემიცვნია სისტემის მუშაობის სპეციფიკა. დავიწყებ იმით, რომ ერთი პატარა ბავშვური გადაცდომის გამო, თვრამეტი წლის გამოუცდელ ახალგაზრდას, თანაც მთლად მარტოს, საშინელება დამატეხეს თავს. რა გასაკვირია და, გამიჭირდა იმ ყველაფრის გაანალიზება, რაც თავს დამატყდა, თუნდაც დედის გაქრობის სახით. მაშინ ვერ მივხვდი, თუ რატომ გამომიშვეს ჯარიდან დედის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ; რატომ ჩამოასვენეს ნინა მაქსიმოვნა დალუქული სასახლით, რასაც მეზობლები მეტყოდნენ და ასეც მოხდა. ამის გამო ვიფიქრე და მივედი დასკვნამდე, რომ კუიბიშევის დარად მასკარადს მიწყობდნენ. სწორედ აქ შევცდი და მთელი ამ წლების განმავლობაში დედას ველოდი. ძალიან გვიან მივხვდი, რომ მომატყუეს და ამ ხერხით მწყობრიდან გამომიყვანეს. ამის შემდეგ გადამიკეტეს ცხოვრების ყველა გზა და უკვე იცოდნენ, რომ მშობლის დაბრუნების მოლოდინში, მძაფრი ადეკვატური რეაქცია არ მექნებოდა ამაზე. რა თქმა უნდა, არ შეცდნენ და

უკვე იოლად სამართავი, სულ ადვილად დამაიგნორეს საზოგადოებისგან, რამაც გამოიწვია ჩემი აბსოლუტური იზოლაცია. მე აღარ მეკარებოდნენ ჩემი ბავშვობის მეგობრებიც კი. ეს იყო კოშმარი და ახლა ვფიქრობ, რომ მე მას ვერ გავუძლებდი, შენი სიყვარული რომ არ მქონოდა. დიახ, ჩემი შენდამი სიყვარული იყო ერთადერთი მშველელი, რომელიც დაჟინებით არ მიშვებდა დეპრესიისკენ. სევდა რომ შემომაწვებოდა, შენთან გატარებულ დღეებს ვიხსენებდი. ამგვარ სასიამოვნო მოსაგონარს ადვილად გადავყავდი ოცნების გზაზე და ამ ლამაზად გაწყობილ სამყაროში, ვერც კი ვგრძნობდი, როგორ მთავრდებოდა მორიგი დღე და როგორ მერეოდა ძილი. გაღვიძება იყო ჩემთვის ყველაზე მძიმედ გადასატანი, როცა ვხვდებოდი, რომ ეს ყველაფერი საკუთარ სურვილზე დაფუძნებული მოჩვენება იყო. ხმის გამცემი არავინ მყავდა, რომ გონების სხვა მიმართულებით გადართვაში მომხმარებოდა. ნატვრად მექცა ადამიანებთან ურთიერთობა. ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა, რომელსაც დედის მოლოდინი მიმსუბუქებდა. იმ ლაბირინთს კი რაც შეეხება, რომელიც წყვდიადში მოქცეულ ცხოვრების არენად მიქციეს, ერთადერთი ჩირაღდანი მინათებდა გზას, რომელსაც შენი სახე ჰქონდა, ჩემო კატერინა! არ მგონია, იცოდე, მაგრამ წლების წინ, მოსკოვში დავხეტიალობდი შენს გამო – იქნებ სადმე შემთხვევით გადაგყროდი. ჩემი ეს, ერთი შეხედვით სულელური მცდელობა იმით დამთავრდა, რომ დამიჭირეს და სამუდამოდ გამომაძევეს საბჭოთა დედაქალაქიდან. მაშინ ვიგრძენი, რომ შენ ჩემგან ძალიან შორს იყავი და შორიდან შენი ტრფიალის მეტი, აღარაფერი დამრჩენოდა. არ ყოფილა წუთი და წამიც კი, ფიქრში არ მყოლოდი. თავი დავირწმუნე, რომ შენ ჩემს გვერდით იყავი. ასეთმა რწმენამ იქამდე მიმიყვანა, რომ ზოგჯერ ღამით შენს სუნთქვას ვგრძნობდი. ხშირად გხედავდი სიზმრად და ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება. მე სხვა ოცნებით არ მიცხოვრია, ჩემო ძვირფასო კატერინა, რამეთუ შენ იყავი ჩემი სიცოცხლეც და ცხოვრებაც, მიზანიც და აზრიც, ფიქრიც და იმედიც. ასე მივუახლოვდი სიკვდილს და ახლაც, როცა ამ წერილს გწერ, აღარ მახსოვს არც ტკივილი და არც ის მოახლოებული სიკვდილი, რომელიც მალ-მალე

მაგრძნობინებს, რომ ჩემი მასთან შეხვედრა გარდუვალია. მე ვიღებ ამ გამოწვევას და ქედს არ ვიდრეკ მის წინაშე ისევე, როგორც მრისხანე საბჭოთა მანქანას არ დავუხარე თავი და არ გავხდი საბჭოელი მონა. ვთვლი, რომ მან ვერ მაქცია არაადეკვატურ ადამიანად, თუმცა ამას გამალებით ცდილობდა. მეტიც, მისგან გამოგზავნილ სიკვდილს ძალიან მშვიდად ვხვდები და სრულებით არ ვფიქრობ, რომ ის გამოვა ჩემზე გამარჯვებული, რადგან მე ვკვდები, როგორც თავისუფალი ადამიანი. ასე რომ, მე მივდივარ ამ ქვეყნიდან და იქაც შენი სიყვარული მიმაქვს საგზლად.

მშვიდობით, ჩემო კატერინა! მშვიდობით, დედამიწაზე ყველაზე ლამაზო არსებავ! მშვიდობით, ჩემთვის გაჩენილო ფერიავ! მადლობას გიხდი იმისათვის, რომ მაჩუქე სიყვარული, რომელმაც მომმადლა ძალა და, რამაც მონსტრზე გამარჯვებას მაზიარა! გისურვებ ბედნიერ, ძალიან ბედნიერ ცხოვრებას! შენ უნდა გააგრძელო სიცოცხლე და იყო დღეგრძელი! მე მხოლოდ ერთი მოკრძალებული თხოვნა მექნება შენდამი: გონების თუნდაც ერთ პატარა მცირე ადგილზე, ხსოვნად შეინახე ის, რომ ოდესღაც, შენგან ძალზე მოშორებით მცხოვრებ მამაკაცს, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მეტად უყვარდი.

შენი ანტონი

1968 წელი, შემოდგომა

* * *

ლენინგრადის ოლქის უშიშროების მთავარი სამმართველოს შენობა. უფროსის პირველი მოადგილის კაბინეტი და მისი ახალი ბინადარი კატია ბუკოვსკაია, რომელიც თავის სამუშაო მაგიდასთან ზის და თეთრი ფორმატის ფურცელზე რაღაცას წერს. წერას რომ მორჩა, ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, რომელიც ქალაქის ცენტრალურ გამზირს გადაჰყურებდა. მცირე ხნით იქ გაჩერდა და ჩაფიქრებულმა უყურა ქუჩას. შემდეგ ისევ მაგიდისკენ წამოვიდა ნელი ნაბიჯით. აშკარად ჩანდა, რომ გონებაში სერიოზულ საკითხს შესჭიდებოდა, მაგრამ ისიც ეტყობოდა, რომ ამ საკითხის ძირითადი მხარე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. ამას მისი ის მშვიდი და გაწონასწორებული მდგომარეობა მიგვანიშნებდა, რომელიც საჭირო მომენტში არასოდეს ღალატობდა ამ მშვენიერ ქალბატონს. მაგიდის უჯრა ფრთხილად გამოსწია და იქიდან პატარა ქაღალდის შეკვრა ამოიღო, რომლიდანაც მოთეთრო ფერის ფხვნილი ფინჯანში ჩაყარა და გრაფინიდან წყალი დაასხა. შემდეგ კოვზით მოურია და ფინჯანი ხელში აიღო. რამდენიმე წუთი ასე იჯდა გარინდული და თვალგაშტერებული. არავინ იცის, იმ დროს რას ფიქრობდა შეუვალი სახის ულამაზესი პოლკოვნიკი, მაგრამ მის კამკამა ცისფერ თვალებში, სადღაც შორს, დიდი სევდა მოსჩანდა. ბევრი აღარ უფიქრია, თავისი კაბინეტი მოათვალიერა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

– ეს კი ჩემი არჩევანია! – თქვა და წყლით სავსე ფინჯანი ბოლომდე დალია.

ერთი საათის შემდეგ, როდესაც კატიამ მოსკოვიდან შემოსულ გაბმულ ზარს არ უპასუხა, მისმა მდივანმა მოკრძალებით დააკაკუნა და თან კარი შეაღო. მან თავისი უფროსი მაგიდაზე დამხობილი რომ დაინახა, თანამშრომლებს შეატყობინა. მალევე მოსულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექიმმა პოლკოვნიკის სიკვდილი დააფიქსირა და ამის სავარაუდო მიზეზად მოწამვლა დაასახელა.

მომხდარიდან ნახევარ საათში, ლენინგრადის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსს, მაღალ და ბრგე გენერალს, ხელში თავისი მოადგილის სიკვდილის წინ დაწერილი წერილი ეჭირა. აი, რას წერდა იგი:

“მე იმ ქვეყნის მშენებლობაში მონაწილეობას ვეღარ მივიღებ, სადაც ადამიანის მიერ გამოვლენილ თავისუფალ ნებას სიცოცხლის ფასი ადევს.”

ეკატერინე ბუკოვსკაია

გენერალმა ფურცელი მაგიდაზე დადო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– არაჩეულებრივი ქალი იყო კატია, მაგრამ ქალი მაინც ქალია. – თქვა და მოსკოვში გასაფრენად თვითმფრინავის მომზადების ბრძანება გასცა.

დასასრული

გზავნილი წარსულიდან

ერთხანს, საქართველოს დედაქალაქის ერთ ძველ უბანში, სარდაფის ტიპის პატარა ოთახში ვცხოვრობდი ოჯახთან ერთად, რომელიც მეგობარმა დროებით საცხოვრებლად დამითმო. მიუხედავად იმისა, რომ კედლები სინესტისაგან სველი იყო და არც ელექტრო განათება გვქონდა, მაინც ბედნიერები ვიყავით, რადგან უსახლკარობისაგან დაღლილებს, სულის მოთქმის საშუალება მოგვეცა. მართალია, ჩვენი ყოფა სიღატაკის ზღვარს დიდად იყო გაცდენილი, მაგრამ თავშესაფარი მაინც გვქონდა, თუნდაც ბნელი და შმორის სუნით გაჯერებული. შემოდგომა იდგა და თან სუსხიანი. ასე რომ, ყოველდღიურად ელემენტარულ საკვებზე (ხშირად მხოლოდ პურზე) ზრუნვას, ნავთზე ზრუნვაც დაემატა, რადგან ოთახში ერთი ძველი ნავთქურა იდგა, გათბობის ერთადერთ საშუალებად. სამოქალაქო ომი უკვე დამთავრებული იყო და ქვეყანა ისევ არანორმალურ რეჟიმში ცხოვრობდა, რადგან დედაქალაქის მოსახლეობას ჯერ კიდევ ჩაესმოდა ყურში, ახლო წარსულიდან მოსული ჯავშანტრანსპორტიორების გრიალისა და ავტომატების კაკანის ხმა. ადამიანთა გულებში დამკვიდრებული შიშის განდევნა, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა და ეს მაშინ, როცა ამ ომის გამჩაღებელი ახალი (თან ძველი) სახელისუფლებო ელიტა, ამავე ომის შედეგებს, საკუთარი მოქალაქეების ძარცვა-გლეჯვის ხარჯზე, მხოლოდ თავიანთი ფინანსური მოგების ციფრებში ხედავდა. დიახ, ამ შიშის ბურანში გახვეული ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ გაივლიდა მცირე დრო და სახელმწიფოში გამოიკვეთებოდა საზოგადოების მხოლოდ ორი ფენა – უმდიდრესი ადამიანების ერთი პატარა ჯგუფი და სიღატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა. სწორედ ასეთი იყო კომუნისტების მიერ ინსპირირებული ძმათამკვლელი ომის შემდგომი განვითარების გეგმა.

აი, ამ ვითარებაში გათენდა მორიგი დილა. სანამ სახლიდან გავიდოდი, პურის შესანახი ქვაბის სახურავს დავწვდი. ჯი ვიცოდი, რომ შიგ მომცრო ნაჭერის მეტი არაფერი იდო, მაგრამ მაინც ავხადე. შემდეგ ჩემს მეუღლეს მივუტრიალდი, რომელიც ბავშვის გვერდით მიწოლილიყო და ნახევრად გახელილი თვალებით შემომყურებდა.

– ბავშვი რომ გაიღვიძებს, ეგ ხმელი პური წყლით დაულბე, ადვილად რომ შეჭამოს და თან გაართე. საინტერესო ზღაპრები მოუყევი, შიშმილზე რომ არ იფიქროს და არ ატირდეს. ამასობაში, იქნებ მეც რამე მოვიპოვო და მოგისწროთ. – ბოლო სიტყვები ცოტა იმედიანად ჩავილაპარაკე და კარი გამოვიხურე.

აჩქარებული ნაბიჯით მივუყვებოდი იმ ქუჩის ნაპირს, რომლის ბოლოშიც, ერთ ჩემ ძველ ნაცნობს სურსათის მაღაზია ჰქონდა. მინდოდა, სესხად რამდენიმე დღის პროდუქტი მეთხოვა. ღამით თითქმის არ მძინებია. ვფიქრობდი, ოჯახისა და ბავშვის გამოსაკვებად, საიდან მომეპოვებინა თუნდაც ერთი პური და მხოლოდ ეს ადამიანი ამომიტივტივდა გონებაში. ხოლო, როდესაც მაღაზიაში ფეხი შევდგი, გამყიდველს მის მეპატრონეზე ვკითხე და გავიგე, რომ ის საქონლის ჩამოსატანად ბათუმში იყო დილით ადრე წასული, ძალიან დავიბენი. გამყიდველი კლიენტებს ემსახურებოდა. მე კი რამდენიმე წამით ჩავფიქრდი.

– რა გნებავთ? იქნებ მე მითხრათ! – მომესმა გამყიდველის ხმა.

ცოტა ხნით კი შევავლე მას თვალი, მაგრამ ვერ გავბედე რაიმეს თხოვნა იმის შიშით, რომ შეიძლებოდა, ვალზე პროდუქტის გაცემა, ერთპიროვნულად თვითონ ვერ გადაეწყვიტა და უხერხულობა შექმნილიყო. ვიუარე და ვუთხარი, რომ თავად ვნახავდი, მაგრამ ერთ წუთს კიდევ გავჩერდი შიგნით. ამ მცირე დროში ჩემი მშიერი ბავშვი წარმოვიდგინე, მაგრამ ამანაც ვერ მომცა ის გამბედაობა, რომ უცნობი ადამიანისთვის საკვები მეთხოვა. თავდაღუნული გამოვედი იქიდან და მექანიკურად გამოვუყევი უკან იმავე ქუჩას. ორასიოდე მეტრი მექნებოდა გავლილი, რომ არანაირი აზრი არ მომდიოდა თავში, თუ საით შეიძლებოდა წავსულიყავი. მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ისევ სახლისაკენ მივდიოდი. ჩემს ბინამდე ორ კილომეტრზე მეტი მანძილი იქნებოდა, რომლის დაფარვას, ავტობუსი ხუთ წუთ-

საც არ მოანდომებდა. მე კი ერთი გროშიც არ მქონდა, ავტობუსში რომ ავსულიყავი და შიმშილისაგან დასუსტებული მუხლები ცოტა ხნით მაინც გამეშალა. კიდევ ერთხელ წარმომიდგა თვალწინ ჩემი მომლოდინე ოჯახი და ის მცირეოდენი პურის ნატეხი, რამაც მაგრძნობინა, რომ უკან დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა. ისევ ფიქრებში გავები. ისევ დატრიალდა უშედეგო წრეზე ჩემი გონება, რომელმაც შემაჩერა და იქვე ახლოს, შენობის კუთხეზე მიმაყრდნო. საით წავიდე? – ეს იყო მთავარი კითხვა, რომელიც თავში გამუდმებით მიტრიალებდა. უეცრად მანქანის გაბმული სიგნალის ხმა ჩამესმა და ჩემდაუნებურად ყურადღება იმ ხმისკენ გამექცა. მე დავინახე ყავარჯნებზე შემდგარი მამაკაცი, რომელიც გზის აქეთა ნაპირიდან, მეორე ნაპირზე გადასვლას ცდილობდა, მაგრამ მანქანის მძღოლები მას გზას არ უთმობდნენ. ერთ-ერთმა მანქანა პირდაპირ ზედ მიაგდო და საყვირიც მიაყოლა. ხეიბარმა მამაკაცმა, ჯოხების დახმარებით, ძლივს გადმოდგა უკან ორი ნაბიჯი და უგულო მძღოლს გზა დაუთმო. ამის შემხედვარემ, ვეღარ მოვითმინე, მამაკაცს გვერდით ჩავურბინე, გზაზე გავვარდი და ხელებგაშლილი მანქანებს წინ აღვუდექი. მოძრაობა შეჩერდა, რის შემდეგ, ინვალიდს მკლავზე ფრთხილად მოვკიდე ხელი და მეორე ნაპირზე დაბრკოლების გარეშე გადავიყვანე. ბორდიურზე რომ შევდექით, მოკრძალებით დავუხარე მას თავი და წასასვლელად ნახევრად შევბრუნდი, ისე, რომ მისთვის არ შემიხედავს. სანამ ნაბიჯს გადავდგამდი, მისი ბოხი ხმა ჩამესმა:

–კეთილო ადამიანო, ბოდიშს გიხდით, მაგრამ იქნებ აქვე ახლოს მდებარე სკვერის შესასვლელამდე გამომყვეთ, სკამზე რომ ჩამოვჯდე ცოტა ხნით.

– სიამოვნებით! — აღმომხდა ჩემდაუნებურად და კვლავ ნახევრად თავდახრილი მივუახლოვდი მას.

რამდენიმე წუთში, ჩვენ უკვე სკვერში ვიყავით. მამაკაცი სკამისკენ შებრუნდა და ყავარჯნების დახმარებით, ნელა დაეშვა დასაჯდომად. დამხმარე ხელჯოხები სკამის კიდეზე რომ დააყუდა, მე ამომხედა და გვერდით თავისუფალი ადგილისკენ მიმითითა:

– თუ ძალიან არ გეჩქარებათ, იქნებ ორიოდე წუთით გაგვესაუბრა.

ღმერთო ჩემო, ადამიანის ასეთი საშინელი თვალები არასოდეს მინახავს. წამიც კი არ დამჭირვებია, რომ ინსტინქტურად, ერთი ნაბიჯით უკან დამეწია.

მამაკაცმა მაშინვე დახარა თავი და ძალზე მშვიდი ტონით მომმართა:

– დაბრძანდით, გთხოვთ!

თითქოს რაღაც შიშის დაძლევა მომიხდა, მაგრამ ეს მეტად აღარ შევიმჩნიე და სკამზე ჩამოვჯექი. ხეიბარმა სიღრმიდან ამოისუნთქა და საზურგეს თავისუფლად მიაწვა.

– ჩემი აზრით, – მშვიდად დაიწყო მან. – თქვენ საჯარო მოხელე არ უნდა იყოთ. არც ვაჭარს ჰგავხართ და არც მეწარმეს. მე უფრო ვფიქრობ, რომ ხელოვნების რომელიმე დარგს უნდა წარმოადგენდეთ.

– მწერალი გახლავართ. – მივუგე მშვიდად და მისკენ შევტრიალდი, რათა უფრო კარგად დავკვირვებოდი ამ უცნაური გამომეტყველების ადამიანს.

– ასეც ვიფიქრე, მაგრამ არ ვიჩქარე. – ჩაილაპარაკა ღიმილით, მაგრამ ჩემთვის აღარ შემოუხედავს. – ბედნიერებაა, ალბათ, როდესაც რაღაცას ქმნი. – თქვა და ახლა უკვე მწარედ გაეღიმა. – კი, თუ იმას ქმნი, რაც გსურს, მაგრამ... – ბოლო სიტყვების წარმოთქმისას სერიოზული სახე მიიღო. – მაგრამ.. – გაიმეორა პატარა პაუზის შემდეგ უკანასკნელი სიტყვა და მზერის აქა-იქ მიმართვით, თითქოს აზრის სივრცეში მოძებნა დაიწყო. – ნეტავი, ამ ქვეყანაში თუ ვინმე ქმნის იმას, რაც სურს? – დასვა კითხვა და ნელი მოძრაობით ჩემსკენ შემობრუნდა.

თავი კიდევ ერთხელ შევიმაგრე, რომ მის არაამქვეყნიურ თვალებში ღრმად ჩამეხედა. რამდენიმე წამში მივხვდი, რომ მისი ეს განსხვავებული სულის სარკე, საშიში კი არა, უფრო საინტერესოც კი იყო ჩემთვის, როგორც მწერლისთვის. ჩვენი მზერა ერთმანეთში გადაიხლართა. ისინი ურთიერთასაპირისპირო მიმართულებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას, – ის ჩემში, ხოლო მე მასში ვეძებდი პიროვნების ამოსაცნობ ნიშნებს. უნდა ვაღიარო, რომ მე ეს ვერ შევძელი, მიზნამდე ვერ მივაღწიე და

თვალები, თავის ნელ-ნელა დახრასთან ერთად მოვაშორე ჩემს გვერდით მჯდომს. საკუთარი მარცხი რომ გამეუფერულებინა და ეს ლაფსუსი ამომევსო, მის კითხვას უმალ მივაყოლე პასუხი:

– ჩემი აზრით, ჭეშმარიტ შემოქმედებას ქმნის ის ხელოვანი და განსაკუთრებით, მწერალი, რომლის ცხოვრების წესიც მთლიანად დაფუძნებულია სიყვარულზე, რადგან სიყვარული იწვევს მხოლოდ ისეთ განცდას, რომელიც აკავშირებს იმ სამყაროს, საიდანაც იღებს ხსენებულ შემოქმედებით უნარს.

– გასაგებია... – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა მამაკაცმა და ყავარჯნის დახმარებით სკამზე შესწორდა. – ცოლ-შვილი თუ გყავთ? – მკითხა, როდესაც უკეთ მოეწყო.

– კი, – ვუპასუხე და მაშინვე მომტაცა გონება იმ ფიქრმა, რომ ყოველი წუთი, ჩემი ოჯახის შიმშილის გახანგრძლივებას ნიშნავდა. ამიტომ, აქ ჯდომა და საუბარი, რა საინტერესოც არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის, ამ ფონზე ყოველგვარ აზრს კარგავდა. ასე რომ, იმავე წუთიდან უკვე ისე მოვიმართე, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე, როგორც ვნახავდი მომენტს, ზრდილობიანად გამოვემშვიდობებოდი ახალგაცნობილ ადამიანს.

– მაპატიეთ, მაგრამ მომეჩვენა, რომ რაღაცამ დაგაფიქრათ და აგაფორიაქათ. – მითხრა მამაკაცმა და დაჟინებით მომაჩერდა.

წამიერი უხერხულობა ჩამოწვა, მაგრამ თავს მალევე მოვერიე და მივუგე:

– არაფერია, რაღაც გამახსენდა.

– ხომ ყველაფერი კარგად არის? – არ მეშვებოდა უცნობი.

– რა თქმა უნდა. – ვუპასუხე და მოკრძალებული ღიმილიანი სახით დაველოდე მის სიტყვას.

მამაკაცი საფუძვლიანად დამაკვირდა. შემდეგ მცირე ხნით მექანიკური მზერა მიმოატარა ჩვენგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით გამზირის ნაპირზე მოსიარულე ადამიანებს და მოულოდნელად შემომიბრუნდა:

– თუ საიდუმლო არ არის, – თითქმის შეუმჩნეველი ღიმილით მკითხა მან. – რა ჟანრში მუშაობთ, უფრო სწორად, რა

თემას ანიჭებთ უპირატესობას?

ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საკითხი შემოიტანა მოსაუბრემ, რომელმაც ყველა მიმართულება ჩამიხერგა გონებაში და დამიტოვა მხოლოდ ერთი გზა. გზა შემოქმედებისა, რომლისთვისაც სიცივეში, შიმშილში, უსახლკარობაში, ღამეების გარეთ თევაში, მძიმე ავადმყოფობისას და სხვა უამრავი ტანჯვისას, არასოდეს გადამიხვევია. მეტიც, მან დამაძლევინა, ერთი შეხედვით, ის დაუძლეველი მდგომარეობები და დღეს, ამ უნარის მიმართ ჩემი ასეთი დამოკიდებულების გამო, ბედნიერებად მიმაჩნია ჩემი აწ გარდასული ცხოვრება.

ჩემს წარმოდგენაში, თითქოს დროებით ყველა სხვა საკითხმა მეორე პლანზე გადაიწია და ჩემი შემოქმედებითი პერსონაჟების ჩასაკმწრივებლად, არენა ერთიანად განთავისუფლდა. ეს მოხდა რამდენიმე წამში და სასაუბროდაც შევიმართე:

– ჩემი გმირები, – სიხარულით დავიწყე საუბარი მე. – ერთმანეთისაგან ზოგჯერ ძალიან განსხვავდებიან, რადგან სხვა და სხვა სფეროს წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათ ერთი მთავარი პრინციპი აერთიანებთ – ბრძოლა უსამართლო ცხოვრების წინააღმდეგ, რომელიც ხშირად მათი განადგურებით და სიკვდილითაც კი მთავრდება. მიუხედავად ამისა, ჩემი პერსონაჟები მაინც გამარჯვებულები რჩებიან. რატომ? იმიტომ, რომ ისინი სიმამაცის მაგალითს ტოვებენ სხვათათვის, რაც კაცობრიობის განვითარების მთავარ საფუძველს წარმოადგენს. ასეთი ადამიანები მთელი რიგი ღირებულებითი სისტემის მატარებლები არიან და თავიანთი ცხოვრებით, ჩვენს გასავლელ გზას ეკალ-ბარდისგან ასუფთავებენ. დიახ, ვცდილობ, აღმოვაჩინო და დავინახო ისეთი ადამიანები, რომელთა სიცოცხლეც ღირს იმად, რომ აღვწერო მათი განვლილი.

საუბრის დროს მამაკაცი შუბლშეჭმუხნილი და ნახევრად მოხუჭული თვალებით მიყურებდა. ჩემს სათქმელს რომ მოვრჩი, მან ნელა მომაცილა მზერა და თავი დაღუნა. ცოტა ხანს ასე იყო გარინდებული. მეც მას ველოდი, რომ ძალზე ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა:

– მასეთი ნაწარმოებების დაბეჭდვა, ალბათ, გიჭირთ.

– ეეჰ... – ამოვიოხრე, როცა გამახსენდა, კომუნისტების

დროიდან მოყოლებული დღემდე, როგორ ვწვალობდი ამ საკითხზე და რატომღაც გადავწყვიტე, რომ მეთქვა. – ადრე მეუბნებოდნენ, რომ საბჭოთა სინამდვილეში ასეთი რაღაცები არ ხდებაო და ამიტომ იწუნებდნენ. ახლაა და, როცა კომუნისტები აღარ არიან, გამოცემებს ისევ იგივე ადამიანები განაგებენ, ოღონდ თავისუფალი საქართველოს, ანუ ეროვნული დროშის ფონზე, რომლებიც ურცხვად მიცხადებენ: თავისუფალ ქვეყანაში სხვაგვარად უნდა წერო. ეს შენი მოძველებული სტერეოტიპები წარსულში დარჩა და დღევანდელობას უკვე აღარ ეხმიანებაო. – ჩემს თანამოსაუბრეს ხმით გაეცინა. მე კი ასე დავასრულე. – მართალი გითხრათ, ვერ ჩავწვდი ასეთ პოლიტიკურ სახეცვლილებას.

მამაკაცმა ღიმილიანი გამომეტყველებით, ოსტატურად მოათვალიერა მიმდებარე ტერიტორია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– კომუნისტები არსად წასულან. მათ მხოლოდ თავის გვერდით წარმოდგენილი ატრიბუტიკა შეცვალეს და ნამგალი და ურო ეროვნული დროშების უკან ამოაფარეს. ამიტომ არ მიკვირს ის, თუ რატომ არ ბეჭდავდნენ თქვენს წიგნებს, რადგან კომუნისტური იდეოლოგია ხომ თავიდან ბოლომდე სიცრუეზეა აგებული. თქვენ კი სიმართლეს წერთ. არც ის გამიკვირდება, სიღატაკეში რომ ცხოვრობდეთ, რადგან თქვენ მათგან ასე ისჯებით. ეს სასჯელი ყველაზე მსუბუქია, რადგან თუ ხმაურს გამოიწვევთ, სხვა, გაცილებით მკაცრი მეთოდებიც აქვთ მათ. ჩანს, რომ ხმაურს არ იწვევთ, თორემ ახლა არ იჯდებოდით ჩემს გვერდით და ასეთი საუბრის ხალისი არ გექნებოდათ.

მე გაოგნებული შევყურებდი ადამიანს, რომელიც რეალური პოლიტიკური ვითარების საკმაოდ მკაცრი შეფასებისას, ძალზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ხოლო, როცა ამის შემდეგ, მცირე ხნით პაუზამ დაისადგურა ჩვენს შორის, მე მაშინვე ვისარგებლე ამით და კითხვა დავუსვი:

– უკაცრავად, თქვენ კი შესძელით ჩემი პროფესიის გამოცნობა, მაგრამ მე ვერაფრით მოვახერხე ეს. რა პროფესიის ბრძანდებით? – ვკითხე და გაფაციცებით დაველოდე მის პასუხს.

მამაკაცი თითქოს ელოდაო ამ კითხვას, წელში გასწორდა და კიდევ ერთხელ, სასხვათაშორისოდ გადაავლო თვალი არემარეს. შემდეგ არანამდვილი ღიმილით გაეღიმა და კვლავ ჩუმად ჩაილაპარაკა:

– ჩემი პროფესია? – თქვა ორი სიტყვა და აქაც შეყოვნდა, რომლის დაბოლოებას, ერთ წუთს მაინც ველოდი. – ჩემი პროფესია... – გაიმეორა მან და კიდევ გაჩუმდა ცოტა ხნით. აშკარა იყო, რომ რაღაცას ვერ წყვეტდა და როგორც იქნა ამოთქვა. ეს მაშინ, როდესაც ჩვენს გვერდით ჩავლილ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს თვალის მიფარებამდე გააყოლა მზერა. – ჩემი პროფესია, – გაიმეორა უკვე მესამედ. – კაცის კვლაა. მხოლოდ ეს მასწავლეს და მეც ეს ვისწავლე. – თქვა და თვალები მოხუჭა, რის პარალელურადაც სკამის საზურგეს მიეყრდნო.

ინსტინქტურად მეც შევსწორდი სკამზე და ამის პასუხად რა უნდა მეთქვა, უბრალოდ, ვერ ვფიქრობდი. ჩემი გონება აირია და მის სადავეს ველარ ვაკონტროლებდი. ეს ის მომენტი იყო, როცა არ ვიცოდი, თუ როგორ გამეგრძელებინა საუბარი. და აი, ისევ ჩემდაუნებურად ამოვთქვი:

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ მიგიხვდით.

ხეიბარი ცოტა წამოენთო და ისევ შეუმჩნევლად გადააკონტროლა ირგვლივ ყველაფერი. გარემოსადმი ასეთი ყურადღება, ჩვენი საუბრის ბოლომდე, ერთი წამითაც კი არ განელებია მას, მაგრამ ამას ისეთი ოსტატურად აკეთებდა, რომ შორიდან მომზირალ პროფესიონალსაც კი გაუჭირდებოდა ამის აღქმა. ის აბსოლუტურად ბუნებრივად იქცეოდა და მე მხოლოდ იმიტომ ვხედავდი ამ ყველაფერს, რომ მისი სახის მიმიკებს ძალიან ახლოდან ვუყურებდი.

– სავალდებულო სამხედრო სამსახურში რომ გამიწვიეს, – შეძლებისდაგვარად, მშვიდი ტონით დაიწყო ჩემმა თანამოსაუბრემ. – ჩემი სპორტული მონაცემები საგანგებოდ შეამოწმეს და მოსკოვის მახლობლად, სპეცდანიშნულების პოლკში გამამწესეს. დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში მაინც ვფიქრობდი, რომ რაღაც საშინელ ჯოჯოხეთში მოვხვდი და ვერ გავუძლებდი ასეთი წესით ცხოვრებას, მაგრამ შემდეგ მანეკენების წინააღმდეგ ბრძოლაში ისე გავერთე, რომ ნამდვილ ომში წარ-

მომედგინა უკვე თავი. დღე და ღამ ამ არაადამიანურ ვარ-ჯიშთან ერთად, ოფიცრებისგან გამუდმებით ვისმენდით, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა თავს დაგვსხმოდა ამერიკა და ჩვენ მზად უნდა ვყოფილიყავით ამისათვის, რათა საკადრისი პასუხი გაგვეცა. ერთი წლის შემდეგ მოთხოვნილება გამიჩნდა იმი-სა, რომ მანეკენების მაგივრად, ცოცხალი ადამიანები მეხოცა და ვნატრობდი, რაც შეიძლება, მალე დაწყებულიყო ეს მოსა-ლოდნელი ომი. სავალდებულო სამსახურის დამთავრებისას შე-მომთავაზეს, რომ დავრჩენილიყავი არმიაში და სწავლა გამე-გრძელებინა სამხედრო სასწავლებელში. ამ შანსს მე ხელიდან ვერ გავუშვებდი, რადგან ჩემი შინაგანი მოთხოვნილების და-კმაყოფილება, მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. ამიტომ, სიხარულით დავთანხმდი. – მამაკაცი წამით შეჩერდა, უკან ლამაზად გადავარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა და განაგრ-ძო. – 1979 წელს, უკვე ოფიცერი ვიყავი, ავღანეთში ომი რომ დაიწყო. უფრო სწორად, ჩვენი პოლკი იყო საბჭოთა კავშირი-დან პირველი, ვინც ამ მიწაზე ფეხი დაადგა. ჩვენ კბილებამდე შეიარაღებულები გადაგვსხეს ქაბულის მახლობლად. ოპერაცია სწრაფ მოქმედებასა და სისასტიკეზე იყო გათვლილი, რათა მოწინააღმდეგე ძალებში შიში და პანიკა გამოგვეწვია. რამ-დენიმე საათში დედაქალაქის ყველა შესასვლელ-გასასვლელს ჩვენი ჯგუფები აკონტროლებდნენ. თითოეული ჩვენგანის სამ-ხედრო ფორმა ავღანელი ხალხის სისხლით იყო შეღებილი. სამ-წუხაროდ, ჩვენს ტანზე ბავშვებისა და ქალების სისხლიც ბევ-რი იყო და ეს ელემენტი უფროსებისგან გაწერილ ბრძანებაში გვქონდა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ მე ერთ-ერ-თი ჯგუფის უფროსი ვიყავი, საკუთარი სურვილით მოქმედების უფლება მეკრძალებოდა. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ სისხლზე და-გეშილი ცხოველების როლს ვასრულებდით. – მამაკაცმა თავი დახარა. მომეჩვენა, რომ სინდისი ქენჯნიდა, მაგრამ მოვლენებს არ გავასწარი და ბოლომდე დაველოდე მის მონოლოგს. მან კი მალევე განაგრძო. – სამი წელიწადი გავატარე ჩემს ბიჭებთან ერთად ავღანეთის მიწაზე. თუ სადმე ცეცხლი იფეთქებდა, იქ განლაგებულ სამხედრო ნაწილებს ვეხმარებოდით ბრძოლაში. ფიქრის დრო არ მქონდა, ამ ყველაფრის ანალიზი სხვა ჭრილში

მომეხდინა, რომ არა ერთი შემთხვევა: სამი წლის შემდეგ, როცა სიტუაცია მეტ-ნაკლებად დალაგდა ავღანეთში, ჩემს ჯგუფს დაევალა, ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან, მიცვალებულთა კუბოების აეროდრომზე მიტანა. ორი ჯავშანმანქანით გავყევით სატვირთოს დანიშნულების ადგილისკენ. გზაში ჩვენზე თავ-დასხმა მოხდა მოჯაჰედების მიერ და სატვირთო მწყობრიდან გამოვიდა. უდანაკარგოდ მოვიგერიეთ ეს იერიში და, როდე-საც დაზიანებული მანქანის ძარაზე კუბოების შესამოწმებლად ავედი, საოცარი რამის მოწმე გავხდი, – მსხვილი კალიბრის ტყვიით გაგლეჯილი ერთ-ერთი კუბოს შიგნით, მიცვალებუ-ლის მაგივრად, პარკებად ჩალაგებული ნარკოტიკი დავინახე. ჩვენს ერთ მანქანას ჩავაბით სატვირთო და გზა განვაგრძეთ. აეროდრომზე ორი გენერალი დაგვხვდა. მე მათ მოვახსენე ჩვე-ნი დაბრკოლების მიზეზი და, როდესაც მათ გაგლეჯილი კუბო ნახეს, მაშინვე მკითხეს, რომ ეს ყველამ ნახა, თუ არა. მე მასზე ნაჭერი მქონდა მიფარებული და მოვახსენე მათ, რომ მხოლოდ მე ავედი მანქანაზე და ნაჭერიც მე გადავაფარე და ჩემს მეტს ეს არავის უნახავს-მეთქი. არ ვიცოდი, ამას რა მოჰყვებოდა და ბიჭებთან ასე მოვილაპარაკე, რომ თუ გაწირვა იქნებოდა, ისინი გადარჩებოდნენ. კუბოები თვითმფრინავში აგვატანინეს და მიბრძანეს, რომ ჩემი ჯგუფიც უნდა გაფრენილიყო მათთან ერთად. დუშანბეში დავჯექით და ორი საათი გავჩერდით. ჩვენ დაბლა არ ჩამოვსულვართ, გამტკნარებულები შევყურებდით ერთმანეთს, რადგან არ ვიცოდით, როგორ განვითერდებოდა მოვლენები. დუშანბედან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბ-ლიკაში გავფრინდით და იმ კუბოების ჩამოტვირთვაც იქ მოხ-და. ერთი დღის შემდეგ მოსკოვში გადმოგვაფრინეს და ჩვენს პოლკში დაგვაბრუნეს. პოლკის უფროსმა მცირე ინსტრუქტაჟი ჩამიტარა, რომ ეს ქვეყნის საქმე იყო და სამხედრო საიდუმ-ლოებას წარმოადგენდა. ასე დამთავრდა ყველაფერი. ეს კი დამთავრდა, მაგრამ ჩემს თავში აიშალა ფიქრი – რას ემსა-ხურებოდა გენერლების ასეთი მოქმედება? გაუგებარი კი იყო მაშინ ჩემთვის, რაში უნდა დასჭირვებოდა ნარკოტიკები გენე-რალიტეტს, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემმა გონებამ დაიწყო გა-მოფხიზლება და ამ ფიქრმა კრიტიკულ ზღვარს იმ დროს მიაღ-

წია, როცა დაჭრილმა, ჰოსპიტალში შევიტყვე, რომ ჩემი პოლკი, თბილისში, ცხრა აპრილს, საკუთარ მოქალაქეებს გაუსწორდა. სწორედ მაშინ მივხვდი საბოლოოდ და წერტილი დავუსვი იმ აზრს, რომ მე, საბჭოთა კავშირის ძლიერების იდეით შეპყრობილი სამხედრო, თურმე ერთი ჯგუფის გამდიდრებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ვიბრძოდი.

მამაკაცმა მონოლოგი დაასრულა. მე კი კიდევ ერთხელ დავაკვირდი მის სულში ჩამწვდომ თვალებს, რომლის წიაღშიც, სადღაც შორს, მაინც მოსჩანდა ერთი პატარა გამონათებული წერტილი, რომელიც მასში გაბატონებული მკვლელის იერს, მონანული ადამიანის გამომეტყველებისკენ ექაჩებოდა.

დამშვიდობებისას, მან პიჯაკის გარეთა ჯიბეში რაღაც ჩამიდო და მთხოვა, რომ ეს დახმარება ადამიანურად მიმეღო მისგან. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია მისთვის, მადლობა გადავუხადე ყველაფრისთვის, ჯანმრთელობა ვუსურვე და ქუჩას სახლისაკენ გავუყევი.

შეგიძლიათ მოგვწეროთ თქვენი შთაბეჭდილებები

E -mail: sabchotamzveravisvaji@yahoo.com

რედაქტორის ბოლოთქმა:

მე, როგორც ისტორიკოსმა და ლიტერატურადმცოდნემ, კარგად ვიცი, რომ ბევრმა მწერალმა დაასრულა სიცოცხლე გაჭირვებაში. ადამიანთა გარკვეული კატეგორიისთვის, თითქოს ეს ცხოვრების ნორმაა,მაგრამ არის სულიერად ამაღლებული მკითხველი, რომელსაც მოსწონებია წიგნი და გული დასწყვეტია მწერლის ტრაგიკულ ბედზე. სწორედ ასეთი მკითხველია ჩემი მიმართვის ადრესატი, რომელსაც მსურს, რომ ჩემი გულისტკივილი გავუზიარო.

მე მწერალ თამაზ ალავიძის რამდენიმე წიგნის რედაქტორი გახლავართ. გაბედულად შემიძლია ვთქვა და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, რომ ის ჩვენი თანამედროვეობის (მხოლოდ საქართველოს მასშტაბს არ ვგულისხმობ) ერთ-ერთი დიდი მწერალია. ჩვენს ქვეყანას და ერს, თავისუფლად შეუძლია, მისი შემოქმედებით თავი მოიწონოს საერთაშორისო ასპარეზზე. ამის მაგივრად, რაოდენ სამწუხაროა,რომ მისი წიგნები ყოველთვის მოკრძალებული ტირაჟით გამოდის და ხშირ შემთხვევაში, ფართო მკითხველამდე ვერ აღწევს. და ეს კიდევ არ არის მთავარი. საქმე ის არის, რომ მწერალი, რომელიც ქართველი ხალხისთვის ქმნის საუკეთესო მოთხრობებს, რომანებს და ამას იქმს დღეც და ღამეც, საკუთარმა ქვეყანამ საოცარ სიდუხჭირეში გაატარებინა ცხოვრება. სამწუხაროა რომ ის, როგორც მწერალი, დავკარგეთ. აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თქვენ, რათა იქნებ ჩვენ, ყველამ, ერთად ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩვენთვის და ჩვენი მომავლისთვის იღწვიან და ერთხელ და სამუდამოდ დავამსხვრიოთ ის მითი, რომელიც ხელოვანებს სიღატაკეს არგუნებს.

პატივისცემით, ირაკლი ზაკალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი
კახაბერ რუსიძე

სტილისტ კორექტორი
გიორგი ალავიძე

გარეკანის დიზაინი
ირაკლი ზაკალაშვილი

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com